32 გვ

# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 40 (337) ◆ 1 — 7 ოქტომბერი, 2001 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## პანკისიდან მანქანებით წამოსული რაზმი უკვე მცხეთასთან უპატრონოდ მიატოვეს, ყველამ ხელი დაიბანა...



— ვიცი, რომ ასლან მასხადოვმა რამდენჯერმე მკაცრად გაკიცხა გელაევი იმის გამო, რომ ამ საველე მეთაურს ძალიან გაუგრძელდა საქართველოში ყოფნა...

*მამუკა არეშიძე*

— აშშ არავითარ შემთხვევაში ყურადღების მიღმა არ დატოვებს ჩვენს რეგიონს. რაც შეეხება შუა აზიაზე კავკასიის გაცვლას, ეს არ მოხდება.

გვ.3

*კახა კაციტაძე*



## სამხედრო თემაზე:

გვ.9

ერთ-ერთი სცენარის თანახმად, ქართული მხარე რუსეთის სამშვიდობოებთან ერთად აცლის ჩეჩნებს აფხაზების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლას და შემდეგ ერთობლივ საბრძოლო ოპერაციას იწყებს.

კახა თარგამაძე სენსაციურ განცხადებას აკეთებს — ჩვენ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან გავაძევეთ რუსლან გელაევი და შეიძლება იგი ახლა აფხაზეთში იმყოფებოდესო.

## 11 სექტემბერს ვლადისლავოვნა თურმე ამერიკაში იმყოფებოდა

### ინტერვიუ არძინბას ყოფილ ქართველ სიძესთან...

— ისე წარიმართა ჩემი ცხოვრება, ნამდვილ გვარს ველარ დავიბრუნებდი. დღემდე გაურკვეველი სპეცსამსახურების დაკვირვებისა და დევნის ობიექტი ვარ.

ქართველების მიმართ ვლადისლავ არძინბას სიძულვილის გაღვივებას ხელს უწყობდა მამის „აღზრდის" მეთოდები.

როცა არძინბა კრივზე დადიოდა, თურმე ვარჯიშს მამამისიც ესწრებოდა და ურჩევდა, შენ წინ ქართველი წარმოიდგინე და უფრო მაგრად დაარტყამო.

გვ.7

## საქართველოში ყველაზე ნაკლებპრობლემური შიდსი, პროსტიტუცია და ჰომოსექსუალიზმია

გვ.31

### საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## საით მიდიან ახალგაზრდა „რეფორმატორები"

...„რეფორმატორებს" რეალურად აქვთ შანსი, იქცნენ ყველაზე ძლიერ და საზოგადოებისთვის სიმპათიურ ოპოზიციურ ძალად, რომ არა რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი...

...მათ სახელს უკავშირდება, ერთი მხრივ, გარკვეული პოლიტიკური ძალების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება და შემდგომ მათი თავიდან მოშორება...

გვ.7

## ფრთხილად — მესამე ტერაქტი!



### „შევარდნაძეს ოქტომბერში, მთავრობის სხდომაზე მოკლავენ..."

...ბუნებრივია, თქვენ დეტალები გაინტერესებთ, მაგრამ ვერ გეტყვით.

...ამას გააკეთებს მისი გარემოცვა.

...დანარჩენი ტერაქტები იყო ძალოვნების მიერ განხორციელებული შოუაქციონები, რომელთა მიზანი იყო გარკვეული ხნით ხალხის ყურადღების გადატანა.

გვ.5

*ბორის კაკუბავა*

## „პეროვსკაიაზე" მომხდარი მკვლელობა შეიძლება სისხლიანი დაპირისპირების დასაწყისად იქცეს...



ვიქტორ ჯაფარიძე

### ვინ აკონტროლებს თბილისს — პოლიცია თუ „შავები"?!

...ერთ-ერთმა მეზობელმა თავისი თვალით დაინახა ყველაფერი. გარაჟების მხრიდან ორი პიროვნება გამოსულა და ჩემს შვილთან მისულა.

...მანქანის კარი გაუღია და უყვირია, — არ ისროლოთო. მათ მაშინვე ცეცხლი გაუხსნიათ. ამის შემდეგ ვიკის მეგობარსაც უსვრია.

...„მერსედესის" საბაბით „შავებმა" მისი ბიზნესის დასაკუთრება მოინდომეს...

გვ.5

## ერის „ავადმყოფობის" მკურნალი „ექიმი" თუ უნიჭოა...

გვ.15

როგორც ადამიანი, ერიც შეიძლება გაზარმაცდეს. ერის „ავადმყოფობის" „მკურნალი" მისი ხელისუფლება უნდა იყოს, მაგრამ თუ ეს „ექიმი" უნიჭო ან არაკვალიფიციურია, „თვითმკურნალობას" უნდა მივმართოთ.

საქართველოში შემოსული თითოეული ბოევიკისგან სახელისუფლებო სტრუქტურებმა 10.000 დოლარი აიღეს. პრობლემაა ისიც, რომ ფულის ნაწილი რუს მესაზღვრეებსაც გაუნაწილეს.

გვ.5

*სანდრო ბრეგაძე*

## ჩვენი ყოფის საინტერესო სტატისტიკა

თუ ვინმე დათანხმდება, ცხოვრებაში მხოლოდ პური ჭამოს, საქართველო განვითარებული ქვეყნების რიგში დადგება.

გვ.6



## რატომ აშინებდნენ ბაზრების გაერთიანების დირექტორს „გველების კამერით"...

პირზე მაშინდელი ტეკას მდივანს, გურამ გაბუნიას უნდა დავლდგომოდი, ვითომ მას 200 ათასი მანეთი მივეცი.

გვ.19

## ჰუმანიტარული დახმარების განაწილება საჩხერულად

სოფელ საირხეში მოსახლეობამ დამტაცებლები აიძულა, უკან დაებრუნებინათ 43 ტომარა ფქვილი.

სიებში შეყვანილი ჰყავთ მკვდარი სულები. სიაში რამდენჯერმეა შეყვანილი „სანდო ხალხიც"...

უპრეცედენტო შემთხვევა — დანაშაულზე საქმე აღიძრა...

გვ.6



## შლაგბაუმთან ყველანი ხელებაწეულნი იდგნენ, მათ შორის გენერალიც...

ვერსია

### ნამდვილი ამბავი, ანუ პირველი პირის ნაამბობი...

გვ.10

...ისეთი ჩოჩქოლია, წამით ვირწმუნე, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდა, მაგრამ როცა შლაგბაუმთან გენერალი და ჩვენი ბიჭები ხელებაწეულები დავლანდე და ერთ-ერთმა მილიციელმა ავტომატიც მომიღერა — მანქანიდან გადმოდი და ხელები ზევითო, — უსიტყვოდ დავმორჩილდი. ხელებაწეულმა გენერალს გავხედე და სიცილი ძლივს შევიკავე...

...შეშინებულმა ადილამ, იმის შიშით, თავით ქვას არ დავასკდეო, სხეულის მთელი სიმძიმე მარჯვენა მხარეს გადაიტანა, მაგრამ თავი მაინც ველარ შეიკავა, თვალის დახამხამებაში ჰაერში ამოტრიალდა და პირდაპირ ლაფში გაიშხლართა...

...ფეხი წინ წავდგი თუ არა, ხმელ ფიჩხს გამოვედე და მისმა ტკაცუნმა გამცა...

FOCUS
Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
Профиль
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
МК БУЛЬВАР
stern
НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ
ИЗВЕСТИЯ
ЭХО ПЛАНЕТЫ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
Le Figaro Magazine
Match
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
ИТОГИ
Le Nouvel Observateur
daily

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## დაძაბულობა განიმუხტა?

დიდი ხნის მანძილზე ამტყდარი აჟიოტაჟი საქართველოში მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციის შესახებ, გასულ კვირას „ლოგიკურ“ ზღვარს მიუახლოვდა. პირველმა ინფორმაციამ, რომ ქართველ პარტიზანთა და ჩეჩენთა რაზმები 27 სექტემბერს (აფხაზეთის დაცემის მე-8 წლისთავზე) აპირებდნენ საომარი მოქმედებების დაწყებას აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ, „თავზარი“ დასცა ოფიციალურ თბილისს. შემდეგ კი ითქვა, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსული ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები აპირებდნენ პროვოკაციას რუსების წინააღმდეგ. პრეზიდენტმა შევარდნაძემ პირველად დაადასტურა აფხაზეთში ბოევიკთა ყოფნის ფაქტი და მოუწოდა ქართველ პარტიზანებს, თავი შეეკავებინათ სამხედრო მოქმედების დაწყებისაგან, რადგან მისივე თქმით, ჩაფიქრებული იყო მორიგი ფართომასშტაბიანი პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ. იმავდროულად, გაიმართა სატელეფონო საუბარი ვლადიმირ პუტინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის (როგორც ამბობენ, საკმაოდ მწვავე), რის შემდეგაც შევარდნაძემ გამოთქვა მზადყოფნა პუტინთან შეხვედრისა და მოლაპარაკებისათვის. მან სასწრაფოდ მიავლინა მოსკოვს გენშტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი, შემდეგ კი გია არსენიშვილი და ძალოვანი მინისტრები. ამ ვიზიტების შედეგად დაძაბულობა ერთგვარად განიმუხტა.

## ჩეხოევის ისტერია დუმამ არ გაიზიარა

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მასმედიის მიერ გაჩაღებულმა ანტიქართულმა ისტერიამ კი რუსეთის დუმაშიც შეაღწია და პირველმა ცხინვალში დაბადებულ-გაზრდილმა (შემდეგ რუსეთში გადახვეწილმა) და ამჟამად დუმის დეპუტატმა ანატოლი ჩეხოევმა გამოიდო თავი. მან წინადადებით მიმართა დუმას სხდომის დღის წესრიგში დაეყენებინათ და განეხილათ საქართველოში ანტიტერორისტული კამპანიის წარმოების დადგენილების პროექტი(!). მისი განცხადებით, „ბოლო დროს საქართველოში შეინიშნება ანტირუსული ისტერია და 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ საქართველომ ორმაგი სტანდარტებით დაიწყო მოქმედება“(!). დუმამ საკითხი დასვა დღის წესრიგში, მაგრამ კენჭისყრისას დადგენილებას ხმა მისცა მხოლოდ 134-მა დეპუტატმა, მაშინ როცა სულ ცოტა 206 ხმა იყო საჭირო. ასე რომ, რუს დეპუტატთა უმრავლესობა უფრო გონიერი და ამ ეტაპზე საქართველოს მიმართ შედარებით კეთილგანწყობილი აღმოჩნდა... აქ თბილისში კი, პოლიტიკოსთა საერთო დასკვნით, რუსეთისგან მომდინარე მთელი ეს აჟიოტაჟი და მოსალოდნელი დესტაბილიზაცია აფხაზეთში გამიზნული იყო და არის გუდაუთის სამხედრო ბაზის ნებისმიერი გზით შენარჩუნებისათვის. იქვე აფიქსირებენ, რომ რუსეთის აგრესიული ქმედებების პროვოცირება თვითონ საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის, უნიჭო პოლიტიკოსებისა და სამშობლოს გამყიდველების „წყალობით“ მოხდა, თუმცა მათი ვინაობის გამხელას კვლავ ვერავინ ბედავს!

## სად არის ემზარ კვიციანი?

25 სექტემბერს გულრიფშის რაიონში მოხდა შეიარაღებული შეტაკება აფხაზ ბოევიკებსა და კოდორის ხეობის დამცველ ქართულ დაჯგუფებას შორის, რის შედეგადაც ორი აფხაზი დაიჭრა, ერთი კი ტყვედ აიყვანეს. იმავდროულად განყდა ყველანაირი კავშირი კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულ ემზარ კვიციანთან. თბილისში გაისმა ხმები, რომ კვიციანი შეიძლება მძევლად ან ტყვედ აიყვანესო, თუმცა კვიციანის უახლოესმა გარემოცვამ უარყო ეს ინფორმაცია. იმავდროულად, ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კატეგორიულად მოითხოვა გალის რაიონის ტერიტორიაზე ერთობლივი პატრულირება ქართული მოსახლეობის დაცვის მიზნით, რაც წინასწარი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს. კოდორის ხეობაში ალყაშემორტყმის მოსალოდნელობასთან დაკავშირებით შემდგარი სახალხო ლაშქრის რაზმები 24-საათიან მორიგეობას ეწევიან და მთლიანად აკონტროლებენ ვითარებას. კვირის ბოლოს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართულ-ჩეჩნური დაჯგუფება ტყვარჩელთან გამოჩნდა და რომ მათთან ერთად იმყოფებოდა ემზარ კვიციანიც.

## რუსეთთან თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, „მიუხედავად რუსულ-საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობებისა, გამორიცხულია რუსეთი ოფიციალურ თბილისთან შეუთანხმებლად განახორციელებს რაიმე სამხედრო ოპერაციას საქართველოს ტერიტორიაზე.“ ამასთან, საგარეო უწყებაში დაუშვებლად მიიჩნევენ, რომ ტერორისტების მიმართ ორმაგი სტანდარტები იქნეს გამოყენებული. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, არანაირი გარიგება რუსეთსა და ამერიკას შორის ადგილი არ ჰქონია, რომ თითქოს ჯორჯ ბუშმა კარტბლანში მისცა პუტინს ჩეჩნეთის პრობლემის ანტიტერორისტული ოპერაციით მოგვარებისთვის რუსეთის ფარგლებს გარეთ, საქართველოში. ირაკლი მენაღარიშვილის უწყება მზადყოფნას გამოთქვამს რუსეთთან ანტიტერორისტული ოპერაციებისათვის ყველა საჭირო საკითხზე, იქნება ეს დაკავებული 13 ჩრდილოკავკასიელის რუსეთში ექსტრადიცია, თუ საჭირო ინფორმაციების ურთიერთგაცვლა. მეტიც, გასულ კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ამჟამად საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენა და თანამშრომლობის გაღრმავებაა და მოსკოვში ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

## „მარათონში“ ჯერგენიაც ჩაერთო

თბილისი-მოსკოვი-თბილისის შორის გაჩაღებულ „მარათონს“ დაერთო სოხუმი-თბილისი-სოხუმის მარშრუტზე მოგზაურობაც, ოღონდ ამ მარშრუტით, ჯერჯერობით, მხოლოდ აფხაზ სეპარატისტთა პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ ისარგებლა. პრეზიდენტ შევარდნაძესთან სასაუბროდ ჩამოსულმა ჯერგენიამ შეხვედრის შემდეგ აშკარად ნაძალადევი სიმშვიდით განაცხადა, რომ აფხაზეთში სიმშვიდე და სტაბილური მდგომარეობაა, არანაირ შეტაკებებს ადგილი არ აქვს და გამორიცხულია აფხაზეთის ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო მოქმედებების დაწყებაო. ჯერგენიამ უარყო ტყვარჩელთან ქართულ-ჩეჩნური ფორმირების ყოფნის ფაქტიც და განაცხადა, ამის შესახებ ქართული მასმედიისგან შევიტყვეო(!). გამგზავრებამდე მან ისიც ბრძანა, რომ ქართულ-აფხაზური მხარეები თანამშრომლობის გააქტიურებაზე შეთანხმდნენ, რაც დააჩქარებს კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირებას. საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, ანუ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი 9 ოქტომბერს განახლდება.

## როდის გაგვიმხელენ „მომგებიან ტარიფს“?

შაბათს, ბაქოში აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტებმა, როგორც იქნა, ხელი მოაწერეს შაჰ-დენიზი-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტს. ამ პროექტის ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებებისას, მხარეები გაზის ტრანსპორტირების ტარიფზე ვერა და ვერ თანხმდებოდნენ, ახლა კი გაცხადდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ და ქართული მხარეც კმაყოფილია მოლაპარაკების შედეგით... აღნიშნული გაზსადენი 2004 წელს ამოქმედდება, რითაც საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ალტერნატიული ბუნებრივი გაზი გაჩნდება. რაც შეეხება ტარიფს, ქართული მხარე უკანასკნელ დღემდე არ აკონკრეტებდა ციფრს. მხოლოდ ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ მიანიშნა, რომ ქართული მხარე გარკვეულ კომპრომისზე წავიდა, თუმცა მთლიანობაში პროექტი ქვეყნისათვის უაღრესად მომგებიანი იქნებაო. მიღწეულ ტარიფზე ინფორმაცია მხოლოდ აზერბაიჯანის პრესამ გაავრცელა, რომლის თანახმად, თავდაპირველად საქართველო ყოველი 1000 კუბური მეტრის გაზის ტრანზიტზე ითხოვდა 5-დან 10 დოლარამდე, საბოლოო კი, სავარაუდოდ, 3 დოლარია. ამ ინფორმაციას უარყოფენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და მიანიშნებენ, რომ ტარიფი მაქსიმალურად მომგებიანია საქართველოსთვის, თუმცა არც იქ ასახელებენ კონკრეტულ ციფრს.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამ შეხვედრაზე ჰეიდარ ალიევი „ოქროს საწმისის“ ორდენით დააჯილდოვა.

## მოქკავშირი ფრაქციებად ქუცმაცდება

საპარლამენტო უმრავლესობის რამდენიმე ფრაქციად დაშლა, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია. ზურაბ ჟვანიამ უმრავლესობასთან საგანგებო შეხვედრისას პირდაპირ მიმართა წინადადებით ყველას, უწინარესად, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ წევრებს, რომ ისინი თავიანთი სურვილსამებრ სხვადასხვა ფრაქციაში გაერთიანებულიყვნენ. სავარაუდოდ, მოქკავშირის ბაზაზე ჩამოყალიბდება 3-4 ფრაქცია, რომელთა შორის გამოიკვეთებიან ე.წ. რადიკალები, ანუ რეფორმატორები (მას უკვე უწოდებენ მიშა სააკაშვილის ფრაქციას); იქნება „ზომიერების“ 4-5 კაციანი ფრაქცია და ცალკე ჩამოყალიბდება ე.წ. „კანცელარიის ფრაქცია“, რომელშიც გაერთიანდება მაჟორიტარებისა და კახეთის დეპუტაციის ნაწილი. ასევე გაფორმდება, როგორც მას დეპუტატები უწოდებენ, ქვემო ქართლის გუბერნატორის ლევან მამალაძის „ფრაქციაც“.

## სატელეფონო მოსმენები დაკანონდება?

უშიშროების სამინისტრო სასამართლოს ნებართვის გარეშე ნებისმიერი ეჭმიტანილის სატელეფონო საუბრების მოსმენის უფლებას ითხოვს და საგანგებო პროექტიც წარდგენილი აქვს ეროვნული უშიშროების საბჭოში. პროექტს უკვე დაადო რეზოლუცია პრეზიდენტმა. ამ ფაქტმა პარლამენტართა აღშფოთება და კატეგორიული წინააღმდეგობა გამოიწვია, უშიშროების სამინისტრო კი პროექტის მიღების აუცილებლობას ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარებით ხსნის და ამართლებს! უშიშროების სამინისტროს მხარს უჭერს ეროვნული უშიშროების საბჭოც, რომლის წევრთა მტკიცებით პროექტი კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება და რომ ეს …ა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია დანერგილი...

## „დალაი-ლამაა, რომ არ დავუპირისპირდეთ?!“

მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობიდან ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ პირველმა, ვინც ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“ დატოვა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მოადგილე, კობა ამირხანაშვილი აღმოჩნდა. მან ეს ნაბიჯი ახსნა იმით, რომ ფრაქციიდან გასვლა აღკვეთს საკუთრივ მოქკავშირის წიაღში სხვადასხვა ფრაქციის შექმნას, რასაც ადრე ეს უკანასკნელი (ამირხანაშვილი) მხარს უჭერდა. ამჟამად კი, ამირხანაშვილის თქმითვე, იგი დისტანცირებულია ფრაქცია „მოქკავშირისგან“ და არის მხოლოდ პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდამჭერი. ამასთან, იგი რჩება უმრავლესობაშიც და პარტიაშიც. ამ ფაქტით გაღიზიანებულმა მოქკავშირის გენერალურმა მდივანმა ედვარდ სურმანიძემ მოუწოდა ფრაქციის ყველა წევრს, დროულად ჩამოყალიბდნენ და განაცხადონ — ვის სად სურს ყოფნა, რათა პარტიამ დააზუსტოს, თუ რა რესურსებს ფლობს პარლამენტში!

გია ბარამიძემ კი ამირხანაშვილს მოქკავშირის საერთოდ დატოვებაც ურჩია. იმავდროულად პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ კოლეგებს მოუწოდა, მხარი არ დაეჭირათ იუსტიციის მინისტრის პოსტზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილი როლანდ გილიგაშვილისთვის, თუმცა მისმა კოლეგებმა ცალსახად დააფიქსირეს, პრეზიდენტის თვალში უმრავლესობის ნდობის აღდგენის მიზნით არ უნდა დავუპირისპირდეთ შევარდნაძეს და მხარს ვუჭერთ პრეზიდენტის კანდიდატურასო. ბარამიძე ამან ისე აღაშფოთა, რომ მძაფრი პროტესტი გამოთქვა და იკითხა: დალაი-ლამაა, რომ არ დავუპირისპირდეთო?! საბოლოოდ უმრავლესობამ და ოპოზიციამაც დაუჭირა მხარი იუსტიციის მინისტრის პოსტზე გილიგაშვილის კანდიდატურის დამტკიცებას...

## ლუსტრაციის კანონი ნამდვილად საჭიროა

ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა მიშა სააკაშვილმა თანაგუნდელებთან ერთად გამართა საგანგებო პრესკონფერენცია, სადაც აფხაზეთში ვითარების დაძაბვის პროვოცირებასა და მეტიც, ხელისუფლების ხელში ჩაგდების განზრახვაში პირდაპირ დაადანაშაულეს შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, რომელიც, მათივე თქმით, მოსკოვიდან იმართება, ასრულებს რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას და აპირებს თბილისში საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის შემოღებას, რომლის დროსაც შეეცდება ხელისუფლების უზურპაციას. საპასუხო პრესკონფერენციაზე კი კახა თარგამაძემ სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების ფსიქიკური შემოწმება მოითხოვა, თუმცა ფაქტია, რომ სახელისუფლო და საზოგადოებრივ წრეებში მსგავსი ბრალდებები თარგამაძის მისამართით გამუდმებით გაისმის. პარლამენტში უკვე აშკარად ალაპარაკდნენ ლუსტრაციის კანონის სასწრაფოდ შემოღების აუცილებლობის შესახებ.

## მატნელები იარაღის ასხმით იმუქრებიან

სოფელ მატნის მკვიდრს, ახმეტის რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსს შოთა მამუჩიერაშვილს პანკისელი ბანდიტები ღამით დაეცნენ და ავტომატებით დაუცხრილეს სახლი, სადაც ორი მცირეწლოვანი ბავშვიც იმყოფებოდა. საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა. საქმე ის არის, რომ მამუჩერაშვილი გასულ წელს 5 თვის მანძილზე ჰყავდათ პანკისელ ბანდიტებს ტყვედ და მათგან თავის დასაღწევად მან ხანგოშვილ-მარგოშვილთა ბანდებს სოლიდური თანხაც გადაუხადა, მაგრამ გათავისუფლების შემდეგაც ბანდიტები ხარკს გამუდმებით სთხოვდნენ თავისუფლების სანაცვლოდ(!).

ამ ფაქტით აღშფოთებულმა მატნელებმა განაცხადეს, რომ თუ პანკისელ ბანდიტთა თარეშს სამართალდამცავები არ დაუსვამენ წერტილს, კვლავ აისხამენ იარაღს და მათ ველარავინ შეაკავებს...

## უფლებები უნდა „გათანაბრდეს“!

ეროვნულ ძალთა გაერთიანება გურამ აბსანძის უფლებების შელახვის გამო საპროტესტო აქციების დაწყებით იმუქრება. მათი თქმით, გურამ აბსანძეს, რომელიც ცსკ-მ ვაკის რაიონის მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციაში 6 სექტემბერს გაატარა, დღემდე სხვა კანდიდატებთან თანაბარ წინასაარჩევნო კამპანიის საშუალებას არ აძლევენ. ნემო ბურჭულაძემ კატეგორიულად მოითხოვა, ან აბსანძის გამოშვება ციხიდან, ან დეპუტატობის დანარჩენი კანდიდატების (ირინა სარიშვილი-ჭანტურიას, გია ჟორჟოლიანის, მიშა სააკაშვილის, გიორგი გაჩეჩილაძის, ასმათ ტყაბლაძის, გოჩა ფიფიას და დანარჩენთა (სულ 16 კაცი) ციხეში ჩასმა, რათა „უფლებებით“ გაუთანაბრდნენ აბსანძეს(!).

გურამ აბსანძის თავდებით გათავისუფლება-არგათავისუფლების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას ორშაბათს მიიღებს!

## დაიკარგა იაპონელი ფოტოკორესპონდენტი

გასულ კვირას გაირკვა, რომ საქართველოში უგზო-უკვლოდ დაიკარგა იაპონიის გაზეთ „ნაგასაკი-ჯაპან“-ის ფოტოკორესპონდენტი ცენეუკა კოსუგა. ცნობილი გახდა, რომ იგი საქართველოდან ჩეჩნეთში გადასვლას გეგმავდა, მაგრამ საიდან, როგორ მოხვდა საქართველოში, გაურკვეველია. ჩვენი საგარეო უწყება ამ ფოტოკორესპონდენტის შესახებ ორი თვეა არანაირ ინფორმაციას არ ფლობს და აცხადებს, რომ მას აკრედიტაცია არ გაუვლია. თავის კოლეგებს იაპონელი ჟურნალისტი უკანასკნელად ივლისის ბოლოს დაუკავშირდა... სამართალდამცავებმა მხოლოდ იმას მიაკვლიეს, რომ იაპონელ ფოტოკორესპონდენტს მოთხოვნა აქვს შეტანილი საკონსულო დეპარტამენტში ერთთვიანი ვიზის მიღების თაობაზე, მაგრამ ვიზა არ აუღია. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს, რომ იაპონელი კორესპონდენტი საქართველოს საზღვრის გავლით არ შემოსულა...

## დააკავეს ინკოგნიტო ელექტრიკოს-ტერორისტი

საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (ამ ქვეყანას არ ასახელებენ), პროფესიით ელექტრიკოსი, რომელიც თავისუფლად მიდი-მოდიოდა პანკისსა და თბილისს შორის. მას ჩხრეკისას აღმოაჩნდა კომპიუტერული სქემები და ორი გამზადებული რადიოტექნიკური მოწყობილობა, რომლითაც შესაძლებელია დისტანციური მართვის, ან საათისმექანიზმიანი ბომბების დამზადება და მათი ამოქმედება. დადგინდა, რომ მსგავსი კონსტრუქციის ბომბი შარშან აღმოაჩინეს და გააუვნებელყვეს ჩვენს ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში (არც ამ ქვეყანას ასახელებენ). დაკავებული პოტენციური ტერორისტი ქართულმა მხარემ გადასცა იმ სახელმწიფოს სპეცსამსახურს, რომლის მოქალაქეც ბრძანდება...

## მაია ჯაბუას თავს დაესხნენ

რამდენიმე დღის წინ ვაკეში თავს დაესხნენ ქართული ესტრადის მომღერალს მაია ჯაბუას. მაიას დედამ, ქალბატონმა ლილიმ ეს სამწუხარო ფაქტი დაადასტურა და გვითხრა, რომ მაია იმდენად დაშავებული არ არის, რამდენადაც შეშინებული. საღამოხანს მეგობრის სახლიდან გამოსულ მაიას ქუჩაში თავს დასხმია ორი ნიღბოსანი, წაუქცევიათ, ჩანთა ხელიდან გამოუგლეჯიათ და გაქცეულან. დაზარალებული დაკითხა პოლიციამ, მაგრამ ნიღბიანი თავდამსხმელების ვინაობა და ასავალ-დასავალი დღემდე კვლავ უცნობია. ორი დღის წინ მაია ჯაბუას უცნობმა მამაკაცმა გადასცა, როგორც ჩანს, მძარცველების მიერ გადაყრილი პირადობის და მანქანის მართვის მოწმობები.

ღამის თბილისი ბოლო ხანს აშკარად საშიში ხდება, თავდასხმის მსხვერპლი კი უახლოეს მომავალში ნებისმიერი ჩვენთაგანი შეიძლება გახდეს.




## ტერაქტი შვეიცარიაში

მსოფლიო კვლავ შეძრა საზარელმა ტერორისტულმა აქტმა, თუმცა ამჯერად ე.წ. ინდივიდუალურმა, რომელიც ისეთ მშვიდ ქვეყანაში განხორციელდა, როგორიც შვეიცარიაა. კანტონ ცუგის პარლამენტში, სხდომის მიმდინარეობისას, შეიჭრა 35 წლის პოლიციისტანსაცმლიანი მამაკაცი, რომელმაც ჯერ ავტომატური შაშხანით გაუხსნა ცეცხლი პარლამენტარებს, შემდეგ კი ხელყუმბარაც ააფეთქა დარბაზში. შედეგად 11 პარლამენტარი და კანტონის მთავრობის სამი წევრი ადგილზე დაიღუპა, 16 ადამიანი კი მძიმედ დაიჭრა. ტერორისტმა დარბაზშივე მოიკლა თავი. პოლიცია მის ვინაობას არ ამჟღავნებს. ტერორისტს ჯიბეში აღმოაჩნდა წერილი, რომელშიც ახსნილია ტერაქტის მოტივი, კერძოდ, მკვლელი უკმაყოფილო იყო კანტონის მთავრობის საქმიანობით — მთავრობა ჯეროვანი ყურადღებით არ მოჰკიდებია თურმე მის ადმინისტრაციულ სარჩელს... პოლიცია ვარაუდობს, რომ ტერორისტი ფსიქიკურად იყო დაავადებული...

## ამერიკიდან უცხოელების დეპორტაცია დაიწყება?

აშშ-ის კონგრესში მალე დაიწყება საკითხის განხილვა ამერიკის მოსახლეობისათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემის შესახებ, რაც უპრეცედენტო მოვლენაა ამ ქვეყნის ისტორიაში. შესაბამისად, მოელიან, რომ აშშ-ის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი ყველა უცხოელის დეპორტაციაც დაიწყება. კონგრესმენები წუხილს გამოთქვამენ ამის გამო, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ამერიკას 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ სხვა გზა და გამოსავალი აღარ აქვს. თუმცა ბლომად არიან ამ კანონპროექტის მოწინააღმდეგე კონგრესმენებიც!

# პანკისიდან მანქანებით წამოსული რაზმი უკვე მცხეთასთან უპატრონოდ მიატოვეს, ყველამ ხელი დაიბანა(!)...



*„ქვეყნის პოლიტიკური კურსი ძველმოდური შლიაპა არ არის, რომ კაცმა მოდის კაპრიზის მიხედვით იცვალოს...“*

*ნიკო ნიკოლაძე*

ნათქვამია, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ და ბოლო დროს რუსეთის მასმედიაში გაჩაღებულმა ანტიქართულმა კამპანიამ, რამაც უკიდურესად აღაშფოთა ჩვენი საზოგადოება, ერთი დიდი სიკეთეც მოგვიტანა. ფაქტობრივად, რუსმა ჟურნალისტებმა ამ ისტერიის დროს საჯაროდ გვაუწყეს საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი ფართომასშტაბიანი პროვოკაციის თაობაზე. ყბადაღებული „Однако“-ს ავტორის, ლეონტიევის გამოსვლას შეგახსენებთ; მან ახლახან კოდორის ხეობაში ჩეჩენთა რაზმების ყოფნის გამო ატეხა ვაიუშველებელი და დაგვემუქრა, გუდაუთის ბაზის გატანაზე ნურც იოცნებებთო. რამდენიმე დღის შემდეგ კი ამ მოვლენების მონაწილეთა ურთიერთკავშირის გარკვეული სქემაც გამოიკვეთა, რომელიც, სავარაუდოდ, ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ: რუსეთის სპეცსამსახურები + საქართველოს სახელისუფლებო შტოები + პანკისში მყოფი რუსლან გელაევის რაზმი + ამ რაზმის გადაყვანა აფხაზეთში, იქიდან ყაბარდო-ბალყარეთში გადასვლის მიზნით + აფხაზეთში გელაევის რაზმთან ქართველ პარტიზანთა შეერთება + ომის დაწყება აფხაზეთში და ანტიტერორისტული ომის ფონზე რუსეთის ჯარების პირდაპირი აგრესია + გუდაუთის ბაზის შენარჩუნება და აფხაზეთის პრობლემის მოგვარების [...]ლოს, როგორც ტერორისტთა მფარველი ქვეყნის სამარცხვინო იმიჯის დამკვიდრება საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში + საქართველოში ანტისამთავრობო გამოსვლების აგორება და ხელისუფლების ცვლილება, რა თქმა უნდა, რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პოლიტიკური ძალებით...

ამჯერად ეს გეგმა ჩაიშალა, რომლის დეტალებზეც ინფორმაცია და კომენტარი ვთხოვე კავკასიის საკითხთა ექსპერტს **მამუკა არეშიძეს**, ხოლო ანტიტერორისტული ომის შედეგად შესაძლო გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და საქართველოს სამომავლო პოლიტიკური კურსის, ორიენტაციის თუ ბედის შესახებ ვესაუბრე გენერალური შტაბის სტრატეგიული დაგეგმვისა და შეიარაღების კონტროლის სამმართველოს უფროსს **კახა კაციტაძეს**:

**მამუკა არეშიძე:** — მიუხედავად მითქმა-მოთქმისა, არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს წინააღმდეგ მართლაც დიდ ღალატს ჰქონდა ადგილი სწორედ ქართველების მხრიდან. მოხდა ის, რომ დაგეგმილი იყო ერთი, გამოვიდა მეორე! ჩემი ინფორმაციით, ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთში მოქმედებს ვაჰაბიტთა ჯგუფი, რომელიც დიდი ხანია ინვევდა რუსლან გელაევს. ვიცი ისიც, რომ ასლან მასხადოვმა რამდენჯერმე მკაცრად გაკიცხა გელაევი იმის გამო, რომ ამ საველე მეთაურს ძალიან გაუგრძელდა საქართველოში ყოფნა მაშინ, როცა ჩეჩნეთში ომი მძვინვარებს... ვიტყვი იმასაც, რომ, როდესაც რუსები გვიკიჟინებენ, თქვენ ბოევიკებს და ტერორისტებს მფარველობთო, პოლიტიკური თამაშია... ზუსტი ინფორმაცია მაქვს, რომ ბალყარეთი, ფაქტობრივად, გადაქცეულია ვაჰაბიტთა უზარმაზარ ბუდედ, ასევე ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი. სწორედ ყარაჩაელ ვაჰაბიტებს დაბრალდათ ვოლგოდონსკსა და მოსკოვში მომხდარი სახლების აფეთქება და ისინი არიან დაპატიმრებულები, მათ შორის, ცნობილი ყარაჩაელი საველე მეთაური, მეტსახელად „მელა“. ყარაჩაელთა ეს დაჯგუფება ხატაბის სარდლობით იბრძოდა გროზნოში და ხატაბის რაზმთან ერთად გამოვიდა ქალაქიდან... ყარაჩაეთ-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში იმდენი ვაჰაბიტია, მათთან რა მოსატანია ამჟამად აფხაზეთში მყოფი 200-მდე კაცი, რის გამოც „შეგვჭამეს“ რუსებმა... მოკლედ, ჩვენს ინტერესებს არანაირად არ ესადაგება ის, რომ პანკისის ხეობაში მყოფ გელაევის რაზმს საზღვარი გადაეკვეთა, შესულიყო ჩეჩნეთში და ომში ჩაბმულიყო. ასეა თუ ისე, ბოლოს და ბოლოს, ცივილიზებული ურთიერთობა უნდა შევინარჩუნოთ რუსეთთან... ამიტომ, სახელისუფლებო შტოებში გადაწყდა რაზმის გადაყვანა აფხაზეთში, საიდანაც, გეგმის თანახმად, ყაბარდო-ბალყარეთში უნდა გადასულიყვნენ.

**— ვინ ჩაიფიქრა ეს და როგორ განხორციელდა...**

— ოპერაცია დაიგეგმა, მაგრამ გეგმის მიხედვით არ განხორციელდა, სხვა მიმართულება მიიღო. კონკრეტულად რამ და ვინ შეუწყო ამას ხელი, შეუძლებელია თქმა... ვიცი, რომ საქმეში ჩაერია უამრავი ხალხი სახელისუფლებო სტრუქტურებიდან, რომლებმაც საკუთარი მიზნებისთვის დაიწყეს ამ რაზმის გამოყენება. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ რაზმი შინაგან საქმეთა სამინისტროს მანქანებით გადაიყვანეს, მაგრამ მძღოლები არ იყვნენ ამ უწყების თანამშრომლები. როდესაც სამეგრელოში ჩავიდნენ, ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელები არ იყვნენ საქმის კურსში და დაიბნენ. მესამეც, გარკვეული დროის მანძილზე, ეს ხალხი უპატრონოდ მიატოვეს ტყეღრეში, ანუ ორგანიზაციის თვალსაზრისით, ოპერაცია სრულიად უსუსური გამოდგა. შეგნებულად მოხდა ეს, თუ შეუგნებლად, ფაქტი ერთია — შედგა დიდი პროვოკაცია, რომლისგანაც ძლივს დავიხსენით თავი! ახლახან აფხაზეთში ვიყავი, სადაც მასპინძელმა აფხაზებმა პირდაპირ მითხრეს, — თქვენ ყველაფერს აკეთებთ, რათა გუდაუთის ბაზა არასოდეს გავიდეს აფხაზეთიდან. იცოდეთ, სოხუმის ხელისუფლება ჩასაფრებული ელოდება, როდის დაუშვებთ შეცდომასო! ჩვენ კი ეს შეცდომა პრაქტიკულად დავუშვით, უბრალოდ, კიდევ ერთხელ გადმოგვხედა ღმერთმა და ხელისუფლებამაც შეძლო აზრის და რესურსების მობილიზება უბედურების თავიდან ასაცილებლად. აფხაზეთში რომ ჩეჩნები გარეულიყვნენ რაიმე საბრძოლო მოქმედებებში, რუსეთს მიეცემოდა კარტბლანში მთელი მსოფლიოსთვის დასამტკიცებლად, რომ გუდაუთის ბაზის არსებობა აფხაზეთში აუცილებელიაო. 11 სექტემბრის მოვლენების ფონზე, როცა ბარიკადის ერთ მხარეს დადგნენ აშშ და რუსეთი, ჩვენი მომხედავი კაციშვილი აღარ იქნებოდა... აქვე ერთ გარემოებასაც მივაქცევ ყურადღებას: მასხადოვის განცხადებებში აშკარა მინიშნებაა, რომ ამ რაზმში, სავარაუდოდ, რუსეთის სპეცსამსახურების ბევრი აგენტია. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ რაზმის მოძრაობა ყაბარდო-ბალყარეთისკენ იყო შირმა, სინამდვილეში კი დაგეგმილი ჰქონდათ ფართომასშტაბიანი პროვოკაცია აფხაზეთში. მეტიც, ეს ოპერაცია გახმაურდა და არ არის გამორიცხული, რომ სპეციალურად მოხდა მისი აფიშირება...

**— ანუ უკვე მერამდენედ ვართ მოწმენი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება გატეხილია რუსეთის აგენტურით...**

— ადამიანები, რომლებსაც საქართველოს დაღუპვა და მისი პროვოკაციებზე წამოგება სურთ, აბსოლუტურად ყველა სახელისუფლებო სტრუქტურაში არიან მოკალათებულნი. აღნიშნული ოპერაციაც რომ არ განხორციელდა არათუ დანიშნულებისამებრ, არამედ ისეც, როგორც საქართველოს გამყიდველებს სურდათ, ზუსტად იმის მანიშნებელია, რომ ოპერაციაში ჩაება უამრავი ადამიანი, რომლებსაც პირადი თუ უცხო ქვეყნის ინტერესებისთვის სურდათ გამოეყენებინათ რაზმი და შედეგად — ერთმანეთს ხელი შეუშალეს. ვგულისხმობ სხვადასხვა სახელისუფლებო რგოლს. შეიძლება მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ მიუღია ამაში მონაწილეობა...

იმის გარდა, რომ ხელისუფლებაში ჭკვიანი ადამიანების დიდი დეფიციტია, ორგანიზაციის უნარის დიდი დეფიციტიცაა. მესმის იმ ქართველების, რომლებიც რაზმს შეუერთდნენ აფხაზეთში საომრად წასვლის მიზნით, რადგან ვერ წარმოედგინათ ამხელა რაზმის გამოჩენა ისე, რომ მთავრობას არ სცოდნოდა და თავად ხელისუფლება არ ყოფილიყო დაინტერესებული აფხაზეთში მათი შესვლით.

**— არადა, ფაქტია, რომ ერთი თვის წინ კახა თარგამაძეც და პრეზიდენტიც უეცრად ერთდროულად ალაპარაკდნენ აფხაზეთის ძალისმიერი გზით შესაძლო დაბრუნების შესახებ, ანუ ეს მარცვალი თავად უმაღლესი ეშელონიდან გაღვივდა...**

— დღეს ვერ ვხედავ ხელისუფლებაში ისეთ ორგანიზებულობას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა შეძლონ. 1998 წლის გალის მოვლენებისას ერთმა უწყებამ მეორე უწყება პრაქტიკულად მიატოვა ბრძოლის ველზე. ზუსტი შედარება შეიძლება არ არის, მაგრამ ანალოგიური რამ მოხდა ჩეჩენთა ამ რაზმის ყბადაღებული ოპერაციის დროსაც. პანკისიდან მანქანებით წამოსული რაზმი უკვე მცხეთასთან უპატრონოდ მიატოვეს, ყველამ ხელი დაიბანა(!)...

**— და თქვენი აზრით, რა ბედი ელის ჩეჩენთა ამ რაზმს და უწინარესად, გელაევს?**

— ძნელი სათქმელია. აგერ, ანრი ჯერგენია აცხადებს, ეს რაზმი აფხაზეთში არ არისო. ესეც მანიშნებელია იმისა, რომ რაღაც კავშირი არსებობს აფხაზეთში მყოფ ჩეჩენთა რაზმის ზოგიერთ წარმომადგენელსა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის. მას შემდეგ, რაც ამ რაზმის ტყვარჩელისა თუ სოხუმისკენ მიმართვის გეგმა ჩაეშალათ, როგორც ჩანს, რუსებმა უთხრეს ჯერგენიას — აფხაზეთში ჩეჩენთა ყოფნის ფაქტი უარყავიო! ეტყობა, რუსებს კიდევ რაღაც აქვთ ჩაფიქრებული... რაც შეეხება ამ ჩეჩენთა ბედს, არ არის გამორიცხული, რომ რაზმი პატარ-პატარა ჯგუფებად გაიფანტოს და გაქრეს. გელაევს პირადად ვიცნობ, მაგრამ ამჟამად ნამდვილად არ ვიცი რას აპირებს. ვიცი, რომ პანკისში ყოფნისას არანაირ კრიმინალურ ქმედებაში არც გელაევს და არც მის ხალხს ხელი არ გაუსვრია. სწორედ გელაევის რაზმის სახელს ამოფარებული და მიტმასნილი კრიმინალები სჩადიოდნენ დანაშაულს. სხვათა შორის, ყველა ეს კრიმინალი დღესაც პანკისშია და გელაევს არ გაჰყოლია აფხაზეთში.

**— თუ მის რაზმში რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან, უნდა ვიფიქროთ, რომ შეიძლება აფხაზეთში რუსებმა გაქაჩონ გელაევი მას შემდეგ, რაც ეს რაზმი გაიფანტება.**

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, რაც გელაევმა და მისმა ხალხმა მოითხოვეს, ანუ ყაბარდო-ბალყარეთში გადასვლა, ავად თუ კარგად, ამაში მიეხმარნენ ქართველები. აქვე აუცილებლად დავაკონკრეტებ, რომ ეს რაზმი, ამ ფორმით და რაოდენობით, როგორც დღესაა, პანკისში არ არსებობდა. პანკისში გელაევის გვერდით სტაბილურად იყო შეიარაღებული 20-25 კაცი. მხოლოდ ოპერაციის დაწყების ჟამს შეუერთდნენ ლტოლვილები კონკრეტული მიზნით — გადასულიყვნენ ყაბარდოში. მორჩა. ეს არის მთელი „ფილოსოფია“ და მართალს ამბობდა ჩვენი ხელისუფლება, როცა კატეგორიულად უარყოფდა რუსეთის ბრალდებებს, პანკისში ასობით თუ ათასობით ჩეჩენი ბოევიკის ყოფნისა და ბაზების არსებობის შესახებ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საინფორმაციო პოლიტიკა ჩვენთან უმდაბლეს დონეზეა. როგორც წესი, ჯერ არავინ არაფერზე ლაპარაკობს, შემდეგ კი უცებ ერთხმად ამოიღებენ ხმას, სადაც ველარც მართალს გაარჩევ და ველარც მტყუანს.

**— კახა თარგამაძის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ არ გამორიცხავენ (და ეს თავად მინისტრმაც განაცხადა) რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებას ჩვენს ტერიტორიაზე, რასაც, დამეთანხმებით, გაუთვალისწინებელი და კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს.**

— დარწმუნებული ვარ, რომ არანაირი ფართომასშტაბიანი ერთობლივი ოპერაცია არ ჩატარდება. შეიძლება იყო მოსკოვში ლაპარაკი ერთობლივ ოპერაციაზე და არც არის გამორიცხული, შემოიფარგლონ კონკრეტული მინი-ოპერაციით — დააპატიმრონ რამდენიმე კაცი და რუსეთს გადასცენ! ეს ფაქტი მნიშვნელოვანი იქნება იმით, რომ რუსეთის და მსოფლიოს საზოგადოებრიობამ, ბოლოს და ბოლოს, გაიგოს, საქართველო არ არის ტერორისტების მფარველი. არადა, საქართველოს ხელისუფლებას თავის დროზე რომ ჩაეტარებინა საკუთარი ძალებით ფართომასშტაბიანი ოპერაცია პანკისის ხეობაში კრიმინალების წინააღმდეგ, დღეს სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა. რაც შეეხება ჩვენს დამცირებას, ფაქტია, რუსეთმა ბოლოდროინდელი ანტიქართული დემარშებით და პოლიტიკით უზარმაზარი ტრავმა მიაყენა საქართველოს, არც ბოდიში მოუხდია აღვირახსნილი ქმედებებისთვის და არც არაფერი გაუკეთებია ვითარების გამოსასწორებლად. მაგრამ ერთხელ ვთქვი თქვენს გაზეთში და გავიმეორებ, რომ ჩვენ უნდა გვეიძულებინა რუსეთი, ჩვენკენ შემობრუნებულიყო. ვერ ვისწავლეთ ჭკუა, რომ რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა და ნებისმიერ დროს შეუძლია ანალოგიური რამ მოგვიწყოს. მით უმეტეს, 11 სექტემბრის შემდეგ ისე შეიცვალა აშშ-ის პოზიცია, რომ სარწმუნო ინფორმაციის თანახმად, ამერიკელები გვთხოვენ, ცოტა რბილი პოლიტიკა ვაწარმოოთ რუსეთთან თვით გუდაუთის ბაზის საკითხთან დაკავშირებითაც კი. ვაშინგტონის ამ პოზიციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ჩვენმა მინისტრებმა ერთიმეორის მიყოლებით მოაწყეს ვოიაჟები მოსკოვში.

**— რა გეოპოლიტიკური ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ანტიტერორისტულ ომს და რა ვითარებაში შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში?**

**მოვუსმინოთ კახა კაციტაძეს:**

— მიმდინარე პროცესებს შეგვიძლია ვუწოდოთ „იალტის სინდრომის“ გაგრძელება, ანუ ის, რომ აშშ-ს 1945 წელს ჯერ კიდევ ომი ჰქონდა იაპონიასთან და სწორედ იალტის კონფერენციაზე დათანხმდა საბჭოთა კავშირს, ევროპაში ჰქონოდა გავლენის ზონები. ახლაც იბადება შიში, ხომ არ განმეორდება ისტორია. ბოლო ათ წელიწადში რუსეთმა დაკარგა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპა, შემდეგ ბალკანეთი. შემდგომი გეოპოლიტიკური რეგიონი, სადაც რუსეთი პოზიციებს თმობდა, გახლდათ კავკასია. ამიტომ, ბუნებრივად ისმის კითხვა: ხომ არ წყდება ეს სცენარი იმის გამო, რომ დაიწყო გლობალური ხასიათის სამხედრო მოქმედებები და აქცენტი გადავიდა ცენტრალურ აზიაზე. უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე მომენტი: ტერორიზმის წინააღმდეგ ომმა ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობების მთელი სისტემა, რადგან ეს არის სამხედრო მოქმედებების თვისებრივად ახალი სახე და თუ ამ ფონზე გავლენის სფეროებზე იქნება ლაპარაკი, ეს აღარ იქნება გავლენის სფეროთა გადანაწილების პროცესი ამ ცნების კლასიკური გაგებით. ანტიტერორისტული ომის ერთ-ერთი პოლიტიკური მიზანი არის ის, რომ აშშ-მა უნდა დაამტკიცოს — ის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოა. ამერიკა დღეს არ არის რაღაც კოალიციის ერთ-ერთი რიგითი წევრი, როგორც ანტიჰიტლერულ კოალიციაში იყო და დღეს ამერიკა ფაქტობრივად თვითონ ომობს განსხვავებით სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ომისა. ხაზგასმით აღინიშნება, რომ ეს, უწინარესად, აშშ-ის ომია და ასეთ დროს ვილაცისთვის თავისი გავლენის სფეროების გადაცემა უკიდურესად ეწინააღმდეგება მსოფლიო ლიდერობაზე პრეტენზიის ქონას, ანუ აშშ თავის პოტენციურ მოკავშირებზე, მათ შორის საქართველოზე, არავითარ შემთხვევაში არ შეამცირებს გავლენას, მით უფრო სხვას არ გადაულოცავს მას. ჯორჯ ბუშმაც, კოლინ პაუელმაც და კონდოლიზა რაისმაც სამჯერ საჯაროდ განაცხადეს, რომ აშშ-ისთვის საქართველოს დამოუკიდებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს და მართალია, ეს განცხადებები გაკეთდა 11 სექტემბრამდე, მაგრამ აშშ-ის პოლიტიკის მექანიზმები ისეთია, რომ მიღებული გადაწყვეტილებები, დამოკიდებულება ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონისადმი ასე სწრაფად და იოლად არ იცვლება, მაგრამ ჩვენი საზოგადოების შიშის გასაფანტად ალბათ ამერიკელთა მხრიდან ერთი მსგავსი განცხადება კიდევ არის საჭირო...

ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებისას ანალოგიური ვითარება იყო, რუსეთი ყველანაირად ცდილობდა ჩვენს ჩათრევას კონფლიქტში, თვით სტროუბ ტელბოტი ჩავიდა მოსკოვში და მიიღო გარანტია იმისა, რომ საქართველოს რუსეთი არ შეეხებოდა, ანუ ეს არის ვაშინგტონის თანმიმდევრული კურსი, რომელიც წარმოუდგენელია, რუსეთის „ხათრის“ გამო შეიცვალოს. რაც შეეხება შუა აზიაზე კავკასიის გაცვლას, ეს არ მოხდება უბრალო მიზეზის გამო: შუა აზიაში შესასვლელად აშშ-ს ორი გზა აქვს — სამხრეთიდან, რომელიც პაკისტანზე და ავღანეთზე გადის, ეს გამორიცხულია, თუ გავითვალისწინებთ პაკისტანში შექმნილ ამერიკისთვის უკიდურესად არასანდო ვითარებას. რჩება ერთადერთი, ჩრდილოეთის გზა — უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და ზურგის ბაზებით — ყაზახეთი. ამ ტერიტორიაზე რომ მოხვდეს ამერიკა, საჭიროა საქართველო-აზერბაიჯანის დერეფანი, ანუ თუ ამ რეგიონს დაუთმობს რუსეთს, შუა აზიაში გასასვლელად ნებართვის აღება დასჭირდება რუსეთისგან და რატომ გააკეთებს ამას ვაშინგტონი, როცა შეუძლია მუდმივად ღია ჰქონდეს ეს გზა ამ ქვეყნების მოკავშირეობით. შუა აზია და კავკასია გეოსტრატეგიულად ერთმანეთზეა გადაბმული და ამ ვითარებაში სასაცილოდ ჟღერს აზრი, რომ ვაშინგტონი კავკასიას დათმობს. უნდა გავითვალისწინოთ თურქეთის ფაქტორიც, რომელსაც ვაშინგტონის პოლიტიკაზე საკმაოდ ძლიერი გავლენა აქვს. შესაბამისად, არც თურქეთი დაუშვებს აქ რუსეთის გავლენის გაძლიერებას. დავუმატოთ ამ ფაქტორებს ნავთობსადენების სისტემაც და ნათელი გახდება, რომ საქმე მაინც არ არის რუსეთის სასარგებლოდ. ანტიტერორისტული ომისას, სავარაუდოდ, აშშ-სა და შუა აზიის ქვეყნებს, უწინარესად, უზბეკეთს შორის შეიქმნება გარკვეული სამოკავშირეო ხელშეკრულებათა სისტემა, ხოლო ნატოში ბალკანეთის ქვეყნების გაწევრების შემდეგ გეოგრაფიულად საქართველო იქნება ნატოს წევრობის უპირველესი კანდიდატი, რადგან შუა აზია-კავკასიის რეგიონის უკიდურეს დასავლეთ საზღვარს წარმოადგენს. ასე რომ, გრძელვადიან პერსპექტივაშიც ეს სივრცე აშშ-ის გავლენის ქვეშ იქნება და რატომ დაუთმობს რუსეთს?!

**— ბოლო დროს განვითარებული პროცესების ფონზე საქართველოში უკვე ალაპარაკდნენ პრორუსულ ორიენტაციაზე იძულებით გადასვლაზე.**

— კვლავაც სხვების იმედზე ვართ და მთელი ჩვენი ძალისხმევა მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა კრიზისული ვითარება შეიქმნება და საფრთხე დაგვემუქრება. მხოლოდ უეცრად წარმოქმნილი „ხანძრების“ ჩაქრობით ვართ გართული. არადა, ეს ხანძრები მომავალშიც დაგვატყდება თავს, თუ პრევენტული დიპლომატია არ დავგეგმეთ და არ განვახორციელეთ. პრევენტული დიპლომატიის კულტურა კი ჩვენთან ველურ დონეზეა დღესაც... რაც შეეხება რუსეთისადმი დათმობებს, არ მესმის, რა დათმობაზე შეიძლება წავიდეთ. რა, ჯარს შემოვაყვანინებთ, რათა აქედან დაარტყან ჩეჩნეთს? აბსურდია, სტამბოლის ეუთოს ხელშეკრულების რევიზიაც არარეალურია და გუდაუთის ბაზა გაუქმდება... ყველაზე საინტერესო ის არის, რომ 11 სექტემბრის შემდეგ რუსეთიც იცვლება. აშკარა ნიშნებია, რომ თვითონ რუსეთი მიდის დასავლეთისკენ. ამასთან, არა მგონია, რუსებს არ ესმოდეთ, თუ საით მიდის მსოფლიო გლობალური პროცესები და კიდევ ჰქონდეთ პრეტენზია, საქართველოს თავისი გავლენის ზონაში მოქცევისა. ვფიქრობ, რუსებს ლოკალური ამოცანის გადაწყვეტა უფრო სურთ, როგორმე ჩეჩნეთში დაამთავრონ ომი და თუკი რაღაცას მოგვთხოვენ, მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ შევუწყვიტოთ ჩეჩნებს დახმარება, თუკი, რა თქმა უნდა, მსგავს დახმარებას ვუწევთ. მართალია, მოსკოვიდან გამუდმებით გაისმის მუქარა საქართველოს მისამართით, მაგრამ საყურადღებოა, რომ გენერალიტეტი უკვე ცივი გონებით უდგება ყველა საკითხს. ამ გენერალიტეტსაც აღარ უნდა ომი, მით უმეტეს, რომ შესანიშნავად იციან, საქართველოში რუსის ჯარის შემოყვანას ქართველები ტაშ-ფანდურით არ შეხვდებიან. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნავთობი იაფდება, რის გამოც რუსეთის ბიუჯეტი წელიწადში 2 მლრდ დოლარს კარგავს მაშინ, როცა ჩეჩნეთის ომი უჯდება წელიწადში 5 მლრდ-მდე. ასე რომ, რუსეთის საქართველოში აგრესიის შესაძლებლობა მხოლოდ ფანტასტიკის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. ვფიქრობ, როგორც 40-იანი წლების მეორე ნახევარში მარშალის გეგმის წყალობით ამერიკამ ბევრად მეტი გააკეთა დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვიდრე იმით, რომ ტანკებით მოემარაგებინა ეს ქვეყნები, ახლაც ანალოგიურ პროცესებს მიეცემა გასაქანი. ანტიტერორისტული ომის შემდეგ პირველი ცვლილება ალბათ ის იქნება, რომ დაიწყება მარშალის გეგმების სრულად განხორციელება. და, რაც ჩვენთვის მთავარია, ევრაზიის სივრცეში, მათ შორის, კავკასიაში არსებული ეთნოკონფლიქტები ერთობლივი ძალისხმევით მოგვარდება. ხოლო თუ იმ პერიოდსაც ისეთივე უმწეონი და კვლავაც მოუმზადებელნი შევხვდით, მაშინ მართლაც აღარაფრის ღირსი ვყოფილვართ.

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# — მე, უსინათლო კაცმა, ლუკმა-პურისთვის ხომ თქვენზე ათჯერ მეტი უნდა ვიწვალო...



ალბათ, ქალაქში ხშირად შეგხვედრიათ უსინათლო მათხოვარი და მოწყალებაც გაგიღიათ. დღეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ იყო დრო, როდესაც ამ ხალხს სამათხოვრო არაფერი სჭირდა და პირიქით, აქეთ ეხმარებოდა სახელმწიფოს.

უსინათლოთა კავშირი თბილისში 1926 წელს შეიქმნა. წლების განმავლობაში მისი საწარმოები სხვადასხვა შეღავათით სარგებლობდა და შედეგად საკმაოდ დიდი ქონებაც დააგროვა — 1988-89 წლებში კავშირის ანგარიშზე 45 მლნ მანეთი ირიცხებოდა. მისი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები მთელ საქართველოში იყო გაბნეული. უსინათლოებს საკუთარი, ბრაილის სტამბაც ჰქონდათ. დღევანდელი დაანგარიშებით, კავშირის ქონება დაახლოებით, 5 მლნ ლარად არის შეფასებული, უძრავი ქონება კი მთელ საქართველოში 40 ჰა მიწის ფართობზეა განთავსებული.

**რეზო ტატალაშვილი,** უსინათლოთა კავშირის ფონიჭალის ფილიალის თავმჯდომარე:

— სოციალისტურ რეჟიმს ამ სიკეთეს ვერ დავუკარგავთ — უსინათლო ადამიანები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ვიყავით და არა სამოწყალოდ შესანახი ხალხი. სხვათა შორის, უსინათლოთა კავშირის სახსრებით თბილისში ბევრი შენობაა აგებული. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ 1990 წლამდე, თბილისში უსინათლო მათხოვარი არ არსებობდა? უფრო სწორად, ერთი ქალი კი იყო, რომელიც ვერაფრით ვერ „დავაბით" სამუშაოზე. დღეს კი რა ვითარებაც არის, ქალაქში ერთი გავლაც საკმარისია, რომ მიხვდეთ...

ჩვენს ხელისუფლებაში ხომ სიყვარულის, ადამიანობის, შებრალებისა და სინდისის დეფიციტია. რატომღაც არ ესმით, რომ პრეზიდენტით დაწყებული, უკანასკნელი ჩინოვნიკით დამთავრებული ხალხის, საზოგადოების მსახურნი უნდა იყვნენ და არა პირიქით — საკუთარ თეძოზე რომ აქვთ ეს ქვეყანა მორგებული... ეშველება ჯანმრთელ გაჭირვებულს? — მეშველება მეც. მაგრამ დღეს რომ ჯანმრთელიც გაჭირვებულია და თავი ჯუნგლების კანონით ძლივს გააქვს, მე, უსინათლო კაცმა რაღა ვქნა... მე ხომ ერთი ლუკმა პურისთვის ათი იმდენი უნდა ვიწვალო...

ორიოდე დღის წინ, მეტრო დიდუბის პერონზე ვიდექი. იქვე, ჩვენ გვერდით სკამზე, უსინათლო ახალგაზრდა კაცი იჯდა. ყელზე მოწყალებისთვის თუნუქის ქილა ეკიდა. ფანდურს უკრავდა და საკმაოდ კარგადაც. ცოტა ხანში პერონზე ახალგაზრდა წყვილი შემოვიდა. ბიჭი ნასვამი ჩანდა. უსინათლოსთან მიბანცალდა და ქილაში ხურდები ჩაუყარა. მერე უხეშად მიაყოლა — აბა, ახლა „შალახო" დაუკარიო...

უსინათლომ გულუბრყვილოდ გაიცინა, — ფანდურით „შალახო" როგორ დავუკრაო...

— რას იკრიჭები! დაუკარი, თორემ მაგ ფულს სულ წაგართმევ! — ნასვამი აღარ ხუმრობდა.

გამაღიზიანებელი ის იყო, რომ „შალახოს" მოყვარულს ფეხმძიმე ქალი ახლდა. კიდევ კარგი, მათი მატარებელიც მოვიდა და ვაგონში შევიდნენ.

— უხ, შენი და შენი გაზრდილი შვილი, — ჩაილაპარაკა იქვე მდგომმა მოხუცმა...

**ლუბა აბულაძე,** თბილისის ფილიალის თავმჯდომარე:

— ლამის დილიდან საღამომდე, მეც სხვადასხვა ორგანიზაციაში დავეხეტები და დახმარებას ვითხოვ. ზოგჯერ რომელიმე უცხოურ ორგანიზაციას გამონაცვალ ტანსაცმელს თუ გამოვტყუებ ხოლმე და ვარ ასე, „კულტურულ მათხოვრობაში" — მერე რა, თუ მეტროში, ან ქუჩაში არ ვდგავარ... ჩვენ პროფესიონალებით დაკომპლექტებული, უნიკალური სკოლა-ინტერნატიც გვაქვს. მაგრამ რად გინდა — ბავშვებს სამადლოდ მოგროვილ საკვებს ვაჭმევთ, ზამთარში შეიძლება ერთი თვის მანძილზე უშუქოდაც დარჩნენ.

უსინათლოთა სკოლა-ინტერნატი თბილისში 1890 წელს თავად ფალავანდიშვილის კუთვნილ მამულში აშენდა. მშენებლობა ნიკოლოზ II-ის დედამ, დედოფალმა მარიამმა დააფინანსა. მიუხედავად სიძველისა (ის 111 წლისაა), თბილისში დღესაც ყველაზე მკვიდრ შენობად ითვლება. სიმტკიცისთვის მის დუღაბში უამრავი კვერცხის გული შეურევიათ. სკოლა ულამაზეს ბაღშია ჩაფლული. როგორც ამბობენ, იგი ქალაქის რჩეული საზოგადოების საყვარელი თავშეყრის ადგილი ყოფილა.

**რუსუდან ანდღულაძე,** სკოლის დირექტორი:

— უსინათლონი განსაკუთრებული ინტელექტით გამოირჩევიან — მათი ერთადერთი კავშირი გარესამყაროსთან ხომ მხოლოდ გონების საშუალებით ხდება... ამერიკის საელჩომ ორჯერ ჩაატარა კონკურსი ინგლისური ენის ცოდნაში. ორჯერვე ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა, თეონა ბექაურმა და ნინო ასათიანმა გაიმარჯვეს. ამერიკელები გაოცებული იყვნენ მათი შედეგებით და ერთი წლით წაიყვანეს სტაჟირებაზე. მოგვიანებით ნინომ უცხო ენების ინსტიტუტში ჩააბარა, თარჯიმნის სპეციალობაზე. დიდი კონკურსი იყო და საბუთები პედაგოგიურზე შეიტანა. ნინოს ნიჭიერებით აღტაცებულმა რექტორმა თვითონ გადაიყვანა თარჯიმნებთან...

**— ბრაილის დაფაზე ინგლისურად როგორ იწერება?**

— ბრაილის სისტემა საერთაშორისოა, ის ფრანგმა მეცნიერმა, ლუი ბრაილმა მოიგონა, რომელმაც ახალგაზრდობაში დაკარგა თვალისჩინი...

**— როგორც გავიგე, თქვენთან მხოლოდ აბსოლუტურად უსინათლო ბავშვები სწავლობენ...**

— ნაწილი ტოტალურად უსინათლოა, ნაწილი კი მხოლოდ დღისა და ღამის სხვაობას იგებს, კონტურებს არჩევს. მიუხედავად ამისა, იმდენად ბეჯითები არიან, რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი — ჩემი საშუალო მოსწავლე ჩვეულებრივი სკოლის ფრიადოსნის დონეზეა. ჩემმა ბავშვებმა ხომ „შპარგალკა" და წიგნში ჩახედვა არ იციან, რა არის...

**სულხან გველესიანი,** მუსიკის მასწავლებელი:

— მეც ეს სკოლა დავამთავრე. შემდეგ უნივერსიტეტში ჩავაბარე, ისტორიის ფაკულტეტზე. დავამთავრე და სწავლა კონსერვატორიაში განვაგრძე. სკოლაში, ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან მომწონს, რადგან ბევრი ნიჭიერი მოსწავლე მყავს. გარდა ამისა, ვმღერი კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ოპერაშიც გამოვდივარ, რამდენიმე ქვეყანაში ვარ გასტროლებზე ნამყოფი, კონკურსებშიც გავიმარჯვე, ლა სკალაშიც გამოვსულვარ.

**— ალბათ, უსინათლოთათვის ნოტების დაწერის რაიმე სპეციალური საშუალებაც არსებობს?**

— ნოტების საერთო სისტემა კი არსებობს, მაგრამ მისი გადაწერა-გადმოწერა საკმაოდ რთული საქმეა. ამიტომაც მე ჩემი სისტემა მაქვს — ტექსტს კონცერტმაისტერი, ან ჩემი მეგობრები მკარნახობენ ხოლმე და ბრაილის დაფაზე ვიწერ, მუსიკას კი ვისმენ და ვიმახსოვრებ. „ტრავიატა" ვისწავლე, „რიგოლეტოს" ვსწავლობ. სხვათა შორის, ხალხს კითხვით ნასწავლი ავიწყდება ხოლმე, მე კი ჯერ ასეთი რამ არ მომსვლია...

*დარი გრძელიშვილი*

## წინასაკონკურსო ვნებათაღელვა

### კონკურსს ელისო ვირსალაძე გახსნის

თბილისის კონსერვატორიაში განსაკუთრებული მზადებაა — კოსმეტიკურად გარემონტდა შენობა, იგეგმება უამრავი სიურპრიზი, განსაკუთრებით დატვირთულია სატელეფონო ხაზები — ყოველ წუთს ხდება შეჯერება, შეთანხმება. უაღრესად დაძაბული გრაფიკი აქვს ამ „სამზარეულოს" დიასახლისს ქალბატონ მანანა დოიჯაშვილს. იგი უამრავი საპატიო სტუმრის მოლოდინშია და, რაღა თქმა უნდა, სურს ღირსეულად უმასპინძლოს მათ.

7-20 ოქტომბერს ტარდება თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი. მოგეხსენებათ, 42 კონკურსანტის, ჟიურის წევრების, საპატიო სტუმრების და სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალური კრიტიკოსების მასპინძლობა იოლი როდია, მით უფრო დღევანდელ ქართულ სინამდვილეში.



ქართველი პიანისტებისთვის ეს გახლავთ აღმოჩენების, სხვადასხვა პიანისტური სკოლის ფესტივალი, რაც მთავარია, საკუთარი თავის გამოვლენის შესაძლებლობა, ვინაიდან უმრავლესობისთვის საზღვარგარეთ წასვლის პერსპექტივა, უსახსრობისა და უსპონსორობის გამო, მინიმალურია.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16-დან 31 წლამდე ასაკის პიანისტებს. მსურველები წინასწარ გამოგზავნილი აუდიოკასეტებით გადიან შესარჩევ კონკურსს. წელს 98 აუდიოკასეტიდან მხოლოდ 42-მა დააკმაყოფილა საერთაშორისო კონკურსის კრიტერიუმები.

ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად კონკურსის პრესცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ **მარინა ძავთარაძეს** მივმართეთ:

**— ქალბატონო მარინა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოსთვის ტრადიციულად კონკურენტული ქვეყნიდან — რუსეთიდან, 17 მუსიკოსი ჩამოდის, მასპინძელი კი მხოლოდ 8 კონკურსანტია. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ გრან-პრი პირველი კონკურსივით საქართველოდან წავა?**

— ვფიქრობ, საუკეთესო ძალებია შეკრებილი როგორც თბილისელი, ისე უცხოეთში მოღვაწე ქართველი პიანისტებისგან. რა თქმა უნდა, პროგნოზისგან თავს შევიკავებ, ვინაიდან კონკურსი ისეთი რამაა, შეიძლება ნებისმიერი სიურპრიზი შემოგვთავაზოს. რაც შეეხება წინა კონკურსის გრან-პრის, ვფიქრობ, ულუგბეკ პალვანოვი მართლაც იმსახურებდა ამ ჯილდოს.

**— განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჟიურის შემადგენლობა...**

— ჟიურიში ორი ქართველია — თავმჯდომარე მანანა დოიჯაშვილი და ბატონი თენგიზ ამირეჯიბი, დანარჩენები ცნობილი პიანისტები და პედაგოგები არიან. უცხოელ სტუმართაგან ბევრი სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. მოწვეული გვყავს წამყვანი გაზეთების მიმომხილველები.

**— წელს კონკურსის პროგრამაში ჩართულია მასტერკლასების დღე...**

— მართალია, წინა კონკურსზეც ჩატარდა კომპოზიტორ გიუნტერ შულერის გაკვეთილი, მაგრამ ეს გახლდათ კონკურსის პარალელური ღონისძიება, წელს კი, ელისო ვირსალაძე და დიმიტრი ბაშკიროვი ჩაატარებენ მასტერკლასებს, რაც ალბათ, უაღრესად საინტერესო და სასარგებლო იქნება პიანისტებისთვის.

**— რა კრიტერიუმებით შეირჩა I ტურის სავალდებულო ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები?**

— გამოცხადდა შერჩევა საუკეთესო ნაწარმოებისათვის. უპირატესობა მივანიჭეთ ნოდარ მამისაშვილის „SCHERZO BARBRO"-ს. ეს გახლავთ თანამედროვე სტილით შექმნილი ნაწარმოები. პრიზი ქართული ნაწარმოების შესრულებისთვის გადაეცემა მხოლოდ უცხოელ პიანისტს.

მართალია, კონკურსში საქართველოდან მხოლოდ 8 პიანისტი მონაწილეობს, მაგრამ უცხოელ მუსიკოსებშიც ბევრია ქალბატონი ელისო ვირსალაძის კლასის აღზრდილი. აღსანიშნავია, რომ კონკურსს თბილისის სიმფონიურ ცენტრში ქალბატონი ელისო გახსნის პროკოფიევის №3 საფორტეპიანო კონცერტით.

P.S. წელს კონკურსის უამრავ საინტერესო პრიზს ერთი ახალი ნომინაცია შეემატა — ეს გახლავთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პრიზი „ჟურნალისტების სიმპათია".

*ალექსანდრე ბერიძე*




## ღვთისნიერნო და გულმოწყალენო, გამოეხმაურეთ...

### სამი ტყუპი ვაჟის მამას მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო სჭირდება



„ერთადერთ იმედად გულმოწყალე ადამიანებიღა დამრჩა. როგორ დავიჯერო, რომ ასეთი აღარავინ არის ჩვენს გაძვალტყავებულ ქვეყანაში? არასოდეს არც ზედმეტი თხოვნა-ვედრებით შემიწუხებია ვინმე და არც ხელი გამიშვერია სამათხოვროდ, მაგრამ უკანასკნელი სამი წელიწადი ისეთი გრძელი და მძიმე გამოდგა, ყველაფერი დამავიწყა. ახლა ნამდვილად ვიცი — სამი ტყუპი ისეთ ტვირთად იქცა ჩვენი ოჯახისათვის, რომ წელში გატეხა. ამიტომ გაწუხებთ. იქნებ ისეთი კაცი გამოჩნდეს, ვინც მუშაობის შესაძლებლობას მომცემს. რა თქმა უნდა, რჩევას არ დავიწყებ. მძღოლი კი ვარ, მაგრამ ამას ვინ დაეძებს? აქამდე მამა-პაპით ასე იყო — შვილის ყოლა ბედნიერებად ითვლებოდა. დღეს აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ჩემი სამი წლის ბიჭების შემხედვარემ აღარ ვიცი, რა ვქნა. ნეტა განახათ. ზოგჯერ მეც ვერ გამირჩევია ერთმანეთისგან. ამ ბოლო დროს ღამღამობით უჰმური ფიქრი შემომეჩვია: მაინც რაღა ჩვენ მოგვცა უფალმა სამი ტყუპი ანგელოზი? რომელიმე მდიდრის ოჯახში რომ გაჩენილიყვნენ, მათ ბედს ხომ ძაღლიც არ დაჰყეფდა?

სამი გრძელი წელიწადი გავიდა, საშველი კი არა ჩანს".

*მირიან ქებრიაშვილი, დუშეთის რაიონი, სოფელი ჭოპორტი*

*მირიან ქებრიაშვილის ოჯახთან ერთად იმედს არ კარგავს რედაქციაც.*

# ფრთხილად — მესამე ტერაქტი!

ხელისუფლების მიერ დევნილი ბორის კაკუბავა ამ ბოლო ხანს ისევ გამოჩნდა საქართველოში. თუმცა თვითონ ამბობს, დევნის მიუხედავად, ქვეყნიდან არ გავსულვარ, აგერ სამაჩაბლოში ვარ და უახლოეს დღეებში ვბრუნდები თბილისშიო.

**— ბატონო ბორის, ბრძანებთ, არარსებული დანაშაული დამაბრალესო. ვის სჭირდება უდანაშაულო კაცის დევნა?**

— 1979 წელს შევარდნაძემ 14 წლით გამამგზავრა ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკში. 1992 წელს ისევ მოინდომეს ჩემი დაპატიმრება. მოკვლაც კი უნდოდათ, განუხორციელებელი ტერაქტი დამაბრალეს. მოვახერხე პატიმრობის თავიდან აცილება. მას შემდეგ მდევნიან.

**— ბატონო ბორის, რის საფუძველზე აცხადებთ, რომ მალე დასრულდება ამ ხელისუფლების პარპაში?**

— მაქვს ინფორმაცია, რომ ამა წლის ოქტომბრის ბოლომდე მოხდება ტერაქტი შევარდნაძის ლიკვიდაციის მიზნით. დანარჩენი ტერაქტები იყო ძალოვნების მიერ განხორციელებული შოუატრაქციონები, რომელთა მიზანი იყო გარკვეული ხნით ხალხის ყურადღების გადატანა. 1995 წლის ტერაქტი შევარდნაძემ გამოიყენა მოსახლეობის გასაბრიყვებლად და არჩევნებში გასამარჯვებლად. ბუნებრივია, თქვენ დეტალები გაინტერესებთ, მაგრამ ვერ გეტყვით. იმას კი გეტყვით, ამ აქციის მომწყობი ნამდვილად არ არის ის ხალხი, რომელსაც შევარდნაძე ტერორისტებს ეძახის. ამას გააკეთებს მისი გარემოცვა. მისი ლიკვიდაცია მოხდება მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე... ასე რომ, დაახლოებით ოქტომბრის მიწურულს, მამათში მოგვინევს პანაშვიდებზე ჩასვლა...

**— ამბობენ, იგორ გიორგაძით ქართული მასმედიის ინტერესის გაძლიერება გამოწვეულია იმით, რომ უახლოეს ხანში გიორგაძე საქართველოში დაბრუნებას გეგმავსო. ხომ არ გსმენიათ ამის შესახებ რაიმე?**

— შესაძლოა რუსეთმა თავად შემოგვთავაზოს გიორგაძის კანდიდატურა და ჩვენს რეაქციას დაელოდოს. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას იგორ გიორგაძესთან, გეტყვით, რომ, ვიდგები იქ, სადაც აფხაზეთის დაბრუნების რეალური შანსი იქნება.

**— ამერიკაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ საქართველოში გაჩნდა აზრი, რომ რადიკალურად უნდა შეიცვალოს პროდასავლური კურსი რუსულით. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?**

— ეს ტერაქტი ლოგიკური შედეგია ამერიკის ხელისუფლების მიერ წლების მანძილზე მსოფლიოში გატარებული პოლიტიკისა. ყველამ დაინახა, რომ დიდის მიერ პატარის ჩაგვრა დაუსჯელი არ რჩება. ამერიკას კიდევ ელოდება კატაკლიზმები. ჩვენ რომ ეროვნული ხელისუფლება გვყავდეს, რუსეთთან არ დაძაბავდა ურთიერთობას და ამით ქართულ სახელმწიფოებრიობას საფრთხეს არ შეუქმნიდა. რუსებთან მტრობა სიკეთეს ვერ მოგვიტანს. რუსეთს სურს ჩეჩნების თარეშის მოსპობა და ამას გააკეთებს კიდეც, მიუხედავად იმისა, გვინდა თუ არა ჩვენ ეს. ის თავისი პოზიციიდან მართალია. შევარდნაძის ე.წ. „ბიჭების“ მოსკოვში მოლაპარაკებაზე ცუნცული თავიდან ვერ აგვაშორებს რუსეთის რისხვას. ამ „ბიჭებს“ აღარავინ ენდობა, რადგან კარგად უწყიან, რა ცრუპენტელებიც არიან. ახალ რუსეთს ახალ საქართველოსთან უნდა კავშირის დამყარება.

**— ბატონო ბორის, ვფიქრობ, უზნეობაა ამაზე ფიქრი, რა მოგვიტანა ჩვენ ერთმა სამხედრო გადატრიალებამ კარგი რომ ახლა დაახლოებით იმავეზე ლაპარაკობთ, კიდევ ერთი ტერაქტი ქვეყნის პრესტიჟს, საერთაშორისო არენაზე კიდევ უფრო დასცემს. ჩვენ აღგვიქვამენ ბანანისა და ტრადიციული ტერაქტების ქვეყნად. გარდა ამისა, შესაძლოა ახალ პრეზიდენტზეც იგივე განმეორდეს და ამან დაუსრულებელი ხასიათი მიიღოს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე...**

— საქართველოში ტერაქტები და სამხედრო გადატრიალებები დაამკვიდრა შევარდნაძემ. აქამდე ჩვენს ქვეყანაში მსგავსი რამ ასე ხშირად არ ხდებოდა. სწორედ მან მოაწყო ეროვნულ ხელისუფლებაზე შეიარაღებული თავდასხმა და მისი მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბდნენ ხელისუფლების ის წევრები, რომლებიც მას ახლა ლიკვიდაციას უპირებენ. რაც შეეხება საერთაშორისო შეხედულებებს, ეს პრეზიდენტს მოჰკითხეთ. ქვეყნის პრესტიჟის დაცემა მისი მართვის შედეგია, ხოლო მომდევნო პრეზიდენტი დაცული იქნება თუ არა ფიზიკური განადგურებისგან, ეს მასზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, ახალი მმართველი წინა პირის შეცდომებს გაითვალისწინებს და საქართველოში შექმნის ჯანსაღ გარემოს, რითაც გამორიცხავს გადატრიალებებისა და ტერაქტების შესაძლებლობას.



„შევარდნაძეს ოქტომბერში, მთავრობის სხდომაზე მოკლავენ...“

*ესაუბრა თამაზ ხაბეიშვილი*

## ჩეჩნები საქართველოში შემოსვლისათვის გადახდილი ფულის უკან დაბრუნებას ითხოვენ

### ვის და რამდენი გადაუხადეს მეომრებმა?

თავის დროზე საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩნების გადაადგილების თაობაზე ყველაზე ინფორმირებული „ალორძინება“ აღმოჩნდა. ასლან აბაშიძის ბანაკიდან ბოლო დროს ხელისუფლების მიმართ ძალზე სერიოზული ბრალდებები გაისმა. პარლამენტარმა სანდრო ბრეგაძემ ვერსიის დონეზე სენსაციური განცხადებები გააკეთა — საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთვის ჩეჩნებმა საზღაური გაიღესო. როგორც ირკვევა, ჩეჩნები ბოლოდროინდელი გამწვავებული ვითარების გამო მზად არიან დატოვონ საქართველო, მაგრამ ჯერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ითხოვენ. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად სანდრო ბრეგაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

*— რამდენი ჩეჩენი შემოვიდა საქართველოში და რა რაოდენობის თანხა გადაიხადეს?*

— ჩეჩნების საქართველოში შემოსვლის თაობაზე ორი ვერსია არსებობს. პირველი — რომ ეს განხორციელდა ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური ნებით და მეორე — სახელისუფლებო სტრუქტურებმა, დაუზუსტებელი ინფორმაციით, აიღეს დაახლოებით 10 ათასი დოლარი საქართველოში შემოსული თითოეული ბოევიკისგან. ჩვენს ტერიტორიაზე კი დაახლოებით 650-700 ჩეჩენი შემოვიდა.

*— რომელ სახელმწიფო სტრუქტურებს გადაუხადეს მათ ფული?*

— იუსტიციის ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ ტერორისტებთან კავშირში შს მინისტრი იყო და ის სახელმწიფო გადატრიალებასაც გეგმავდაო. გენერალური პროკურორისგან მოვითხოვ, საქმის აღძვრას. ან ცილისწამების გამო უნდა აგებინონ სააკაშვილს პასუხი, ან კიდევ თარგამაძე უნდა წარდგეს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე ტერორისტებთან კავშირის გამო.

არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული პირები რუსეთთან იყვნენ შეკრულები და აქ პროვოკაციას ამზადებდნენ. იყო ჩანაფიქრი, რომ ამ ხალხს ყაბარდო-ბალყარეთში გამოეზამთრებინა, მაგრამ რუსებმა საზღვარი ჩაკეტეს. ამ პროვოცირებით მათ შეძლეს დაეჩოქებინათ საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ლამის ცრემლმორეული ევედრება მათ — არ დაგვბომბოთო.

*— ვისგან ითხოვენ ჩეჩნები ამ თანხის უკან დაბრუნებას?*

— მათგან, ვისაც მისცეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ თავად სახელმწიფო სტრუქტურები აბრალებენ ერთმანეთს ამ ფულის აღებას. პრობლემაა ისიც, რომ ფულის ნაწილი რუსმა მესაზღვრეებმაც აიღეს. ხომ ხედავთ, მათ ორი კურდღელი დაიჭირეს — ფულიც გააკეთეს და პროვოკაციაც მოგვიწყვეს. ჩვენი უნიათო და იმპოტენტი ხელისუფლება კი ამას ვერ მიხვდა და ქვეყანა დაბომბვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

*იზო რიკაძე*

# ვინ აკონტროლებს თბილისს — პოლიცია თუ შავი სამყარო?!

## „პეროვსკაიაზე“ მომხდარი მკვლელობა შეიძლება სისხლიანი დაპირისპირების დასაწყისად იქცეს...

შაბათს, 22 სექტემბერს, გვიან საღამოს, დაახლოებით ღამის 11 საათზე, ნიკო ნიკოლაძის № 5-ში, საკუთარი სახლის ეზოში, მანქანაში ჩაცხრილეს ფირმა „კერძო დეტექტივის“ ხელმძღვანელი ვიქტორ ჯაფარიძე. ამ მკვლელობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თბილისში შავი სამყარო თავის ე.წ. „პალაჟენიეს“ გასამყარებლად განაგრძობს სისხლიან ანგარიშსწორებებს. კრიმინალების თარეშსა და თავგასულობას ხელს უწყობს სამართალდამცავთა, რბილად რომ ვთქვათ, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ხანს მომხდარი მკვლელობების ჩამდენთა შორის უმრავლესობა მიმალულია ან მხოლოდ ძებნილებად არიან გამოცხადებულები და როგორც ამბობენ, თავისუფლად დააბიჯებენ თბილისის ქუჩებში.







ვიქტორ ჯაფარიძე

ეს მკვლელობა კი თუნდაც იმით არის შემაშფოთებელი, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამომძიებლის მირიან ნიკურაძის თქმით, სროლის დროს გამოყენებულია ოთხი სახის იარაღი — „მაკაროვის“, „სტეჩკინის“, „ლუგერისა“ და „გლოკის“ ტიპის პისტოლეტები, რაც შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიის გულებითა და მასრებით დასტურდება. შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 25 მასრაა ამოღებული. ორმხრივი სროლა წუთ-ნახევარში დასრულდა. რამდენიმე თავდამსხმელი ფეხით გაიქცა. მათ შორის ერთ-ერთი ზურგის არესა და მხარში დაიჭრა, რომელმაც მიუხედავად ამისა, მოახერხა გადაეჭრა ვერის პარკი, ავიდა მელიქიშვილზე, ფილარმონიის წინ გააჩერა სამარშრუტო ტაქსი, რომელმაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანა. იგი მაშინვე მეთორმეტე სართულზე, რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. დაჭრილი აღმოჩნდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, თავის დროზე მასმედიის მიერ „რუხ კარდინალად“ წოდებული ჯიმი ყიფიანის ძმისშვილი ვახტანგ (ვატო) ყიფიანი.

ვატო ყიფიანი 23 წლისაა და მას მეტად საშიშ პიროვნებად, შავი სამყაროს ავტორიტეტად მიიჩნევენ. როგორც ამბობენ, თავის საძმაკაცოსთან ერთად თბილისის კაზინოებს აკონტროლებს. და არა მარტო აკონტროლებს. ერთ-ერთი ვერსიით, მას კაზინო „აჭარის“ მონილედაც ასახელებენ.

„ყიფიანი და მისი საძმაკაცო „მაყუთიანი სასტავია“, რომელიც ქურდულს „აწევა“ და „პალაჟენიე“ უჭირავს. ეს არის განსხვავებული კრიმინალი, უფრო ზუსტად, ძალაუფლების მქონე დამნაშავე, რომელიც დარწმუნებულია, რომ თითს ვერავინ დააკარებს. შეიძლება ითქვას, პოლიციელებს მისი ეშინიათ. როგორც ვიცი, ერთხელ ნასამართლევია და რამდენიმეჯერ პოლიციიდან გამომძვრალი. გირჩევთ, მასზე არაფერი დაწეროთ, შეიძლება არაფერი გითხრას, მაგრამ ტყვია კი დაგახალოს“ — ასე დამიხასიათა 23-ოდე წლის ბიჭი და მისი თანატოლები ერთ-ერთმა ინფორმატორმა.

როგორც ჩანს, ფულს და გავლენას მართლაც დიდი ფასი აქვს. ჟურნალისტური მოკვლევისას აშკარად გამოიკვეთა, რომ მკვლელობა წინასწარ დაგეგმილი იყო და ანგარიშსწორების მიზნით მოხდა. გამოძიება კი ვატო ყიფიანს მკვლელობაში სავარაუდო ეჭვმიტანილად მიიჩნევს. უფრო მეტიც, როდესაც ოფიციალურად დეტალების გარკვევა მოვინდომეთ, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნის გამომძიებელმა გვითხრა — საქმე უკვე ქალაქის პროკურატურამ წაიღოო. მეორე დღეს კი ქალაქის პროკურატურის პრესცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ლომაიამ განგვიმარტა: საქმე ამ დილით მივიღეთ და რომელ გამომძიებელს დაეწერება, ჯერ არ ვიცითო. საღამოს აღმოჩნდა, რომ მკვლელობის საქმე, როგორც განსაკუთრებით რთული, გენერალურმა პროკურატურამ გაითხოვა და ამ კვირაში მოსმენის შემდეგ კვლავ ქალაქის პროკურატურას დაუბრუნდება. ასე რომ, ე.წ. გამოსაძიებლად რთული კრიმინალი მოგზაურობაშია. პროკურატურაში კი დიდი ციებ-ცხელებაა — ვის მოუწევს მისი გამოძიება...

ამჟამად ვატო ყიფიანი კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაშია და 6-მდე ავტომატიანი პოლიციელი იცავს. იქაურობას არც მისი საძმაკაცო სცილდება. გულახდილად გითხრათ, ერთი შეხედვით ამ 23-25 წლის ბიჭებმა ჩემზე არც კრიმინალების და არც „შავების“ შთაბეჭდილება არ დატოვეს. ერთი კია, რომ ამ სამყაროსთვის დამახასიათებელი „ზედმეტად“ ჯენტლმენური საუბარი ნამდვილად მოვისმინე. ისიც მირჩიეს, უხერხულად რომ არ მეგრძნო თავი, სჯობდა, არაფერი დამეწერა და, რასაკვირველია, საქმის ირგვლივ არც არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ვიქტორ (ვიკი) ჯაფარიძის მკვლელობა რამდენიმე მეზობელმა დაინახა. მათი ვინაობა უსაფრთხოების მიზნით გასაიდუმლოებულია. გასაიდუმლოებულია ასევე ჯაფარიძის იმ მეგობრის ვინაობაც, რომელიც შემთხვევით შეესწრო ძმაკაცის მანქანაში ჩაცხრილვას და საპასუხო ცეცხლი გაუხსნა თავდამსხმელებს. შევიტყვეთ მხოლოდ ის, რომ მას იარაღის ტარების უფლება კანონით ჰქონდა.

**გარდაცვლილის დედა:** „იმ საღამოს თავისი 6 წლის გოგონა გაიყვანა ვერის პარკში სათამაშოდ. შემდეგ დაბრუნდა. ცოტა ხანი შინ იყო. მანქანა სახლის წინ, ეზოში იდგა. თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, ბავშვს ვაძინებდი, ვიკი შინიდან გავიდა. თუ არ ვცდები, მეგობარს ელოდებოდა, საქეიფოდ უნდა წასულიყვნენ. უცებ სროლა ატყდა. ფანჯრიდან კი გავიხედე, მაგრამ რა ვიცოდი, რომ ჩემს შვილს კლავდნენ. ისეთი ხმაური იყო, ომი გეგონებოდათ. შემეშინდა და შემოვბრუნდი. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. მერე ჩემი მეორე ვაჟი გავარდა გარეთ — რა ხდებაო. მივარდა მანქანას... მაგრამ ძმა ხელებში ჩააკვდა. მაშინვე წაიყვანეს საავადმყოფოში... მეზობლებმა დაინახეს მკვლელი, თურმე გარაჟებიდან გაიპარა... ჩვენ რომ საავადმყოფოში წავედით, ორ მეზობელს დაუნახავს, როგორ წამოვიდა ნელ-ნელა გარაჟების მხრიდან თეთრი „ბმვ“, შიგ მსხდომებმა აკრიფეს პილზები, ესეც შეამჩნიეს მეზობლებმა... სისხლის კვალს მიმავალი მანქანიდან გადმოდგმული ფეხებით შლიდნენ თურმე, ალბათ ნაკვალევი რომ არ დარჩენილიყო. სამწუხაროდ ნომერი არ ვიცი...

ჩემს შვილს შპს „კერძო დეტექტივი“ ჰქონდა, რომელიც დაცვის ფუნქციას ასრულებდა. ბარებს, კაფეებს მცველებით უზრუნველყოფდა. როგორც მისი მეგობრის მამამ ამიხსნა, ამ ფირმის წართმევა უნდოდათ. რაღაც მანქანის გამო მოსდეს შარი. ვითომ ადრე „მერსედესი“ ჰყავდა ვალში წამოღებული და ამაზე მოედავნენ... წესიერად არ ვიცი...“

**გარდაცვლილის მამა:** „ერთ-ერთმა მეზობელმა თავისი თვალით დაინახა ყველაფერი. თურმე იმ დროს აივანზე იდგა, როდესაც ვიკის სახლის წინ მანქანა დაუყენებია. გარაჟების მხრიდან ორი პიროვნება გამოსულა და ჩემს შვილთან მისულა. მათი ამხანაგები კი იქვე ყოფილან ჩასაფრებული. ვიკის მაშინვე მანქანის კარი გაუღია და უყვირია, — არ ისროლოთო. ამ დროს ეზოში შემთხვევით ნელი ნაბიჯით შემოდიოდა ვიკის მეგობარი. მას დაუძახია: „ვინა ხართ, პოლიციიდან ხართო?!“ მათ მაშინვე ცეცხლი გაუხსნიათ. ამის შემდეგ ვიკის მეგობარსაც უსვრია“...

არც ერთი მხარე მკვლელობის მოტივს არ აკონკრეტებს. თუმცა, ჩვენ (სანდო წყაროზე დაყრდნობით. — მ. მ.) მაინც შევძელით მკვლელობის სავარაუდო ვერსიის დადგენა — მკვლელობის საბაბი მართლაც მერსედესია, მიზეზი კი...

დაახლოებით ერთი წლის წინ ვიკი ჯაფარიძემ თავის რამდენიმე მეგობართან ერთად საქმე წამოიწყო, რომელიც ჩავარდა. ერთ პიროვნებას (არ კონკრეტდება, ვის) ვალი დაედო. გადახდა არ შეეძლო. სამაგიეროდ, ჰყავდა შავი ფერის „მერსედესი“ და ვალის გადახდის მიზნით, მისი გაყიდვა გადაწყვიტა. გავიდა თვეები. მანქანა ვერ გაიყიდა. ვალის დაბრუნებაზე ლაპარაკი გრძელდებოდა. მანქანის პატრონმა მეგობრებს შესთავაზა — მანქანას ვერ ვყიდი და თუ გინდათ, ვალში მანქანა წაიყვანეთო. ასეც მოხდა. მანქანა ვიკი ჯაფარიძემ იყიდა, ფული კი, ვალის სახით, მისცა მათ, ვისაც ეკუთვნოდა.

რაც შეეხება მიზეზს, ერთ-ერთი ვერსიით, ჯაფარიძე „პეროვსკაიაზე“ (და არა მარტო აქ) არსებული მაღაზიებისა და ბარების დაცვას უზრუნველყოფდა და, როგორც ამბობენ, საკმაოდ წარმატებულადაც. „მერსედესის“ საბაბით კი „შავებმა“ ამ ბიზნესის დასაკუთრება მოინდომეს...

ერთი შეხედვით, ცოტა უცნაურად ჩანს, რად უნდა სჭირდებოდეს შავ სამყაროს რესტორნების დაცვის სამსახურის ხელში ჩაგდება, მაგრამ როგორც აგვიხსნეს, მოსკოვში ამ სფეროს უკვე დიდი ხანია ეს სამყარო აკონტროლებს და ამ ყველაფერში ბევრი ნიუანსია. მათ შორის კი, ყველაზე მარტივი თუნდაც ის არის, რომ დაცვის სამსახურს ე.წ. ძვირად ღირებულ რესტორნებში სულ მცირე, მოსასმენი და გადამღები აპარატურის დამონტაჟებაც შეუძლია (კომპრომატებისა და ა.შ. მოსაპოვებლად. - მ.მ.), რაც, საბოლოოდ, ჩვენი პოლიციისგან განსხვავებით, შავი სამყაროს „პროფესიონალიზმს“ ნამდვილად ნიშნავს. რაც შეეხება კონკრეტულად ამ მკვლელობას, ერთ-ერთმა ისიც კი გვითხრა, რომ არ არის გამორიცხული, იგი სისხლიანი დაპირისპირების დასაწყისად იქცეს.

*მარინა მამისაშვილი*

# საქართველოში მასობრივი სიღატაკე წმინდა ქართულმა, ურთიერთდახმარების ფენომენმა შეაჩერა...

## ჩვენი ყოფის საინტერესო სტატისტიკა





—ქალაქში გავლისას ხშირად მიფიქრია, ამ ხალხს გაჭირვებისა რა ეტყობა — ქუჩებში უცხოური ავტომობილების ტევა არ არის, რესტორნები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება და ყოველი მათგანი კვირის ნებისმიერ დღეს სავსეა ხოლმე...

მაგრამ როდესაც სტატისტიკას გავეცანი, დავრწმუნდი, რომ არც მთლად ასე ყოფილა საქმე — უფრო მეტიც, საქართველო გაჭირვებულთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას. ალბათ, აქ რომელიმე მკითხველს [illegible]

ესაუბრებით ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველოს უფროსს, ბატონ **ნოდარ კაპანაძეს**:

— **საქართველოს ზოგიერთი უკვე „წყალწაღებულ“ ქვეყნად თვლის. ზოგი ამბობს, რომ გაჭირვების მიუხედავად, ჩვენი ეკონომიკა ალმავლობის გზაზეა, დროდადრო ჩამომსვლელი უცხოელი სტუმრების აზრით კი, რაღაც პოზიტიურ ცვლილებებს მაინც აქვს ადგილი. თქვენი გამოკვლევის შედეგები როგორია?**

— ნამდვილად არასახარბიელო მდგომარეობაა. წლების განმავლობაში, ცხადია, რაღაც სასიკეთო ცვლილებებიც ჩანს, მაგრამ ქვეყნის პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს „სასიკეთო ცვლილებები“ ყველაზე თანაბრად არ ვრცელდება. მაგალითსაც მოგიყვანთ: „მთლიანი შიდა პროდუქტი“ (მშპ) გახლავთ მთლიანად ქვეყანაში გამომუშავებული თანხა, გაყოფილი ამ ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზე. შედეგად ვიღებთ ციფრს, რომელიც მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს. მაგალითად, გერმანიის მშპ 500 დოლარია, ხოლო საქართველოსი — 50 დოლარი.

წლების მანძილზე ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდებოდა, მაგრამ სიღარიბის დონე არ შემცირებულა. რადგან მშპ-ის ზრდით მთელი მოსახლეობა ერთნაირად არ სარგებლობს.

— **ანუ, როგორც მე მივხვდი, შესაძლოა, ვინმე დღეში მილიონ დოლარს შოულობდეს, მე კი ერთს. — საბოლოო ჯამში კი, როდესაც „მთლიან შიდა პროდუქტს“ გამოითვლიან, ეს თანხები შეიკრიბება, გაიყოფა და საბოლოო ციფრი ორივეს ერთნაირად დაგვეწერება?**

— გეთანხმებით. ასეთი ტენდენცია განაწილების უთანაბრობის ინდიკატორით, „ჯინის ინდექსით“ იზომება. ეს არის შემოსავლების, დანახარჯების, მოხმარების განაწილების უთანაბრობა და ყველაზე რეალურად ასახავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. რაც უფრო მეტია იგი, მით უფრო არათანაბარია განაწილება და, შესაბამისად, დაბალია ცხოვრების საერთო დონე. „ჯინის ინდექსის“ მნიშვნელობა 0-დან 1-მდე იცვლება. 0 ნიშნავს აბსოლუტურად თანაბარ განაწილებას, 1 ნიშნავს აბსოლუტურად უთანაბრო განაწილებას.

აღნიშნული უთანაბრობის ინდიკატორი, იგივე „ჯინის ინდექსი“ მსოფლიო მასშტაბით, ყველაზე მაღალია ლათინური ამერიკის ქვეყნებში და 0.60-ის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე დაბალი კი სკანდინავიის ქვეყნებშია, თუ არ ვცდები, 0.20-ის ფარგლებში. საქართველო ტოლს არ უდებს ლათინურ ამერიკას და ჩვენთან „ჯინის ინდექსი“ მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალი — 0.56-ია.

— **რა უნდა იყოს ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში ყვავის ნარკობიზნესი, რომლის წყალობითაც ერთეულები მილიარდობით ფულს შოულობენ, ხოლო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკეში ცხოვრობს... ერთეულები ხომ აქაც დიდ ფულს შოულობენ...**

— ვინ როგორ და რამდენ ფულს შოულობს არალეგალური ბიზნესით, ამის გარკვევა ჩვენი სამსახურის კომპეტენციაში არ შედის. დაზუსტებით მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია — საქართველოში არალეგალურად ნაშოვნი ფული რამდენჯერმე აღემატება ლეგალურს. აქ ბევრი, ერთმანეთზე დამოკიდებული ფაქტორი მოქმედებს: მოქნილი საგადასახადო სისტემა ლეგალური ფულის წინა პირობაა, ეს უკანასკნელი კი — მყარი სოციალური უზრუნველყოფის გარანტია. წელან სკანდინავიის ქვეყნები ვახსენე. მდიდარი და ღარიბი, როგორც ყველგან, ამ ქვეყნებშიც არსებობს, მაგრამ როდესაც ვიღაცა დღეში მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, ის ყოველთვის იხდის გარკვეულ გადასახადს, რომელიც ღარიბს ხმარდება, მის წამლებს, უფასო მკურნალობას, კვებას და სხვა პროგრამებს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის გადანაწილება ეფექტურად ხდება.

1998-1999 წლებში განვითარებული კრიზისის შედეგად საქართველოში სიღარიბის მკვეთრი ზრდა დაიწყო. ეს უფრო ქალაქებს დაეტყო. როდესაც ამაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ სიღარიბე მეტისმეტად ფარდობითი ცნებაა. იგი სხვა მოვლენაა სომალიში და სხვა — გერმანიაში. პირველის მთავარი პრობლემა საკვებია, მეორისა კი — მოსახლეობის ბოლო მოდელის ავტომობილებით უზრუნველყოფა. მიუხედავად ასეთი შინაარსობრივი განსხვავებისა, სიღარიბე ორივე ქვეყნის მოსახლეობისთვის მტკივნეულია.

სიღარიბის ზღვარის არჩევა ქვეყნის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (ლაოსი, კამბოჯა, ინდონეზია) მინიმალური სამომხმარებლო კალათა მხოლოდ ბრინჯისაგან შედგება და თუ ვინმე კამბოჯაში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ჩვენს ყოფას პერსპექტიულად მიიჩნევს, ასეთ ექსპერიმენტს შევთავაზებთ: თუ საქართველოში სამომხმარებლო კალათას მხოლოდ პურისგან შევადგენთ, გამოვა, რომ შრომისუნარიანი მოზრდილისთვის ყოველდღიურად ენერგიის მისაღებად თვეში დაახლოებით 24-25 ლარის ღირებულების 29 კგ პური იქნება საჭირო. თუ ვინმე დათანხმდება, ცხოვრებაში მხოლოდ პური ჭამოს, არსებული მდგომარეობის მიხედვით, საქართველო მეწინავე არა, მაგრამ განვითარებული ქვეყნების რიგში დადგება.

— **როგორია დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების დონე, რა თანხით განისაზღვრება მისი სამომხმარებლო კალათა?**

— გააჩნია სიღარიბის რომელი ზღვარს ავიღებთ: დღეს მოქმედი ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ ოჯახების ნახევარზე მეტი ღარიბია.

თუ განვიხილავთ ალტერნატიულ მინიმუმს, რომელიც შრომისუნარიანი მოზრდილისათვის თვეში დაახლოებით 50 ლარს შეადგენს, სიღარიბის დონე დაახლოებით 14 პროცენტია. თუმცა, ეს რეალურად უკიდურესი სიღარიბის ზღვარი იქნება.

რაც შეეხება ხარჯებს, აქ ვარიაცია საკმაოდ დიდია. მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის ხარჯები ძალზე დაბალია, ერთ ოჯახზე თვეში საშუალოდ, 250-300 ლარი.

— **რა არის ხალხის თავის რჩენის ძირითადი საშუალება?**

— საქართველოში ხალხი ერთი დღის ცხოვრებით ცხოვრობს — მხოლოდ იმაზე ზრუნავს, როგორ მოიპოვოს კონკრეტული დღის სარჩო და ეს „ერთი დღის“ სარჩოს [illegible] — პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცვლილებებზე მეტყველებს. საქართველოში შემოსავლის ერთი, კონკრეტული წყარო არ არსებობს. დღესდღეობით, საქართველოს ოჯახების თითქმის 90 პროცენტს მიწიდან აქვს რაღაც შემოსავალი. 1992-1995 წლებში განვითარებული ეკონომიკური კატასტროფის დროს ამ ფაქტორმა ქვეყანა მასობრივ შიმშილობას გადაარჩინა. შემოსავლის გარკვეულ წილს, 26-30% ხელფასი განსაზღვრავს. საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, ოჯახის ბიუჯეტის ფორმირებაში ამ წყაროს გადამწყვეტი როლი აღარ აკისრია, მაგრამ ბოლო დროს კერძო სტრუქტურებში დასაქმების შედეგად, მისი მნიშვნელობა თანდათან იზრდება.

შემოსავლის ერთ-ერთი წყარო თვითდასაქმება გახლავთ — ბიზნესის კულტურა ჩვენში რეპრესიული კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი ვითარდებოდა. მისი მოქმედების პრინციპი ხელისუფლებისათვის თვალის ახვევა და პირად კავშირებზე დაფუძნებული საქმიანობა იყო. 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა ჩანასახშივე ჩაკლა განვითარების კარგი პერსპექტივის მქონე ეკონომიკა. ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ, გარკვეული სტაბილიზაციის მიღწევისთანავე, 1996-1997 წლებში ერთგვარი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა, მაგრამ 1998 წლიდან კვლავ დაიწყო მდგომარეობის გაუარესება, რაც დღემდე გრძელდება. ამაში უმნიშვნელოვანესი წვლილი დრაკონულ საგადასახადო ტარიფებსა და მოუწესრიგებელ საგადასახადო სისტემას მიუძღვის, რამაც მეწარმეთა თუ ბიზნესმენთა შორის ზემოთ ნახსენები კომუნისტების დროინდელი „მავნე ჩვევების“ გამოღვიძება გამოიწვია.

ოჯახის ბიუჯეტის ფორმირებაში გარკვეული, უმნიშვნელო წვლილი შეაქვს სახელმწიფო ტრანსფერტებს მიზერული პენსია-დახმარებების სახით და კერძო ტრანსფერტებსაც. სხვათა შორის, უცხოელი ექსპერტებიც აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში მასობრივი სიღატაკე წმინდა ქართულმა, ურთიერთდახმარების ფენომენმა შეაჩერა. საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევებმა ვერ გამოავლინა შიმშილობის შედეგად მომატებული სიკვდილიანობის დამადასტურებელი ფაქტები ხუთ წლამდე ასაკისათვის ბავშვებში. თუმცა, მათ გამოკვლევებში ასაკის შეუსაბამო სიმაღლისა და შეფერხებული ზრდის საკმაოდ შემაშფოთებელი ცნობებიც არის მოტანილი, მაგალითად, ბავშვების 15%-ს ასაკისთვის შეუსაბამო სიმაღლე და წონა ჰქონდა.

*დარი გრძელიშვილი*

# ჰუმანიტარული დახმარების განაწილება საჩხერულად

ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში შემოსული ჰუმანიტარული დახმარებების ამსახველი ლარებით ან დოლარებით გამოხატული ციფრების მოპოვება რომ შემეძლოს, უეჭველად ამით დავიწყებდი და მიღებულ შედეგს ჩვენი გამეჩხერებული მოსახლეობის თითოეულ სულზე გავყოფდი.

ბევრი ძებნის მიუხედავად, ამ ციფრებს ვერსად მივაკვლიე. საფიქრებელია, რომ მავანს და მავანს, ვინც ამ საქმით გვარიანად მდიდრდება, ხელს არ აძლევს მათი გამომზეურება. სტატისტიკის დეპარტამენტში მხოლოდ ორი წლის მონაცემები მოგვცეს. თურმე საბაჟოს გავლით (იქ მხოლოდ ასეთი დახმარებები აღირიცხება) 1999-2000 წლებში 113 მილიონ 741 ათასი დოლარის ღირებულების დახმარებები მიგვიღია.

როგორც ექსპერტები გვეუბნებიან, თითოეულ ჩვენს მოქალაქეს უახლოეს წლებში, მარტო ფინანსური ვალების ანგარიშში, რაც დღევანდელმა კორუმპირებულმა მაღალჩინოსნებმა და მათთან დაახლოებულმა ათასგვარი ჯურის კლანებმა გადაყლაპეს, 4-5 ათასი დოლარის გასტუმრება მაინც მოუწევს. გამოდის, რომ ჰუმანიტარული დახმარებების ჩათვლით (ფინანსურის გარდა), რომელიც ქვეყანაში ათი წლის მანძილზე თითქმის განუწყვეტლივ შემოდის, ერთ ადამიანზე დაახლოებით 8-10 ათასამდე დოლარი ყოფილა დახარჯული. ეს თანხა კი წელიწადში ერთ სულზე დაახლოებით 1000 დოლარს შეადგენს, რაც მარტო ჩვენს გაღატაკებულ სამომხმარებლო კალათას კი არ აავსებდა ამ წლების მანძილზე, არამედ სხვებსაც ვუწილადებდით...

გასულ წელს გვალვამ ისე დააზარალა საჩხერის რაიონი, რომ აქაურმა გლეხებმა სათესლე სიმინდიც ვერ მოიწიეს, თუმცა იმთავითვე გაჩნდა იმედი, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ საარსებო საშუალებას — პურის ფქვილს, ლობიოს, ზეთს მიაწვდიდა შიმშილობის პირისპირ მდგარ მოსახლეობას. ეს პროგრამა მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო და ახლახან დასრულდა. ერთ სულ მოსახლეზე 48 კგ ფქვილის, 3,6 კგ ლობიოს და 2,4 კგ ზეთის დარიგება იყო გათვალისწინებული, ანუ ვთქვათ, ხუთსულიანი ოჯახი მიიღებდა 240 კგ ფქვილს, 18 კგ ლობიოს და 12 კგ ზეთს, რაც ბუნებრივია, დიდად წაადგებოდა უაღრესად შეჭირვებულ ხალხს. თუმცა, როგორც ეს უკვე წესად იქცა ჩვენში, დახმარების მიღების პირველივე დღეებიდან დაიწყო ძარცვა. ამის შესახებ „კვირის პალიტრამ“ აგვისტოს ბოლო ნომერში უამბო მკითხველს, თუმცა მაშინ კონკრეტულად დამტაცებლების ვინაობა, ანუ დანაშაულის ფაქტი ჯერ კიდევ არ გვქონდა ხელთ. მოსახლეობის გამოკითხვით ირკვევა, რომ მარტში დაწყებული პროგრამის პირველ ორ ეტაპზე შემოსული დახმარებები ისე გააქრეს, ნახევარი არ მისულა ადრესატამდე. ამჯერად კი, ანუ მესამე ეტაპზე, დამნაშავეებს — სოფელ ჩიხის გამგებელს მერაბ ცუხიშვილს, აქციის ქუთაისელ დისტრიბუტორს მარგველაშვილსა და პროდუქტის გაცემაში მონაწილე რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებს ფაქტზე წაასწრეს. ამოღებულია 29 ტომარა ფქვილი, 15 ტომარა ლობიო (ამდენი ლობიო არც გასულ, არც მიმდინარე წელს მთელ რაიონში არ მოუწევიათ) და 700 ლიტრი ზეთი.

— უფრო სწორად, იმ მომენტისთვის, როცა ჩვენ „გამანაწილებლებს“ დავადექით თავს, პროდუქტის ეს რაოდენობა ჰქონდათ გადამალული, თორემ დატაცების მასშტაბები გაცილებით დიდია. დანაშაულზე საქმე აღიძრა, — გვეუბნება პოლიციის შეფი გოჩა ბახტურიძე და გვიჩვენებს ვიდეოფირზე გადაღებულ კადრებს, სადაც გარკვევით ჩანს იმ სათავსოს კედლები, რომელშიც საქონელი ჰქონდათ გადამალული — ფქვილიანი ტომრების ნაკვალევი თითქმის ჭერამდე აღწევს — აშკარაა, ნაწილის რეალიზაცია მოუსწრიათ.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ერთეული შემთხვევაა. ზუსტად იგივე მეორდება რაიონის თითქმის ყველა საკრებულოში. სოფელ საირხეში მოსახლეობამ დამტაცებლები აიძულა, უკან დაებრუნებინათ 43 ტომარა ფქვილი.

განუკითხაობას, რაც ამ დახმარებების განაწილებისას ხდება საჩხერეში, საზღვარი არა აქვს. დატაცების მექანიზმი კი ასეთია: სიებში შეყვანილი ჰყავთ მკვდარი სულები. შეჰყავთ ისეთებიც, ვინც საერთოდ არ არის გატარებული საკომლო წიგნში. ამას გარდა, სიაში რამდენჯერმეა შეყვანილი „სანდო ხალხიც“, ანუ ერთი და იგივე პიროვნება. აქვე არიან სოფლიდან რამდენიმე წლის წინ წასული ადამიანები.

***გია ცარციძე,*** *სოფელი ჯალაურთა: — სოფლის გამგებელი თამაზ დოლაძე ჩემი კლასელია, ვმეგობრობთ კიდეც, მაგრამ რა, მეც არ დამინდო. ექვსი სული ვართ ოჯახში და დახმარება მხოლოდ ორზე მოგვცეს. ამის გამო ვიჩხუბეთ კიდეც. საბოლოოდ ოთხ სულზე გამოგვიყო, მაგრამ ორი სულის კუთვნილი 48 კგ ფქვილი, 2,4 კგ ზეთი და 3,6 კგ ლობიო მაინც დამაკლეს. გაძარცვეს ხალხი. რას აღარ იმიზეზებენ? მაგალითად, ერთ ნაწილს აუხირდნენ, მიწის გადასახადს არიდებთ თავსო და არ მისცეს დახმარება. არადა ჩვენ ხომ უცხოელებმა გვაჩუქეს ეს პროდუქტები. რა შუაშია მიწის გადასახადი? თუ სამი ლარი ვერ გადაიხადა, ესე იგი ძალზე გაჭირვებული ყოფილა ადამიანი. რა დიდი მიხვედრა უნდა ამას? პირველ რიგში, ასეთებისთვისაა გამიზნული ეს დახმარება.*



***რუსუდან კურტანიძე,*** *სოფელი საირხე: — ოჯახში ხუთი სული ვართ, დახმარება კი ორ სულზე მოგვცეს და ისიც მოგვპარეს — 48 კგ ფქვილის ნაცვლად 42 კგ მოგვიგდეს. 6 კგ ზეთის ნაცვლად, რომელიც დაახლოებით 7 ლიტრია, 2 ლიტრი მოგვცეს.*

***მარო პეტრიაშვილი,*** *სოფელი სხვიტორი: — ექვსი სული ვართ, გაჭირვებული, გაუბედურებული ხალხი. მხოლოდ ორ სულზე მოგვცეს დახმარება. ჩემი შვილი ცალკე, ვაგონში ცხოვრობს ოჯახით. ხუთნი არიან, მაგრამ სამ სულზე მისცეს დახმარება. არადა იქვე, ჩემს მეზობლად მცხოვრებ შეძლებულ ოთხსულიან ოჯახს ხუთი სულის ნორმა მიუწონეს. ღმერთმა შეარგოთ. იმათ კი არ ვერჩი, იმას ვჩივი, ჩემი ბავშვების ლუკმას რომ გვართმევენ... ამის გამო რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგეს, ამ პროგრამის კურატორს, ნატო მუმლაძეს მივაკითხე, — ეგ რა ჩემი საქმეაო, მითხრა. წესით, საერთოდ არ უნდა გაძლევდნენ, რადგან სოფელში ცხოვრობ, ძროხა და ღორი გეყოლება და იმით უნდა ირჩინო თავიო...*

ყოველივე ეს ხდება იმ რაიონში, რომელიც წელს შარშანდელზე მეტად დაზიანდა გაუსაძლისი გვალვის შედეგად. არც ერთ სოფელში არ მიძებნია რესპონდენტი. ყველა ერთსა და იმავეს ამტკიცებს — გაგვძარცვესო. ხოლო იმათ, ვინც ამა თუ იმ ფორმით, ხმამაღლა გამოხატავს აღშფოთებას, რაიონის ხელმძღვანელები ერთხმად პასუხობენ — ეს ჩვენ არ გვეხებაო. ბუნებრივია, ამგვარი პასუხის შემდეგ სამართლიანად ჩნდება ეჭვი ამ საქმეში ადგილობრივი ხელმძღვანელების დაინტერესების შესახებ.

***შოთა კაციტაძე,*** *სოფელი დუნთა: — შვიდი სული ვართ. ადრე ორ სულზე მომცეს დახმარება, ახლა სამზე... როცა შევედავე, ჩვენმა გამგებელმა მითხრა, წადი და თუ გინდა, პოლიციაში მიჩივლეო. მთელი სოფელი დამიდასტურებს, რომ მართალს ვამბობ. ყველა ჩემნაირ დღეშია...*

ჩვენ ვცადეთ სოფლის გამგებელთან გასაუბრება, მაგრამ იგი თურმე იმ დღეს ქუთაისის საგამოძიებო დეპარტამენტს აძლევდა განმარტებას ზემოაღნიშნულ დატაცებასთან დაკავშირებით.

ცოდვა გამხელილი სჯობს და ამ საქმეში თუ პოლიცია არ იქნებოდა გარეული, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. ვერ გეტყვით, ეს რაიონის პოლიციის უფროსის სინდისის კარნახით ხდება თუ მითითება ზემოდან აქვს მას მიღებული, მაგრამ ფაქტია, რომ დამტაცებლებს გვარიანი დაბრკოლება შეექმნათ მისგან. ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიციის უფროსი „გამანაწილებლებთან“ ბრძოლაში მარტო ვერაფერს გახდებოდა, თუ ზურგს რეფორმის შედეგად რაიონში მოსული მოსამართლე არ გაუმაგრებდა. დაგვეთანხმებით, ალბათ, მსგავსი რამ ჩვენს სინამდვილეში ძალზე იშვიათად ხდება და ამის გამო აღნიშვნასაც იმსახურებს. ეს ერთი და სხვა მრავალი...

**P.S.** მიმდინარე წელს დახმარების სახით რაიონში შემოვიდა 1250 ტონა ფქვილი, 42 ტონა ზეთი და 94 ტონა ლობიო. ძარცვის მასშტაბებზე რესპონდენტების განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ჰუმანიტარული დახმარებების ნახევარზე მეტი დატაცებულია...

*ვაჟა გავაშელი*

# „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“

## ანუ საით მიდიან ახალგაზრდა „რეფორმატორები“

საქართველოში ამინდისა არ იყოს, პოლიტიკის პროგნოზიც ფრიად რთული და ნაკლებად იმედის მომცემი საქმეა, მაგრამ ხანდახან შეიძლება აქაც გაგიმართლოს: „მოქალაქეთა კავშირიდან“ ე.წ. რეფორმატორთა გამოყოფის თაობაზე იმდენ ხანს და ისე აქტიურად ლაპარაკობდნენ, რომ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადებები, რეფორმატორთა ბაზაზე ახალი ფრაქციის შექმნის შესახებ, თითქმის აღარავის გაჰკვირვებია. რა ელით „მოქალაქეთა კავშირისგან“ გამიჯნულ „რეფორმატორებს“ და რა პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება მოასწრეს მათ?

უპირველესად, საქართველოში არსებული ყველა დანარჩენი პოლიტიკური ძალისგან განსხვავებით, უზარმაზარი ნახტომი გააკეთეს იმიჯის შექმნის მხრივ — მათ მოახერხეს და საზოგადოების საკმაოდ სოლიდურ ფენაში დაიმკვიდრეს სიმართლისა და კანონიერებისათვის მებრძოლთა იმიჯი, და ეს მაშინ, როცა მათი საქმიანობის ძირითადი შედეგები მნიშვნელოვან წილად მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით შემოიფარგლება. სწორედ ამ იმიჯის და მისი შემქმნელი პოლემისტური უნარის მქონე რამდენიმე ლიდერის წყალობით, მათთან თანამშრომლობა ახალგაზრდულ წრეებში, მათ შორის, ახალგაზრდა ინტელიგენციის სოლიდურ ნაწილში, პრესტიჟული გახდა. ისინი სარგებლობენ დასავლეთის (და არა მხოლოდ) სერიოზული ფინანსური დახმარებით და შესაბამისად, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენიანი ნაწილის აქტიური მხარდაჭერით. ამასთან „რეფორმატორთა“ დიდ ნაწილს აქვს პოლიტიკაში დამოუკიდებელი ნაბიჯების და კულუარული ბრძოლის გამოცდილება, ზედმიწევნით ფლობენ პოპულისტურ უნარს. მათ ხელშია აგრეთვე სერიოზული კოზირი — პრეზიდენტისაგან დისტანცირების შემთხვევაში, ისინი ბოლო წლების ქართული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ყველა წარუმატებლობის გამო შევარდნაძეზე მიუთითებენ. უფრო მეტიც, მათი განდგომაც



სწორედ იმ მოტივით მოხდება, რომ აღარ შეუძლიათ იდგნენ იმ კაცის გვერდით, რომელმაც „ქვეყანა დააქცია“. ეს შესაძლოა მათთვის ყველაზე მომგებიან პოლიტიკურ ნიშად იქცეს, მით უფრო იმ პირობებში, როცა დღესდღეობით პრეზიდენტს სხვა, მათსავით გამოცდილი მხარდამჭერი ძალა გვერდში არ უდგას — ასე რომ „რეფორმატორებს“ რეალურად აქვთ შანსი, იქცნენ ყველაზე ძლიერ და საზოგადოებისთვის სიმპათიურ ოპოზიციურ ძალად, რომ არა რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი...

განვლილი წლების მანძილზე, ბუნებრივია, „რეფორმატორებმა“ დადებითთან ერთად უარყოფითი პოლიტიკური კაპიტალიც უხვად დააგროვეს. მათ შორის უმთავრესია ზედმიწევნით არასაიმედო პოლიტიკური პარტნიორის იმიჯის დამკვიდრება. უფრო მეტიც, მათ სახელს უკავშირდება, ერთი მხრივ, გარკვეული პოლიტიკური ძალების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება და შემდგომ მათი თავიდან მოშორება და, მეორე მხრივ, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და კოალიციების დაშლა. ამდენად, მათ გაუჭირდებათ სერიოზული პარტნიორების მოძიება (არადა, აუცილებლად დასჭირდებათ). მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი: ეროვნული ღირებულებების მიმართ ცუდად შენიღბული ნიჰილიზმი, რომელსაც ისინი ნლების განმავლობაში შეგნებულად თუ შეუგნებლად ამკვიდრებდნენ. ამასთან, პრეზიდენტის მაგივრად (ან მასთან ერთად), თავად ისინი შეიძლება იქცნენ პოლიტიკური შურისძიების ობიექტად, რადგან „რეფორმატორი“ მინისტრებიდან ქვეყანამ შეუსრულებელი ბიუჯეტის გარდა, ვერაფერი მიიღო (ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება ციხეთა და პატიმართა ყოფილ მამა-მარჩენალს). სიტუაციას ართულებს ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე დასავლეთის ცვალებადი განწყობა ზოგადად საქართველოს და, შესაბამისად, „რეფორმატორთა“ მიმართ. „რეფორმატორების“ მთავარი ზურგი ხომ დასავლეთია.

რეფორმატორთა მოღვაწეობის რომელი მხარე გადაწონის, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტი ერთია, მაშინ, როცა საზოგადოებრივი დაძაბულობა ახლოს არის კრიტიკულ ზღვართან, რაც ბოლო პერიოდის მოვლენებმა ნათლად დაადასტურა, რადიკალიზმი და აგრესიულობა, რის ნაკლებობასაც ახალგაზრდა „რეფორმატორები“ ნამდვილად არ განიცდიან, განსაკუთრებულად მისაღები ხდება საზოგადოებისათვის.

სავარაუდოა, რომ ყველაზე დიდი ბრძოლა პარლამენტში მთავარი გმირის როლისთვის გაჩაღდება, რაც დღევანდელ მთავარ გმირს რიგით მსახიობობას, ან სულაც კულისებში გადასვლას უქადის. ჟვანიას უკვე 40 კაციანი ფრაქციის ლიდერად მოიაზრებენ. პარლამენტში ვაკის გავლით ირინა სარიშვილთან შერკინების შემდეგ მოსული სააკაშვილის 12 კაციანი ფრაქცია ელოდება. სავარაუდოა, რომ ახალ მაჟორიტარულ ფრაქციას შექმნის ხობელი დეპუტატი კოტე კემულარია.

რაც შეეხება ოპოზიციას, „ტრადიციონალისტები“, „ახალი აფხაზეთი“ და „მრეწველები“ ერთად არიან. შესაძლოა მათ კემულარიას მაჟორიტარები და „რეფორმატორთა“ ნაწილიც (ჟვანიას გუნდი) დაემატოს და ახალი კოალიციური უმრავლესობა შეიქმნას, რომლის ლიდერად კაკო ასათიანი მოიაზრება. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად კი — გოგი თოფაძე.

როგორც ამბობენ, დაშლის ნიშნები უმცირესობასაც დაეტყობა. ამის მაგალითი ჯერ კიდევ ასათიანის საქციელი იყო. ახალ ეტაპზე ვარაუდობენ, ფრაქცია „XXI საუკუნის“ დაშლის და აბრალავა-გამახარიას ახალ კოალიციაში გადასვლას. რამდენიმე დეპუტატი „აღორძინებასაც“ გამოაკლდება, მაგრამ გარანტირებული 30 დეპუტატი, რჩეულიშვილითურთ, ასლან აბაშიძეს მაინც დარჩება.

„ახლებს“ და ნიკო ლეკიშვილს პრეზიდენტის მიმართ სიყვარული კიდევ უფრო შეკრავს და დააახლოებს. შევარდნაძის სურვილს — პარლამენტში ერთგული დასაყრდენი ჰყავდეს, ყველაზე უკეთ ეს ჯგუფი დააკმაყოფილებს. პრეზიდენტი ნიკო ლეკიშვილის გასპიკერებას დაუჭერს მხარს, ამბიციურ „ახლებს“ კი ალბათ ნოღაიდელის სავარძელს უბოძებს.

ამ გადაჯგუფების ბოლო აკორდი პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეების გადაყენება იქნება. ჟვანიას აქაც უკან დახევა და უკეთესი დროის ლოდინი მოუწევს. ეს დრო კი შესაძლოა 21 ოქტომბრის შემდგომ დადგეს, თუ პარლამენტში სააკაშვილი დაბრუნდება.

კულისებში ისიც ითქვა, — პრემიერ-მინისტრის პოსტი შევარდნაძეს ერთ-ერთი გუბერნატორისთვის ემეტებაო. სცენის ამ მონაკვეთში მოქმედების განვითარების განსაჭვრეტად გუბერნატორთა ამბიციები და ბოლო დროს მათი აქტიურობაც უნდა გავითვალისწინოთ. ამ ფონზე ორი ფიგურა — მამალაძე და შაშიაშვილი იკვეთებიან. ლევან მამალაძე პარლამენტში თავისი ფრაქციის შექმნას „უაზროდ“ და „არაფრის გულისთვის“ არ დაიწყებდა. მას იქაური მხარდაჭერის გაძლიერება სჭირდება. მაგრამ პარლამენტში მხარდამჭერები შაშიაშვილსაც ჰყავს. როგორც ამბობენ, გუბერნატორთა ჭიდილი იმერელის გამარჯვებით დამთავრდება. მაგრამ შაშიაშვილს მეორე ეტაპზე უფრო მწვავე შერკინება მოუწევს თოფაძესა და თარგამაძესთან. როგორც ამბობენ, შს მინისტრს სერიოზული შანსი აქვს. მისი ბათუმური წარმომავლობა და „ომეგასთან“ სიამტკბილობა ასლან აბაშიძეს უთუოდ გულს აუტოკებს. თარგამაძის კიდევ ერთი კოზირი „ახლებთან“ მეგობრობაა. ასე რომ, ძლიერი თარგამაძისა და პოპულარული თოფაძის პაექრობა მართლაც საინტერესო იქნება...

ფინალი მაინც ტრადიციული იქნება — გამარჯვების სასწორი იქით გადაიხრება, საითაც მთავარი რეჟისორი ინებებს.

*ხათუნა ლაგაზიძე*
*იზო რეკაძე*

# 11 სექტემბერს ვლადისლავოვნა თურმე ამერიკაში იმყოფებოდა

## ინტერვიუ არძინბას ყოფილ ქართველ სიძესთან...

ამბობენ, არძინბას იმდენად უყვარს საკუთარი თავი, რომ მისი ერთადერთი საზრუნავი მხოლოდ განდიდებაა და არა ოჯახიო. ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ვლადისლავს არც მშობლებმა გაუმართლა და არც ცოლშვილმა. ის, რასაც ახლა მოგითხრობთ, არძინბას ერთადერთი ქალიშვილის პირველმა მეუღლემ მიამბო. მის პოვნას არა ერთი და ორი თვე მოვანდომე. ერთი ხანობა იმედიც გადამეწურა, რადგან მითხრეს ჟურნალისტთან საუბარს არ ისურვებსო. საბედნიეროდ, ერთ მშვენიერ დღეს თვითონ დამიკავშირდა, სწორედ იმ გზებით, რომლითაც თავად ვეძებდი.



— **ბატონო გივი, აქამდე ინტერვიუზე კატეგორიულ უარს ამბობდით, ახლა კი თავად მოისურვეთ ჩემთან საუბარი...**

— ჩემს ცხოვრებაში უამრავი რამ შეიცვალა. ყველაფერი კიდევ ერთხელ გავაანალიზე და მივხვდი, რომ სათქმელის თქმა სჯობს...

— **რას გულისხმობთ?**

— იმ შეცდომას, რომელიც ჩემს სიყვარულს უკავშირდება. წარმოშობით ქართველი ვარ, თუმცა დედის დედა, ანუ ბებია აფხაზი მყავდა. ამიტომ დავეთანხმდი გვარის აფხაზურად გადაკეთებაზე მაშინ, როცა არძინბას ქალი შემიყვარდა.

— **არძინბას ოჯახმა მოგთხოვათ გვარის გამოცვლა?**

— ოჯახს არ მოუთხოვია. თვითონ ქალმა შემომთავაზა — იქნებ გვარი გამოგეცვალაო. თავდაპირველად ვიუარე. ვუთხარი, პირიქით, შენ გადმოდი ჩემს გვარზე-მეთქი. მამაჩემი არ დამთანხმდებაო, მითხრა და თან დასძინა, — თუ მართლა გიყვარვარ, ეს შენთვის დიდი პრობლემა არ უნდა იყოს, თანაც აფხაზური სისხლი ხომ გირევიაო. ასე დამითანხმა და ეს მოგვიანებით სანანებელი გამიხდა. როცა მამაჩემმა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ გაიგო, დიდხანს აღარ უცოცხლია — ინფარქტით გარდაიცვალა, ისედაც გული აწუხებდა. დედაჩემი კი ჩემი „ბედნიერების“ დღეებს არ დასწრებია. მიუხედავად ამისა, თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევდი...

თურმე ვცდებოდი.

— **როცა ერთმანეთს დაშორდით, საკუთარი გვარი არ დაგიბრუნებიათ?**

— ისე წარიმართა ჩემი ცხოვრება, ნამდვილ გვარს ველარ დავიბრუნებდი. დღემდე გაურკვეველი სპეცსამსახურების დაკვირვებისა და დევნის ობიექტი ვარ. ამან მაიძულა შემეცვალა სახელიც და გვარიც. სხვათა შორის, გარეგნობაც. კონკრეტულად რა უნდოდათ, რატომ მეძებდნენ, ვერ გეტყვით, მაგრამ მათი დაინტერესების შესახებ ინფორმაციები მომდიოდა და არც პირადად გახლავართ ბრმა. სხვათა შორის, არც ახლა ვარ მშვიდად.

— **ახლა სად ხართ?**

— საქართველოში არ ვარ და უახლოეს მომავალში არც ვაპირებ ჩამოსვლას.

— **დავუბრუნდეთ ძველ თემას. თუ საიდუმლო არ არის, რა იყო თქვენი განქორწინების მიზეზი?**

— ეს რამდენიმე მოვლენამ განაპირობა. შეუღლებიდან რამდენიმე თვეში შევიტყვე, რომ სიმამრი არც ისე კარგი თვალით მიყურებდა — ამის ერთ-ერთი მიზეზი ჩემი ქართული წარმომავლობაც ყოფილა, რასაც თურმე ბატონ ვლადისლავს უმალავდნენ. არძინბას ქართველების სიძულვილი ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე გასჩენია. სლავიკას (ასე ეძახდნენ) სკოლის დამთავრების დროს თანაკლასელი ქართველი გოგონა შეჰყვარებია, რომელიც მასავით ოქროს მედალზე ამთავრებდა სკოლას. მაშინ ერთი კლასიდან ორი ოქროს მედლის გატანა არ შეიძლებოდა. ამბობენ, არძინბა თანახმა იყო შეყვარებულის გამო უარი ეთქვა მედალზეო... ერთი სიტყვით, როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ არძინბამ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, თუმცა შეყვარებულის მშობლების გული მაინც ვერ მოიგო. მშობლები ქალიშვილის გათხოვებაზე უარს ამბობდნენ, ჯერ პატარააო, მოუმიზეზებიათ. უარს საფუძვლად ისიც ჰქონია, რომ არძინბას ოჯახს ხალხში ცუდი სახელი ჰქონდა. სლავიკას დედა — ნადეჟდა შაბანოვნა იაზიჯბა (წარმოშობით თურქი) ერთობ ფეხმსუბუქი იყო თურმე. ეს იცოდა მისმა ქმარმა გრიგოლ არძინბამაც, რის გამოც ოჯახში ხშირად ყოფილა შეხლა-შემოხლა, რაც, რა თქმა უნდა, ძმები არძინბების ფსიქოლოგიაზე უარყოფითად მოქმედებდა. ქართველების მიმართ ვლადისლავ არძინბას სიძულვილის გაღვივებას ხელს უწყობდა მამის „აღზრდის“ მეთოდები. სწორედ იგი უჩიჩინებდა შვილს, ქალი იმიტომ არ მოგათხოვეს, აფხაზი არ სურთ სიძედო. მეტიც, როცა ვლადისლავი კრივზე დადიოდა, თურმე ვარჯიშს მამამისიც ესწრებოდა და ურჩევდა, შენ წინ ქართველი წარმოიდგინე და უფრო მაგრად დაარტყამო.

არძინბას ოჯახი, ფაქტობრივად, დანგრეულია. მისი ცოლი სვეტლანა ჯერგენია აფხაზეთის ე.წ. გენპროკურორის ანრი ჯერგენიას ბიძაშვილია, რომელსაც ნაკლებად აღელვებს ქმარი შინ ეყოლება, გარეთ, თუ საყვარლებში, რადგან თვითონაც დროს ტარების მოყვარული ქალბატონია. ქმრის გვერდითაც კი არ კარგავს სხვა მამაკაცებთან კეკლუცობის სურვილს.

— **რას გვეტყვით არძინბას მეუღლეზე, თქვენს ყოფილ სიდედრზე?**

— არძინბას ოჯახი, ფაქტობრივად, დანგრეულია. მისი ცოლი სვეტლანა ჯერგენია აფხაზეთის დღევანდელი ე.წ. პრემიერ-მინისტრის, ანრი ჯერგენიას ბიძაშვილია, რომელსაც ნაკლებად აღელვებს, ქმარი შინ ეყოლება, გარეთ, თუ საყვარლებში, რადგან თვითონაც დროს ტარების მოყვარული ქალბატონია. ქმრის გვერდითაც კი არ კარგავს სხვა მამაკაცებთან კეკლუცობის სურვილს. ბუნებრივია, ეს უყურადღებოდ არ დარჩენიათ და თავის დროზე არძინბას მასთან განშორება ურჩიეს. მართალია, მომავალმა „პრეზიდენტმა“ ეს ნაბიჯი არ გადადგა, მაგრამ ოჯახი, ფაქტობრივად, დანგრეული აქვს. ერთად ცხოვრობენ, მაგრამ საშინლად სძულთ ერთმანეთი. ბუნებრივია, არც რძალ-დედამთილს შორისაა კარგი ურთიერთობა. არძინბას ოჯახი მთელი ეშერის სალაპარაკო თემაა.

— **არძინბას ქალიშვილთან განქორწინება მარტო თქვენი ქართული წარმომავლობით იყო გამოწვეული თუ ამაში პოლიტიკურმა მომენტმაც იჩინა თავი?**

— ყველაფერმა ერთდროულად. მე ერთი უბრალო ოჯახიშვილი ვიყავი... ისინი კი გვარიანად გაზულუქებულები იყვნენ ოჯახის უფროსის დიდკაცობით. ცოლმა ზევიდან დამიწყო ყურება. ხშირად საუბარში ქართველებს ისე ახსენებდა, როგორც შავკანიანებს, თანაც ამ დროს მე გადმომხედავდა ხოლმე. ძირითადად, სოჭში ვცხოვრობდით, მაგრამ ხშირად ეშერაშიც ჩამოვდიოდით. იქ ჩასვლას ჩემთვის უსიამოვნების მეტი არაფერი მოჰქონდა, თუმცა, არც სოჭში მადგა კარგი დღე. თუ არ ვცდები, ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, ოჯახში გახშირდა ლაპარაკი — ქართველებზე მეტად უფრო მოღალატე ხალხი არ არსებობს, ესაა ერი, რომელიც საკუთარ თავსაც კი ღალატობსო. რა თქმა უნდა, ეს სპეცსამსახურების გავრცელებული აზრი იყო და პირველად არძინბას ოჯახში ითქვა, მაგრამ მოგვიანებით იმასაც მივხვდი, ამ სიტყვების უკან რაღაც იდგა — კერძოდ, არძინბას იმ პერიოდში რომელიღაც ქართველ დიდჩინოსანთან ჰქონდა მოლაპარაკება შესაძლო ომის დაწყების თაობაზე... უეჭველია, ყველაფერი კარგად გააზრებული სცენარის მიხედვით მოხდა, რომელშიც რეჟისორის როლი პრიმაკოვმა ითამაშა. არძინბას და პრიმაკოვს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. პრიმაკოვმა არძინბა მიიყვანა სამუშაოდ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რომლის დირექტორიც თვითონ იყო. მერეც, არძინბას აფხაზეთში ჩამოსვლის შემდეგ, ხშირად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. მათ სატელეფონო საუბრებს იშვიათად თუ ვინმე დასწრებია — ეს გასაიდუმლოებული იყო. პრიმაკოვის წყალობით არძინბა სხვა გავლენიან პირებსაც დაუმეგობრდა.

ძირითადად, სოჭში ვცხოვრობდით, მაგრამ ხშირად ეშერაშიც ჩამოვდიოდით. იქ ჩასვლას ჩემთვის უსიამოვნების მეტი არაფერი მოჰქონდა, თუმცა, არც სოჭში მადგა კარგი დღე. თუ არ ვცდები, ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, ოჯახში გახშირდა ლაპარაკი — ქართველებზე მოღალატე ხალხი არ არსებობს, ესაა ერი, რომელიც საკუთარ თავსაც კი ღალატობსო. რა თქმა უნდა, ეს სპეცსამსახურების გავრცელებული აზრი იყო და პირველად არძინბას ოჯახში ითქვა...

— **ახლა თუ გაქვთ კავშირი არძინბას ოჯახთან?**

— დიდი ხანია, არ მქონია. თუმცა, მაშინ, როცა არძინბა მოსკოვში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი ჩამოიყვანეს, მის მოსანახულებლად მეგობარი გავგზავნე, რა თქმა უნდა, ჩემი სახელით. ავადმყოფი არ ანახეს, მაგრამ ჩემმა მეგობარმა ხმა მაინც მიაწვდინა. ეს მოხდა შარშან, დაახლოებით ნოემბრის ბოლოს. როგორც გავიგე, არძინბას დაუპირისპირდნენ გავლენიანი პირები, მისი ძმისშვილები — ლევან და აკა არძინბები. ლევანს ე.წ. პრეზიდენტისთვის ფიზიკური შეურაცხყოფაც მიუყენებია; ხოლო აკას — უსვრია. არძინბას ფილტვი დაზიანებია. სხვათა შორის, ლევანიც და აკაც ვლადისლავმა ჩააბა დიდ ბიზნესში. ისინი თამბაქოს და, როგორც ამბობენ, ნავთობსაც აკონტროლებენ. რაც შეეხება სლავიკას ქალიშვილს, იგი რამდენჯერმე გათხოვდა. ახლა აფხაზეთის ტურისტულ ბიზნესს აკონტროლებს, ეწევა კომპიუტერულ ბიზნესსაც, ამის გამო ხშირად უწევს ამერიკაში გამგზავრება. ჩემი ინფორმაციით, 11 სექტემბერს არძინბას ქალიშვილი ამერიკაში იმყოფებოდა. ამ ამბავს სულ გადაურევია ისედაც ნახევრად შეშლილი მამამისი, რომელსაც ისედაც მძიმე, უკურნებელი სენი აქვს...

დაბოლოს, ჩემი რესპონდენტის (რომელიც თვალითაც არ მინახავს და მხოლოდ ტელეფონით ვესაუბრე) მიერ მოწოდებული მასალების ნამდვილობაში რომ დავრწმუნებულიყავი, ინფორმაციის გადამოწმება გადავწყვიტე. კომპეტენტურ წყაროებს ჩემს მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ უარუყვიათ და მათი თქმით, ბევრი ახალიც შეიტყვეს სლავიკაზე.

*თამაზ ხაბეიშვილი*

# ისევ კონტრაბანდა თუ გვიხსნის...



სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად ბიზნესის საუბრისას ჩვენი რესპონდენტები გაურბიან ვინაობის გამხელას. ამიტომ არ არის გამორიცხული, „რომ სულ მალე საგანგებო რუბრიკას — „ინკოგნიტო" — შემოვიღებთ დაავადებულ საქართველოში ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეთათვის. ამჯერად, ჩვენი რესპონდენტი გახლავთ ე.წ. კონტრაბანდისტი, რომელიც შეიძლება თავისი ქვეყნისათვის უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ყველა ეკონომიკური სახელმწიფო სტრუქტურა ერთად. საქმე ეხება ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის გატანას და შემოტანილი ფულით კონკრეტული დარგის — მებაღეობის განვითარებას, მაგრამ რის ფასად ხდება ეს და ვინ არის დამნაშავე?

ვესაუბრებით გორის რაიონის სოფელ ფლავისმანის მცხოვრებს. მას ვაშლის მოსავალიც მოჰყავს და აქ ხილით ვაჭრობს კიდეც. უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ერთმანეთს აგრარულ ბაზარში შევხვდით.

— რამდენიმე თვის წინ ბაზარში მეგაშლეებს ჩვენი როგორ გვქონდა. მოდიოდნენ რესპონდენტები... ხან ვაშლი გაძვირდა — 1 კგ 1,5-2,0 ლარი ღირს და რესტორნებსაც კი უჭირთ ყიდვა. რა თქმა უნდა, ამის გამო ვაჭრობაც შემცირდა.

— **რატომ გაძვირდა ვაშლი?**

— ცხინვალიდან მყიდველები გადმოვიდნენ. გორის რაიონის თითქმის ყველა სოფელში დგას ისინი დიდი კამაზებით. ისინი გლეხებს კილოგრამ ვაშლში 1,5 ლარს უხდიან. წელს ე.წ. ნაქარი ვაშლიც კი აღარ დარჩა — 70 თვითმფრინავი რუსეთის საკონსერვო ქარხნებში. სწორედ ამის გამო გაიძვირა თბილისში ვაშლი.

— **რუსეთში რამდენად იყიდება ქართული ვაშლი და რა ჯიშებზეა მოთხოვნა?**

— 5-6 ლარად. უფრო „ბროვცის" და „გოლდენის" ჯიშებზე. კარგად იყიდება „იდერიდ". ნაკლები მოთხოვნაა თბილისში პოპულარულ „სინაპზე".

— **რა რაოდენობის ვაშლი მიდის რუსეთში?**

— შარშან, ახალ წლამდე, მილიონ ტონამდე ვაშლი გაიტანეს რუსეთში. წელსაც, თუ მეტი არა, ნაკლები არ გაიყიდება. ყოველ დღე ერგნეთიდან ხილით დატვირთული 100-მდე „კამაზი" გადიოდა. ... „კამაზი" 4 მუხრუჭი მანქანის ფულს აკეთებს. ტოლიატიში ქართველებისთვის ახალი ავტომანქანების საგანგებო სადგომიც ჰქონდათ მოწყობილი, სადაც თითოეულ მანქანას ეწერა — „Для Грузии", ისე როგორც ადრე, ომის დროს, ტანკებს რომ ეწერა „За Сталина".

გორის რაიონის სოფლები საკუთარი „კამაზებით" და „გაზელებით" აივსო. მარტო ჩვენს სოფელში 300 საკუთარი „კამაზია". რომ ნახოთ, ავტოსატრანსპორტო გაერთიანება გეგონებათ.

— **სახელმწიფო თუ გეხმარებათ რაიმეში?**

— ხელის შეშლის მეტს არაფერს გვიკეთებს. ... ცხინვალში ოსებს ვაშლს არ ყიდულობენ... მათი სახლები ქართველებმა იყიდეს, თუმცა მათ უკვე ოსური გვარებიც აქვთ და პასპორტებიც ყოფილი საბჭოთა კავშირისა უდევთ ჯიბეში...

*ზაზა გრიგალაშვილი*

## გამოხმაურება

# „პრეზიდენტო, მოგვაშორეთ ლევან-ფაშას"

## კვალდაკვალ

**პატივცემულო რედაქციავ!**

მოგმართავთ გაზეთ „კვირის პალიტრის" 24 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული „პრეზიდენტო, მოგვაშორეთ ლევან-ფაშა!" წერილის გამო.

ვფიქრობთ, ეს მასალა ერთნაირად არაკორექტულია როგორც ადრესატის, ისე რედაქციის მიმართაც, რადგან თქვენს გაზეთს მოსახლეობა პატივს სცემს როგორც მართალს და ობიექტურს, მსგავსი პუბლიკაციები კი მას ინტრიგების ქსელში ხვევს.

კომენტარს კი ერთი ფაქტით დავიწყებთ. როგორც ჟურნალისტი ზვიად ჩაკვეტაძე მასალის დასასრულს აღნიშნავს, იგი თურმე დაუკავშირდა რწმუნებულის პრესსამსახურს და სამი დღის ლოდინის მიუხედავად, ჩვენგან პასუხი ვერ მიიღო. ზვიად ჩაკვეტაძე მართლაც დაუკავშირდა პრესსამსახურს, მაგრამ, ვფიქრობთ, მხოლოდ იმისათვის, რომ შეექმნა ილუზია იმისა, რომ ორივე მხარის პოზიციის დაფიქსირება სურდა. ჩვენ მას შევთავაზეთ რეაგირების რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის — მოგვეწყო საჯარო შეკრება ყველა მისთვის საინტერესო პიროვნების თანდასწრებით, სადაც ყველაფერს ნათელი მოეფინებოდა. შეთანხმების მიუხედავად, ჟურნალისტი თავად აღარ გამოგვხმაურებია და არც რედაქციასთან ჩვენი კონტაქტი არ დაუშვა, ამიტომ მასალა გავიდა ცალმხრივი.

დღეს ყველამ იცის, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეში წარმოქმნილი კონფლიქტი არ იქნება ქვეყნისათვის ისე დამანგრეველი, როგორც ქვემო ქართლში, მისი სპეციფიკური მდებარეობისა და მრავალეროვნული შემადგენლობის გამო. ამიტომ ყოველთვის, ვისაც უნდა ქვეყნის გარედან საქართველოს სახელმწიფოებრიობის შერყევა, მთელი ძალებით ცდილობს არეულობის გამოწვევას ამ მხარეში. ღვთის მადლით, ეს ჯერ არავის გამოსვლია და იმედი გვაქვს, არც მომავალში გამოუვა.

თვით საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, მიუხედავად მძაფრი დაპირისპირებისა ოპოზიცისა თუ ოფიციოზის მხრიდან, ამ რეგიონის მიმართ ყველა გრძნობს პასუხისმგებლობის სიმძიმეს და განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება ქვემო ქართლის თემას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა აქვს არა იმას, რას წერს და ვისზე რას ამბობს მარგიანი, არამედ იმას, რა პერიოდში აქტიურდება იგი.

ბოლო ორი კვირის მანძილზე რუსეთის მასმედიაში არ ცხრება საქართველოს წინააღმდეგ რადიკალურად განწყობილ პოლიტიკოსთა განცხადებები. არის სერიოზული მცდელობა, საომარ მოქმედებებში ჩაითრიონ ქვეყანა. ამისათვის კი დაძაბულობის რამდენიმე კერა მზადდება. პანკისის ხეობაში დაძაბულობის კერა რუსეთისათვის პრობლემა აღარაა, დარჩა კოდორი და ქვემო ქართლი. თუ მარგიანის გააქტიურების დროს მის მოქმედებებს, ტელე- და საგაზეთო განცხადებებს გავიხსენებთ, მისი დამკვეთების ვინაობა და გეგმები სადავო აღარ უნდა იყოს. იგი თავადაც არ მალავს, რომ ხშირი კონსულტაციები აქვს იგორ გიორგაძესთან. უფრო მეტიც, საქართველოში მის ჩამოყვანას ცდილობს. მაშინ, როდესაც დეპუტატი ივერი ჭელიძე და რწმუნებული ემზარ კვიციანი აცხადებენ, რომ კოდორის ხეობაში არ არიან ტერორისტები და იქ სიმშვიდეა, მარგიანი საქვეყნოდ გაჰყვირის, — შეიარაღებული ბანდიტები აქ არიანო, რუსეთს კი მოუწოდებს, მოდით და დაგვბომბეთო. აი, ასე უფრთხილდება იგი თავის მშობლიურ სვანეთს.

რაც შეეხება ქვემო ქართლს. აქ მოსახლეობის ერთმანეთზე გადაკიდების ყველაზე ეფექტური გზა მიწების საკითხია. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნებოდა რწმუნებული. მიწების თემაა კოზირი, რომელსაც ყოველთვის გაათამაშებდა საქართველოს წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ძალა. სწორედ ამიტომ რეგიონში წლების განმავლობაში მიწის საკითხებზე ათობით სახელმწიფო თუ ადგილობრივი კომისია მუშაობდა, შესწავლილია თითქმის ყველა საქმე და თუ რაიმე დარღვევას აქვს ადგილი, ისიც მარგიანისნაირებისგან მომდინარეობს. მათ ხომ ათობით ჰექტარი მიწა აქვთ აღებული, დაუმუშავებლად მიტოვებული და ბიუჯეტშიც ერთ თეთრსაც არ იხდიან.

აზერბაიჯანელებს მიწას ვერ მისცემს ვერც გუბერნატორი და ვერც სხვა ვერავინ. მიწას აძლევს მიწის კანონი. კიდევ ერთხელ განვმარტავთ: რწმუნებულს მიწის განაწილებასთან არანაირი პროცესუალური და იურიდიული შეხება არ აქვს. მიწას ანაწილებს სოფლებში ადგილობრივი საკრებულო, აკონტროლებს გამგებელი, რწმუნებულთან მიდის საჩივარი, რომელიც განიხილება საჯაროდ და უკან უბრუნდება. ასე რომ, გამორიცხულია ყოველგვარი დარღვევის დაუფიქსირებლობის ფაქტი. მათ სრული უფლება აქვთ, იშრომონ მიწაზე, სადაც ცხოვრობენ და თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ უფლების ხელყოფას, ამის წარმოდგენას დიდი ფანტაზია არ სჭირდება, მაგრამ ჩვენ ქართველი, აზერბაიჯანელი და აქ მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხის კეთილგონიერების იმედი გვაქვს.

ამ ფონზე კი საქართველოში სერიოზული პროვოკაცია იგეგმება. მის ავტორებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ერთადერთი, რითაც ქვეყნის დანგრევა შეიძლება, ეს არის ეთნოკონფლიქტების წარმოქმნა, რომლის დღევანდელ განმხორციელებლად ავთანდილ მარგიანი გვევლინება. კაცი, რომლის საქმიანობის შესახებაც პროკურატურაში ტომები შეიქმნა, რომლის დანაშაულებრივ მოღვაწეობას ოთხი წელი იკვლევდა პარლამენტის ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისია, კონტროლის პალატა, ამასთან, ჩატარდა ათობით ჟურნალისტური გამოძიება მისი მონაწილეობის შესახებ პურის თუ ჯართის მაქინაციებში, ასობით მილიონი ლარის გაფლანგვაში და ა.შ.

რაც შეეხება სტატიის დანარჩენ გმირებს, მათგან ყველაზე ცნობილი ოჯახვერდიევია. ის ქვემო ქართლში დიდი ხანია, მხოლოდ მარგიანს თუ აინტერესებს. მისი კრიმინალური წარსული, მართალია, მარგიანისას ვერ შეედრება, მაგრამ საქონლის ქურდობისა და ცილისწამებისათვის ციხეში რამდენჯერმე ბრძანდებოდა.

პროკურატურის მონაცემებით, იგი მშობლიური იორმუღანლოდან (საგარეჯოს რაიონი) გამოუგდიათ და ალთაკლიაში გვარშეცვლილი დასახლდა. როგორც ამბობენ, მისი ხელი ერია ალთაკლიის საკრებულოს თავმჯდომარის თვითმკვლელობასა და მისი ძმის გატაცებაშიც. რამდენიმე თვის წინ ოჯახვერდიევმა საბჭოთა ოფიცრების საეჭვო ორგანიზაციასთან ერთად პრესკონფერენცია ჩაატარა ქართული მიწების დაცვის თემაზე. თუ როგორ იცავდნენ და იცავენ საბჭოთა ოფიცრები ქართულ მიწას, ეს ალბათ, ოჯახვერდიევს არავინ არ აუხსნა, თავად კი მას საამისო ინტელექტი არ ჰყოფნის. ოჯახვერდიევს კანონიერად აქვს მიღებული თავისი წილი მიწა, გარდა ამისა, მარტო მის ერთ ქალიშვილს — 0,12 ჰა აქვს გამოყოფილი და კიდევ მოითხოვს მეორისთვის. კომისიამ მიწა გამოუყო, თუმცა ოჯახვერდიევმა ნაკვეთის ადგილმდებარეობა დაიწუნა. ახლა კი გარდაბნის გამგეობაში კაცს კაცზე აგზავნის, მიწა გამომიყავით და გავჩუმდებიო. არ იკითხავთ, რომელ ნაკვეთს თხოულობს — იმ ნაკვეთს, სადაც ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი გაივლის, რათა მოგვიანებით მამასისხლად გაყიდოს. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ახლა წერილის გარშემო. როგორც ავტორი ამბობს, მას თურმე გარდაბნელებმა უთხრეს, რომ ვითომ ალთაკლიის საკრებულოს გარდაცვლილი თავმჯდომარე დატოვებულ წერილში რწმუნებულს სდებს ბრალს. გთავაზობთ წერილის შინაარსს, რომელიც გარდაბნის პროკურატურაში აღძრულ საქმეშია ჩაკერებული. სინამდვილეში ეს წერილი კი არა, ბლოკნოტში გაკეთებული ჩანაწერებია (სტილი დაცულია):

„შვილებს ვუგარ! ვუსულ! ვაჰათ!
ყველაფერში დამნაშავე მე თვითონ გავხდი.
მაპატიეთ, პატიებას ვითხოვ".
„ოჯახის წევრებს
ნურავის ჩვენებას ნუ მისცემთ!"

„დამლალეს, დავიღალე, ვერ გავუძელი, ზოგმა არაკაცმა გაიმარჯვა. ჩემი თავი მევე შემაზიზღეს... მე შემინდოს შეგნებულმა ხალხმა, ჩემი ცხოვრების ბოლო გზა... მე სასაფლაოზე ნუ დამმარხავთ, დამწვით".

ამით, ვფიქრობთ, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდება მითქმა-მოთქმა ისმაილ ბაირამოვის თვითმკვლელობის შესახებ. რაც შეეხება გამოქვეყნებულ ცილისწამებებს, მასალები რეაგირებისათვის სამართალდამცველ ორგანოებს გადაეცემა. ჩვენი მხრივ კი დავძენთ — მთელი ამ ისტორიის მიზანი სიმართლის დადგენა რომ ყოფილიყო და არა დაპირისპირების გამოწვევა, მარგიანი და სხვა რესპონდენტებიც, თუკი მათ საამისო სამხილი ჰქონდათ, მიმართავდნენ კომპეტენტურ ორგანოებს და არა ჟურნალისტებს.

P.S. სხვათა შორის, პუბლიკაციის ორმა რესპონდენტმა უარყო მათთან ინტერვიუს ჩაწერის ფაქტი. გთავაზობთ ზვიად ჩაკვეტაძის ერთ-ერთი რესპონდენტის, ბერდია ჟორჟოლიანის საუბრის ნაწყვეტს:

„მარგიანის ოფისში რომ მივედი, ჩაკვეტაძე იქ დამხვდა. ჰოდა, გაიცანითო, მარნეულის გამგებლის ყოფილი მოადგილეაო, გავიცანით. აბა, თუ რამეო... მე ვუთხარი, ჭორის დონეზე ლაპარაკი არ მინდა და არაფერი მაქვს სალაპარაკო-მეთქი. ეს იყო ავთოს ოფისში. მერე დამიწყო რეკვა. მე ვუთხარი, არ მცალია, თავი დამანებე-მეთქი.

... ინტერვიუ ჩაკვეტაძესთან არ შემდგარა, თორემ ის „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნდებოდა. ხოლო რაც გამოქვეყნდა მამალაძის წინააღმდეგ და ჩემს ნათქვამს რაც შეეხება, ეს არ არის სიმართლე, იმიტომ, რომ მე ეს არ მითქვამს..."

*პატივისცემით*
*ქვემო ქართლში პრეზიდენტის*
*რწმუნებულის პრესსამსახურის უფროსი*
*ლელა რაზიკაშვილი*

**რედაქციისგან:**

*როგორც ხედავთ, ობიექტურობის პრინციპებიდან გამომდინარე, კომენტარის გაკეთების საშუალება მეორე, დაპირისპირებულ მხარესაც მივეცით. საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა ყველას შეუძლია, მათ შორის, ზვიად ჩაკვეტაძის პუბლიკაციაში მოლაპარაკე რესპონდენტებსაც, — მით უმეტეს, რომ ყველანი რეალურად არსებული პიროვნებები არიან.*

*რაც შეეხება გამოხმაურებაში აღნიშნულ ორი რესპონდენტის მიერ (თამაზ ხაბულიანი და ბერდია ჟორჟოლიანი) ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუზე უარის თქმის ფაქტს, რედაქციას აქვს მასალა, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს.*

*თამაზ ხაბულიანი რედაქციაში არ გამოჩენილა და, შესაბამისად, არც უარყოფა დაუფიქსირებია, ხოლო ბერდია ჟორჟოლიანი გვეწვია და თავისი ნათქვამი (ერთი, კონკრეტული ფრაზის გარდა) პირადი განცხადებითაც დაგვიდასტურა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:*

**ბერდია ჟორჟოლიანი:**

„კვირის პალიტრის" №39 (24-30 სექტემბერი) გამოქვეყნებულ სტატიაში „პრეზიდენტო, მოგვაშორე ლევან-ფაშა!" ციტირებულია მარნეულის რაიონში მიწების განაწილების თაობაზე ჩემი ნათქვამი.

ვეთანხმები ჩემ მიერ გამოთქმულ ყველა მოსაზრებას, გარდა ერთი ფრაზისა: „ლევან მამალაძემ დაუფარავად მითხრა, რომ იჯარით გაცემული ყოველი ჰექტარიდან მისთვის 100 აშშ დოლარი მიმეტანა..."

# ქართული ღვინოები ქართული საცობებით თავდახურულ ჭურჭელში უნდა ინახებოდეს

XV-XVI საუკუნეებში იეზუიტი ბერის მიერ აღმოჩენილმა განსაკუთრებულმა ხის ჯიშმა მოგვიანებით დიდი გამოყენება პოვა მრეწველობაში. კორპის ხის ჯიშის მოშენება მრავალ ქვეყანაში დაიწყეს, მათ შორის საქართველოშიც. შავი ზღვისპირეთშიც მოხდა მისი განაშენიანება 30-იან წლებში, მაგრამ მე-2 მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა საქართველოში კორპის ხის წარმოების განვითარებას. ამ ხის უნიკალური მასალა გამოიყენება ღვინისა და შამპანურის ჭურჭლის საცობად. კორპის საცობი თერმოიზოლაციური, საუკეთესო და მუდმივი დამცავი საშუალებაა. მას არ ეკარება ჭია, იწოვს ნესტს, ამიტომაც გამოიყენება სახლის გადასახურავადაც; მანსარდის შრეში კორპის ხის ფირფიტების ჩატანება უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვა მასალისა. კორპის მასალა კიდევ უამრავ საწარმოო პროცესში გამოიყენება. საწარმოო ორგანიზაცია „სიკო და COMPANY"-მ ტენდერში გამარჯვების შედეგად იჯარით აიღო საქართველოში არსებული კორპის ხის ტყის მასივები და მისი მოჭრა და ქიმიურად დამუშავება დაიწყო. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოში კორპის საცობის წარმოებას. ქართული კორპის საცობები მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევენ უცხოურ პროდუქციას. „სიკო და COMPANY"-მ საქართველოში კორპის საცობის ბაზარზე 14%-ის გაკონტროლების ვალდებულება აიღო და პირველ წელს 5 მლნ საცობს გამოუშვებს. უახლოეს წლებში კი დაგეგმილია ქართული ბაზრიდან იმპორტის სრულიად გაძევება. ყველა პარამეტრით მისაღები ქართული საცობების წარმოება ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს. კომპანიის ხელმძღვანელის, სიკო კოპაძის თქმით, წარმოება იმითაც გამოირჩევა, რომ არ რჩება საწარმოო ნარჩენები.

— როგორც ყველა სიახლეს, კორპის საცობის წარმოებასაც შეხვდა პრობლემები საქართველოში, მაგრამ განსაცდელი უკან არის და გვჯერა, რომ საქართველოში ქართულ ხარისხიან ღვინოს ხარისხიანი ქართული საცობით თავდახურულ ჭურჭელში შეინახავენ — გვითხრა კომპანიის ხელმძღვანელობამ. R

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეჩნური კარტის „გადათამაშება" ქართულად, თუ აშშ-რუსეთის დიდი პოლიტიკური თამაშები?!

დაბომბავს თუ არა რუსეთი საქართველოს? სად არიან შეიარაღებული ჩეჩნები — პანკისში, კოდორის ხეობასა თუ უკვე ტყვარჩელთან? რა უნდა საბოლოოდ პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომელიც მთელი წელი უარყოფს საქართველოს ტერიტორიაზე იარაღიანი უცხოტომელების ასეულების ყოფნას და უცბად მათ არსებობას აღიარებს? ასეთი რა „საოცარი ოპერაცია" ჰქონდათ ჩაფიქრებული ქართველ ძალოვნებს პარტიზანებთან და ჩრდილოკავკასიელებთან ერთად, რომ ჯერ კიდევ მის დაწყებამდე სრული პოლიტიკური ქაოსი შეიქმნა?

აი, ეს და კიდევ სხვა მრავალი კითხვა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს (მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიუხედავად) ბოლო დღეებში მოსვენებას არ აძლევს, რადგან კარგად იციან — მორიგი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება ყველა მათგანის მომავალზე დიდ გავლენას მოახდენს.

ბუნებრივია, რომ რუსეთს თავისი სასიცოცხლო ინტერესები ამოძრავებს — ამერიკაში მომხდარი ტერაქტების შემდეგ მოსკოვს უჩნდება შანსი ახალ კალაპოტში გადაიყვანოს ჩეჩნეთის მეორე ომი, რომელსაც დაწყებისთანავე — 1999 წლის შემოდგომაზე, ტყუილად როდი უწოდეს „ანტიტერორისტული ოპერაცია". თუკი კრემლი და თეთრი სახლი მოკავშირეები გახდებიან ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ ამ ექსტრემისტულ მიმდინარეობას მართლაც „ფეხსადგილში ჩაკვლა" (ეს სტატიის ავტორის კი არა, რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის განმარტებაა) მოელის, რადგან ერთმანეთის წინააღმდეგ „ცივი ომის" დროს ამერიკელებიც და რუსებიც ტერორისტულ დაჯგუფებებს ერთმანეთის წინააღმდეგ აყალიბებდნენ.

ასე იყო აფხაზეთის ომის დროსაც, როდესაც რუსეთის სამხრეთ რეგიონში — ჩრდილო კავკასიის მაღალმთიან ბაზებში მომზადებული ჩეჩნები აფხაზეთში ქართველებს დაუპირისპირდნენ.

გადის 9 წელი და ჰოი, საოცრებავ — უკვე ქართული მხარე ცდილობს გამოიყენოს ჩეჩნების ფაქტორი თავის სასარგებლოდ.

საზოგადოებაში, რომელშიც აშკარად შეიმჩნევა არსებულ სიტუაციაში გაურკვევლობა და დაბნეულობა, ყალიბდება რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა წარმართულიყო მოვლენები.

— აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება დგება დიდი არჩევანის წინაშე: ან მის კონტროლირებად ტერიტორიას მიმდგარ ქართულ-ჩრდილოკავკასიურ პარტიზანულ შენაერთს შეუშინდება და ოფიციალურ თბილისს შემდგომ მოლაპარაკებებში დაუთმობს, ან ყურს არ შეიბერტყავს და მიიღებს საკადრის საბრძოლო დარტყმას.

— ოფიციალური თბილისი აჩვენებს მთელ მსოფლიოს და პირველ რიგში აშშ-ს, რომ მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე არანაირი ტერორისტები არ არიან, თუმცა სამაგიეროდ, „თეთრ ლაქებში" (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, პანკისის ხეობა) არ გამორიცხავს ამგვარი კატეგორიის, ცივილიზებული მსოფლიოსთვის პოტენციურად საშიში პიროვნებების ყოფნას და უარს სულაც არ იტყოდა მათ ფიზიკურ განადგურებაზე.

— ამბობენ, შეიარაღებული ჩეჩნები აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან პანკისის ხეობიდან ერთ-ერთმა ქართულმა ძალოვანმა სტრუქტურამ (ეჭვი შინაგან ჯარებზეა) სატვირთო ავტომობილებით გადაიყვანა. ეტყობა, ძალოვნები ჩეჩნებს რაღაცას შეჰპირდნენ — შეიძლება სულაც უკვე ყბადაღებული პანკისის ხეობიდან გაღწევას და შემოვლითი გზით ჩრდილო კავკასიაში გადასვლას.

— სხვა სცენარის თანახმად, ქართული მხარე რუსეთის სამშვიდობოებთან ერთად აცლის ჩეჩნებს აფხაზების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლას და შემდეგ ერთობლივ საბრძოლო ოპერაციას იწყებს. შედეგი — რუსები „იღებენ" ლანგრით ჩეჩნებს, სამაგიეროდ, ქართველი ძალოვნები მკვიდრდებიან აფხაზეთში. როგორც რუსები იტყვიან — И волки сыты, и овци целы, ანუ ჩვენებურად, არც მწვადი დაწვა და არც შამფური.

ეს სცენარები მხოლოდ მიახლოებული ვარიანტებია იმისა, რაც იყო ჩაფიქრებული და რაც, როგორც ყოველთვის, სულ სხვანაირად წარიმართა.



გროზნო, 1997 წელი. ჩეჩნები მასხადოვის გაპრეზიდენტებას ზეიმობენ

საქართველოს ხელისუფლება კვლავ გვილოცავს, რომ მორიგი ომი იქნა თავიდან აცილებული და ყველაფერი მოლაპარაკებებით გადაწყდება, თუმცა კარგად უწყის, რომ ეს მხოლოდ წყლის ნაყვაა.

სამაგიეროდ, არსად გამქრალა ის 400 თუ 700 შეიარაღებული ჩეჩენი, რომლებიც კვლავ საქართველოში იმყოფებიან და ადრე თუ გვიან ახალ პრობლემებს წარმოქმნიან. ეს თემა უკვე აღარ ეტევა მხოლოდ საქართველო-რუსეთის ორმხრივ დაძაბული ურთიერთობების ფარგლებში და მსოფლიო ასპარეზზე გადის. ეს გასვლა ამჯერად აშკარად ხდება, თორემ ფარულად, სპეცსამსახურების საშუალებით, დასავლეთი, პირველ რიგში კი აშშ-ის სპეცსამსახურები, მასში ყოველთვის მონაწილეობდნენ.

არ არის გამორიცხული, რომ როგორც ავღანეთის ომის დროს დასავლეთის დაზვერვა იყენებდა პაკისტანის ტერიტორიას საბჭოთა მე-40 არმიის დანაყოფებზე მოჯაჰედების თავდასხმების მოსამზადებლად, ისე საქართველო გამოიყენება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ ჩეჩნეთში ომის გასახანგრძლივებლად და რუსეთის შემდგომი დასუსტებისთვის.

სწორედ ამას აბრალებს ოფიციალური მოსკოვი ქართულ ხელისუფლებას. თუკი დღემდე პრეზიდენტ შევარდნაძეს აშშ-ის დიდი იმედი ჰქონდა, 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა თეთრი სახლის დამოკიდებულება ჩეჩენთა შეიარაღებული მოძრაობისადმი თითქმის კარდინალურად შეიცვალა.

ასე რომ, ოფიციალური თბილისი ორაზროვან სიტუაციაში ხვდება — არ წყდება რუსეთის ბრალდებები — ჩეჩენ ტერორისტებს უჭერთ მხარსო და მეორეც, თავის დროზე დასავლეთის დასტურით საქართველოში თავშეფარებული შეიარაღებული ჩეჩნების ბედი ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს მძიმე ლოდად აწევს.

P.S. 29 სექტემბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტისას რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ბორის გრიზლოვთან შეხვედრისას მისი ქართველი კოლეგა გენერალ-ლეიტენანტი კახა თარგამაძე სენსაციურ განცხადებას აკეთებს — ჩვენ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან გავაძევეთ რუსლან გელაევი და შეიძლება იგი ახლა აფხაზეთში იმყოფებოდესო.

ანუ ყველაფერს წერტილი ესმება, ის, რასაც ქართული ხელისუფლება მთელი წელი უარყოფდა და ჟურნალისტებს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა, სინამდვილეში სიმართლე ყოფილა.

# „КГБ-შნიკი" პუტინი თეთრ სახლს სამაგიეროს უხდის



საბჭოთა ჯარების ერთ-ერთი პირველი დესანტი ავღანეთის მიწაზე...

1979 წლის დეკემბრის ბოლოს საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების დანაყოფებმა მანამდე არნახული საბრძოლო ოპერაცია ჩაატარეს — იერიშით აიღეს ამინის სასახლე ქაბულში და ფაქტობრივი გადატრიალების შემდეგ ავღანეთში კრემლისთვის სასურველი წყობილება დაამყარეს.

ამას კი 9 წლიანი დაუნდობელი ბრძოლა მოჰყვა, რომელმაც მილიონამდე ავღანელის სიცოცხლე შეიწირა (უფრო მეტი კი ლტოლვილი გახდა). შინ ვერ დაბრუნდა 15 ათასზე მეტი (ოფიციალური მონაცემებით) საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე...

მხოლოდ დღეს აღიარებენ საბჭოთა სპეცსამსახურების ვეტერანები, რომ მაშინ, 22 წლის წინ, კრემლი დიდი დეზინფორმაციული ომის „მსხვერპლი" გახდა, რამაც ბრეჟნევის ხელისუფლება აიძულა, გადაედგა მძიმე ნაბიჯი — ავღანეთში ჯარები შეეყვანა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ორ სუპერსახელმწიფოს — საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის „ცივი ომი" ზენიტში იყო. კრემლიც და თეთრი სახლიც ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი გავლენის სფეროები მოეპოვებინათ მთელ მსოფლიოში.

ერთ-ერთ ასეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს კი სწორედ ავღანეთი წარმოადგენდა. ავღანეთი უშუალო მომიჯნავე იყო საბჭოთა კავშირის სამხრეთი საზღვრისა, რომლის სიახლოვესაც, შუა აზიაში, მდებარეობდა სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ბაიკონურის კოსმოდრომი და სარაკეტო-კოსმოსური იარაღის გამოსაცდელი რაიონები, სემიპალატინსკის ბირთვული პოლიგონი, ლაზერული სისტემების საცდელი სადგური და სხვ.

და სწორედ ასეთ დროს, კრემლს КГБ-ს საგარეო დაზვერვა აწვდის ოპერატიულ ინფორმაციას — პენტაგონი ემზადება უახლოეს პერიოდში ქაბულში მედესანტეების გადასასხმელად, რათა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს მთლიანად ავღანეთი. ამის პარალელურად, საბჭოთა სამხედრო დაზვერვა ხელში იგდებს საიდუმლო მასალებს — როგორც კი ამერიკელები ფეხს მოიკიდებენ ავღანეთში, მაშინვე იქ საშუალო სიშორის ბირთვულქობინიან ბალისტიკურ რაკეტებს განათავსებენო.



ცხრაწლიანი უშედეგო ომის შემდეგ საბჭოთა ჯარი ტოვებს ავღანეთს...

ეტყობა, სწორედ ეს იქცა იმ ბოლო, დამაჩქარებელ ფაქტორად, რამაც კრემლი აიძულა, დაესწრო, ავღანეთში სამხედრო გადატრიალება მოეხდინა და იქ ასიათასიანი მე-40 არმია გადაესროლა.

არადა, ამერიკელები თურმე არავითარი რაკეტების შეტანას ავღანეთში არ აპირებდნენ — უბრალოდ, აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ კარგად მომზადებული დეზინფორმაცია „შეუგდო" მოსკოვს!

დღეს კი, როგორც ზოგიერთი ანალიტიკოსი ვარაუდობს — „დეზინფორმაციული შურისძიების" დრო დადგა.



ამერიკელები ალბათ ასე დაიწყებენ... როგორი იქნება დასასრული?

რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, როგორც „სახელოვანი" КГБ-ს აღზრდილი, შეიძლება ეცადოს, სირცხვილი ჩამოწმინდოს თავის სახელოვან სპეცსამსახურს და ამერიკელებს მათივე „იარაღით შეუტიოს", მით უმეტეს, რომ თეთრი სახლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იმ სადაზვერვო ინფორმაციას, რასაც მას მოსკოვი ავღანეთის შესახებ მიაწვდის.

კრემლისთვის (რომლისთვისაც ყოველთვის მიუღებელი იყო აშშ-ის შემდგომი გაძლიერება) ძალზე სასურველი იქნება, თუკი მსოფლიო ბატონობისთვის მებრძოლი ეს ზესახელმწიფო ათიოდე წლით ავღანეთის პარტიზანული თუ ანტიტერორისტული ომის ჭაობში ჩაეფლობა.

# ახალ ტერაქტებს სხვა იარაღით შეასრულებენ?!

სამგზავრო ლაინერების ტერორისტული აქტების იარაღად გამოყენების იდეა შეიძლება ერთადერთი არ აღმოჩნდეს მსოფლიო ტერორისტების ხელში.

აშშ-ის სპეცსამსახურებს სერიოზულად ეშინიათ, რომ მათ შურისძიებას ავღანეთზე შეიძლება დაუყოვნებლივ მოჰყვეს უსამა ბინ ლადენის მხარდამჭერთა საშინელი საპასუხო აქტი — ქიმიური თუ ბიოლოგიური ასაფეთქებელი მოწყობილობების ამოქმედება.



წარმოიდგინეთ, რომ ნიუ-იორკის ცათამბჯენებზე „დაშვებულ" „ბოინგებში" ძლიერმომწამვლელი ქიმიური ნივთიერებებიც რომ ყოფილიყო, მაშინ მანჰეტენის უდიდესი ნაწილის მოსახლეობა დაზიანდებოდა.



ამ შიშს ისიც აძლიერებს, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ხელში ჩაიგდეს ინფორმაცია — უსამა ბინ ლადენმა და მის მიერ კონტროლირებადმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ალ ქაიდამა" რუსული მაფიის დახმარებით მოახერხეს საბჭოთა წარმოების მასობრივი დაზიანების იარაღის კომპონენტების ხელში ჩაგდება. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა არმია ფლობდა ქიმიური იარაღის მსოფლიოში უდიდეს მარაგს (40 ათასი ტონა საერთო წონის საარტილერიო ჭურვები და საავიაციო ბომბები), ადვილი შესაძლებელია მათი საშუალებით მსხვილი ბიზნესის დაწყება მოენდომებინა რუსული მაფიის რომელიმე დაჯგუფებას.

ამის პარალელურად, ამერიკელმა მზვერავებმა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს — CIA-ს შტაბბინიდან — ლენგლიდან — მიიღეს სპეციალური დავალება, განსაკუთრებულ კონტროლზე იყოს აყვანილი ძლიერმომწამვლელი ქიმიური კომპონენტების გადამტანი ყველა სატრანსპორტო საშუალება. ეს კონტროლი საიდუმლოდ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხორციელდება, მათ შორის საქართველოშიც.

გარდა ამისა, ამერიკელების დაუფარავ შეშფოთებას იწვევს ის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომლებიც ავღანეთში მყოფ ტერორისტებს შეიძლება ჰქონდეთ. როგორც ჩვენი გაზეთი ამის შესახებ არაერთხელ წერდა, ავღანეთში „სტინგერების" ძირითადი პარტია 1986 წლის შემოდგომაზე მოხვდა. მაშინ ამერიკელ ინსტრუქტორებს „სტინგერები" პაკისტანიდან ავღანეთში ქარავნებით შეჰქონდათ, რის აღკვეთასაც ამაოდ ცდილობდა საბჭოთა სამხედრო დაზვერვა — და მისი ერთ-ერთი საბრძოლო დანაყოფი (სხვებთან ერთად) — ლაგოდეხიდან ავღანეთში გადასროლილი სპეციალური დანიშნულების სადესანტო-მოიერიშე ბრიგადა.

თეთრი სახლის მონაცემებით, ათასამდე „სტინგერიდან" თალიბებს არანაკლებ 80 ცალი შემორჩათ. ბუშის ადმინისტრაცია უფრთხის „სტინგერებით" არა მარტო თავისი სამხედრო თვითმფრინავების ავღანეთში ჩამოგდებას, არამედ ამ კომპაქტური საზენიტო საშუალებით შეიარაღებული ტერორისტების გამოჩენას აშშ-ის მსხვილი აეროპორტების სიახლოვეს — ახალაფრენილი სამგზავრო თვითმფრინავის დაზიანება და ჩამოგდება „სტინგერის" საშუალებით არც ისე ძნელია. ამისგან არც თავად პრეზიდენტ ბუშის უზარმაზარი „ბოინგ-747"-ია დაზღვეული.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ მისი ქართველი კოლეგის, ედუარდ შევარდნაძის Ту-154-ს თუ Ил-62-ს, თბილისის აეროპორტიდან აფრენისას აცილებენ ორი Су-25 ტიპის მოიერიშე და Ми-8 სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი, რომლებიც ამასთანავე, პერიოდულად, გვერდებიდან ისვრიან მაღალი ტემპერატურის გამოყოფით მწვავ მინი-რაკეტებს „სტინგერებისა" თუ „იგლების" ინფრაწითელი დამიზნების მოწყობილობების მოსატყუებლად.

არსებობს ძალზე დიდი შანსი, რომ მორიგი საშინელი ტერორისტული აქტი სწორედ ქიმიური იარაღის ან „სტინგერების" გამოყენებით მოხდება.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-39)

ჩვენი ინფორმაციით, ეს მდინარაძე ბუნაგიდან გამოვიდა. ამასობაში, იქვე რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, გამულულების თვალს მოფარებული ჩვენი მანქანებიც ისე, რომ ფარები არც ერთს არ ეუნთოა, მთვარით განათებულ ასფალტს გაუყვნენ. მათი სიმრავლე ცუდად შემთხვ. თავდაპირველად, გადაწყდა — სამი მანქანით ავდევნებოდით ბანდიტებს, მოგვიანებით თითო-თითო დავამატეთ და აგერ ახლა კი თერთმეტი მანქანა დავთვალე. ოპერატიული ღონისძიება ასე არ ტარდება. სეირის მაყურებელი მეტი იყო, ვიდრე საქმის გამკეთებელი... რა გაეწყობა, ოპერაციას გენერალი ხელმძღვანელობს და შეცდომაზე იგი აგებს პასუხს. თავგამოდებით გვარწმუნებდნენ — ახლა ისეთი მთვარიანი ღამეებია, ფარების ანთება ჩოხატაურამდე კი არა, ბათუმამდე დაუბრკოლებლად შეიძლება მანქანით სიარულიო.

თუმცა ეს შემართება მხოლოდ პირველ მოსახვევამდე გაჰყვათ და ეროვნულის მიყოლებით ანთო მანქანის ფარები.

ბუნებრივია, ბანდიტებს ეს არ გამოეპარებოდათ და, ყველანაირად შეეცდებოდნენ, ხელიდან დასხლტომოდნენ მდევარს. ასეთი მომენტები, როცა ბანდის ყველა წევრის ყავაბს, პრაქტიკულად, ხელს აღარავერ უშლის, ჩვენს საქმეში არცთუ ისე ხშირია და ახლა მარჯვე შემთხვევის გამოუყენებლობა ნამდვილად არ გვეპატიებოდა.

ვატყობ, არც გენერალია დიდად კმაყოფილი, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს, დამშვიდდით, საპანიკო არაფერია. ბანდიტების მანქანას ჩოხატაურის შესასვლელში მილიციის გაძლიერებული კორდონი გადაეღობება, ჩვენც ჩავკეტავთ და ვერსად წაგვივლენო...

კოლონას გენერალი მიუძღვის, ბოლოს მე მივყვები. ჩოხატაურამდე სულ ცოტა რჩება, კიდევ რამდენიმე მოსახვევი და აგერ პროჟექტორებით განათებული მილიციის კორდონიც გამოჩნდა. „ბელმონდომ“, ასე ეძახდნენ ჩოხატაურის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს, პროჟექტორები ამ დილით ითხოვა ჩაის ფაბრიკის დირექტორისაგან. ისეთი ჩოჩქოლია, ნამით ვირწმუნე, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდა, მაგრამ, როცა შლაგბაუმთან გენერალი და ჩვენი ბიჭები ხელებაწეულები დავლანდე და ერთ-ერთმა მილიციელმა ავტომატიც მომიღერა — მანქანიდან გადმოდი და ხელები ზევითო, — უსიტყვოდ დავმორჩილდი. ხელებაწეულმა გენერალს გავხედე და სიცილი ძლივს შევიკავე. მის გვერდით ხელებაწეული მილიციისფორმიანი სწორედ ის კაპიტანი იდგა, რომელსაც მდინარაძის ჯგუფი უნდა გაეყვანა ჩოხატაურში.

ერთი სული მქონდა, გამეგო — მდინარაძემ გაგვაცურა თუ ჩვენი ბედოვლათობით აღმოვჩნდით ამ სასაცილო მდგომარეობაში.

ჩემი ვარაუდი, რისიც ასე მეშინოდა, გამართლდა. ბანდიტები, როგორც კი კვალში ჩამდგარი მანქანების კოლონა შენიშნეს, დაწინაურდნენ და ერთ-ერთ მოსახვევში მიმავალი მანქანიდან გადახტნენ — ისინი ორნი იყვნენ. მდინარაძე თვალითაც არ მინახავსო, — გვიმტკიცებდა კაპიტანი და ისე აღწერდა თავისი მგზავრების გარეგნობას, რომ მათში მდინარაძის ბანდის სავარაუდო წევრები — ბიჭანჭურა ტყაბლაძე და დათო ქელიძე ამოვიცანით.

ამ ეგრეთ წოდებული „ოპერაციის“ მთელი „შედეგიც“ ეს იყო მხოლოდ. დასადგენი რჩებოდა ბანდის კიდევ ერთი მონაწილე, რომელიც შესაძლოა მდინარაძემ თავისთან დაიტოვა. მისი ვინაობაც ვიცოდით მიახლოებით — დათო ნადირაძე. მოგვიანებით ჩვენი ვარაუდიც გამართლდა.

გათენებამდე დაქროდნენ რუპორიანი მილიციის მანქანები და ჩოხატაურის გზისპირა სოფლების მცხოვრებლებს აფრთხილებდნენ, ამ ადგილებში საშიში დამნაშავეები დაძრწიანო, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბანდიტები იქაურობას არც გაჰკარებიან. ეს ალმა-დალმა სირბილიც ჩაგვეყარა წყალში და რომ ვიფიქრე, ჩვენს გაწამაწიას ბოლო მოეღო-მეთქი, ახლა ვილაც ჩინოსანმა სამხედრომ გვირჩია ტყეების ის მონაკვეთი გაგვეცხრილა, სადაც შეიძლებოდა ძებნილებს შეეფარებინათ თავი. ამაოდ ვამტკიცებდით რამდენიმე კაცი, დროს ტყუილად დავკარგავთ, არაფერი გამოვა-თქო, ამაოდ. სხვათა შორის, ჩვენს აზრს გენერალი კვანტალიანიც იზიარებდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, მითითება ზემოდან მოდიოდა და გენერალიც მოვალე იყო, ინსტრუქცია ზედმიწევნით შეესრულებინა.

— ოცდაათამდე კაცს შვეულმფრენით ტყის სიღრმეში გადაგისვრით. შენ უხელმძღვანელებ. ტყე ისე უნდა გაჩხრიკოთ, თქვენ შორის დისტანცია 10-15 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს. საღამოს აბაშაში, სასტუმროში შევხვდებით ერთმანეთს, — მითხრა ოპერაციის წარუმატებლობაში წინასწარ დარწმუნებულმა გენერალმა.

— ბატონო გივი, თუ საიდუმლო არ არის, იქნებ გვითხრათ, ვინ არის ამ „იდეის“ ავტორი. არ შეიძლებოდა, მსგავსი რამ ქართველ კაცს მოსვლოდა აზრად. ამ ინსტრუქციით, სადღაც, პოდმოსკოვიეში, სასწოვაია როშჩას თუ გაცხრილავ, თორემ სურების ტყის ჯაგნარში კაცს კი არა, თაგვსაც გაუჭირდება სუნსული. თუ ეს ღონისძიება „ატჩოტისთვის“ უნდა ჩატარდეს, სხვა საქმეა — ვერაფერს ვიტყვით... ახლა დილის რვა საათია, რამდენ ხანში უნდა გავფრინდეთ და საიდან?

— ზუსტად ერთ საათში ავტოინსპექციის დაფნარის საგუშაგოდან. ვიცი, ღამენათევები ხართ, მაგრამ...

— არა უშავს, გავუძლებთ, — ვამშვიდებ გენერალს და ორივენი დაფნარისკენ მივდივართ. იქ ვერტმფრენი გველოდება.

ვერტმფრენში ოცდარვა კაცი ავედით. ინსტრუქციის შესაბამისად ყველას სპორტული ტანსაცმელი ეცვა. აი, ეს ერთი კი, ძველმოდურ კოსტიუმს ახალმოდური პალსტუხი რომ უმშვენებს, ადილა მამედოვაა, სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს გამოცდილი მუშაკი. ...

## თავი მეექვსე

ვერტმფრენმა სადღაც სურების ტყის ჩრდილოეთით გადაგვსხა. ...




# შლაგბაუმთან ყველანი ხელებაწეულნი იდგნენ, მათ შორის გენერალიც...

## (ნამდვილი ამბავი, ანუ პირველი პირის ნაამბობი)

კიდეც ძებნილებს, თუმცა იმ გაუვალი ჯაგნარის გადამკიდეს, წარმატების იმედი ნამდვილად არ უნდა გვქონოდა. „დესანტის“ გადასხმიდან ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ისე დავიფანტეთ, ხმასაც ველარ ვაწვდენდით ერთმანეთს. რას არ მივცემდი ახლა, თუნდაც ერთი პატარა წალდი ან ნაჯახი რომ მქონოდა. ტანსაცმელზე უკვე აღარ ვფიქრობდი, მთავარი იყო, სახე და თვალები გადამერჩინა. რაც უფრო გაუვალი ხდებოდა ალბათ ჯერაც ადამიანის მიერ ფეხდაუდგამი ტევრი, ვგრძნობდი, ჩემში იმდენადვე ინავლებოდა მაძებრის აზარტი და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე გამეღწია აქედან. იმდენი ვიხეტიალე, მივხვდი, მალე სრულიად დავკარგავდი ორიენტაციის უნარს და შესაძლებელი იყო, დასავლეთის ნაცვლად, სადაც საავტომობილო გზა მეგულებოდა, საპირისპირო მიმართულებით, ამ გაუვალ შამბნარში უფრო ღრმად შემეტოპა.

ინსტინქტურად მივიწევდი წინ, რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარე, ერთბაშად ვიგრძენი, როგორ განათდა ხეების სიხშირის გამო ნახევრად ბნელი შამბნარი და ოდნავ მოშორებით პატარა მინდორი დავლანდე. ჩემდა უნებურად, მინდორზე ადამიანის ნაკვალევს დავუწყე ძებნა. თუმცა... რაღა ნაკვალევი, აგერ ჩემს პირდაპირ დაფუტუროებულ წამოქცეულ ხეზე ვიღაც ზის და ჩემთვის გაუგებარ ენაზე ხმამაღლა მოთქვამს. გავშეშდი, უცებ ისიც კი ვიფიქრე, უსმელ-უჭმელს, უძილობისაგან დაოსებულს, კოლო-ბუზებისგან დაკბენილს, ამდენი ხეტიალის შემდეგ ხომ არ მეჩვენება-მეთქი. ყოველი შემთხვევისათვის, პისტოლეტი მოვიმარჯვე და მინდორზე გავედი. ტანსაცმელშემოგლეჯილი უცნობი ჩემკენ ზურგით იჯდა და ყურისწამღებად მოთქვამდა.

ფეხი წინ წავდგი თუ არა, ხმელ ფიჩხს გამოვედე და მისმა ტკაცუნმა გამცა. ამ ხმამ უცნობი დააფრთხო და ერთბაშად ჩემკენ შემოტრიალდა... ადილა! — აღმომხდა გაოცებულს და ერთბაშად მოვეშვი. მასზე უკეთეს დღეში არც მე ვიყავი და არც სასაცილოდ მქონდა საქმე, მაგრამ, როცა ადილას შემოფლეთილ კოსტიუმზე საცოდავად მოქანავე პალსტუხს ვკიდე თვალი, თავი ველარ შევიკავე და ისე ავხარხარდი, რომ თვითონაც ამყვა. ადილას მშვენივრად ესმოდა ქართული, თუმცა რატომღაც სულ რუსულად ლაპარაკობდა, თანაც ისეთი გაჯახირებული რუსულით, აჯობებდა, ისევ ქართულად ელაპარაკა, მაგრამ...

— კაკ ტი დუმაეშ, ვიბერიომსია? — მკითხა სხაპასხუპით.

— გავაღწევთ, აბა, რა იქნება?! რაკი მინდორზე ვართ, შეგვიძლია მზის მოძრაობა განვსაზღვროთ ჩრდილის მიხედვით, ამის შემდეგ კი ჩრდილო-დასავლეთით უნდა ვიაროთ, თუ რა თქმა უნდა, ტყე მოგვცემს ამის საშუალებას.

მართლაც, მზემ, უფრო სწორად, ხის ჩრდილმა მალევე შეასრულა კომპასის ფუნქცია და ჩვენთვის საჭირო მიმართულებაც განვსაზღვრეთ, მაგრამ თურმე მაინც ვერ გავიდოდით სამშვიდობოს და ისევ შემოვლითი გზებით უნდა გვევლო.

— მოდი, ადილ, ასე მოვიქცეთ, აქ უამრავი ნაკადული იღებს სათავეს, როგორც ეტყობა, ყველა მათგანი დასავლეთისკენ მიემართება. ცნობილი ამბავია — ნაკადული მდინარესთან მიგვიყვანს. მდინარე კი, თუ მანამდე საშველი არ იქნა, ზღვასთან...

დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ერთ ღელეს მივაკვლიეთ, მაგრამ იგი ისე ღრმა ხევში გადიოდა, რის ვაი-ვაგლახით ჩავაღწიეთ ძირამდე. გზას ჯიუტად განვაგრძობდით, ჩემსას კიდევ არა უშავდა, მაგრამ ადილას შარვალი კი საბოლოოდ შეეწირა ჩვენს ოპერატიულ ვოიაჟს. თუმცა დადგა ისეთი მომენტიც, როცა ფეხსაცმელებიც უნდა გაგვეწირა და უეცრად შემოფეთებულ ლაფში უნდა გაგვეტოპა, ან ფეხშიშვლები „შევბრძოლებოდით“ გომბეშოებით სავსე ამ ჭაობს. რა თქმა უნდა, მეორე ვარიანტი ვარჩიე და ფეხსაცმელებით ხელში შევტოპე მუხლამდე ტალახში, ადილამ კი დაიჟინა — ძველი სპორტსმენი ვარ და აი, იმ გლუვ, დამრეც კიდეზე ისე უხიფათოდ გავირბენ, ფეხსაცმელიც არ დამესვრებაო. ადილამ ჩამოფლეთილი შარვლის ტოტები მუხლებამდე აიკაპიწა, რამდენადაც ადგილი ამის შესაძლებლობას იძლეოდა, უკან დაიხია და გამოქანდა... გამოქანდა და, როგორც კი მარცხენა ფეხით პიტალოს შეეხო, ხავსმა იმწამსვე აისხლიტა. შეშინებულმა ადილამ, იმის შიშით, თავით ქვას არ დავასკდეო, სხეულის მთელი სიმძიმე მარჯვენა მხარეს გადაიტანა, მაგრამ თავი ველარ შეიკავა, თვალის დახამხამებაში ჰაერში ამოტრიალდა და პირდაპირ ლაფში გაიშხლართა...

როგორც იქნა, ამობობღდა, მაგრამ იმის შიშით, კიდევ არ დავვარდეო, ოთხზე იდგა.

— სლუშაი, ესლი ტი რიადომ, დასტან იზ კარმანა მაეგო პიდჟაკა, ჩისტი პლატოკ ი ბუდ დობრ, ვიტრი გლაზა, ა ტო ია ნიჩეგო ნე ვიჟუ — ტალახის პურჭყება-პურჭყებით მეუბნება ადილა. ჩისტი პლატოკი კი არა, ჯიბეებიც ლაფით აქვს ამოვსებული. ჯიბიდან ჩემი ცხვირსახოცი ამოვიღე და რამდენადაც შემეძლო, თვალები და ცხვირ-პირი გავუწმინდე. გზა გავაგრძელეთ.

ივლისის მზე ისე აცხუნებდა, სუნთქვა გვიჭირდა. ადილას ტალახი ნელ-ნელა შეახმა. ერთიანად აეწვა ტანი, თავი თიხის ყალიბში მგონიაო, ჩიოდა.

— ია ეტოგო რობინზონა ჟივოი... მიორტვი, იზ ზა ეტოგო ნეგადიაია ია ვტაკომ პალაჟენიი,



— გულში მჯილს იცემდა გამნარებული.

— რომელ რობინზონს აგინებ, ადილ, კრუზოს ხომ არა? — ისე ალალად შევეკითხე, სხვა რობინზონი არ მიგულისხმია.

— პრიჩომ კრუზო... სლუშაი, ია ეტოგო რობინზონა ხმალაძე, ბაბოინ...

რობინზონ ხმალაძე სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ძებნის განყოფილებას განაგებდა და დაკისრებულ მოვალეობას იმდენად წარმატებით ართმევდა თავს, სასაყვედურო არავის არაფერი უნდა ჰქონოდა. მით უმეტეს, მის კოლეგას — ადილა მამედოვს უფლება არ ჰქონდა აუგად მოეხსენებინა იგი და ამიტომაც გამიკვირდა.

— ხმალაძე პრიჩომ, ადილ?

— კაკ ეტო პრიჩომ. ეგო დელა პანიმაეშ. ზდეს იდიოტ როზისკ. ა როზისკ ეგო აბიაზანნოსტ. ია პო ლინიი უბიისტვ, ა ეტოთ მდინარაძე პაკა ნიკოგო ნე უბივალ. ი მილიციანერ ჟივ, ი, ასტალნიე ზდაროვი. ზაჩემ მენია სუდა ზაგნალი... პასტოი, პასტოი, სმატრი ვონ ტამ, ნავერხუ. ვიდიშ დონლუზ, ნეტ იხ დვოე, ვონ ეშჩიო ტრეტი...

— მერე შენ რა, პირველად მესმის, თათარს ღორის დანახვა გახარებოდეს...

— ტი ნიჩეგო ნე პანიმაეშ, ესლი დონლუზ ზდეს, პასიოტ, ზნაჩიტ ეგო ხაზიაინა დომ რიადომ. ა ტამ ი კუშატ ბუდეტ. იასნა?

მაგრამ არც სახლი გვინახავს და არც მისი პატრონი. სამაგიეროდ, გაწამებულმა საღამო ხანს საავტომობილო გზაზე, ბერძნისწყაროსთან გავაღწიეთ. ეშველა ადილას, თავფეხიანად გავრეცხე...

ბიჭანჭურა ტყაბლაძისა და დათო ქელიძის ხელიდან გაშვება დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდით, მდინარაძე რომ არ იყო მათთან.

ამასობაში, ბანდიტების შესახებ ოპერატიულმა ინფორმაციამ თანდათან იმატა. ზოგჯერ ეს ინფორმაციები სინამდვილეს შეესაბამებოდა — ეს არ იყო პატარა საქმე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ უკვე კვალში ვდექით ბანდიტების ჯგუფს და ადრე თუ გვიან, მათ ბუნაგსაც მივაგნებდით.

იმ დღითაც ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა გვაცნობა. საეჭვო წარსულის მქონე ვინმე გაბესკირია თავისი „ვოლგით“ უნდა ატარებდეს მდინარაძეს. თუმცა ეს იშვიათად ხდება, რადგან მდინარაძე ხშირ მისვლა-მოსვლას ერიდება, მით უმეტეს, ახლა, როცა გზები გადაკეტილი გვაქვსო.

გაბესკირიაზე ფარული თვალთვალი დავაწესეთ. ერთ ღამეს გაბესკირიამ თავისი „ვოლგით“ სამტრედიის გარეუბნები შემოიარა. ახლომახლო რამდენიმე სოფელშიც იყო და როცა დარწმუნდა — არავინ მითვალთვალებსო, აბაშისაკენ აიღო გეზი. რა თქმა უნდა, რაიონში, ისიც გვიან ღამით, როცა მანქანების მოძრაობა თითქმის შეწყვეტილია, ასეთ ობიექტზე მოთვალთვალე უმალვე იშიფრება და ჩვენც თავს ვიკავებდით ზედმეტი დევნისაგან, მაგრამ აქა-იქ სასწრაფოდ გავხსენით ორკაციანი საგუშაგოები. ერთ-ერთ ასეთ საგუშაგოზე უკვე აბაშისკენ მიმავალს წესრიგის დამცველებმა მანქანის გაჩერების ნიშანი მისცეს, მაგრამ მძღოლი მოთხოვნას არ დაემორჩილა და გზა განაგრძო. იმწამსვე ვაცნობეთ ცხენისწყლის გაღმა სოფელ მარანთან განლაგებულ ჩვენს საგუშაგოს მომხდარის შესახებ და მანქანის ნებისმიერი საშუალებით დაკავება დავავალეთ. მე კი ამისთვის საგანგებოდ შექმნილ ოპერატიულ ჯგუფთან ერთად სასწრაფოდ აბაშას მივაშურე. იმ ღამეს საგუშაგოზე გამოცდილი ბიჭები იდგნენ, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ თუ ბედი გაგვიღიმებდა და მდინარაძე ჩამოივლიდა კიდეც, ესე მძღოლს გაჩერების უფლებას მაინც არ მისცემდა და არც ცეცხლის გახსნას მოერიდებოდა. ამასობაში კვანტალიანი დამიკავშირდა რაციით — ზუგდიდიდან მომავალი უკვე ავტოინსპექციის საგუშაგოსთან ვდგავარო. მანქანა დაუზოგავად გავაქროლე აბაშისკენ...

## თავი მეშვიდე

დანიშნულების ადგილამდე კილომეტრიც არ იყო დარჩენილი, რომ ერთბაშად გზის გვერდულაზე გაჩერებულ გაბესკირიას „ვოლგას“ გადავეყარეთ. მძღოლს კაპოტი აეხადა და განზე გამდგარიყო. — გავარვარებული ძრავა ისე ბოლავდა, მანქანასთან მიახლოება ჭირდა.

— დროზე ამოღერღე სიმართლე. არ ვართ ზღაპრების მოსმენის ხასიათზე, — მკაცრად ვუთხარი და კოლეგებს ვანიშნე, იქაურობა დაეზვერათ, თუმცა ვიცოდი, უმთვარო ღამეში ამის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა.

— რა მექნა, ბატონო, ვერ მოვიშორე ეს კაცი. გუშინაც დამიბარა — აბაშაში უნდა გადამიყვანოო, საგუშაგოებთან გაჩერება ამიკრძალა. არადა, ვიცოდი მესროდნენ. მეც ავდექი და რადიატორზე წყლის ონკანი ისე გადავაკეთე, სალონიდან ილება და იკეტება, ამან მიშველა. ტრასაზე გამოვედი თუ არა, სისტემიდან წყალი გავუშვი, ღმერთს ვევედრებოდი, საგუშაგომდე გამოიყვანე ძრავა მწყობრიდან-მეთქი და მისმინა კიდეც. თვითონ, აი, იქით, ჭაობებისკენ წავიდა... — მოგვაყარა გაბესკირიამ და ამასობაში კვანტალიანიც დაგვადგა თავზე.

— ამ წუთიდანვე ალყაში უნდა მოვაქციოთ ეს ტერიტორია, — ბრძანა გენერალმა, როცა საქმის ვითარება ავუხსენი და ისიც დავძინე, ეს კაცი არ უნდა ტყუოდეს-მეთქი.

იქაურობის მცოდნე თანამშრომლები დაგვეხმარნენ — თვრამეტი კაცით შემოვსაზღვრეთ საკმაოდ ვრცელი ტერიტორია და გათენების მოლოდინში გავიტრუნეთ. არ გასულა დიდი ხანი, რომ მე და კვანტალიანმა ჩვენგან ასე 100-150 მეტრის მოშორებით ერთდროულად შევნიშნეთ მოკიდებული სიგარეტის ნათება, რომელიც დროდადრო ხან მიინავლებოდა, ხანაც ძლიერდებოდა — ეტყობოდა, მწეველი ძალზე ნერვიულობდა. როგორც აგვიხსნეს, მწეველსა და ჩვენ შორის გაუვალი ჭაობი კეტავდა გზას.

კიდევ კარგი, ზაფხულში მალე თენდება. ალიონის ბურუსში გარკვევით არა, მაგრამ მაინც იკვეთებოდა კუნძულის კონტურები. ჭაობის აღმოსავლეთი მხარე ასფალტის ქარხანას და მის დამხმარე ნაგებობებს დაეკავებინა. ვიდრე ჭაობს ამ მხრიდან შემოვუვლიდით, ქარხნის მუშები უკვე შესდგომოდნენ საქმეს. იძულებული ვიყავით, მათთვის დროებითი არდადეგები გამოგვეცხადებინა, რაც საბოლოოდ ოთხ დღეს გაგრძელდა.

ამ ადგილიდან აშკარად ჩანდა, რომ კუნძულზე თხების გარდა, კიდევ ვიღაც იყო, თუმცა აშკარად გვემალებოდა. თუ ეს მდინარაძე იქნებოდა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გვესროდა. ამიტომ იძულებულები გავხდით უცნობისათვის გვეთხოვა, ჯაგებიდან გამოსულიყო და ტანსაცმელიც გაეხადა. ჩვენდა გასაოცრად, უეცრად დაგვთანხმდა. იგი რამდენიმე სნაიპერს ჰყავდა მიზანში ამოღებული. დიდი „ოპერაციის“ მომლოდინეებს, ხელთ მწყემსი ბიჭუნა შეგვრჩა, რომელიც წინა დღეს მამას დაუტუქსავს, ჭაობში თხა რატომ დაგეხრჩოო...

იმაში დარწმუნებულებმა, რომ ამჯერადაც გაგვაცურა მდინარაძემ, მეოთხე საღამოს ჭაობს ალყა მოვხსენით, თუმცა რატომღაც ეჭვის ჭია შემიჩნდა, რომ იქ, ჭაობში, ვიღაც ჩარჩა. შემდეგმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ არ ვცდებოდი...

*ვაჟა გავაშელი*

## ანონსი

— თვალახვეული ლამაზმანი კაბით მოაჯირს გადმოევლო.

— ნუ იდარდებ, ესე იმდენ ფულს მოგცემს, ქურქის საყიდლად გეყოფაო, — ანუგეშეს.

— ახლა ამ ქალს მოფერება უნდა, მაგრამ ამისთვის სულაც არ მცხელა. მირჩევნია, ისევ ჩემი მამაკაცური ღირსება დადგეს ეჭვქვეშ, ვიდრე აქ რამე შემემთხვეს.

— ლურჯი „03“-ი უკვე გამისწორდა. სიჩქარეს ვუმატებ და გასწრების საშუალებას არ ვაძლევ...

— სადაცაა ჩვენი იდაყვები ერთმანეთს შეეხება. მარჯვენა ხელი ჩემდა უნებურად იარაღისკენ გამირბის, ზუსტად იმავეს იმეორებს მისი მარცხენაც...

# ცხოვრებისეული კურიოზები

## დომენტა მქვია, კაცო!..



ეს ამბავი 1999 წლის ზაფხულში მოხდა. ჩემს ძმას, გიას, რომელიც დერმატოვენეროლოგია, დედოფლისწყაროში გახსნილი ჰქონდა კომერციული აფთიაქი. წამლების გარკვეულ ნაწილს სახლშიც ინახავდა. ერთ საღამოს, უკვე ბინდდებოდა, როცა გიას ვილაცამ დაუძახა. მე გავეპასუხე და ეზოში შემოვიპატიჟე. შემოვიდა ორმოციოდე წლის კაცი და ჩემი ძმა იკითხა. მე ვუპასუხე, შინ არ არის-მეთქი. მაშინ მითხრა, შენც გეცოდინება, კანზე წასასმელი მალამო მინდაო. კანის ექიმი მე კი არა ჩემი ძმაა და დაელოდე, მალე მოვა-მეთქი. მან კი დაიჟინა, შენც გეცოდინებაო. თან ცდილობდა, მალამოს სახელი გაეხსენებინა. ბოლოს რომ შევწუხდი, ვუთხარი: — შენ როგორმე სახელი მითხარი, შევალ, ვნახავ და თუ ვიპოვე, გამოგიტან-მეთქი.

— სახელი? — დომენტა მქვია, კაცო, დომენტა!.. — მომიგო გახარებულმა.

ჩემს ხარხარს მალე დომენტიც შემოუერთდა.

*ალეკო ობოლაშვილი, დედოფლისწყარო*

## მე რა გიყო, ძმაო!..



ჩვენი ნაცნობი ქუთაისელი „ლაყაფია" ზესტაფონში ძმაკაცებს გადაეყარა. კარგი პური ჭამეს... „ლაყაფიას" ერთი ლარი დარჩა ჯიბეში.

აბარბაცებული ზესტაფონის ტაქსების „სტაიანკას" მიადგა. ბედი უნდა ყველაფერს და მაინცდამაინც ენაკვიმატი ტაქსისტის, გურინია მაჩიტიძის ტაქსი იდგა რიგში პირველი.

— თუ ძმა ხარ, ფული არ მაქ ლარის მეტი და ვერ გამიყოლებ ქუთაისში?

— დაჯექი... — უთხრა გურინიამ, ლარიანი გამოართვა და მანქანა დაქოქა. ცოტა ხანში კი გზას გადაუხვია და ყვირილას პირას ხმაურით დაამუხრუჭა.

— სადა ვართ? — გამოფხიზლდა ჩათვლემილი „ლაყაფია".

— ა, ჩახტი ახლა და ჩაგიყვანს ყვირილა ქუთაისში. მეიცა, ჯერ არ ჩახტე... ა, შენ 50 თეთრი, — მთლათ ქუთაისში არ შედის ყვირილა და „მარშრუტკაში" გადაჯდომა მოგიწევს...

*მურმან მერკვილიშვილი, თბილისი*

## „ჩადუნელის სიურპრიზი"

ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს ქალაქში საკმაოდ ცნობილი პიროვნება ავთანდილ ჩადუნელი. ხელფასების პრობლემა არც მისი სკოლის პედაგოგებს ასცდა. ერთხელ დირექტორს განათლების განყოფილებიდან აცნობეს, რომ დღის მეორე ნახევარში მთელი სამი თვის ხელფასები იქნება და პედკოლექტივი (უმეტესად ქალები) ადგილზე იყვნენო. დირექტორმაც აცნობა კოლექტივს ეს ფრიად სასიხარულო ამბავი. ლოდინი კარგა ხანს მოუწიათ, ბატონ



ავთანდილს მოშივდა კიდეც, დაუძახა დამლაგებელს და სთხოვა, სასადილოდან ნისიად მოეტანა მშრალი საუზმე. მანაც მოუტანა მოხარშული კვერცხები და ძეხვი. დირექტორმა იფიქრა, ქალებსაც დავპატიჟებო, შეაღო სამასწავლებლოს კარი და ხმამაღლა, საზეიმო ტონით განაცხადა: — ქალებო, სიურპრიზი მოგიმზადეთ, ვისაც გესიამოვნებათ, ჩემს კაბინეტში მობრძანდით, თქვენთვის ახალთახალი „კალბასი" და კვერცხები მაქვსო.

მას აქეთ ხაშურში ტრადიციულ მშრალ საუზმეს „ჩადუნელის სიურპრიზს" ეძახიან.

## რავი, უფროსო, მეგონა ტუფლები გიჭერდა!..

ხაშურის რკინიგზის პოლიციაში წლების განმავლობაში მუშაობს პოლიციის მაიორი გიორგი ბიბილური, სურამისა და ხაშურის კოლორიტი, მოსწრებული სიტყვა-პასუხით განთქმული. 80-იან წლებში აღნიშნული პოლიციის (მაშინდელი მილიციის) უფროსად მუშაობდა კახელი კაცი, გვარად ბეჟაშვილი. გიორგი იმ დროს ახალბედა იყო. ერთ-ერთი დავალების შეუსრულებლობის გამო უფროსის წყრომა დაიმსახურა და მანაც ურჩი მუშაკის „დასჯა" თანამშრომელთა თანდასწრებით განიზრახა განყოფილების წინ მდებარე მოედანზე, სადაც ახალი წვიმის შემდეგ წყლის გუბეები იდგა. პოლიციის უფროსი ბიბილურის დატუქსვით გაერთო. რაც უფრო უმატებდა უფროსი ხმას, მით უფრო „იფერებდა" დასჯას ბიბილური, თან უკან-უკან იხევდა წყლის გუბისკენ, ოღონდ ისე, რომ თვითონ ამ გუბეებს



შეუმჩნევლად უვლიდა გვერდს. თვალსაჩინო დასჯით გართულმა ბეჟაშვილმა კი ვერ შეამჩნია, როგორ შეტოპა ტალახიან გუბეში...

როდესაც უფროსი მოილალა, მაშინღა შეამჩნია, რომ გუბეში იდგა და ისევ ბიბილურს უსაყვედურა:

— ბიჭო, ვერ მითხარი, წყალში რო ვიდექი?!

გიორგიმ უპასუხა:

— რავი, უფროსო, მე მეგონა ტუფლები გიჭერდა და წყალშიც იმიტომ ჩადექი.

*კულა შოლისპირელი, ქვიშხეთი*

## ვირები და მეცნიერები



კახეთში, მთაზე შეფენილ სოფელ ნუკრიანში ცხოვრობს ორმოციოდე წლის ალალმართალი და შრომისმოყვარე გლეხკაცი გოგია გ., რომელიც ერთ დროს ფაბრიკაში მექანიკოსად მუშაობდა. მას შემდეგ, რაც ქვეყანა აირია, ფაბრიკა გაუქმდა და კოლმეურნეობები დაიშალა, გოგია მარტოოდენ დღიური შრომით არჩენდა ოჯახს და ბუნებრივია, გვარიანად გაუჭირდა.

ამავე სოფელში საგარაკო სახლი ჰქონდა პროფესორ ნოდარ ლ.-ს, რომელსაც გოგია მეურნეობის წარმართვაშიც ეხმარებოდა და მეგობრადაც თვლიდა.

ერთ საღამოს გოგიამ პროფესორს შესჩივლა:

— ნოდარა ძიავ (ასე ეძახდა), ქვეყანას ეხმარები. აი, მეც რო დამეხმარებოდე, სახედარს მიყიდდე, აქაური მეტყევეები შენი ძმაკაცებია, შენი ხათრით ტყიდან შეშის გამოტანას არ დამიშლიდნენ... ხანდახან ქოტირის ტყიდან სახედრით შეშას გამოვიტანდი, პურის ფულსაც ვიშოვიდი და ბალღებიც თბილად მეყოლებოდნენო...

პროფესორმა დახმარება აღუთქვა და შეუსრულა კიდეც...

ერთი წლის შემდეგ პროფესორის ოჯახში გამართულ წვეულებას გოგიაც ესწრებოდა. ქეიფის ეშხში შესული სუფრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა შეზარხოშებულმა გოგიამ თამადას ერთი სადღეგრძელოს უფლება სთხოვა და დაიწყო მოყოლა. რომ მას შემდეგ, რაც სახედრით ტყიდან შეშა გამოაქვს, მას და მის ოჯახს არცა შია და არცა სცივა.

სიტყვა გაუგრძელდა.

— მოკლედ მოსჭერი, ვის ადღეგრძელებო! — მკაცრად შენიშნა თამადამ.

— მოკლეთა, ამ ჭიქით დღეს ჩემი ოჯახის მარჩენლებს, — ჩემ ვირსა და ნოდარა ძიას (პროფესორს) გაუმარჯოსო, — წარმოთქვა გრძნობამორეულმა გოგიამ.

სუფრაზე თავშეუკავებელი ხარხარი გაისმა. ყველა პროფესორს მიაჩერდა. მერე კი უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ამჯერად ბატონი ნოდარი წამოდგა და სიტუაციის განსამუხტად „სამადლობელი სიტყვა" ასე დაიწყო:

— ნაპოლეონს საომარ ლაშქრობებში მუდამ თან დაჰყავდა მეცნიერები საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისათვის და სახედრები მთიან პირობებში საომარი საჭურვლის გადასაზიდად. ორივე ამ კატეგორიას ნაპოლეონი ძალიან უფრთხილდებოდა და შეტევის დაწყების წინ გასცემდა ხოლმე ბრძანებას: „ვირები და მეცნიერები ჯარის შუაში!", რათა ისინი დაცული ყოფილიყვნენ მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან...

შემდეგ პროფესორი გოგიას მიუბრუნდა და უთხრა:

— აფერუმ, ჩემო გოგი, ნაპოლეონის შემდეგ შენ მეორე კაცი ხარ მსოფლიოში, ვინც ჯეროვნად აფასებს ვირებსა და მეცნიერებსო...

*პროფ. ელდარ ლობჟანიძე*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**ჭიჭიკია:**

— გაიგე, ძმაო, მოუცლელობის გამო პრეზიდენტს მოქკავშირის თავმჯდომარეობაზე უარი განუცხადებია!

**ბიჭიკია:**

— რავა, ამდენ ხანს მოცლილი იყო?

*თ. შალიკიანი, ქუთაისი*

— მამი, მამი, ვალი რა არის? — ეკითხება სეროჟას მისი 6 წლის ბიჭუნა.

— ვალი ისაა, შვილო, რომ ილებ სხვის ფულს დროებით და უბრუნებ შენსას სამუდამოდ, მაშ! — სევდიანად პასუხობს სეროჟა.

*„კლეოპატრა", ოზურგეთი*



სპილო შეყვარებულთან ერთად სეირნობს. შემოხვდათ ჭიანჭველა.

— ეი, შენ, რომ ბლატაობ, რას ბლატაობ!.. თავი ვინ გგონია! — დაიწყო და აღარ გაჩერდა ჭიანჭველა.

— ბოდიში, ბატონო ჭიანჭველა, უბრალოდ ვსეირნობთ, არაფერს ვაშავებთ... — აიწურა სპილო.

წავიდა ჭიანჭველა.

— ამხელა სპილო ჭიანჭველამ როგორ შეგაშინა! — გაუბრაზდა შეყვარებული.

— სუ, გოგო, არ გაიგონოს, ეგა ჩვენი უბნის ინსპექტორია!

*სოსო გრიგალაშვილი, ხაშური*





— მიხო, ჯო, მართლა ეკურკურება შენს ცოლსა შენი ძმაკაცი? — ეკითხება შაქრო მიხოს.

— რომელი ძმაკაცი?

— რომელი და მიტუა!

— მიტუა რომელი ჩემი ძმაკაცია, რო?! — გაუკვირდა მიხოს.

*კობა ხატისაშვილი, შიბლიანი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს ხიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## ნოსტალგია

აი, როგორ უნდა იცხოვრო, როგორ ქუჩებში უნდა ისეირნო, როგორი ზეიმით უნდა გაატარო ჩვენი წარმავალი ცხოვრების ყოველი დღე! აი, როგორი ვნებით და მონიწებით უნდა შეავლო თვალი ქალს! აი, რამდენი მეგობარი უნდა გყავდეს! აი, როგორ



ს. იურსკი ქართველ მსახიობებთან

უნდა გამონახო ამ დაძაბული ცხოვრების ორომტრიალში თავისუფალი დრო! აი, ქალაქი, სადაც მზე ისე ახლოს არის შენთან, როგორც არსად ამ ქვეყანაზე და გგონია, რომ ბედნიერება სადღაც აქვეა, შენ გვერდით — თბილისი! — იხსენებს ცნობილი რუსი მსახიობი სერგეი იურსკი.

*ოგონიოკი №38*

სამი დღე მიმდინარეობდა „ორერას" კონცერტები რუსეთის დედაქალაქში. ქართულ სიმღერას მონწყურებული მოსკოვის საზოგადოება იხსენებდა იმ დროს, როდესაც ანსამბლი სრული შემადგენლობით ატკბობდა მათ სმენას.



ასაკოვანი ქალები ნოსტალგიით იგონებდნენ სცენაზე ჩამწკრივებულ, თეთრ კოსტიუმებში გამოწყობილ ახალგაზრდებს, რომლებიც მომაჯადოებლად მღეროდნენ. ახლა კი — მათ ხმაგაბზარული, პარიკიანი, ღიპიანი მამაკაცები შერჩათ ხელთ... მაგრამ ქართულ სიმღერას მაინც თავისი ხიბლი აქვს, ძველ სიმღერებსა და მოგონებებს ყავლი არ გასდის...

*ობშჩაია გაზეტა №38*

ქართველი მომღერალი თამარ გვერდწითელი აშშ-ის საშინელი ტრაგედიის მოწმე გახდა. უძლიერესი სტრესის გამო მან აშშ-ის ქალაქებში გასტროლები გააუქმა.

„თავდაპირველად პენტაგონის მახლობლად მდებარე სასტუმროში უნდა გავჩერებულიყავი, მაგრამ იქ ადგილები არ იყო და სხვა სასტუმროში დავბინავდი... ბედისწერამ გადამარჩინა... მოვხსენი ყველა კონცერტი, რადგან



სიმღერა აღარ შემეძლო... ჩავატარე ერთადერთი საქველმოქმედო კონცერტი და მიღებული შემოსავალი დაზარალებულთა დასახმარებლად წითელი ჯვრის ორგანიზაციაში ჩავრიცხე. ეს კონცერტი კი არა, მემორიალური აქცია იყო... მე შევასრულე „რეკვიემი", სევდიანი სიმღერების პოპური სხვადასხვა ენაზე და ბოლოს ამერიკის ჰიმნი" — თქვა მომღერალმა. კონცერტზე თამარ გვერდწითელმა მიმართა დარბაზს: — „ვიზიარებ თქვენს ნუხილს. ამ წარმოუდგენელმა ტრაგედიამ, რომელიც თავს დაატყდა ამერიკას და მთელ ცივილიზებულ სამყაროს, სალვადორ დალის ნახატი „სამოქალაქო ომის წინათგრძნობა" გამახსენა. თუმცა მომავალი სავარაუდო ომი სამოქალაქო კი არა, მსოფლიო ომი იქნება, და ამერიკა უკვე აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო".

*ვერსია №36*

## თბილისი ამერიკის რისხვას თავის სასიკეთოდ იყენებს

### საქართველოს შეუძლია თავის ტერიტორიაზე ნატოს ჯარის შემოყვანა

რა გასაკვირია, რომ ამერიკის ორ უდიდეს ქალაქში მომხდარი ტერაქტი ზოგიერთ ქვეყანას საკუთარი პრობლემების გააქტიურებისთვის გამოეყენებინა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ ამას ასე ოპერატიულად მოახერხებდნენ.

ბაქოში უცებ მიხვდნენ, რომ აზერბაიჯანს ხელსაყრელი დრო დაუდგა განეცხადებინა, ყარაბაღში არსებობს სეპარატისტულ-ტერორისტული ორგანიზაცია — „მთიანი ყარაბაღის არმიაო" და როგორმე იგი მოეხვედრებინა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების, სომხეთი კი — ტერორისტულ სახელმწიფოთა სიაში.

რუსეთიც დროს არ კარგავს და ამ არეულობაში ცდილობს ჩეჩნური სეპარატიზმის პრობლემის მოგვარებას. მოსკოვი კვლავ შეეცადა, გაევრცელებინა ხმა, „უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს" საზღვარგარეთი ეხმარებაო და ასახელებს ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოს, თურქეთს, ავღანეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, ლატვიას და დიდ ბრიტანეთს.

მეთვალყურეთა აზრით, ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობს, თავი მოაწონოს ვაშინგტონს და ამერიკელებზე მეტად გამოხატავს აღშფოთებას მომხდარი აფეთქებების გამო. მაგალითად, განსაკუთრებით მრისხანებდა საქართველო, თუმცა ახლა ვნებები ცოტათი დაცხრა და ნათელი გახდა, რომ თბილისის ლოგიკა ისეთივეა, როგორიც ბაქოსი და მოსკოვისა. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველო სერიოზულად დაზარალდა სეპარატისტებისგან, თავად პრეზიდენტი კი სხვადასხვა საერთაშორისო ტრიბუნიდან აფრთხილებდა მსოფლიო საზოგადოებრიობას „აგრესიული ნაციონალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის", როგორც ტერორიზმის მთავარი არტერიის, საშიშროების შესახებ. საქართველოს მიერ ნატოს იდეოლოგიის მხარდაჭერა კი დადასტურდა ბულგარეთში, ალიანს „კოოპერეიტივი კეი-2001"-ის მრავალეროვნულ სწავლებებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა ჯგუფის გაგზავნით.

გარდა ამისა, საქართველოს ზოგიერთი მემარჯვენე ოპოზიციური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც პარლამენტის 4 დეპუტატიც შეუერთდა, შეუდგნენ ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო კონტინგენტის შემოყვანის მოთხოვნის პროექტის მომზადებას, რის საფუძვლად რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროება მოჰყავთ. დეპუტატ კობა დავითაშვილის აზრით, რუსეთი ისარგებლებს აშშ-ში მომხდარი ტერაქტის გამო ამტყდარი აჟიოტაჟით და შეეცდება, ანტიტერორისტული ოპერაციების გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზეც.

ამერიკაში მომხდარმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაართულა თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პუტინმა ბორის ნემცოვს დაჟინებით მოსთხოვა ჩეჩნეთში მდგომარეობის მოწესრიგება (თუ არადა, დეპუტატის მანდატს დატოვებო), ნემცოვმა განაცხადა, რომ ურიგო არ იქნებოდა ფედერალებს ბოევიკების წინააღმდეგ ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე ჩაეტარებინათ. საქართველოს რეაქციამაც არ დააყოვნა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ მკაცრი განცხადება გააკეთა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო არ დაუშვებს მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების სამხედრო ძალების გამოყენებას. ამასთან, საქართველოს სამხედრო უწყებების აზრით, თუ აშშ და მისი მოკავშირეები თბილისს სთხოვენ ანტიტერორისტული ოპერაციებისთვის სამხედრო დახმარებას, ალბათ საქართველოს ხელმძღვანელობა დათანხმდება. უთუოდ იგულისხმება რუსეთის ყოფილი ან ჯერ კიდევ რუსეთის სამხედრო ბაზები (ისე, ერთ დროს, საქართველო იფიცებოდა, აქ ნატოს არ შემოვუშვებთო).

ოქტომბრის დასაწყისში შევარდნაძე აპირებს ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტს ჯორჯ ბუშთან. თბილისში თვლიან, რომ ამერიკის პრეზიდენტი მორალურ მხარდაჭერას საჭიროებს. ამ ფონზე სრულიად ახლებურად აღიქმება ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე — წალენჯიხის რაიონში და კოდორის ხეობაში თავმოყრილია ათასობით ჩეჩენი ბოევიკი. საქართველოს მთავრობა ცდილობს ამის უარყოფას, მაგრამ სოხუმი, მოსკოვი და თბილისური ოპოზიცია ამტკიცებენ, რომ ჩეჩენთა რაზმების პანკისის ხეობიდან აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გადასროლა ხდება საქართველოს მთავრობის ნებითა და ხელის შეწყობით.

*ნეზავისიმაია გაზეტა №174*

## აფხაზეთი მზად არის თავის დასაცავად

რუსეთის ძალოვანთა მონაცემებით, რუსეთ-აფხაზეთის უხეიროდ დაცული საზღვარი ჩეჩენი ბოევიკებისთვის ხელსაყრელ ობიექტს წარმოადგენს და ახლა იქ სეპარატისტთა დიდი ძალაა თავმოყრილი. „ობშჩაია გაზეტას" კორესპონდენტი ესაუბრა ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის სასაზღვრო სოფლის ფსხუს მცხოვრებლებს, რომელთა უმრავლესობა რუსები, უკრაინელები და ბელორუსები არიან, მაგრამ სამშობლოდ აფხაზეთს მიიჩნევენ. მამაკაცები საქართველო-აფხაზეთის ომის დროს აფხაზთა მხარეზე იბრძოდნენ და უკლებლივ ყველას იარაღი აქვს — თავისი თავი თვითონ თუ არ დაიცვეს, დამხმარე არავინ ჰყავთ.

უკვე თვეზე მეტია, ფსხუელი მამაკაცები სოფლის მისადგომებს იცავენ, რომ სვანეთიდან არავინ გადმოვიდეს. მათი თქმით, ამ მიდამოებში ბოევიკები არავის უნახავს, თუმცა, ვარაუდობენ, რომ ფსხუს გვერდის ავლითაც შეიძლება რუსეთისკენ გასვლა. ასე რომ, აფხაზეთში კორესპონდენტმა ბოევიკების ნახვა ვერ მოახერხა, მაგრამ დაძაბულობა კი იგრძნობა. რესპუბლიკაში ნაწილობრივი მობილიზაციაც გამოცხადდა. აფხაზები არ გამორიცხავენ, რომ ქართული სპეცსამსახურები თავისი ინტერესებისთვის გამოიყენებენ ჩეჩნებს, რომელთათვისაც აფხაზეთი ხელსაყრელ დერეფანს წარმოადგენს რფ-ის ტერიტორიაზე — ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში და კრასნოდარის მხარეში გასასვლელად. არ არის გამორიცხული, რომ ბოევიკების სამიზნედ აფხაზეთიც იქცეს, რომელიც აქტიურად ამჟღავნებს პრორუსულ ორიენტაციას. არცთუ დიდი ხნის წინ აქ მოსკოვის სამთავრობო დელეგაცია იმყოფებოდა — თუმცა ეს ფაქტი არსად გაშუქებულა. ვიზიტის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად სერიოზულია სოხუმის პრორუსული განზრახვა. თუ დავუშვებთ, რომ რეალურია საქართველოს ძალოვანთა და ჩეჩენ ბოევიკთა თანამშრომლობა, მაშინ ყველაფერი ნათელია: აფხაზეთის დსთ-ში და მით უმეტეს, რუსეთის შემადგენლობაში შესვლა არ სურს არც ერთ და არც მეორე მხარეს.

აფხაზეთიდან წამოსვლა არ არის ძნელი. სასაზღვრო მდინარე ფსოუსთან უამრავ, ხილით დატვირთულ, რუსეთში მიმავალ ხალხთან




ერთად, აფხაზეთის საზღვარს გადალახავთ, სადაც თქვენს პასპორტს ყურადღებასაც არ აქცევენ, რუსეთის მხარეს კი უფრო სიმკაცრეა.

*ობშჩაია გაზეტა №38*

## ამერიკის ტერაქტის სქემა ჩეჩნეთში მოემზადდა?..

ფედერაციის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ჩეჩნეთში საინტერესო საცავი აღმოაჩინეს: ერთ-ერთი არღუნელის ბინაში, გარდა სამხედრო კარვებისა და საძილე ტომრებისა, იპოვეს ნიუ-იორკში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე „დარტყმის" სქემა. მანამდე ბოევიკებთან აღმოაჩინეს კომპაქტდისკი, თუ როგორ უნდა მართო თვითმფრინავი „ბოინგ-737". კიდევ ორიოდე ამგვარი ნივთმტკიცება და ამერიკის შურისძიების ობიექტი ავღანეთი კი არა, ჩეჩნეთი გახდება. სხვათა შორის, „ჩეჩნურ კვალზე" მაშინვე ალაპარაკდა ფედერაციის უშიშროების სამსახური. ეს ლოგიკურიც არის, რადგან ბინ ლადენი ფინანსურად ეხმარება ჩეჩენ ბოევიკებს.

აღსანიშნავია, რომ ნაპოვნი ნახაზი ემთხვევა ტერორისტების მიერ გატაცებული თვითმფრინავების მოძრაობის სქემას. მის მეორე მხარეზე აწერია „ჯიჰადი". ეტყობა, რომელიმე ჩეჩენი ბოევიკი კარგად იცნობს აშშ-ის ტერორისტული ოპერაციის გეგმას, რომელიც, ალბათ დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. სავსებით შესაძლებელია, რომ სქემამ ჩეჩნეთში მოაღწია ვინმე დაქირავებულის ხელით, რომელიც „ჯამაათ ალ-ისლამმა" ჩრდილო კავკასიაში გადმოისროლა. რუსეთის სპეცსამსახურების აზრით, სწორედ ეს ორგანიზაციაა მოსკოვისა



და ვოლგა-დონის საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზატორი.

აშშ-მა რატომღაც არ შეიტანა ჩეჩნეთი „შავ სიაში". ეტყობა იმიტომ, რომ იგი რუსეთის ფედერაციის სუბიექტია, ან იქნებ იმიტომ, რომ ამერიკელები დაინტერესებულნი არიან, რომ რუსეთის ჩრდილო კავკასიაში დაძაბულობის კერა არსებობდეს. რუსეთი კი ცდილობს, ამბოხებული რესპუბლიკა საერთაშორისო ტერორისტად შერაცხოს.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №213*

## მოზარდებში მწეველობის პრობლემა საგანგაშოა

### მომავალი შენია
მოძრაობა არასრულწლოვანთა მწეველობის აღმოფხვრისა და ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის

მოძრაობამ „მომავალი შენია", რომელიც არასრულწლოვანთა შორის მწეველობის აღმოფხვრასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობს, საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად შემაშფოთებელი სურათი მიიღო მოზარდებში მწეველობის ტენდენციის თვალსაზრისით. რატომ წარმოიქმნება ეს პრობლემა? როგორია თანამედროვე მოზარდის ფსიქოლოგიური პორტრეტი და რატომ იწყებენ ბავშვები სიგარეტის მოწევას? ამ საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრა ფსიქოლოგი **დოდო მირიანაშვილი.**

*— განსხვავდება თუ არა რაიმე განსაკუთრებული ნიშნით თანამედროვე მოზარდი წინა თაობის მოზარდებისაგან, როგორია მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი?*

— თანამედროვე მოზარდის განსაკუთრებულ განსხვავებას 20-30 წლის წინანდელი მოზარდებისაგან განაპირობებს ის მოვლენები, რაც მათი ბავშვობის და შემდგომ წლებში განვითარდა და რომელთა ფონზეც მოზარდები განსაკუთრებულად რეაგირებენ. შეიცვალა მათი სოციალური განვითარების ფორმაც. უკანასკნელ ათწლეულში ამ გარემოებათა გამო ბავშვები სპეციფიკურად ვითარდებიან. დაძაბულ სოციალურ გარემოში ეს პროცესი რთულად მიმდინარეობს და ბავშვი მწვავედ რეაგირებს ყველა იმ სოციალურ პრობლემაზე, რაც თავზე საყრელად აქვს ჩვენს საზოგადოებას. განსაკუთრებით, დიდ ქალაქებში.

*— როგორ ფიქრობთ, მოზარდებში მოწევის დაწყება დაუფიქრებელი ნაბიჯია, თუ მათი ხასიათიდან გამომდინარე შეგნებული ქმედება?*

— მოზარდობის პერიოდი იწყება 10 წლიდან, როცა იწყება აქტიური სქესობრივი განვითარება, რასაც მოსდევს პიროვნების აქტიური ჩამოყალიბების პერიოდი. ამ პერიოდში მოზარდი იწყებს ავტორიტეტების ცვლას. იგი უკვე ორიენტაციას იღებს არა მშობელსა და მასწავლებელზე, არამედ — თანატოლზე. მას მუდმივად აინტერესებს, რა მოსწონს მის თანატოლს, რა ითვლება მისთვის მნიშვნელოვან თვისებად. ე. ი. მოზარდი ცდილობს ავტორიტეტის მოპოვებას თანატოლებში და მისი ინტერესების სფეროც ამ წრიდან გამომდინარეობს. ინტერესების სფერო კი შეიძლება სწორედ სოციალური გარემოებების გამო ცვალებადი გახდეს, იქცეს ცვალებად ღირებულებად.

*— ალბათ გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგია ყველა თაობის მოზარდში ერთნაირია.*

— ესეც ინტერესებიდან და ქცევის მოტივიდან მომდინარეობს. რადგან მოზარდი თანატოლებზეა ორიენტირებული, მისი შინაგანი ფსიქოლოგიური მექანიზმი ყალიბდება იმ წრის მიხედვით, რომელშიც მას უხდება ყოფნა. აქაც სოციუმის ზეგავლენაა მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამიტომ სხვადასხვა ღირებულება მოზარდისათვის სხვადასხვა პერიოდში ცვლადია.

*— ამ დროზე რას იტყვით?*

— დღევანდელ ღირებულებებს და სპეციფიკას განსაზღვრავს ის, რომ მიმდინარეობს საზოგადოების დემოკრატიზაცია, რაც ამკვიდრებს პიროვნების დამოუკიდებლობას, როგორც განსაკუთრებული ღირებულების ფაქტორს. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დემოკრატიული საზოგადოება გვაქვს, მაგრამ ამ გზაზე ვდგავართ. აქედან გამომდინარე, მოზარდი ფსიქოლოგიურად გაორებულია. ერთი მხრივ მას აზროვნების დამოუკიდებლობისკენ უბიძგებს მასმედია, უცხოეთიდან შემოსული პოპკულტურის ძლიერი ტალღა, მეორე მხრივ კი, ოჯახური ტრადიცია თავისკენ იზიდავს, ოჯახზე დამოკიდებულებისკენ. თანაც, ის რომ დიდხანს ვერ გახდება ეკონომიკურად დამოუკიდებელი. ეს ორი საწინააღმდეგო ტენდენცია აფერხებს მოზარდობის პერიოდის ნორმალურ განვითარებას. აი, ამ დროს შეიძლება იმძლავროს მიბაძვის მექანიზმმა და აქ მასმედიას შეუძლია ითამაშოს უმნიშვნელოვანესი როლი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. რა ფილმებს, სარეკლამო რგოლებს ნახულობს მოზარდი ტელევიზიით? ქალს და მამაკაცს, რომლებიც ერთმანეთს თავს სწორედ სიგარეტით აწონებენ, ეკრანზე სიგარეტითა და ათასგვარი კომფორტული საშუალებით იქმნება მომხიბლავი კადრები, რომელიც მწეველობას უწევს პროპაგანდას. ზრდასრული ადამიანი ახდენს რეკლამის ფილტრაციას და სიგარეტს იღებს ან არ იღებს. მაგრამ ბავშვი ასეთი მომხიბლავი ვიზუალური მასალის ხილვის შემდეგ ითრგუნება, სიგარეტის მწეველი ქალი ან მამაკაცი შეიძლება ბავშვისათვის იქცნენ არასწორი ცხოვრებისეული ორიენტაციის ჩამომყალიბებლად, პუბერტაციის (გარდატეხის) შუა ასაკში, როცა მოზარდებს განსაკუთრებულობის პრეტენზია აქვთ.

*— როგორ ფიქრობთ, საგანგაშოა თუ არა ქართველ მოზარდებში მწეველობის პრობლემა?*

— დიახ. თანაც ეს ტენდენცია ძალიან იზრდება გოგონებში. საგანგაშო მონაცემები მივიღეთ უნივერსიტეტის სოციოლოგიური ფსიქოლოგიის კათედრაზე გაკეთებული საინტერესო გამოკვლევების შედეგად. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდამ გარეგნული ეფექტების პროპაგანდასთან ბრძოლა წააგო და ჩვენს მოზარდებში დღითი დღე მძლავრობს უარყოფითი ტენდენციები.

R

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები ბრძნობენ

**გუგა ხელაიამ** და **კოტიკო ესეიაშვილმა** ქობულეთის პლაჟზე პარაშუტს მოჰკრეს თვალი.

— ნახე, ბიჭო, პანაშვიდი დაფრინავს, — ეუბნება გუგა.

— რამდენჯერ გითხარი, მაგას პანაშვიდი კი არა, პარაშოკი ჰქვია, — პასუხობს კოტიკო.

***

კახეთიდან დაბრუნებულ **4 წლის ირაკლი გიგაურს** დედა ეკითხება, რა მოგეწონა ყველაზე მეტადო.

ირაკლი პასუხობს:

— დედიკო, კახეთში ვირს გული ერეოდაო (ყროყინზე).

***

**5 წლის ბაადურ ხალიშვილის** ოჯახში ინკასატორის მოსვლას ელოდებიან და გამორთული მრიცხველი რომ არ ნახოს, ბაადურს აფრთხილებენ: თუ ბაადური არ დაგიძახონ, კარი არავის გაუღოო.

ცოტა ხანში ბებია მოდის და ზარს რეკავს.

— დამიძახე „ბაადური" და გაგიღებ! — ჩაკეტილი კარიდან პასუხობს ბიჭი.

***

**3 წლის ანანო კვაჭანტირაძეს** დედა ეფერება:

— ანანუკა, მიყვარხარ.

— მეც ძალიან მიყვარხარ.

— მე უსაშველოდ მიყვარხარ.

— მე უფრო ძალიან უსაშველოდ მიყვარხარ.

— მე ყველაზე ძალიან მიყვარხარ.

— დედა, მე სპეციალურად მიყვარხარ...



ყველა საგანს რაღაც დეტალი აკლია. გამოიცანი და მიახატე

### მოთხრობა-გამოცანა

გულაშვილი, ბარათელი, ცერცვაძე და ასლამაზიშვილი ერთ ქალაქში ცხოვრობენ. ერთი მათგანი სტუდენტია, მეორე — ეკონომისტი, მესამე — მუსიკოსი, მეოთხე — მათემატიკოსი. ცნობილია, რომ:

— გულაშვილი და ცერცვაძე მეზობლები არიან და დილით ერთად უწევთ მგზავრობა;
— ცერცვაძე ბარათელზე უფროსია;
— გულაშვილი ხშირად ეთამაშება ჭადრაკს ასლამაზიშვილს;
— მუსიკოსი სამსახურში ნასვლისას ტრანსპორტით არ სარგებლობს;
— მათემატიკოსი ეკონომისტის მეზობელი არ არის;
— მათემატიკოსი მხოლოდ ერთხელ შეხვდა სტუდენტს გამოცდაზე;
— მათემატიკოსი ეკონომისტზე (და, ცხადია, სტუდენტზეც) უფროსია;

გამოიცანით, ვინ რა პროფესიისაა.

*წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:* ლაშა ართილაყვამ, ქეთი დოლიძემ, თათია და ლიკა ხინტკირიებმა.

*სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:* ვერ იყიდა. თუ პირველ ორ კითხვაზე ის დადებით პასუხს მიიღებს, აღმოჩნდება, რომ ლელვი სამ სხვადასხვა ფასად იყიდება, რაც პირობას არ შეესაბამება. მაშასადამე, მან სამივე კითხვაზე უარყოფითი პასუხი მიიღო.

შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახაგის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ჰორიზონტალურად და ყვითელი ფერის ვერტიკალურ რიგში მიიღებთ წელიწადის ერთ-ერთი დროის სახელწოდებას

I



## იპოვეთ 13 განსხვავება



II რებუსი





რომელი ჩრდილი ეკუთვნის სელაპს



მიიყვანე კოკორი („კალაბოკი") სახლამდე ისე, რომ არავინ შესანსლოს



რომელ პეპელას რომელი ყვავილი ეკუთვნის

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი, მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

### ჭიავორდი

| ალადინის „ტრანსპორტი" | ჭრილობა, ანუ ... | ეს ცხოვრება ... არის, ზოგი ადის, ზოგი ჩადის | თურქული ფულის ერთეული | ... შეიქმს სიყვარულსო | ბალში ვაზი ... მეტის ლხენითა სტირის |
|---|---|---|---|---|---|

| „კეფაზე წითელი ... ხომ არა გაქვს" კ/ფ | სურნელოვანი სასმელი | იგავ-... | დათვის ნაშიერი | ზღაპრული ცხენი | ... მღვიმელი | კვამლი ანუ ... |
|---|---|---|---|---|---|---|

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაია ხუციშვილმა

## ერი საზეპურო

*მკითხველს ვთავაზობთ თანამედროვე ბერძენი მკვლევარის, ასტერიოს პიგირიუსის მიერ თბილისის უნივერსიტეტში წაკითხული მოხსენების ფრაგმენტებს, რომელიც ეხებოდა ორი საუკუნის წინ მოღვაწე ღვთისმეტყველის, კირილე ლავრიოტისის მიერ იოანე მოციქულის „გამოცხადების" განმარტებას. იოანეს „აპოკალიფსში" სხვადასხვა ეკლესიისადმი მიმართვაში, განსაკუთრებული კრძალვითა და სიყვარულით არის მოხსენიებული ფილადელფიის ეკლესია. ფილადელფიის — იმავე „სიყვარულის" ეკლესია ლავრიოტისისთვის საქართველოს სამოციქულო ეკლესიაა. „ღვთის რჩეული გლახაკი მეფე" კი — საქართველოს სამეფო ოჯახის წარმომადგენელი. და ყოველივე ამას ამტკიცებს არა სუბიექტური ქართველი მკვლევარი, არამედ სხვა ქვეყნის შვილი, აღტაცებული იმით, რომ საქართველომ მტკიცედ დაიცვა და შეურყვნელად გამოატარა ქრისტიანული სარწმუნოება საუკუნეებში.*

*უსათუოდ უნდა დავძინოთ, რომ არის თუ არა უცილობელი ბერძენი მკვლევარის დასკვნები, იგი ზურგს უმაგრებს „საქართველოს სულიერი მისიის" ავტორის მოსაზრებებს და მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს ქართული მესიანიზმის თეორიის მიმდევართათვის.*

*საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მცხეთაში არის დავანებული ქრისტეს კვართი და დედა ღვთისმშობელი მეოხმყოფობს საქართველოს, რაც ოდითგანვე პრივილეგირებულობას კი არა, უდიდეს მოვალეობას აკისრებდა ჩვენს სამშობლოს ღმერთისა და კაცობრიობის წინაშე, სწორედ ამავე მიზნით — შემეცნებითი თვალსაზრისითა და მეტი პასუხისმგებლობის შეგნებისთვის ვბეჭდავთ ამ მასალას.*

1. „გამოცხადებაში" ნაწინასწარმეტყველებია რამდენიმე ეკლესიის მომავალი: ეფესოსი, სმირნის, პერგამონის, თიატირის, სარდეს, ფილადელფიის, ლაოდიკიის. კირილეს აზრით, სარდე (სარდიკია) — ანტიოქიის ეკლესიაა, ხოლო ლაოდიკია — რუსეთის. ფილადელფიის ეკლესიის მიმართ ეპისტოლეს უკავია მეექვსე ადგილი სარდიკია-ანტიოქიის ეკლესიის მიმართ ეპისტოლეს შემდეგ და ლაოდიკია-რუსეთის ეკლესიის მიმართ ეპისტოლეს წინ. მართლაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, იბერიამ მიიღო ქრისტიანობა ანტიოქიის შემდეგ და რუსეთზე ადრე, კონსტანტინე დიდის მეფობისას, „ღვთისნიერი ქალის წყალობით".

2. ფილადელფიის ეკლესია არის ერთადერთი შვიდ ეკლესიას შორის, რომლისთვისაც „დაწნულია დიდების გვირგვინი და მას ეძლვნება დიდი ქება და კეთილი აღთქმანი". მართლაც, ქრისტიანულ ეკლესიებს შორის მხოლოდ იბერიის ეკლესიას არ გადაუხვევია არასოდეს მართლმადიდებლობის დოგმებიდან და ტრადიციებიდან, არასოდეს მოპყრობია უყურადღებოდ სახარებისეულ ზნეობრივ სათნოებებს და არასოდეს განუცდია არამართლმადიდებლური და ურწმუნო უცხო ძალის ბატონობა ან უარყოფითი გავლენა.

3. ლავრიოტისი მიიჩნევს, რომ იბერიას ეწოდა ფილადელფია ნიშნად თურქთაგან დამონებული ბერძნების მიმართ გამოხატული კაცთმოყვარების

### ქართველთა [illegible] და მისიაც...

გამო. ეს დამოკიდებულება იყო უფრო გულწრფელი და მტკიცე, ვიდრე რუსებისა.

4. სტეფანეს ლექსიკონის მიხედვით, აღმოსავლეთში სამ ქალაქს ჰქვია ფილადელფია, რაც გულისხმობს იბერიის დაყოფას სამ სამეფოდ: იმერეთი, ქართლი და კახეთი.

5. ეპისტოლეში ლაპარაკია განღებულ კარსა და დავითის კლიტეზე. განღებული კარი — ავტორისათვის ნიშნავს, რომ „კონსტანტინე დიდის მეფობიდან ჩვენს დრომდე მათი პატარა სამეფო ქრისტემ გაზარდა დიდ სახელმწიფოდ და ვერც ერთმა სახელმწიფომ — უძველესმა, შუა საუკუნეებისამ თუ თანამედროვემ — ვერ შეძლო მასზე ბატონობა, თუმცა მისი ულმერთო და ბოროტი მტრები იყვნენ მრავალრიცხოვანნი, კარგად შეიარაღებულნი და მამაცნი, მსგავსნი ველური მხეცებისა".

6. რაც შეეხება დავითის კლიტეს, კირილე მას ადარებს ქართველი მეფეების უძველეს ტრადიციას, ეტარებინათ დიდი მეფეებისა და წინასწარმეტყველების — დავითის და სოლომონის სახელები.

7. განღებული კარისა და დავითის კლიტეს საშუალებით „წმინდა იოანეს სურდა განეცხადებინა, ერთი მხრივ, ქრისტიანული სარწმუნოების მტერთა დამარცხება, ხოლო მეორე მხრივ, დამონებული მართლმადიდებლების აღორძინება და მათი მძლავრი და დაუმარცხებელი სახელმწიფოს აღდგენა".

ღვთისმეტყველის განმარტებით, „გამოცხადების" ერთ-ერთი მუხლი შეიცავს ქართველთა საგანგებო დამოძღვრას — მოუწოდებს მათ, იყვნენ უშიშარნი და არანაირი კავშირი არ იქონიონ არც ბოროტ მუსლიმანებთან, არც უგუნურ მწვალებლებთან (ლუთერანები, კალვინისტები), არც ხარბ, ცრუ და ანგარებიან მართლმადიდებელ მეფეებთან (რუსები) და ბოლოს: ბრწყინვალე ისტორიული გზა და განსაკუთრებული როლი, რომლისთვისაც მოწოდებულნი არიან ქართველები, არის ღვთის ჯილდო მათი შეურყეველი ქრისტიანული რწმენის, მართლმადიდებლობისადმი მოშურნე ერთგულებისა და სახარებისეული დიდი სათნოებისთვის.

„აღმოსავლეთში მხეცის სრული დამარცხების შემდეგ იბერიიდან წარმოიმართება მორწმუნეთა მმართველი ხელმწიფე და მეფე, რომელიც უფლის ჭეშმარიტი გზით ატარებს მათ და ამავე დროს ჩაშლის მტრების მზაკვრობებსა და უთვალავ ხაფანგს... როდესაც დადგება უფლის მიერ დანიშნული ჟამი,



საქართველოს დიდება

მუსლიმანები მრავალრიცხოვანი ჯარით შეუტევენ პატარა იბერიას, მაგრამ ღვთის ძალით დაცული მართლმადიდებელი ქართველები გაანადგურებენ ურწმუნოებს და „სრულ და საუკუნო დავიწყებას მისცემენ მათ ტირანიას მთელ აღმოსავლეთში". ამგვარადვე განადგურდებიან ანტიქრისტეს სხვა ძალები და... მართლმადიდებელი სარწმუნოების მისაღებად მოვლენ „ყოველი ებრაელი", უამრავი მუსლიმანი, პაპისტები, ზოგიერთი ათეისტი და ვოლტერის მიმდევარი".

ნიშანდობლივია ნაბუქოდონოსორის ხილვის დანიელის წიგნის (მე-2, 34-ე, 35-ე და 44-ე მუხლების) მიხედვით განმარტება: „შენ უყურებდი: უცბად ერთი ქვა, ვინმეს ხელშეუხებლად მოსწყდა, მოვიდა და დაეჯახა ქანდაკებას... და ქვა, რომელიც დაეჯახა ქანდაკებას, გახდა დიდი ქვა და გაავსო მთელი ქვეყანა... ამ მეფეების დროს ზეცათა უფალი დააფუძნებს სამეფოს, რომელიც არასოდეს განადგურდება და ამ სამეფოს სხვა ერი ვერ დაეპატრონება".

ქანდაკების ფეხები, კირილეს მიხედვით, სიმბოლურად ნიშნავს ორ უკანასკნელ იმპერიას, რომლებიც ანტიქრისტეს ორი ძალაა — ისლამი და პაპიზმი, რომელთაც აპოკალიფსის მე-13 თავში ორი მხეცი ეწოდება. დანიელის ხილვის მთა პირველადი მნიშვნელობით აღნიშნავს ისრაელის თორმეტ ტომს და მეორადი მნიშვნელობით — მართლმადიდებელ მეფეებს. ბიზანტიელმა იმპერატორებმა თავისი ღვთისმოშიშობის სანაცვლოდ ღვთისაგან მიიღეს მეუფება და ძალა, მაგრამ როცა განშორდნენ უფლის გზას, ღვთისაგან დაისაჯნენ. შემდგომ უფალმა თავისი ძალაუფლება მიანდო რუსეთის მართლმადიდებელ მეფეებს, მაგრამ მათაც გადაუხვიეს ჭეშმარიტ გზას და იწვევენ ღვთის რისხვას.

იბერიის ძალიან მცირე სამეფო არის ერთადერთი მორწმუნე სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენის ერთგული დარჩა. ამპარტავნებითა და სიხარბით შეპყრობილმა რუსეთის მეფეებმა ხელყვეს საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოუკიდებლობა — „მიიტაცეს მათი გვირგვინი". სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსეთის პოლიტიკურ და საეკლესიო ხელისუფლებას შეუერთეს. ქართველი ხალხი მამაცურად და თავგანწირვით იბრძვის დამოუკიდებლობის აღსადგენად და ღმერთი შეეწევა მას ამ საუნჯის მოპოვებაში. ასე რომ, ქვა, საქართველო, მალე მოსწყდება მთას, გათავისუფლდება რუსეთის ბატონობისგან ვინმეს ხელშეუხებლად, რუსეთის პოლიტიკური და საეკლესიო ინსტანციების გადაწყვეტილებისა და თანხმობის გარეშე და ეს ქვა გახდება დიდი მთა, რომელიც დაამსხვრევს და გააცამტვერებს დანარჩენ სამეფოს!"

*აქ ვწყვეტთ ფრაგმენტის ციტირებას. კირილე ლავრიოტისის საღვთისმეტყველო შრომა კანონიკური არ გახლავთ და მის დასკვნებს ფუძემდებლური მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ ჩვენთვის ღირსშესანიშნავია ის გარემოება, თუ როგორ აფასებს ჩვენი რწმენის თანამოზიარე მართლმადიდებლური ქვეყნის წარმომადგენელი ქართველი ერის მიერ ქრისტიანობის საკურთხეველზე მიტანილ ღვაწლს, ღვაწლს იმ ერისას, რომლის სასულიერო და საერო პირთა შორის მრავალნი იყვნენ ქრისტეს სახელისთვის წამებულნი. და, ბოლოს და ბოლოს, მართლაც შეიძლება წინასწარმეტყველება დაერქვას იმას, რომ კირილე ლავრიოტისმა ორი საუკუნის წინ ამოიცნო ქვეყნის ვინაობა, რომელმაც განსაკუთრებული სიწმინდითა და ერთგულებით შეინარჩუნა მართლმადიდებლური წესჩვეულებანი და ტრადიციები!*

## რას გვეტყვი, მამაო?

**— ლენტეხის თემის ქრისტიანულ პანთეონში არის ლამარიას სახელობის ეკლესია. სალოცავები ლამარიას სახელზე მრავლადაა როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთის სოფლებში, სადაც წლის ასათვლელ მთავარ საწყის დღეობად, გადმოცემის მიხედვით, ითვლებოდა ბარბალობა. გთხოვთ განგვიმარტოთ ამ წმინდანის ვინაობა და დღესასწაულის რაობა.**

— „ლამარია" — სვანურად წმინდა მარიამს, დედაღვთისმშობელს აღნიშნავს. რაც შეეხება ბარბალობის დღესასწაულს, შობის მარხვაში 4 (17) დეკემბერს აღინიშნება წმინდა ბარბარეს ხსენება (სვანურად „ბარბოლ", „ბარბლაშ").

ბარბარობა მთელ დასავლურ ქართულ ტრადიციაში დღესასწაულების თავად, დასაწყისად არის მიჩნეული. ამ დღეს განსაკუთრებული ზეიმით ხვდებოდნენ მესტიაში. ბარბოლას სამ დღეს უქმობდნენ. ყველგან, მთელ საქართველოში, ამ დღეს ოჯახში მეკვლე მოდიოდა.

**— როდიდან ვეძახით მღვდელს „მამაოს"? აკი ქრისტემ ბრძანა: „ერთი არს მამაი თქუენი, რომელ არს ცათა შინა" (მათე 23,9).**

— თუ თქვენს შენიშვნას პირდაპირი მნიშვნელობით მივიღებთ, მაშინ თვით ხორციელ მამასაც ვერ ვუწოდებთ ამ სახელს, რადგან ამგვარად მხოლოდ ღმერთი უნდა მოვიხსენიოთ. სასულიერო პირისადმი მსგავსი მიმართვა უძველესი ქრისტიანული ტრადიციაა. პავლე მოციქულის ეპისტოლეში ტიმოთესადმი, ნათქვამია: „შვილო ჩემო, განძლიერდი მადლითა იესო ქრისტესითა" (ტიმ. 2, 1), რაც ადასტურებს, რომ პავლე მოციქული ტიმოთეს სულიერი მამა იყო.

**— ჩვენი ტელევიზია დიდ რეკლამას უკეთებს პრეზერვატივებს და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს. ეს ხომ უზნეობა და პირდაპირ მოწოდებაა მრუშობისა და სექსუალური სიბილწისაკენ?**

— სამწუხაროდ, დღევანდელი ტელევიზია არ ზრუნავს მაყურებლის ინფორმაციის შევსებაზე ქრისტიანული ზნეობით აღბეჭდილი გადაცემებით. სატელევიზიო არხები ტელევიზიის მეპატრონეთა დაკვეთით ხშირად სიბილწესა და უზნეობას უწევენ პროპაგანდას. ყველა მათგანი აუცილებლად აგებს პასუხს უფლის წინაშე.

## საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია



ამ დღეებში მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ დიდებით აღნიშნა ყოვლადწმინდა მარიამის — უფლის დედის — შობის დღესასწაული და წმინდა მოწამე ქეთევანის ხსენების დღე.

გთავაზობთ საქართველოს მეოხისა და მფარველის — ღვთისმშობლისა და ერისა და სარწმუნოებისათვის შეწირული ქართველი დედოფლისადმი მიძღვნილ ლექსებს. მათი ავტორია საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა, თავადაც სამშობლოსათვის წამებული რაინდი.

### ღვთისმშობლისადმი

ადამის მოდგმა დაობლდა,
თუ გველი გაწვა ცაზედა,
ედემში ალვა ჰყვაოდა,
აქ ნაცარს ვიყრი თავზედა.
სოფლისა წარმავალობამ
გამიასკეცა ჭრილობა,
თუ მიხსნის, შენი წყალობა
და შენი წილხვდომილობა.
შენგან, შენგან განიდიდა
და განახლდა მიწა ძველი,
შენ დაჰბადე სიკვდილითა
სიკვდილისა დამთრგუნველი....
სული მომმადლე თმენითა,
გამოუთქმელი ენითა,
ხრწნილებათაგან დამიხსენ
უხრწნელებითა შენითა.
თუ რამ ვცოდე, მომიტევე,
დამიშრე ცრემლთა ტბორები,
ნუ სადა მე დამიტევებ,
ნუ სადა განმეშორები...
შენ, თვალო სულიწმინდისა,
ადამის მოდგმის გაისო,
ცისკენ გამდებო ხიდისა,
სერაბინთ უზესთაესო...
წინაშე ძისა შენისა
მას დღესა განკითხვისასა,
ნუგეშად გამოგვეჩნდი რომელი,
გვექმენი შუამდგომელი.

### ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი

ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან,
როს გული მკერდში არ ეტევა.
და სისავსისაგან სრულქმნილი,
იფრქვევა მეწამულ ღველფებად
ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან.
მზე ჩავა ლომისფერ ქედებთან,
დასტოვებს ანთებულ ფერვალებს.
შორეულ ოცნებად ედება
დათალხულ, დაბინდულ მწვერვალებს.
წმინდანთა გულივით ანთია,
წმინდანთა სისხლივით ელვარებს.
სალამო იისფრად ბერდება,
კაბადონს წარსტაცებს ჩირაღდნებს,
ბაგეებს მოსკდებათ ვედრება,
როდესაც ვარდისფრად ინათებს.
და მოდის ის სულისკვეთება
ღედებს რომ მიჰქონდათ აკვნებთან,
ეს გული იდუმალ აკვნესდა,
შენ გიხმობს, ქართველთა აგნესავ,
იბერთა სასწაულქმედებავ,
წმინდაო მნათობო ქეთევან.
ნეტართა პარნასში რჩეულო,
ანგელოსთ იერით მღიმარევ,
სიწმინდევ შენ მინანქრეულო,
შენ ჩვენთა ცრემლების მდინარევ.




## ამბა ბასილი დიდი

## მოქცეული იუდეველი

ამქვეყნიური ცხოვრების მიწურულს წმინდა ბასილი დიდი რამდენიმე დღე სასიკვდილო სარეცელს იყო მიჯაჭვული და ძლივსლა სუნთქავდა. ამ დროს იგი მოინახულა ებრაელმა ექიმმა, რომელთანაც წმინდა ბასილი მეგობრობდა. თავისი წინათმცნობელობის ძალით მან უწყოდა, რომ ეს იუდეველი ბოლოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცეოდა, ამიტომ ყოველთვის სიხარულით იღებდა და შეაგონებდა, ქრისტეს ნათელით შეიმოსეო. იუდეველი კი პასუხობდა, ჩემს მამა-პაპას რა რჯულიც ჰქონდა, მეც ის მინდა მქონდესო. და აი, წმინდანის სიკვდილის წინ ეს უებრო მკურნალი თავის ქრისტიან მეგობართან მივიდა, გასინჯა და უთხრა, — ორიოდ საათში აღესრულებიო. მეტი რომ ვიცოცხლო, ვთქვათ, კიდევ ერთი დღე, რას იზამო, — ჰკითხა ბასილიმ.

— ეს შეუძლებელია! — მიუგო იუდეველმა, — მრავალი წლის სამკურნალო გამოცდილება უტყუარად მკარნახობს, რომ არათუ შენი სიცოცხლის საათები, წუთებიც კი დათვლილია.

— მე უფალ იესოს შევევედრები და იგი მაცოცხლებს, რათა შენ მოიქცე! — უთხრა წმინდანმა.

— თუ ასე მოხდება, უმალვე ქრისტიანად მოვინათლები! — თქვა ებრაელმა და შინ წავიდა.

წმინდა მღვდელმთავარს ლოცვით უფალმა გაუხანგრძლივა სიცოცხლე და როცა მეორე დილით იუდეველი კვლავ მივიდა, რათა თავისი ფიქრით, უკვე გარდაცვლილ მეგობარს გამომშვიდობებოდა, წმინდა ბასილი ფეხზე დახვდა.

გაოგნებულმა იუდეველმა თქვა:

— დიდება უფალს, რომ სიცოცხლე



გაგიხანგრძლივა! მჯერა, რომ რამდენსაც სთხოვ შენს ღმერთს, იმდენს გაცოცხლებს!

— მაშ, მოინათლები თუ არა? — ჰკითხა ბასილიმ.

— ახლავე მზად ვარ! — მიუგო იუდეველმა.

მაშინ წმინდა მღვდელმთავარმა უთხრა, რომ თავად მონათლავდა. შემდეგ საყდარში შევიდა, საღმრთო ლიტურგია აღასრულა, მონათლა ებრაელი მეგობარიც და მთელი მისი სახლეულიც, ბოლოს კი ყველას გამოეთხოვა — ჩემი აღსასრულის ჟამმა მოანიაო. ახალმოქცეულმა ებრაელმა უთხრა:

— გმადლობ ყოველივესათვის, რაც ჩემთვის გააკეთე: შენი წყალობით მე და ჩემი სახლეული ყოვლადწმიდა სამების — მამის, ძის და სულიწმიდის განმადიდებელნი ვიქნებით!

წმიდა ბასილიმ მადლობა შესწირა უფალს იუდეველის საკვირველი მოქცევისათვის და იმავ დღეს მშვიდობით განუტევა სული.

## მართლმადიდებლობის სასწაული

არიანული მწვალებლობის აღმსარებელმა ბერძენთა მეფე ვალენტიმ დახურა მართლმადიდებლური ეკლესიები თავის სახელმწიფოში. ისინი არიანელთა ნებას დაუმორჩილა და ბრძანა, გაეძევებინათ ყველა მართლმადიდებელი ეპისკოპოსი. ამ უკანასკნელთ მიმართეს მეფეს, — ბრძანების აღსრულებამდე გთხოვთ, ნება დართო ბასილი დიდს, ეკამათოს არიანელებს სარწმუნოებრივ საკითხებზე. თუ ისინი დაამარცხებენ ბასილის, ჩვენ უსიტყვოდ დაგემორჩილებითო.

მეფე დათანხმდა და მოიწვია ბასილი ნიკეაში. ბასილი დიდმა მეფე ვალენტის უთხრა, — არიანელებთან დავაში თვით უფალი განგვსჯისო და ბრძანა, დაეკეტათ ერთ-ერთი ეკლესიის კარები. შემდეგ მიმართა არიანელებს: „თუ წინააღმდეგნი არ იქნებით, ამ კარების მეოხებით შემიძლია დაგარწმუნოთ, ვისი რწმენაა ჭეშმარიტი. თუ თქვენი ლოცვით გაიღება იგი, გვეცოდინება, რომ სიმართლე თქვენს მხარესაა, ხოლო თუ ჩვენი ლოცვის დროს გაიღება — მაშინ ყველამ უნდა აღიაროს, რომ მართებულად გვწამს ჩვენ და არა თქვენ". არიანელები დათანხმდნენ. დილიდან საღამომდე ლოცულობდნენ ისინი, მაგრამ დახშული კარები არც შენძრეულა. შემდეგ დადგა მართლმადიდებელთა ჯერი. წმიდა ბასილი სამღვდელო დასთან და მართლმადიდებელ მრევლთან ერთად მივიდა ეკლესიასთან, მუხლი მოიყარა და დაიწყო ლოცვა. უეცრად იქუხა და განიღო ეკლესიის კარები. ყველანი შეძრწუნდნენ და განადიდეს უფალი. მეფემ ბრძანა, დაებრუნებინათ ეკლესიები მართლმადიდებლებისათვის, ხოლო ბასილი დიდი ძვირფასი საბოძვრით დაასაჩუქრა და მშვიდობით განუტევა.

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის" ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 32

*გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა*



**ჩვენს მკითხველს უკვე რამდენჯერმე შევთავაზეთ ინტერვიუები, რომელთა რესპონდენტები გახლდნენ მეცნიერები, საზოგადო თუ რელიგიური მოღვაწეები, ხოლო საუბრის მთავარი თემა კი — იდეოლოგია, უფრო ზუსტად, ეროვნული იდეოლოგია იყო. ცხადია, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რუბრიკის სათაურიც — „გზა ხსნისა", უპრიანი უნდა იყოს ყველა აღნიშნული პუბლიკაციისთვის (მკითხველის სულს რომ დიდად ეხმიანება [illegible] მოწერილი წერილებიდანაც ჩანს).**

**და კიდევ ერთი: ყველა რესპონდენტთან საუბარს იმ კითხვით ვიწყებდით, — არის თუ არა საჭირო ზოგადად იდეოლოგია და კონკრეტულად — ეროვნული იდეოლოგია, ხომ არ არის ეს ანაქრონიზმი თანამედროვე პირობებში?!**

სწორედ ეს იყო ჩვენი პირველი კითხვა დღევანდელი რესპონდენტის მიმართაც — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილის** [illegible]

— ჯერ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ სულაც არ არის ნონსენსი ასეთი ცნება — ერის ფსიქოლოგია, ერის ფსიქიკა. ფსიქიკა სულიერი არსების მახასიათებელია, მაგალითად, ადამიანისა. და, აქედან გამომდინარე, [illegible] ერსაც აქვს ფსიქიკა, ხასიათი, გონი, დადებითი და უარყოფითი თვისებები, ე.ი. ერიც სულიერი არსებაა!

ალბათ ერთი შემეპასუხებიან — ე.წ. „ინტერნაციონალისტები", „გლობალისტები" და ა.შ., მაგრამ ვეცდები, ლოგიკურად მივიდეთ აღნიშნულ დასკვნამდე: [illegible]

[illegible]

— ე.ი. თქვენ იმ აზრსაც ეთანხმებით, რომ თუ ერს „მთავარი ადამიანური თვისებები" — სულიერება და ინდივიდუალიზმი აქვს, მაშინ ისევე, როგორც ადამიანები, ერებიც უნდა იყვნენ ჯანსაღი და ავადმყოფი, ნიჭიერი და უნიჭო, ბოროტი და კეთილი, ამაყი და სხვაც...

— უდავოდ! უფრო მეტიც — კანიბალი ერებიც არსებობენ, ისევე როგორც კანიბალი ადამიანები! [illegible]

[illegible]

— ამერიკა?..

— ეს განსაკუთრებული შემთხვევაა; [illegible] „თავისუფლების ამერიკული გაგების" ქვაკუთხედი!

აღმოსავლური კულტურა პირიქით — მოვალეობებს ეფუძნებოდა. ადამიანი არ იყო უბრალოდ ადამიანი: ის იყო მჭედელი, ჯარისკაცი, ქმარი, მოსამართლე და ა.შ. და მას უფლება კი არ ჰქონდა, ევალებოდა, დაეცვა ოჯახი, ერი, ქვეყანა, რელიგია... ცხადია, ეს ორივე უკიდურესობაა.

თავისუფლება უფლებებისა და მოვლენების გონივრული გაწონასწორებაა და ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს.

სწორედ ასეთი „ოქროს შუალედი" იყო ევროპა და მათ შორის საქართველოც — ზოგადად „ევროქრისტიანული სივრცე". ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩვენში (ევროპაში) დიდ კაცად ის ითვლებოდა, ვინც შეგნებულად დადებდა თავს საერთო საქმისათვის, მაშინ როდესაც აღმოსავლეთში ასეთად ფანატიკოს თვითმკვლელს მიიჩნევდნენ, ხოლო ამერიკაში კი მას, ვინც სხვაზე მეტი ფული იშოვა საკუთარი(!) კეთილდღეობისათვის, ან სხვაზე მეტი კაცი მოკლა თავდაცვის მიზნით.

ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ თავისუფლების სწორი თუ არასწორი, მაგრამ რაც მთავარია, — ჩვენეული გაგება შევინარჩუნოთ: უფლება, შერწყმული მოვალეობასთან სხვა ადამიანებისა და მთლიანად ერის მიმართ!

— **ბატონო შოთა, მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ: ვართ თუ არა ჩვენ დამოუკიდებელი, თავისუფალი ერი?**

— კარგი კითხვაა, რადგან... არსებით შეცდომას შეიცავს და მასზე საუბრით დავიწყოთ: დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ერმა, სახელმწიფომ — ახლანდელი ხელისუფლების სახით, სამწუხაროდ, გეზი არ აიღო თავისუფლებისაკენ.

დამოუკიდებლობა უძნელესი პროცესია. ეს ცნობილია ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში — შიში დამოუკიდებლობისადმი. ჩვენს ხელისუფლებას სწორედ ეს შიში სჭირს: ხან „ძველ პატრონთან" დაბრუნებას ცდილობს, ხან „ახალ პატრონს" ეძებს, ხანაც „დამოუკიდებლად ფუსფუსებს" — ვითომ საქმეს აკეთებს... ამით თანდათან გვაცილებს თავისუფლებას. არადა, დღეს საფრთხე სწორედ ჩვენს თავისუფლებას ემუქრება და არა დამოუკიდებლობას, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა.

— **ხელისუფლებას საყვედურობთ. თუმცა ამბობენ, როგორიც ხალხია, ისეთი ხელისუფლებაც ჰყავსო.**

— ეგ არის, მაპატიეთ და — სისულელე, ხელისუფალთა მიერ თავის გასამართლებლად მოგონილი „ლოგიკა". რეალურად კი სწორედაც პირიქით გახლავთ — როგორიც არის ხელისუფლება, ისეთად აქცევს ხალხს!

სწორედ ხელისუფლებაა დამნაშავე, რომ ჩვენ არ გვაქვს ეროვნული მრეწველობა, ეროვნული სოფლის მეურნეობა, ეროვნული განათლება, ეროვნული კულტურა... ამიტომ გვინოდებენ „განვითარებად ქვეყანას", „ქვეყანას, რომელიც სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა", „მესამე კატეგორიის ქვეყანას" და ა.შ. ერი სრულყოფილი ხდება, როდესაც იგი „ეროვნულ სახელმწიფოებრიობას" აყალიბებს, ჩვენი ხელისუფლება კი ამას არ აკეთებს!

— **მაშ რას აკეთებს?**

— რაღაცების გავლენით, არაეროვნულობა „შემოვიდა მოდაში"! გაიხსენეთ ცინიკური, ნიჰილისტური გამონათქვამები: „პროვინციული ფაშიზმი", „ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობა", „დაბალი ღირებულება"... ეროვნულობამ დაკარგა (ან დააკარგვინეს) ფასი. ერთ ფაქტს მოგიყვანთ: ჩვენ ყოველთვის ვატარებდით გამოკითხვებს და როდესაც ღირებულებებს ვალაგებინებდით (ასეთი 21 ღირებულება იყო), ჯერ კიდევ 25 წლის წინ (კომუნისტების დროს!) თავისუფლებას, ეროვნულ კულტურას, ეროვნულობას, პირველი ადგილები ეკავა და მხოლოდ მერე მოდიოდა ჯანმრთელობაც, ოჯახიც, ფულიც... ახლა, დაახლოებით ორი წლის წინ, ჩავატარეთ იგივე გამოკითხვა და მე-17, მე-18, მე-19 ადგილზე (21-დან!) გადაინაცვლა ეროვნულობამ, დამოუკიდებლობამ, კულტურამ... პირველ-მეორე-მესამეზე ახლა არის ოჯახი, მეგობრები და პიროვნული მოთხოვნილებები... ეს გადაგვარება, ეს არაეროვნული ორიენტაცია არის ხელისუფლების „დამსახურება".

— **„ოჯახი", „მეგობრები", „პიროვნული მოთხოვნილება" თავისთავად ცუდი არ უნდა იყოს...**

— მხოლოდ ერთი შეხედვით! რას გულისხმობს ოჯახზე ზრუნვა, მეგობრების პატივისცემა და პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დღევანდელ პირობებში?! — მატერიალური ღირებულებების მოპოვებას და ე.ი. კორუფციას!

კორუფციას დღეს უდიდესი სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს! თქვენ გინდათ რომ დასჯით მოსპოთ კორუფცია? — არ გამოვა. უნდა შეიქმნას ღირებულებები, რასაც ემსახურება კაცი, რაც მისთვის სასახლის აშენებაზე უმნიშვნელო არ იქნება. მე არასოდეს მყვარებია სტალინი, მაგრამ მის ნიჭიერებას ვერავინ უარყოფს: „სამამულო" დაარქვა ომს, ამით რუსეთს მისცა იდეა, რისთვისაც თავს განირავდა, მან მიუთითა, რომ რუსული კულტურისთვის, თავისი მამულისა და ოჯახისთვის უნდა ებრძოლა!

# ერის „ავადმყოფობის" მკურნალი „ექიმი" თუ უნიჭოა, ერმა „თვითმკურნალობას" უნდა მიმართოს

*გაიხსენეთ, როგორ მიდიოდა თავიდან ახალგაზრდობა აფხაზეთის ომში — ისინი ეროვნულ ღირებულებას იცავდნენ. ამერიკელი ჯარისკაცი ყოველთვის, საუკუნეების მანძილზე, ხელფასს იღებდა, რადგან მისთვის ფული იყო „ეროვნული ღირებულება", ახლა?! ჯარში აღარ მიდის ქართველი ახალგაზრდა და არა მხოლოდ ცუდი პირობების გამო, არამედ იმიტომ, რომ აღარ „ახსოვს", რომ ქვეყანას, ტრადიციას, კულტურას, ერს(!) დაცვა სჭირდება. დაავიწყეს! ხელისუფლებამ დაავიწყა...*



აქ კი რა ხდება? რას მეუბნება ხელისუფლება? — „არ მოიპარო იმიტომ, რომ დაგიჭერ!" ეს არასოდეს ჭრიდა. გაიხსენეთ სცენა დიკენსის „დავით კოპერფილდიდან": ხდება ქურდების „საჩვენებელი" დასჯა. ხალხი სახრჩობელებს მისჩერებია. ამით სარგებლობენ სხვა ქურდები და მათ ჯიბეებს უცარიელებენ. დასჯა საჭიროა, მაგრამ არა სხვის დასაშინებლად, არამედ იმიტომ, რომ დასასჯელმა მიუღებელი, არასწორი საქციელი ჩაიდინა და საკადრისი უნდა მიეზღოს. ვინმეს დასჯას ხალხი სიმართლის აღსრულებად უნდა აღიქვამდეს და არა გაფრთხილებად და ჭკუის სწავლებად, რადგან მისთვის „ჭკუის სწავლა" უკვე უფრო ფრთხილად მოპარვას ნიშნავს.

— **ე.ი. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა...**

— კორუფციის წინააღმდეგ ასეთი ბრძოლა განწირულია დასამარცხებლად... მაგალითად, განა შიდსი მოისპობა იმით, რომ შევკრიბოთ ყველა შიდსიანი და დავხვრიტოთ?! სადღაც ხომ მაინც იბოგინებს ბაცილა, რომელიც ახალ მილიონებს დაააავადებს.

მოხსნი? დაიჭერ? ახალი მოვა, რომლისთვისაც უპირველესი ღირებულება ისევ და ისევ საკუთარი თავი და ოჯახია, რომელსაც „რჩენა" უნდა, რაც თავისთავად საჭიროა, მაგრამ ამას გააკეთებს მისთვის „მეჩვიდმეტე-მეოცე ადგილზე" მყოფი ეროვნულობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხარჯზე.

წელან ვთქვი, როგორიც ხელისუფლებაა, ისეთი ხდება ხალხი-მეთქი. სამწუხაროა, მაგრამ ქართველებს ჩამოგვიყალიბდა კანონისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ხალხი კანონს აღიქვამს, როგორც მის „დამსჯელს" და არა „დამცველს". ნებისმიერ „უბრალო", „პატიოსან" მოქალაქეს, რომელიც აღშფოთებულია კორუმპირებული მინისტრით, თვითონ პოლიციასთან ან სასამართლოსთან ურთიერთობისას ჯიბისკენ მიაქვს ხელი. მას აღარც იმედი აქვს და აღარც უნდა სიმართლისათვის ბრძოლა, ურჩევნია ფული გადაიხადოს. ვინც ქრთამს იძლევა, ის მის აღებასაც არ ითაკილებს, თუ მისცეს. ამიტომ ისიც რომ დანიშნო მინისტრად, კორუმპირებული გახდება. ე.ი. პიროვნებები კი არა, ურთიერთობებია კორუმპირებული, რასაც ისევ და ისევ ხელისუფლება არ, ან ვერ უშლის ხელს. უფრო მეტიც — შესაძლოა ხელსაც უწყობდეს.

— **ძალიან ცუდად ყოფილა საქმე...**

— სხვათა შორის, აშკარად შეიმჩნევა ჭეშმარიტი ღირებულებებიდან ერთ-ერთის — რელიგიისაკენ შემობრუნება. მართალია, ბევრისთვის ეს მხოლოდ „გარე მანიპულაციები" — პირჯვრის გამოსახვა და სანთლების დანთებაა, მაგრამ ეს მაინც დიდ იმედს მაძლევს, რადგან საქართველოში რელიგია ყოველთვის იყო ეროვნულობის შემადგენელი ნაწილი.

— **როგორ ფიქრობთ, რას აპირებს ჩვენი ხელისუფლება, საით მივყავართ?**

— სწორედ ეგ არის ყველაზე უარესი, რომ არაფერსაც არ აპირებს. მას არა აქვს ის „გეგმა", „მიზნები", რომელზეც დასაწყისში ვისაუბრეთ და აქედან გამომდინარე, ის არაეროვნული ხელისუფლებაა. თვით „ეროვნულ" პარტიებშიც ასეა: ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა და რამდენიმე ათეული პარტიიდან ორიოდემ „იცოდა", რას გააკეთებდა ორი-სამი თვის შემდეგ. დანარჩენების პასუხი ასეთი იყო: „ვნახოთ, რა მოხდება და ჩვენ შესაბამისად ვიმოქმედებთ"(?!)

დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ხელისუფლება აქამდე. შეიძლება ჩემი პრეზიდენტის, ჩემი პარლამენტის, ჩემი მთავრობის ცხოვრების მიზანი საკუთარი ოჯახისა და მეგობრების წრეს ვერ სცილდებოდეს?! სამწუხაროდ, დღეს ეს ასეა!

— **ბატონო შოთა, ე.ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ თუნდაც პატრიოტიზმის დეფიციტი, ან ეროვნულობისადმი „საერთო-სახალხო ნიჰილიზმი" ხელისუფლების „დამსახურებაა".**

— რა თქმა უნდა! წელან ხელისუფლებას „არაეროვნული" ვუწოდე. მეტი უნდა მეთქვა — არაეროვნული კი არა, ანტიეროვნულია, ე.ი. ეროვნულობის წინააღმდეგ მოღვაწე, თუნდაც თავისი უმოქმედობით. გაიხსენეთ, როგორ მიდიოდა თავიდან ახალგაზრდობა აფხაზეთის ომში — ისინი ეროვნულ ღირებულებას იცავდნენ. ამერიკელი ჯარისკაცი ყოველთვის, საუკუნეების მანძილზე ხელფასს იღებდა, რადგან მისთვის ფული იყო „ეროვნული ღირებულება", ახლა?! ჯარში აღარ მიდის ქართველი ახალგაზრდა და არა მხოლოდ ცუდი პირობების გამო, არამედ იმიტომ, რომ აღარ „ახსოვს", რომ ქვეყანას, ტრადიციას, კულტურას, ერს(!) დაცვა სჭირდება. დაავიწყეს! ხელისუფლებამ დაავიწყა და ამიტომაც არის ის ანტიეროვნული. „ეროვნული" ხალხი მათ ხელს უშლით!

— **ისტორიაში ხომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც არაეროვნული მთავრობის გაფუჭებული საქმე თვითონ ერს გამოუსწორებია?**

— ჩვენ კატასტროფის წინაშე ვდგავართ და რაც თქვენ თქვით, ალბათ ერთადერთი გამოსავალია. ის, რომ ვილაცამ ეროვნული მრეწველობის აღორძინება გადაწყვიტა, თუნდაც, იმავდროულად, საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით, ამის ერთ-ერთი მაგალითია. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი ამერიკული ან ზოგადად უცხოური შევიძულოთ. პირიქით — არც იმის მომხრე ვარ, რომ თუნდაც სექსისა და ძალადობის ჩვენება ავკრძალოთ ეკრანზე, რაზეც ამდენს დაობენ, მაგრამ ეს ყველაფერი ისე უნდა მივაწოდოთ მაყურებელს, ხალხს, რომ ჩანდეს დამოკიდებულება ამის მიმართ — ეს არის ძალადობა და ეს ცუდია, ეს არის გაუკულმართებული სექსი და ეს ანომალიაა. თორემ აკრძალვით მის არსებობას ვერ დამალავ და „აკრძალული ხილივით" უფრო „დატკბება". დღეს კი ამას ან უკომენტაროდ გვაწდიან, ან აგიტაციის სახით.

— **ბატონო შოთა, მოდით, ბოლოს ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: რა ავადმყოფობა გვჭირს და იქნებ „რეცეპტიც გამოწეროთ"...**

— ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ ერს, ადამიანისა არ იყოს, ფსიქიკა, ხასიათი, დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს. ზოგი ერი შრომისმოყვარეა, ზოგი — კანიბალი, ზოგი ფუქსავატი, ზოგი ნიჭიერი, ზოგი ხარბი და ა.შ. ეს სულაც არ არის ნაციზმი ან ნაციონალიზმი — ამაზე შესაძლოა სხვა დროს ვისაუბროთ.

ქართველი უდავოდ ნიჭიერია, თუმცა ზარმაციც. უფრო ზუსტად — გაზარმაცებული, რადგან ერისთვის ჩამოყალიბებისთანავე არავის „დაუკანონებია", იყოს ნიჭიერი, ბეჯითი, ლამაზი, მახინჯი, ზარმაცი და ა.შ. ისევე, როგორც ადამიანი, ერიც შეიძლება გაზარმაცდეს, როდესაც ხედავს, რომ მის „შრომას" აზრი არა აქვს. ერის „ავადმყოფობის" „მკურნალი" მისი ხელისუფლება უნდა იყოს, მაგრამ თუ ეს „ექიმი" უნიჭო ან არაკვალიფიციურია, „თვითმკურნალობას" უნდა მიმართოს.

არსებობს დამოკიდებულება ბრბოსა და ბელადს შორის. თანდათან იგი ვითარდება და მასისა და ლიდერის ურთიერთობად იქცევა, ბოლოს ყალიბდება ერისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულება. დღეს ჩვენ ერი აღარ ვართ. სამწუხაროა, მაგრამ რაღაც შუალედი ვართ ბრბოსა და მასას შორის. ამიტომაც პიროვნებები კი არ გვხელმძღვანელობენ, არამედ ლიდერებად ჯერვერქცეული ბელადები.

წამალიც ეს არის — ჩვენ კვლავ ერად უნდა ვიქცეთ და ერს პიროვნებებმა უნდა უხელმძღვანელონ. ამაში მთავარი როლი, ვფიქრობ, ინტელიგენციამ და პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა ითამაშონ, მაგრამ არა ისეთებმა, წელან რომ ვახსენეთ — მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, რა სჭირდება ერს და როგორ მიაღწიონ ამას.

— **დიდი მადლობა ინტერვიუსათვის. ბოლოს, მხოლოდ ერთი კითხვა, რომელიც თქვენთან საუბრის შემდეგ გამიჩნდა: პოლიტიკაში აქტიურად ჩართვას ხომ არ აპირებთ?**

— მე სახალხო ფრონტის აქტიური წევრი ვიყავი და მეცნიერებას დავუბრუნდი, როდესაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ჩავთვალე, რომ საქმე გაკეთებული იყო. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნე, ეს საკმარისი არ ყოფილა თავისუფლებისათვის. გარკვეულწილად, დამნაშავედაც ვგრძნობ თავს. რადგან მკითხეთ, გეტყვით: პირველად თქვენს გაზეთს ვუცხადებ, რომ სერიოზულად ვფიქრობ პოლიტიკაში დაბრუნებას.

*ზვიად გურული*

# გია ჯოხაძე, გადაცემა „ვიციზე“ და გურანდა გაბუნიას შეპირებულ ინფარქტზე...



გია ჯოხაძე ტელევიზიის მიღმაც მეტად მრავალფეროვნად ცხოვრობს. კითხულობს ლექციებს, გამოსცა წიგნი „ავგუსტინისეული პროვიდენციალიზმი და ქამთაალმწერლის რელიგიური მსოფლმხედველობა“, რაც მისი დისერტაციის ნაწილი გახლავთ. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია, ძალიან უყვარს მუშაობის პროცესი და ხანდახან ფიქრობს, — ოჯახის სარჩენად ფული რომ არ მქონდეს საშოვარი, მთლიანად ისტორიის პრობლემებს ჩავუღრმავდებოდი... მაგრამ ალბათ მართლაც ხანდახან, რადგან ერთფეროვნება მალე ბეზრდება და ხან ტელევიზიისკენ მიიჩქარის, ხან რადიოსტუდიისკენ, ხან სცენაზე მღერის, ხანაც სუფრასთან — მეგობრებთან ერთად...

**— გია, ვიცი, რომ ტელევიზია არ არის შენთვის მთავარი საქმე...**

— პირიქით, არის. ყველაფერი, რასაც აკეთებ, შენთვის მთავარი უნდა იყოს... ერთხელ დიდი შეცდომა დავუშვი — „იბერვიზიაში“ დავიწყე მუშაობა და ჩავთვალე, რომ ეს არ იყო ჩემი მთავარი საქმე — ამ დროს უკვე ვკითხულობდი ლექციებს, ვმუშაობდი დისერტაციაზე... მაშინ რაღაც შანსი გავუშვი ხელიდან — ეს დამოკიდებულება არ იყო სწორი. მას შემდეგ, რაც პირველ არხზე ვარ, ამას უკვე ნაკლებად ვფიქრობ და ვცდილობ, რადიოშიც და ტელევიზიაშიც რასაც ვაკეთებ, ყველაფერში სული და გული ჩავაქსოვო.

**— როგორც ვხედავ, მრავალფეროვანი ცხოვრება მოგწონს...**

— ძალიან კარგია ასე ცხოვრება, მაგრამ რთულია. ვილაცები ვერ ეგუებიან ან ვერ იგებენ შენი ცხოვრების რიტმს... მაგრამ როცა რაღაც გულით გინდა, ღმერთი ყველა დაბრკოლებას დაგაძლევინებს...

**— გია, დაიხურა შენი რამდენიმე ტელეგადაცემა... როგორ შეელიე?**

— დიქტორობის პარალელურად პირველი გადაცემა იყო „გზა სინათლისკენ“, სადაც ჩვეულებრივი ადამიანური ენით, არა „იზმებით“ და მით უმეტეს, არა „არქაიზმებით“ ვსაუბრობდი რელიგიაზე... შემდეგ მიმყავდა გადაცემა „ლატარია ყველასათვის“, საიდანაც თვითონ წამოვედი და მერე დაიხურა კიდეც. მას მოჰყვა „ორჯერ ორი“... ვთვლი, რომ ეს ვიქტორინა არ დახურულა, რადგან შოუ-პროგრამა „ვიცი“, რომელიც ახლა მიმყავს მეორე არხზე და კვირაობით მეორდება პირველ არხზე, არის წინა გადაცემის მემკვიდრე — ეთერში იმავე დეკორაციით და შესაძლებლობებით გავედივართ. კარგი იქნებოდა, თავის დროზე რომ ყურად ეღოთ და გადაცემა არ გაეჩერებინათ უსახსრობის გამო. უკვე აწყობილი შოუ ხელმეორედ ავაღორძინეთ. ძალიან ბევრი მირეკავს და ძალიან ბევრი ადამიანი, გახდა ჩემთვის ახლობელი მხოლოდ იმის გამო, რომ ყურმილში მეუბნებიან — მე თქვენ მიყვარხართ, მომწონს რასაც აკეთებთ... მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს და ყველანაირად ვეცდები, სიყვარულს სიყვარულით ვუპასუხო...

**— გია ჯოხაძემ კარგად იცის, ვინ რა იცის...**

— „ორჯერ ორი“ თავიდან პოლიტიკოსებისთვის გაკეთდა, მაგრამ ბევრმა არ მიიღო ჩვენი მოწვევა, ამიტომ შემდეგ მოვიწვიეთ მსახიობები, მომღერლები და სხვა ცნობილი ადამიანები... ხომ არ შეიძლება ერთ რამეზე ორი საათი იფიქრო, თანაც ტელეკამერის წინ დგომას გარკვეული უხერხულობის მომენტიც ახლავს... ბევრმა იცოდა, ბევრმა არ იცოდა... ყველანაირად ვცდილობდი, ღირსეულად წარმოჩენილიყვნენ მაყურებლის თვალში. პრეტენზიულმა ადამიანებმა უფრო ნაკლები იცოდნენ, ვიდრე თავმდაბალმა, წყნარმა რესპონდენტებმა...

**— ისიც გამიგია, რომ კითხვა-პასუხებს გადაცემის დაწყებამდე აცნობდით, ფაქტობრივად, ამზადებდით — მოთამაშეებს...**

— პასუხებს ნამდვილად არ ვეუბნებოდით, კითხვებს ვაცნობდით. მათ ჰქონდათ დრო — ხუთი-ათი წუთი ეფიქრათ... ბევრს ეს არაფერში გამოადგა... რა ფენის წარმომადგენელიც არ უნდა იყო, მინიმუმი მაინც უნდა იცოდე, თუ გსურს, რომ ამ საზოგადოების წევრი გერქვას.

**— ისიც იცის გია ჯოხაძემ, ვინ მღერის და ვინ არა... გადაცემაში არაჩვეულებრივი პარტნიორები გყავდა — ნუცა ჯანელიძე და კვარტეტი „ფორტე“... თან თვითონაც მღერი...**

— ეს თემა ჩემთვის განსაკუთრებულია... ბავშვობიდან ვმღერი და მიხარია, რომ ახლაც შემრჩა ხმა და სმენა.... სიმღერა ყოველთვის ჩემი ოცნება იყო. არ მიყვარს, როცა ამბობენ, პრეტენზია არ მაქვსო... როცა სცენაზე ადიხარ, გარკვეული პრეტენზია და ამბიცია უსათუოდ გაქვს... მართალია... მე ვიცი, ვინც მღერის. ჩვენმა გადაცემამ გამმჟღავნებლის ფუნქციაც იკისრა — არიან ანსამბლები თუ სოლისტები, რომელთაც ცოცხლად სიმღერა არ შეუძლიათ — კარგად სიმღერაზეც არ ვლაპარაკობ — სწორად სიმღერას ვგულისხმობ... ვაპირებთ „ვიციში“ შევიტანოთ სასიმღერო ტური, სადაც დიასახლისი ისევ ნუცა ჯანელიძე იქნება და უმასპინძლებს ცნობილ მომღერლებს. ჩვეულებრივ ადამიანებს, გადაცემაში მოწვეულ მოთამაშეებს მიეცემათ შანსი, იმღერონ თავიანთ საყვარელ მომღერლებთან ერთად.

**— განსაკუთრებით რომელი მოთამაშე რესპონდენტი დაგამახსოვრდა?**

— ასეთი ბევრი იყო, მაგრამ მაინც... წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა გურანდა გაბუნიამ, თავისი საოცარი ენერგიით. გადაცემა რომ დამთავრდა, ღრმად ამოვისუნთქე და ღმერთს მადლობა შევწირე, ცოცხალი რომ გადავრჩი... მოიცა, მეორედ რომ მომიწვევ, ინფარქტს დაგმართებო, — შემპირდა... ყველა მოთამაშე ქალი იყო მომხიბლავი და ყველა მამაკაცი — ჭკვიანი და მონადირებული, რომ გადაცემა კარგად წარმოჩენილიყო.

**— როგორ გგონია, რა ელის გადაცემას „ვიცი?“**

— სამწუხაროდ, არავინ იცის, ამ ქვეყანაში და ამ დროში ვის რა მოელის... გადაცემას ჯერ არ ჰყავს შეძლებული და სახელგანთქმული სპონსორი (თუმცა, იმედი მაქვს, ვინმე დაინტერესდება). ღმერთმა უწყის, რა მოგველის... მაგრამ მაინც დარწმუნებით ვიტყვი — გაიმარჯვებს ის, ვინც იცის...

*ეკა მახარაშვილი*


გარანტია 1 წელი
ინტერნეტში ჩართვა
კომპიუტერები,
პრინტერები,
სკანერები,
ორგტექნიკა,
აქსესუარები,
სახარჯი
მასალები.
პროგრამების
ინსტალირება,
კონსულტაციები.
☎ 92-02-14
Fax 22-59-06
კომპიუტერის მაღაზია


ორშაბათი · სამშაბათი · ოთხშაბათი · ხუთშაბათი · პარასკევი · შაბათი · კვირა



# დუტა სხირტლაძე: „ჩვენ პირველი ევროპელები ვართ“



ახლახან ბარსელონაში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ევროპის პირველი მოსახლეები“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამოფენის ვერსიას კატალონიურ ენაზე.

მკითხველს ალბათ ახსოვს ჩვენს გაზეთში მოთხრობილი ამბავი ბოლნისში ნაპოვნი 1 მილიონ 700 ათასი წლის წინანდელი ადამიანის ორი თავის ქალის შესახებ, რომელიც ამერიკულმა სამეცნიერო ჟურნალმა „საიენსმა“ („მეცნიერება“) 2000 წელს მსოფლიოში მომხდარ სამ უმნიშვნელოვანეს მოვლენათა შორის დაასახელა.

ამ აღმოჩენამ თავდაყირა ამოატრიალა წარმოდგენები ადამიანის ევოლუციის შესახებ. კერძოდ, დადგინდა, რომ პირველევროპელები დმანისიდან მოდიან...

ბარსელონის გამოფენას მოჰყვა პროფესორ აბესალომ ვეკუას და დოქტორ დავით ლორთქიფანიძის საჯარო ლექციები, რომელთაც მსოფლიო მეცნიერთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. მსოფლიო პრესა ისევ აღფრთოვანებით ეხმიანება დმანისურ აღმოჩენებს. ქართველ მეცნიერებთან ერთად დმანისში დღესაც მუშაობენ პრეისტორიკოსები ამერიკიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, ესპანეთიდან. ახალი პროექტის განხორციელება მიმდინარეობს ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოებისა და ლიკის ფონდის ხელშეწყობით. სულ ახლახან ჟურნალ „ფიგაროში“ გამოქვეყნდა ვრცელი სტატია სათაურით „ჩვენი წინაპრები — ქართველები“.

შესაბამისად, გაჩნდა იდეა გადაღებულიყო სატელევიზიო ფილმი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება საქართველოში აღმოჩენილი ნამარხების ისტორია. ფილმის რეჟისორია ჯუმბერ ებრალიძე, სცენარის ავტორი მიხეილ ბასიაოვი, ოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი. ფილმის წამყვანის „როლი“ კი ტელეშოუს „ვის უნდა 20 ათასის“ პოპულარულ წამყვანს მსახიობ დუტა სხირტლაძეს მიანდეს.

როგორც თავად დუტა ამბობს, დმანისიდან ჰომინიდის ევროპაში წაყვანა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე შოუში 20 ათასის გათამაშება. დუტას მოუწია უამრავი უცხო ტერმინის დამახსოვრება, პირველევროპელებთან — თავის ქალების მიხედვით აღდგენილ „მახინჯ“ თოჯინებთან ჩახუტება, სამაროვნებში ქექვა... განსაკუთრებული სიამაყით კი ფილმის სათაურს წარმოთქვამს: „ჩვენ პირველი ევროპელები ვართ“.

ფილმი „ნეოსტუდიისა“ და „ქართული ტელეფილმის“ ერთობლივი ნაწარმოებია, საზღვარგარეთ მოგზაურობანი კი „მაგთი ჯსმ“-მა დააფინანსა. შემოქმედებითი ჯგუფი უკვე იმყოფებოდა საფრანგეთსა და ესპანეთში, სადაც გადაიღეს იქ არსებული პრეისტორიული ხანის ძეგლებზე მიმდინარე გათხრები, ბარსელონის გამოფენა, შეხვედრები მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებთან, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებენ დმანისელი ჰომინიდების პირველაღმომჩენის, ანგარდაცვლილ აკადემიკოსის ლეო გაბუნიას „წინასწარმეტყველებას“ იმის შესახებ, რომ ევროპაში პირველი ადამიანი აფრიკიდან კი არა, დმანისიდან „დასახლდა“...

სატელევიზიო ფილმიც ბ-ნი ლეო გაბუნიას ხსოვნას ეძღვნება.

ასე რომ, ქართველ ტელემაყურებელს სულ მალე მოუწევს შეხვედრა დუტა სხირტლაძესთან, რომელიც ამჯერად მათ მსოფლიოს უდიდესი აღმოჩენის შესახებ გაუწევს მეგზურობას.

*ფოტოზე: ფილმის წამყვანი დუტა სხირტლაძე და კონსულტანტი დავით ლორთქიფანიძე ბოლნისში.*

*ელენე სალარიძე*



## მილოცვა



**მანანო გელაშვილს!**

ჩვენო პატარა კუდრაჭავ, გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, შენს მშობლებთან და ძამიკოსთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

*შენი მარინა ბებო, გულადი პაპა, მაკა და ნიკო ლომიძეები*

**ვახტანგ ბაბუნაშვილს!**



ჩემო ვახუნა, ამის გარდა სხვა სურათი არ გამაჩნია, შენ კი უკვე სტუდენტი ხარ. ყველანი გახარებულები ვართ. სტუდენტობასთან ერთად დაბადების დღესაც გილოცავთ. მინდა, რომ ეს ბედნიერი ღიმილი მუდამ შენი თანამგზავრი იყოს. გისურვებ წარმატებებს. ერთს გთხოვ, მხოლოდ – ნუ დაივიწყებ იმ ახლობლებს, ვისაც შენ ძალიან უყვარხარ.

*შენი მამიდა და მამიდაშვილები – ბექა და თამთა*

**აზა და თამაზ საჯაიების ოჯახს**

ვულოცავთ შვილის *ინდირა საჯაიას* და *როინ თაბაგარის* გაბედნიერებას. ახალდაქორწინებულ წყვილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შვილთა სიმრავლეს. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ოჯახის თანამგზავრი.

*ირმა და ლევან ჩიქოვანები, ოჯახით*

## ბინები

მეტრო „დელისთან" 2 ოთახიანი ბინა, რკინის კარით, ტელეფონით, ბუნებრივი ცხელი წყლით, 4(8). ფასი $14.000. ტელ: 22-32-01

3 ოთახიანი, იზოლირებული, სუფთა ბინა, II სართულზე, ტელეფონით, მალალჭერიანი აივნით, სარდაფით, ავტოფარეხით, მუდმივი დენით, წყლით. გამოდგება საოფისედ. შესასვლელი სადარბაზოდან. საცხ. ფართი – 51, 23, 18, საერთო ფართი – 120 კვ.მ. მის: მაჩაბლის ქ. №2. ტელ: 99-65-63

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას გერმანიაში 1 წლით ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ხელფასით (ჯიბის ფული), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. შესაძლებელია წინასწარ ადგილმდებარეობის შერჩევა. ტელ: 95-64-18; 96-07-81; 7-74-79 (ქუთაისში)

ინტერნაციონალური სასწავლო სააგენტო გთავაზობთ დასაქმებასა და სწავლას AU-PAIR პროგრამით, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში; ევროვიზებს. მის: წერეთლის გამზ. №95ა. (მანეჟი). ოთხშაბათს, პარასკევს, 14-15 სთ.

გვაქვს ვაკანსიები. გვესაჭიროება რუსულის მცოდნე, განათლებული თანამშრომლები. ვთანამშრომლობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა, კომპანიის ხარჯებით. გამომუშავება ახალი ამერიკული სტანდარტებით $200-400-ის გამომუშავებით. მიმდინარეობს შერჩევა! მის: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38; 899 90-54-78. მენეჯერი ბატონი დიმიტრი

გვჭირდება განათლებული თანამშრომლები. გამომუშავება თვეში 200-300 ლარის ოდენობით. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ გამგზავრების, კომპანიის ხარჯებით. მის: მ. „რუსთაველი", ბელინსკის ქ. №2, IV სართ. №415. ტელ: 93-38-46. ელისო

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე. ისარგებლეთ და დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

სიახლე! გამოცდილი კოსმეტოლოგი გთავაზობთ ჭარბთმიანობასთან ბრძოლის უახლეს მეთოდს. ეპილაცია – პლატინის, ოქროს ან ვოლფრამის უახლესი, ერთჯერადი ნემსით (გაყუჩებით). 1 საათი – 5 ლარი. მსურველებს კი შევაძენინებთ რუსეთის ეპილატორებს გარანტიით და შევასწავლით ეპილაციას, უმოკლეს ვადაში, იაფად. ტელ: 69-54-35; 877 72-22-38. ნინო

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ! არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

„იადიგარ დაუდი" მოგემსახურებათ: შავი ძალების ზეწოლა, გაუმართლებლობა, ფინანსები, პრობლემები, შიში, ნევროზი, უძილობა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, სასიყვარულო-ოჯახური ურთიერთობა, ოჯახის აღდგენა. მის: მ. „300 არაგველი", თელავის ქ. №23. ტელ: 74-02-29; 877 41-60-03. ნანა

საინგილოდან ჩამოსული, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული წინასწარმეტყველი ინგილო ქალი შეგიმოწმებთ აურას, დაგიდგენთ და მოგიხსნით ჯადოს, გაგესაუბრებათ წარსულზე, აწმყოზე, გიწინასწარმეტყველებთ მომავალს, მოგიგვარებთ ოჯახურ თუ მეგობრულ უსიამოვნებებს, გაგიხსნით ბედს, დაგიცავთ ავი თვალისა და ბოროტი ძალისგან, გაგიკეთებთ თილისმებს თვალზე, ბარაქაზე, ბიზნესში წარმატებასა და წინსვლაზე, ყიდვა-გაყიდვაზე. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. კორპ. 193. III სად. II სართ. ბინა №25 (ოფისი). მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 95-42-20, ყოველდღე, ნებისმიერ დროს.

პროგნოზირება ფსიქოლოგიური ტესტებითა და პითაგორას ციფრობრივი მატრიცით. სულიერ პრობლემებზე საუბარი. ფასი 5 ლარი. სასურველია ბინაზე გამოძახებით. ტელ: 77-06-34 იკითხეთ ფსიქოლოგი

ვასრულებთ ბრტყელი სახურავების ხარემონტო-საიზოლაციო სამუშაოებს გარანტიით – მინა-ქსოვილით, ტოლით, ჰიდროიზოლით, შეღავათიან ფასად, გარანტიით, რესპუბლიკის ფარგლებში. ტელ: 62-42-79. ვაჟა

ფირმა „სატურნი" თბილისში ყველაზე იაფად დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის რკინის კარებს, გისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს, ა/ფ-ებს, დახვეულ კიბეებს ხეში, რკინაში; შეგისრულებთ სამშენებლო-სარემონტო, სადურგლო სამუშაოებს ევროსტანდარტების დონეზე; შევიძენთ ყველანაირ მასალას. ტელ: 39-57-00; 39-82-95; 877 42-40-18; 62-38-87

ვამზადებთ და ვამონტაჟებთ რკინის კარებს, გულიან კარებს, გისოსებს, დეკორატიულ გისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს, „გარმოშკებს", კიბეებს, მოაჯირებს – იაფად, სწრაფად და ხარისხიანად. ტელ: 877 71-93-77; 72-44-61

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტ: 69-45-18. გიორგი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვლებავ გერმანული ტყავის სამეულებს. ტელ. 95-97-31. ვალერი

გთავაზობთ ყველა სახის კომპიუტერულ მომსახურებას (დიპლომები, დისერტაციები, საკურსოები, წიგნები, ბროშურები, გაზეთები), აკრეფა-დაკაბადონებას – იაფად, სწრაფად და ხარისხიანად. ტელ: 899 16-33-13; 877 43-18-11; 60-09-75

ფირმა „კომპლაინი" გთავაზობთ ახალ კომპიუტერებს, პრინტერებს, სკანერებს, ქსეროქსებს, ნოუთბუქებს, სახარჯ მასალებს და კომპიუტერის აქსესუარებს. მის: ბელინსკის ქ. №2. ტელ: 93-19-86

საბჭოური და უცხოური მაცივრების შეკეთება; ასევე ძველებურ მაცივრებზე რეზინის და საკეტების შეცვლა, გარანტიით. ტელ: 877 49-21-88. ელიზბარი; 899 90-74-23. ნუკრი

გათბობა-კონდიცირება! ფირმა გთავაზობთ უცხოური წარმოების გათბობისა და კონდიცირების ინდივიდუალურ სისტემებს, ბინებისა და ოფისებისათვის, მონტაჟითა და გაშვებით, 1 წლის საგარანტიო მომსახურებით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 899 50-68-70. მამუკა

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეირხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები ქარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ალერგიული დერმატიტი – სრული განკურნებით. საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებით, ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი მის: რკინიგზის საავადმყოფო (ბაზრობასთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სს)

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: მარილებს, ოსტეოქონდროზს, სახსრებს, სამწვერა ნერვს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, თავის ტკივილებს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, პროსტატიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მკურნალობა მიმდინარეობს მასაჟის თანხლებით. მის: ვორონინის ქ. 1№25, II სართ. (დინამოსთან). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი. მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! კონსულტაცია უფასოა! მის: რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან"), ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11, 11-14 სთ. ტ: 39-39-97; 61-02-97. ექიმი ალექსიშვილი

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის №23 (მეტროსთან). IV სად. (ეზოდან), ბინა 1. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს, 16-18 სთ, შაბათს 12-16 სთ. ტელ: 35-20-06

გინეკოლოგიური დაავადებების კომპლექსური მკურნალობა მცენარეული პრეპარატებითა და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით. უოპერაციოდ იკურნება საკვერცხის კისტა, ფიბრომა, მიომა, მასტოპათია. ასევე ვმკურნალობთ მენსტრუაციული ციკლის დარღვევას, ორსულთა ტოქსიკოზს, კლიმაქსის პერიოდის გართულებებს. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №112 (ჩოდრიშვილის ქ. №10), ეზოში. სამკურნალო ცენტრი „კოლხი მედეა". ტასო ელიზბარაშვილი. მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, წინასწარი ჩაწერით. ტ: 94-00-27 (სამს); 95-67-75 (ბინა); 897 58-29-18

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის. აბრეშლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა №46 (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

მომზადება ისტორიაში იაფად. ტელ: 22-78-56

შევასწავლი თურქულ ენას ნებისმიერი ასაკის მსურველს. ტელ: 39-77-81. მარინა

ინგლისურ და არაბულ ენებს, თანამედროვე მეთოდებით. შეიძლება ბინაზე მისვლაც. ტელ: 899 51-75-98

ვარ სოროსის გრანტის მფლობელი, უმაღლესი კატეგორიის ქიმიის მასწავლებელი. მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს, საგნის ჩაბარების გარანტიით. ტელ: 60-02-80; 38-40-29; 64-70-61

აბიტურიენტთა მომზადება ინგლისურში, გერმანულში, ქართულში (წერა და ზეპირი), ისტორიაში, ძალიან იაფად, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთა მიერ. ტელ: 93-60-89

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი" კომპიუტერი. გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის და ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

სამხატვრო სტუდია აგრძელებს ჯგუფების შევსებას. შეისწავლება: ხატვა, ძერწვა, ფერწერა, კომპოზიცია, გობელენი, თოჯინების და ხელოვნების ისტორიის კურსი (კომპიუტერული პროგრამით). სწავლებას გაუძღვებიან საზღვარგარეთ სტაჟირებული სპეციალისტები. მის: წერეთლის გამზ. №1, III სართ. კაბ. №26 (საგამოფენო დარბაზის გვერდით). ტელ: 34-08-63; 93-20-39

კომპანია „თემსო" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტოლოგი (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკური, მანიკური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.), 96-22-89 (ბინა). 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

## იყიდება

თბილისის ცენტრში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის სიახლოვეს მდებარე ავტოპროფილაქტორიუმი. ფართი – 2500 კვმ. ტელ: 30-08-09 (საღამოს); 899 15-12-69. ზაური

ძველებური, გერმანული ვიტრინა, ზედა ნაწილი – სამმხრივი ბროლის მინით, 2 კარიანი, ქვემოთ – 2 კარიანი. $200. ტ: 23-07-65

ყავისფერი, გერმანული, როიალი „ბლუტნერი", საუკეთესო მდგომარეობაში, 1,90სმX1,50სმ, ნახევრად საკონცერტო. ფასი $7.500. ტელ: 96-09-35

ნახმარი და ახალი საწერი მაგიდები და წიგნის თაროები, რუსეთისა და თბილისის წარმოების. ტელ: 73-95-60 (14-17 სთ); 899 45-18-40. ნუგზარი

## სხვადასხვა

თუ გადაწყვიტეთ, შექმნათ ოჯახი, გაიცნოთ გულითადი მეგობარი, თავი დააღწიოთ მარტოობას და ცხოვრება გაიხალისოთ, თქვენ დაგეხმარებათ გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი და გაზეთი „სიყვარულის სამყარო". მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქუჩიდან); მიღება 10-18 სთ. ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

გეპატიჟებით ღამის კლუბ „ბუმში", სადაც 2 ოქტომბრიდან, ყოველღამე 24 საათზე, გათამაშდება მომგებიანი პრიზები; ჩვენი ყოველი მესამე სტუმარი დასაჩუქრდება. მობრძანდით, ყოველდღე, საღამოს 20 სთ-დან, დილის 6 სთ-მდე, კოსტავას №36-ში, ფილარმონიის სალაროების გვერდით. ტელ: 93-18-12

## ხსოვნა

**ციალა ჭკუასელის ხსოვნას**



ჩვენო საყვარელო ციალა, ექვსი თვე შესრულდა, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. მოულოდნელად დაგვტოვე. შენს დაბადების დღეს, 22 სექტემბერს, უშენოდ პირველად შევხვდით. ცრემლიანი და ტკივილიანია ჩვენთვის ეს დღე. ყოველთვის გვემახსოვრები. დაე, ჩვენგან ანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს მარადიული სასუფევლისაკენ.

*შენი და, ზაირა ჭკუასელი*

**ავთანდილ აბზიანიძის ხსოვნას**



ფოთოლცვენის ჟამს მიახლა შენი ნათელი სული უფალს. 2 ოქტომბერი შენი ტრაგიკულად დაღუპვის დღეა, დღე, რომელმაც შენი ლამაზი სიცოცხლე დაასრულა. მას შემდეგ, 42 ტკივილიანი დღე გავიდა. ძნელია დღემდე უშენობა, არ შერჩა დრო მკურნალი – არც ჩემთვის და არც დღემდე შენი საფლავის ქვასთან მოფუსფუსე ჩვენი ღრმად მოხუცი დედისთვის.

შენს ლამაზ სახელს დავიწყება არ უწერია. შენი ნათელი და სპეტაკი სული იყოს ყველა შენი ახლობლისა და ნათესავის მფარველი.

*შენი და მეზვინარი*

**ზვიად ნოზაძის ხსოვნას**



არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან ადრე ტოვებენ სამზეოს, მაგრამ თავიანთი ლამაზი თვისებების გამო სამუდამოდ იმკვიდრებენ ადგილს ამქვეყნად. შენც ამ ადამიანების რიცხვს ეკუთვნი, ჩვენო ზვიად.

უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც შენ ჩვენ შორის აღარა ხარ. ასე გვგონია, კვლავ შენებური ცეცხლით ჩამოუვლი საჭიდაო მოედანს და გამარჯვების შემდეგ შენებურად მოისვამ ლაწვებზე ხელს. შენი ხსოვნა მარად იარსებებს ჩვენ შორის.

დედის გულმა აბა როგორ არ იდარდოს,
მამის გულმა აბა როგორ მოისვენოს.
ფეხზე დგება, ბიჭო ზვიად, შენი საძმო
და სვამს შენი უკვდავების სადღეგრძელოს!

**თამუნა ბარათაშვილის მოგონება**



როგორი სასტიკია განცდა, რომ ჩვენ შორის აღარ ხარ... უეცრად წახვედი და უსაზღვრო ტკივილი დაუტოვე ყველას. განსაკუთრებული ტკივილი ხარ ჩვენთვისაც... შენი არყოფნით ხომ საოცარი მოკრძალება და სიმშვიდე მოგვაკლდა თანატოლებს.

როგორ გვინდა, ცხადი ბოროტი სიზმარი იყოს... სულ გელოდებით: აი, შემოხვალ, ლამაზი, სათნო, ხალისიანი და ისევ შენებურად გაგვიღიმებ. ძალიან გვიყვარხარ და ძალიან, ძალიან გვენატრები.

*ნინო, ნათია, თათია, თიკო, დუდუ, შიკო*

**ზაზა ჯიმშერის ძე გურაშვილის ხსოვნას**

ზაზა, შენ დღეს 21 წლის გახდი. მთელი ოჯახი 19 წლის მანძილზე შენს იუბილეს ერთად აღვნიშნავდით. უკვე ორი წელია, რაც 2 ოქტომბერს შენს დაბადების დღეს, სევდითა და მწუხარებით ვხვდებით, უშენოდ, შენს მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად. ყველას უზომოდ დააკლდი, ენატრები შენს სოფელს ტიბაანს. ყველა სითბოთი და სიყვარულით გიხსენებს, ჩვენო შვილო. უფალი ნათელში ამყოფებს შენს სულს, ჩვენო ლამაზო ბიჭო. ჩვენ შენზე მოგონებებით ვსულდგმულობთ.

*მშობლები და ძმა*

**ხათუნა ზაურის ასული ჭყოიძის გახსენება**



გავიდა ჯოჯოხეთური ერთი წელი. 5 ოქტომბერი, ჩემო ხათუნია, რა გულისტკივილია ჩვენთვის. ამ დღემ საერთოდ დაგვაშორა ერთმანეთს. ჩემო სიცოცხლევ, ჩემო გაშლადაუმთავრებელო ვარდო, სულით ლამაზო, ჩემო საბრალო შვილო, შენ ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, შვილმკვდარი დედა გერქვა. ახლა მეც ამ სახელს ვატარებ და ღმერთმა ქნას, მეც შენს გზას გამიყენოს მალე, რადგან შენი სიკვდილის შემდეგ, შენი დედის სიცოცხლე ჯოჯოხეთია.

ძნელია, ხათუნია, შენი გახსენება. შენმა სიკვდილმა ცხოვრება დაგვინგრია, მაგრამ დედიკო, ღმერთის ნება ასეთი ყოფილა, ასეთი ყოფილა შენი ბედისწერა.

ჩემო ხათუნია, მშვიდად იყავი, შვილო, სამარადისო სასუფეველში, მსუბუქი იყოს შენთვის ის ქვების მიწა, სადაც შენ გაიზარდე და 22 წლისას დაგისრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე. მაგრამ, ხათო, ხალხში არსებობს შენი ლამაზი სახე, შენი კეთილი გული, ნაზი სიყვარული და დაუსრულებელი მოგონებები.

გიხსენებთ შენი თვალცრემლიანი, გაუბედურებული მშობლები, და, ძმა, დისშვილი, სიძე, მეზობლები და ნათესავები. იძინე მშვიდად, ჩემო ტკბილო ხათუნია, შენი დედის მოსვლამდე.

**რომან ნონიკაშვილის გახსენება**



მონატრებაში, გლოვასა და ლოცვაში გავიდა ტანჯული 1 წელი, რაც აღარ გაგვიგია შენი გულიანი სიცილი და ჭკვიანური დარიგება. ყველას უმძიმესი ტკივილი მოგვაყენა შენმა უცაბედმა სიკვდილმა. შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი აუხდენელი ნატვრა და ოცნება. ღმერთს ვთხოვ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!

*ოჯახი*

**თენგო წულაიას ხსოვნას**



ორი წელი შესრულდა 7 ოქტომბერს, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. ნაადრევი იყო შენი გარდაცვალება ჩვენთვის, თენგო. ბედმა მხოლო 34 გაზაფხულის ხილვა გარგუნა.

გულდამწვარი დატოვე შენი შვილები, დედ-მამა და შენი დის ოჯახი. ყველანი ენატრულობთ შენი ლამაზი სახის დანახვას და ნაზი ლაპარაკის გაგონებას. ხშირად დავანთებთ სანთლებს, თენგო, რათა შენი უმანკო სული უფრო და უფრო გაბრწყინდეს ცათა სასუფეველში.

*შენზე მონატრებული გულდამწვარი და ნონა*

**მარციანე ჭანტურიას გახსენება**



და-ძმებს, მეგობრებს, ნათესავებს, თვალში გვაკლიხარ, ჩვენო უფროსო ძმაო და მეგობარო. ლონდონში – ტრადიციულ იმერულ-ქართულ ოჯახში დაბადებულს (დედა – ქეთი (ქეთრინ) უოლტერ ბოლი, მამა – აკაკი ჭანტურია), განგებამ მძიმე ცხოვრება გარგუნა – შენი ბავშვობის ოცნება, ერთხელ მაინც გეხილა დაღუღეთი, წითელი იმპერიის მიზეზით, ოცნებად დარჩა. 81 წლისა წითელი ჯვრის თანადგომით ამ ნატვრის ასრულებას ესწრაფოდი. აფსუს, ზუსტად ერთი წლის წინათ, მოულოდნელმა სიკვდილმა არ დაგაცალა. სანუგეშოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ყველას ახსოვხარ, როგორც კეთილი და მოკრძალებული ადამიანი, კარგი ქიმიკოსი, ინგლისურის სპეციალისტი – მთარგმნელი და პედაგოგი, რომელიც ყველგან (აბაშა, ახალციხე, ზუგდიდი, თბილისი) ქნეგიულად ილვწოდი. ამავე დროს, რუსთაველის სამყაროს, დღეგრძელობის საიდუმლოს და ქართული სპორტული ტრადიციების მაძიებელი და მოტრფიალე იყავი.

*მეგობრები და ნათესავები*

**ფრიდონ ებანოიძის ხსოვნას**



ერთი წელია, ჩვენს ოჯახში უშენობამ დაისადგურა. უსაზღვროა ის მწუხარება, რომელიც შენი სიკვდილით დაატყდა თავს ოჯახს. წახვედი და დაგვიტოვე უდიდესი, მოუშუშებელი ტკივილი. შენ ერთნაირად დააკლდი ყველას, განსაკუთრებით კი – სამ ვაჟკაცს, მეუღლეს და მოხუც მამას. ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, არავისთვის გიწყენინებია. მთელი შენი სიცოცხლე თესდი ღდ სიკეთეს და სიყვარულს. შენ ხომ ტკბილი მამა, ტკბილი მეუღლე და ტკბილი შვილი იყავი. ასეთად დარჩები მარად ყველას გულში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ოჯახი*

## ნეკროლოგი



შვილები: თამაზი, ზაზა; რძლები: ელზა მაზმიშვილი, ეთერ გეგეშიძე; შვილიშვილები: ლევანი, დავითი, ვასილი, თამარი; და ელმირა, ძმა ნიკოლოზი, რძალი ჯულიეტა; მულები: ნადია, ნათელა, ნორა; სიძეები: გიორგი ალადაშვილი, დიმიტრი ტლაშაძე; დისწულები, ძმისწულები, დეიდაშვილები, მულისშვილები, მაზლისშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ ვასილის ასული წერუაშვილი-დავითაშვილი**

*პანაშვიდი:* 30/IX, 1/X 16 სთ.
*მისამართი:* თორნიკე ერისთავის ქ. №10 (მ. დიდუბესთან).
*გამოსვენება:* 2/X 11.30 სთ.
*დაკრძალვა:* კასპის რ. სოფ. ახალქალაქში

ელმირა, გიორგი, ბესიკ და ირაკლი ალადაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ წერუაშვილი-დავითაშვილი**

# რატომ მიდიოდა ნათელა ნიქარიშვილი ომში და როგორ აშინებდნენ „გველების კამერით"...

თბილისი ჭორისთვის პატარა ქალაქია. ერთი მოვლენის ან პიროვნების ირგვლივ იმდენი ჭორ-მართალი ითქმება, კაცს თავბრუ დაეხვევა. თუმცა, ჩემი დღევანდელი რესპონდენტის ისტორია თავის დროზე ისე გახმაურდა, მხოლოდ თბილისი და საქართველო არ ალაპარაკებულა. ნათელა ნიქარიშვილის (ბაზრების გაერთიანების დირექტორი) დაპატიმრებას გამოეხმაურა საკავშირო პრესაც და იაპონელი ჟურნალისტი — ივაკამი ჯამუსიც კი.

„მთავარი გმირის" მონახულებამდე ინფორმაციით „აღვიჭურვე". ზოგმა კარგი მითხრა, ზოგმაც ცუდი. ვინაიდან ჩვენი რუბრიკა არც ვინმეს ხოტბა-დიდებას ითვალისწინებს და არც სუსხიან კრიტიკას და იგი უბრალოდ, ქალის მიერ განვლილი გზის, მისი ცხოვრების თქვენამდე მოტანას გულისხმობს, მეც უპირატესობა რესპონდენტს მივანიჭე და მისვლისთანავე ვუთხარი:

**— თქვენზე ამბობენ, ბევრის მნახველი ქალია და სათქმელიც უამრავი აქვს... როგორ დაიწყო ის ავბედითი პერიოდი თქვენს ცხოვრებაში?**

— ადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება. მე ერთხელ დავიბადე, მაგრამ რამდენჯერმე მოვკვდი. ძალიან მიჭირს იმ საშინელების გახსენება, მაგრამ როცა პატიმრობის შესახებ მეკითხებიან (ჟურნალისტი ან სხვა დაინტერესებული პირი), მაინც ვიწყებ თხრობას და ეს ხდება ინსტინქტურად. მოგონების წუთებში თითქმის უმართავი ვხდები, არ მასვენებს კითხვა: რატომ? ნუთუ, ამ ქვეყნიდან ისე უნდა წავიდე, რომ არ მოვიშორო ცილისმწამებლის მიერ „მოკერებული" სახელი? მე მორწმუნე ქალი ვარ და იმქვეყნიური ცხოვრებისა უფრო მწამს, მაგრამ სააქაო „სირცხვილს" არ გავიყოლებ, იცოდეთ!

**— მაშინაც მორწმუნე იყავით, როცა კომუნისტური პარტიის წევრი ბრძანდებოდით?**

— ღვთის რწმენა, შვილო, ყოველთვის მქონდა, მაგრამ პატიმრობის შემდეგ განსაკუთრებულად ვიგრძენი, რომ ღმერთის სახლთან სიახლოვე მსურდა... თქვენ გაინტერესებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი, არა? (თავს ვუკრავ. - მ.ბ.) როცა „ზემოთ" დამიძახეს და მითხრეს, ბაზრების გაერთიანების დირექტორად გიშვებთ და აბა, შენ იცი, შენი ხელი დაატყვე იქაურობასო, მემცხეთა... „ბაზრებში რა მინდა?" — დავიჟინე, მაგრამ ბოლოს, „პარტიის დავალება" მკაცრი ტონით შემახსენეს და მეც წავედი ამ თანამდებობაზე. ცოტა ხანში ქალაქის და რაიონის პროკურატურაში (ჩემი ადგილსამყოფელი მაშინ ლესელიძის ქუჩაზე იყო) ორი ანონიმური წერილი შევიდა. მესტუმრა „ახალგამომცხვარი" გამომძიებელი ბადრი ბინაძე და შემატყობინა ანონიმური წერილების შესახებ. გამოძიებამ ვერაფერი დაადასტურა და ბინაძემ დაადგინა: „არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ნიქარიშვილის მიმართ დანაშაულის არარსებობის გამო". იგივე დაადგინა მაშინდელი 1 მაისის რაიონის პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ.

1986 წლის 12 თებერვალია, დილით გაისმა სატელეფონო ზარი და ჩემმა ინსპექტორმა, ვაჟა კვინტრაძემ შემატყობინა, რომ დაიწვა გლდანის ბაზარი. გავოცდი: კვინტრაძეს ვთხოვე, შემთხვევის ადგილზე მივეყვანე. დამწვარი ბაზრის ნახვის შემდეგ კვინტრაძემ სხვა გზით წამომიყვანა. უცებ გზა წითელმა „ჟიგულიმ" გადაგვიკეტა. იქიდან გადმოსულებმა მითხრეს: — გორგოძე გეძებთ და ჩვენს მანქანაში გადმოჯექითო.

**— ვერაფერი იეჭვეთ?**

— მოწმენდილი ციდან სეტყვას უფრო ვირწმუნებდი, ვიდრე იმას, რომ ვინმეს ჩემი დაპატიმრება სურდა... ულაპარაკოდ გადავჯექი, ვიფიქრე, შინაგან საქმეთა მინისტრს ჩემთან შეხვედრა სწორედ დამწვარი ბაზრის გამო სურდა. სამინისტროში, დაახლოებით 2 საათი მალოდინეს. მოთმინების ფიალა რომ ამევსო, წამოსვლა დავაპირე. არ გამომიშვეს, ტელეფონი მოვითხოვე და უარი მითხრეს, დარეკვა არ შეიძლებაო. ჩემებმა არაფერი იცოდნენ. ვილაც კაცი აატარ-ჩაატარეს რამდენჯერმე, მეცნო. მერე გამახსენდა, ეს „დეზერტირების" ბაზრის ყოფილი კონტროლიორი სერგო მესტვირიშვილი იყო, რომელიც გავათავისუფლე... ამასობაში ერთ ოთახში შემიყვანეს, იქ 12 ადამიანი მელოდა.

ცოტა ხანში შემოიყვანეს სწორედ ის მესტვირიშვილი. მან ჩემი თანდასწრებით გაიმეორა წინასწარ შეთითხნილი ტექსტი: ბიჭებმა სამ-სამი ათასი შევაგროვეთ და ალექსანდროვნას მე მივუტანეო... თურმე, რა იოლი ყოფილა სიკვდილი. ტვინში სისხლმა ამასხა, წყლიან გრაფინს ხელი დავავლე. მინდოდა, თავში ჩამერტყა ასეთი ცილისწამებისათვის, მაგრამ გამაგდებინეს. მესტვირიშვილმა კი ტირილით მითხრა: ახლა მე გადგებით პირზე, მაგრამ, ალექსანდროვნა, ცოტა ხანში ერთ თანამდებობის პირს თქვენც დაადგებით პირზე, ესენი ისეთ დღეში ჩაგაგდებენო.

**— ვის უნდა დასდგომოდით პირზე?**

— ვის და გურამ გაბუნიას, ვითომ მას 200 ათასი მანეთი მივეცი ქრთამად, რათა ამ თანამდებობაზე დავენიშნე. ხომ სასაცილოა, ექვსი თვე უარს ვამბობდი გაერთიანებული ბაზრების დირექტორობაზე და თურმე ახლა ამხელა ფული „ჩავუკუჭე" მაშინდელ ტეკას მდივანს.

**— მერე როგორ განვითარდა მოვლენები?**

— ჯერ „კაპეზეში" გადამიყვანეს. რამდენჯერმე ხელზე ვიკბინე, ხომ არ მესიზმრება ეს საშინელება-მეთქი... საკანში შემიყვანეს. ჩაკეტილი სივრცის შიში მაქვს და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მხუთავდნენ. ცოტა ხანში მთვრალი ქალი შემომიგდეს, ხან მღეროდა, ხან კიოდა...

მერე კიდევ შემოიყვანეს ერთიც. ისეთი ბინძურები იყვნენ, რომ მომკარებოდნენ, ალბათ გულიც გამისკდებოდა. როგორც იქნა, მოვიდა ჩემი გამომძიებელი — ჯაფარიძე და „კამერიდან" გამიყვანა. მეგონა, სახლში მიშვებდა. თურმე, მწარედ ვცდებოდი. ჯაფარიძე ჩემს „კაგებეს" ციხეში გადაყვანაზე „ზრუნავდა" და არა გათავისუფლებაზე.

**— ნათელია, რომ „მათთ" გურამ გაბუნიას მოშორება სურდათ, მაგრამ მაინცდამაინც თქვენ რატომ გამოგიყენეს?**

— ამ ამბავს გაცილებით ღრმა ფესვები აქვს... ნუგზარ ფოფხაძისგან ვიცი, რომ ყველაფერი ასე დაიწყო: სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულ შევარდნაძეს გორბაჩოვმა ჰკითხა თურმე: საქართველოს ცეკას მდივნობაზე რეკომენდაციას ვის აძლევთო. შევარდნაძემ თავისი კანდიდატურები ჩამოუთვალა — მენთეშაშვილი, ქართველიშვილი, ხაბეიშვილი და გაბუნია. გორბაჩოვმა კი თავის მხრივ შესთავაზა, — განა, ჩვენი ჯუმბერი არ ივარგებსო? ეგეც შეიძლებაო, — უთქვამს შევარდნაძეს. ჯუმბერმა სწორედ ეს „ც" არ აპატია და რესპუბლიკის თავკაცი რომ გახდა, შევარდნაძის ხალხს დევნა დაუწყო.

**— და თქვენც „შევარდნაძის ხალხში" მოხვდით?**

— გეფიცებით, შევარდნაძეს პირისპირ არასოდეს შევხვედრივარ. რაც შეეხება გაბუნიას, მასში მეტოქე დაინახა პატიაშვილმა და შეეცადა მის „გაფუჭებას". იმ პერიოდში ხომ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ „გაავთრებული" ბრძოლა გაჩაღდა. ჰოდა, სამაგალითოდ დასასჯელად ყველაზე კარგი კანდიდატურა მე აღმოვჩნდი. ერთ ანონიმურ წერილში ეწერა, რომ გაბუნიას ქრთამი მივეცი (200 ათასი მანეთი). არ დაგავიწყდეთ, პარტიის 27-ე ყრილობიდან პატიაშვილმა მადლობა შემომითვალა. ორი კვირის თავზე კი უკვე „კაგებეში" ვიჯექი. მართალი გითხრათ, გაბუნიასგან არაკეთილგანწყობას ვგრძნობდი (არც მე მქონდა მისდამი დიდი სიმპათიები), მაგრამ ცილისწამებას ვერ ვიკადრებდი. არადა, მაიძულებდნენ.

**— მაინც, ვინ გაიძულებდათ?**

— გორგოძე, ინაური და სუკის თანამშრომლები ჩალაური და კიკნაძე. მოგვიანებით გავიგე, რომ პატიაშვილს, „ოგონიოკის" ჟურნალისტური გამოძიების შემდეგ გორგოძისა და რაზმაძისათვის უთქვამს: რა დღეში ჩამაგდეთ, ამ ქალზე მეუბნებოდით მექრთამეა, ბებერი, თანაც შვილიშვილების პატრონი, უცებ გატყდება და რასაც გვინდა, იმაზე მოვაწერინებთ ხელსო?

**— გამიგია, „გველების საკანში" გადაყვანითაც გაშინებდნენ, მართალია?**

— მართალია. თვალით არ მინახავს ე.წ. „გველების კამერა", მაგრამ ფსიქოლოგიურად ისეთ დღეში ჩამაგდეს, რომ მერეც, გათავისუფლებულს, სკამზე დაგდებული ქამარი გველი მეგონა და ისტერიკაში ვვარდებოდი.

**— პატიაშვილს თქვენთან შეხვედრის სურვილი არ დაჰბადებია?**

— მხოლოდ ერთხელ, ისიც მაშინ, როცა დასჭირდა. უკვე გათავისუფლებულს, ვაებაგადატანილს დამირეკა კაცმა, რომლის გამოც წლობით მომგლიჯეს ოჯახს; ვინც კიდევ ცდილობდა ხელახლა აღორძინებას. მთხოვა, შევხვდეთო. რა თქმა უნდა, არ შევხვდი. ჩემი პატიმრობისას ქართველი ჟურნალისტები დუმდნენ. იწერებოდა მხოლოდ პასკვილები. მხოლოდ რუსმა ჟურნალისტმა მიხეილ კორჩაგინმა შეძლო სიმართლის დაწერა ჟურნალ „ოგონიოკში". ამ ამბავს იაპონელი ჟურნალისტიც გამოეხმაურა, ეს მაშინ, როცა აქაურები „მართლის თქმას" ვერ ბედავდნენ.


ნათელა ნიქარიშვილი უმცროს ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად

**— კოლიმაზე გაგზავნას ვინ გადაგარჩინათ?**

— გენერალმა თენგიზ ეპიტაშვილმა. იგი იმ დროს გორგოძის მოადგილე იყო. როცა ხელმოსაწერად კოლიმაში გასაგზავნი 5 ქართველი ქალის სია მიუტანეს, გაგიჟებულა კაცი, ქალებს როგორ იმეტებთო. არ მოაწერა იმ ბრძანებას და სიას ხელი.

**— თოთხმეტი წლის ნაცვლად ოთხწელიწად-ნახევარში გათავისუფლდით... თქვენს სატკივარზე საკმაოდ ილაპარაკეთ, იქნებ სასიამოვნო მოგონებებიც გაგვანდოთ...**

— 1931 წელს დავიბადე ჭიათურაში. ცელქი ვიყავი. ცურვა და მხატვრული ტანვარჯიში მიტაცებდა. მრავალ რესპუბლიკურ თუ საკავშირო ოლიმპიადაზე გამიმარჯვია. ერთხელ, ზღვაზე, ისე შორს გავცურე, რომ დედაჩემი დააჯარიმეს. შინაურობაში ლამარას მეძახდნენ. ბავშვობაში ზოია კოსმოდემიანსკაიობას ვჩემულობდი. ერთხელ, გაგანია ომისას, 12 წლის გოგო ზესტაფონში გაჩერებულ ფრონტზე მიმავალ მატარებელში ავძვერი. ნაცნობმა თვალი მომკრა და მამაჩემს შეატყობინა. შორაპანში დამეწივნენ. სულ ცემატყეპით ჩამომიყვანა მამამ ზესტაფონში...

**— ოჯახზე რას მეტყვით?**

— თოთხმეტსულიანი ოჯახი მაქვს. როცა დამაპატიმრეს, ჩემი ექიმი ვაჟიშვილი ავტოკატასტროფის შემდეგ რეანიმაციაში დავტოვე, უფროსი ქალიშვილი 26 წლისა დაქვრივდა და მის ობლებს მე ვპატრონობდი. ქალიც მე ვიყავი, კაციც, ბებიაც და ბაბუაც. უმცროსი ქალიშვილი მოსკოვში ცნობილი გინეკოლოგია. დღეს ჩემს ვაჟს უმძიმესი დიაგნოზი აქვს. მაშინდელი უბედურების შედეგებს ახლა ვიმკით — გია საოპერაციოა და განადგურებულ ოჯახს საზღვარგარეთ მისი მკურნალობის საშუალება არ გააჩნია.

**— ბევრჯერ გითქვამთ: ციხიდან გამოსული ადამიანი არც კაცად ვარგა და არც ქალადო. თქვენ ვადაზე გაცილებით ადრე გამოსვლაც მოახერხეთ და კვლავ ფეხზე დადექით. დღეს, უკვე საბურთალოს ბაზრის დირექტორს, ბარიერები არ გხვდებათ?**

— ბარიერს ვინ გამომილევს? დავიბადე თუ არა, მაშინვე წინააღმდეგობების გადალახვა დამებედა, აქამდეც ასე მოვედი. ახლა რეაბილიტირებული ვარ, მაგრამ ეს ფორმალურად, რადგან რეპრესიები გრძელდება. დღეს, პრივატიზებულ ბაზარში ტერიტორიები და ობიექტები სხვადასხვა საქალაქო სამსახურებისა და გარკვეული პიროვნებების დანაშაულებრივი ხელშეწყობით უკანონოდ მიტაცებულია. დღემდე სასამართლო დარბაზებიდან ვერ გამოვსულვართ. სხვათა შორის, ის პიროვნებები პარლამენტსა და სამართალდამცავ სისტემაში ლიდერებად სხედან. ჯერ ველოდები ქალაქის მერის ვანო ზოდელავას განკარგულებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებას და თუ ამ კომისიამაც არ მისცა შეფასება ექვსი წლის განმავლობაში პასუხგაუცემელ დანაშაულს, მაშინ ზოგადი საუბრიდან გადავალ კონკრეტული პიროვნებების დასახელებაზე.

**— მერაბ კოსტავასთან დაკავშირებითაც გქონიათ გასახსენებელი...**

— კი, შვილო, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, მე ქალთა კოლონიაში ვიყავი. ბევრი მოდიოდა კოლონიაში, მაგრამ ყველას დაძახებაზე არ გავდიოდი. როცა გავიგე, მერაბი მოვიდა თავის მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად პატიმრების სანახავად და ნიქარიშვილსაც კითხულობსო, ხალათი შემოვიცვი და გარეთ გავვარდი. მის სულს ვენაცვალე, ამაღლებულ ადგილზე იდგა, ისეთი ნათელი და სპეტაკი იყო... დამინახა, მიცნო, მომიახლოვდა და მითხრა: თქვენ შესახებ ჟურნალ „ოგონიოკიდან" გავიგე, ყველაფერს ვილონებ, რომ მალე გამოხვიდეთ ამ ჯურღმულიდანო. უამრავი საჭმელი მოგვიტანა პატიმრებს, სახლში საგანგებოდ დამზადებული. კოლონიაში სტუმრობიდან ერთი კვირის შემდეგ დაიღუპა.

**— ერთ-ერთ მოგონებაში წერდით, რომ როცა სიცოცხლით ვერაფერ სარგებლობას მოვიტან, შევცურავ ზღვაში და იქამდე ვიცურებ, სანამ ღონეგამოცლილს და განწმენდილს ზღვის სტიქია სამუდამოდ არ ჩამიკრავს გულშიო. რატომ თქვით „განწმენდილს", ფიქრობთ, რომ მაინც ცოდვილი ხართ?**

— ჩემო კარგო, ამქვეყნად უცოდველი არავინ არის, მაგრამ იმ „ცოდვას" ვერ ავიკიდებდი, რაც არ ჩამიდენია. მივაღწიე რეაბილიტაციას, მაგრამ ბოლომდე სიმართლე ჯერაც არ თქმულა. რაც შეეხება ზღვას, — ის მართლაც ჩემი სტიქიაა, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ მერჩის ღონე,, ზღვაში „უსასრულო" ცურვას არ ვაპირებ.

P.S. კომენტარი ვთხოვეთ ბატონ **ვახტანგ რაზმაძეს**, რომელიც ქალბატონი ნათელას დაპატიმრების დროს რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა.

**ვახტანგ რაზმაძე:** ძნელია წარსულზე საუბარი, მით უფრო მაშინ, როცა ბევრი რამ დღემდე არ გაშიფრულა. ქალბატონი ნათელა მაშინაც მებრძოლი ქალი იყო და ახლაც. იგი ვერ შეეგუა სასამართლოს გადაწყვეტილებას და იმდენი იბრძოლა, თავისი სიმართლე დაამტკიცა. ხელახალი სასამართლოს განჩინებით, ნიქარიშვილმა რეაბილიტაციას მიაღწია და არ მაქვს უფლება, არ ვირწმუნო ეს გადაწყვეტილება.

*მარინა ბაბუნაშვილი*


## AMERICAN ACADEMY IN TBILISI TEACHERS

The American Academy in Tbilisi is seeking candidates for teaching for the academic year 2002-2003. Opening are available for the following subjects: English, History, Georgian, Mathematics, and Physics. All candidates must submit a CV, two letters of recommendation, a statement of purpose as to why they are applying, and results of the Institutional TOEFL test. Preferred candidates will be fluent in English, have advanced degrees in their subject, teaching experience (preferably in school), and computer literacy. Successful candidates will are study for one year in U.S. before returning to teach. Applications are available from the school at 37A Cavchavadze Ave. (22 74 41, 22 78 89). Deadline for applying: October 20, 2001

### მასწავლებელთა კონკურსი

ამერიკული აკადემია თბილისში აცხადებს ინგლისურის, ისტორიის, ქართულის, მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლების კონკურსს. კანდიდატურამ უნდა წარმოადგინოს ავტობიოგრაფია (CV), ორი სარეკომენდაციო წერილი, კონკურსში მონაწილეობის მიზანი (რეზიუმე) და TOEFL ტესტის ქულა. უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატურებს, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, აქვთ უმაღლესი განათლება, სწავლების გამოცდილება (განსაკუთრებით სკოლაში) და შეუძლიათ კომპიუტერის გამოყენება. წარმატებული კანდიდატურები გაემგზავრებიან ამერიკაში ერთი წლით. მოგვმართეთ ამერიკული აკადემიის ოფისში: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (22 74 41; 22 78 89). საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2001 წლის 20 ოქტომბერი.

## DEPUTY DIRECTOR OF SCHOOL

The American Academy in Tbilisi is seeking candidates for Deputy Director of School to assume duties in 2003-2004. All candidates must submit a CV, two letters of recommendation, a statement of purpose as to why they are applying, and results of the Institutional TOEFL test. Preferred candidates will be fluent in English, have advanced degrees in their subject, ample teaching experience (preferably in school), and computer literacy, and experience in school adminidtration with awareness of financial management. Successful candidates will study for one year in U.S. before returning to his/her duty at the Academy. Applications are available from the school at 37A Cavchavadze Ave. (22 74 41). Deadline for applying: October 20, 2001

### დირექტორის მოადგილე

ამერიკული აკადემია თბილისში აცხადებს კონკურსს დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 2003-2004წწ. მსურველებმა უნდა წარმოადგინოს ავტობიოგრაფია (CV), ორი სარეკომენდაციო წერილი, კონკურსში მონაწილეობის მიზანი (რეზიუმე) და TOEFL ტესტის ქულა. უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატურას, რომელიც კარგად ფლობს ინგლისურ ენას, აქვს უმაღლესი განათლება, სკოლაში სწავლებისა და ადმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება, გათვითცნობიერებულია ფინანსური მართვის საკითხებში და შეუძლია კომპიუტერის გამოყენება. მოვალეობის შესრულების დაწყებამდე წარმატებული კანდიდატი ერთი წლით გაემგზავრება ამერიკაში. მოგვმართეთ ამერიკული აკადემიის ოფისში: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (22 74 41; 22 78 89). საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2001 წლის 20 ოქტომბერი.



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 სად მდებარეობს განთქმული „უფიცის გალერეა"<br>ა) სანკტ-პეტერბურგი<br>ბ) მადრიდი<br>გ) მიუნხენი<br>დ) ფლორენცია | 2 რომელი ქართველი მეფე დავითის მეტსახელი იყო „ულუ"<br>ა) VI<br>ბ) VII<br>გ) VIII<br>დ) IX | 3 რომელი ტერმინი აღნიშნავს ბილიარდში „გამაზვას"<br>ა) კიკსი<br>ბ) აბრიკოლი<br>გ) კლაპშტოსი<br>დ) კონტრტუში | 4 რამდენი ვარსკვლავია აშშ-ის დროშაზე<br>ა) 48<br>ბ) 49<br>გ) 50<br>დ) 51 | 5 როდის იწყება საეკლესიო ახალი წელი — ინდიქტიონი<br>ა) 14 სექტემბერი<br>ბ) 14 ოქტომბერი<br>გ) 14 ნოემბერი<br>დ) 14 იანვარი |
| 6 სად ჩატარდა მსოფლიოს X ჩემპიონატი ფეხბურთში<br>ა) გფრ<br>ბ) მექსიკა<br>გ) არგენტინა<br>დ) ესპანეთი | 7 რომელი არ არის ტელეხედვის სისტემა<br>ა) pal-ი<br>ბ) sekam-ი<br>გ) gsm-ი<br>დ) ntse | 8 რომელი ქვეყნის ქალაქის სახელი ეწოდა ქსოვილ „მადაპოლამს"<br>ა) საფრანგეთი<br>ბ) ინგლისი<br>გ) ჩინეთი<br>დ) ინდოეთი | 9 რომელი ენიდან არის წარმოშობილი სიტყვა „სარაფანი"<br>ა) მონღოლური<br>ბ) თათრული<br>გ) სპარსული<br>დ) თურქული | 10 ერთადერთი ცხოველი, რომელიც გამოყოფს ამბრს<br>ა) ზვიგენი<br>ბ) კაშალოტი<br>გ) ცისფერი ვეშაპი<br>დ) დელფინი |
| 11 აბსურდის დრამის ფუძემდებელი დრამატურგი<br>ა) მილერი<br>ბ) ო'ნილი<br>გ) პრისტლი<br>დ) ბეკეტი | 12 რომელმა იმპერატორმა განდევნა ოვიდიუსი<br>ა) ავგუსტუსი<br>ბ) ტიბერიუსი<br>გ) კალიგულა<br>დ) კლავდიუსი | 13 რომელი კათოლიკური ორდენი აიკრძალა XIV საუკუნეში<br>ა) იოანიტები<br>ბ) ტამპლიერები<br>გ) კაპუცინები<br>დ) ცისტერციანტები | 14 რა შეესაბამება 0°C-ს ფარენჰაიტის გრადუსებში<br>ა) -32<br>ბ) -17,8<br>გ) 0<br>დ) 32 | 15 თქვენი აზრით, რა სიგრძისაა სუეცის არხი კმ-ში(დაახლ.)<br>ა) 120<br>ბ) 140<br>გ) 160<br>დ) 180 |
| 16 რომელ ქვეყნებს შორის იყო 100-წლიანი ომი<br>ა) ინგლისი-ესპანეთი<br>ბ) ინგლისი-საფრანგეთი<br>გ) საფრანგეთი-ესპანეთი<br>დ) ესპანეთი-ჰოლანდია | 17 რომის რომელი იმპერატორი არ მოუკლავთ<br>ა) ნერონი<br>ბ) კალიგულა<br>გ) კლავდიუსი<br>დ) ვესპასიანე | 18 რომელია სკანდინავიური წარმოშობის სახელი<br>ა) იზოლდა<br>ბ) მარიამი<br>გ) ოლღა<br>დ) ელენე | 19 რომელ ქალაქში მოღვაწეობდა ჯოტო<br>ა) პადუა<br>ბ) რომი<br>გ) ვიჩენცა<br>დ) ბოლონია | 20 რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს სერენგეტი<br>ა) კენიის<br>ბ) ტანზანიის<br>გ) ზიმბაბვეს<br>დ) ზამბიის |
| 21 ბურბონთა დინასტიის დამაარსებელი<br>ა) ლუი XIII<br>ბ) ჰენრიხ III<br>გ) ჰენრიხ IV<br>დ) შარლ IX | 22 კუბიზმის მამამთავარი<br>ა) პიკასო<br>ბ) კანდინსკი<br>გ) ლეჟე<br>დ) მალევიჩი | 23 ვინ გახსნა „მკვლელობა მორგის ქუჩაზე"<br>ა) მეგრე<br>ბ) პუარო<br>გ) ლეგრანი<br>დ) დიუპენი | 24 უშუალოდ რომელი თავადი მონაწილეობდა რასპუტინის მკვლელობაში<br>ა) გოლიცინი<br>ბ) იუსუპოვი<br>გ) ვოლკონსკი<br>დ) გაგარინი | 25 სადაური იყო ევერესტის პირველი დამპყრობი ედმუნდ ჰილარი<br>ა) ინგლისელი<br>ბ) ავსტრალიელი<br>გ) ახალზელანდიელი<br>დ) კანადელი |
| 26 რომელი ქვეყანაა ზურმუხტის ძირითადი მომპოვებელი და ექსპორტიორი<br>ა) რუსეთი<br>ბ) ინდოეთი<br>გ) შრი-ლანკა<br>დ) კოლუმბია | 27 რამდენი სტროფია სონეტში<br>ა) 12<br>ბ) 14<br>გ) 16<br>დ) 18 | 28 მიწის მსხალი იგივეა, რაც<br>ა) ბატატი<br>ბ) იამსი<br>გ) ტოპინამბური<br>დ) ტარო | 29 ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური<br>ა) როტერდამი<br>ბ) ჰონკონგი<br>გ) იოკოჰამა<br>დ) მარსელი | 30 რა ნომრის მაისური ეცვა პელეს<br>ა) 7<br>ბ) 8<br>გ) 9<br>დ) 10 |





„კვირის პალიტრის" №39-ში გამოქვეყნებული ტესტ-კროსვორდ „პალიტრის" პასუხები



1) გ; 2) ბ; 3) ა; 4) დ; 5) გ; 6) ა; 7) გ; 8) დ; 9) ბ; 10) ა; 11) დ; 12) ბ; 13) გ; 14) ა; 15) დ; 16) ბ; 17) დ; 18) ა; 19) გ; 20) დ; 21) გ; 22) ა; 23) ბ; 24) დ; 25) გ; 26) ბ; 27) დ; 28) გ; 29) ა; 30) ბ.

## ტესტ-კროსვორდის ამოხსნის წესები:

კვადრატებში მოცემული კითხვების 4 შესაძლო ვარიანტიდან უნდა შეარჩიოთ, თქვენი აზრით, ერთადერთი სწორი პასუხი, მოძებნოთ კვადრატის ნომრის შესაბამისი ნომრით აღნიშნული სურათის ფრაგმენტი, ამოჭრათ და მოათავსოთ ზემოთ მოცემულ ბადეზე (შეგიძლიათ დააწებოთ) თქვენ მიერ არჩეული პასუხის შესაბამისი (სურათის ფრაგმენტზე არსებული) ასოთი ზემოთ. საბოლოოდ, უნდა მიიღოთ მშვენიერი ფერადი სურათი.

შესაძლოა, რომელიმე კითხვაზე სწორი პასუხი არ იცოდეთ, მაგრამ ამ კითხვის შესაბამისი ფრაგმენტის მეზობელ ფრაგმენტებთან შეთავსებით დაადგენთ სწორ პასუხს. ამდენად, ეს გასართობი შემეცნებითიცაა.

# რა კავშირია ბანკების ომსა და 14 ლარიან პენსიას შორის



## ისტორიული ექსკურსი

ბანკი ტრადიციულად წარმოადგენს შუამავალს ფულის მეპატრონესა და იმათ შორის, ვისაც ეს ფული სჭირდება. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ბანკი ცდილობს კარგი პირობები შეუქმნას მეანაბრეებს (მათ, ვისაც ფული შეაქვთ ბანკში) და სესხის ამღებს ისეთი საპროცენტო განაკვეთით ასესხოს ფული, რომელიც ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება. საქართველოში ეკონომიკის მასობრივი „ჩრდილოვანიზაციის“ გამო ეს ამოცანები ბანკებისთვის პრაქტიკულად მიუწვდომელია. როგორც უახლესი ისტორია იუწყება, საქართველოში არა მარტო მეანაბრეებს, არამედ ბანკებსაც „აგდებენ“. საზოგადოებასა და ბანკებს შორის ჩამოვარდნილმა სიცივემ ბანკები ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. სამკვდრო-სასიცოცხლო ომი უკვე არსებობისთვის გაჩაღდა. რა თქმა უნდა, ამჟერად, არც ერთი კომერციული ბანკი არ იბრძვის იმისთვის, რომ შემნახველი ბანკის ანაბრის მომლოდინე კლიენტთა ნდობა მოიპოვოს. სერიოზული ომები იმართება „სტრატეგიული“ კლიენტების ფინანსური ნაკადების მომსახურებაზე. ბანკების პოლიტიკა უკვე იგება პრესტიჟული კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე და არა მოგების მიღების კლასიკური საბანკო სქემებით.

აქ გათვლა მარტივია. ორგანიზაციას, რომელსაც რამდენიმე ათეულობით მილიონი ლარის წლიური ბრუნვა გააჩნია, სჭირდება ბანკი, რომელიც შეასრულებს მის დავალებებს თანხების გადარიცხვაზე. ბუნებრივია, ასეთი ბანკი ამ ოპერაციებისთვის იღებს გარანტირებულ გასამრჯელოს (ოფიციალურად დანესებული საპროცენტო განაკვეთის სახით). ისეთი ორგანიზაციები კი, რომელთაც მილიონობით ბრუნვა აქვთ, საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია. დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია „ქართული ბიზნესის“ მდგომარეობა, ამიტომ გასაგებია, რომ მეტწილად ასეთი ორგანიზაციები სახელმწიფო-საბიუჯეტო სტრუქტურებია, რომლებიც უკვე გადანაწილებულია საბანკო ბაზარზე.

პერიოდულად ბაზარზე ჩნდება შანსი, რომ შეიცვალოს ამა თუ იმ საფინანსო ნაკადზე „მჯდომი“ ბანკი (იწურება საბანკო მომსახურების ხელშეკრულების ვადები და უნდა ჩატარდეს ახალი ტენდერი ბანკის ასარჩევად, ან თვითონ ბანკების ფინანსური მდგომარეობა აღარ არის სახარბიელო, ან მისი დამფუძნებლები აღარ არიან მნიშვნელოვან თანამდებობებზე და ა.შ.). სწორედ ეს იწვევს პერიოდულ დაპირისპირებას ბანკებს შორის.

## ფოსტალიონი საქართველოში მხოლოდ ორჯერ არ რეკავს

თითქმის ყველა ოჯახშია დამსახურებულ პენსიაზე გასული ადამიანი. ისიც და მისი ოჯახის წევრებიც ვწუხვართ, როცა ფოსტალიონი პენსიის მოტანას აგვიანებს, თუნდაც ობიექტური მიზეზის გამო. ერთი შეხედვით, ძნელი წარმოსადგენია, რა კავშირშია ფოსტალიონის მოტანილი 14 ლარიანი პენსია (ხშირად პენსიონერი ამ თანხიდან 1 ლარს ისევ მას უტოვებს) ზემოაღნიშნულ საბანკო ომთან. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, (რომელიც არიგებს სახელმწიფო პენსიებსა და დახმარებებს) 216 მლნ ლარამდეა. ბანკებისთვის, როგორც იტყვიან, ეს „ჩიტი“ ნამდვილად ღირს ბრძოლვნად, ვინაიდან სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ამ თანხის მომსახურებიდან ბანკს გასამრჯელოდ 4 მილიონამდე ლარი რჩება წლიურად. 1997 წელს ფინანსთა სამინისტროში ჩატარებული ტენდერის საფუძველზე პენსიონერებზე „მზრუნველ“ ბანკად „საფოსტო ბანკი“ იქნა არჩეული და შესაბამისად, მსუყე ნაჭერიც მას ერგო. მაგრამ ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან ერთად, „ტკბილ“ საბანკო ცხოვრებას სიმწარე შეეპარა.

## მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, გაიმარჯვებ თუ არა ტენდერში

კანონმდებლობის მიხედვით, ამჟერად ფინანსთა სამინისტროს ნაცვლად ტენდერი საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა გამოაცხადა. ტენდერში გამარჯვებული ბანკი პენსიონერებზე კიდევ 2 წლის განმავლობაში „იზრუნებს“. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ბანკებს სატენდერო კომისიისთვის უნდა წარედგინათ რიგი მონაცემები: ეს გახლავთ, გარდა იურიდიული დოკუმენტებისა, საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნა ფულადი ოპერაციებისა და სალაროს მდგომარეობის შესახებ.

დასკვნაში ნაჩვენებია, შეძლებს თუ არა ბანკი პენსიებისა და დახმარებების დროულად გაცემას.

ტენდერის კომისიას სამმა ბანკმა წარუდგინა მონაცემები: „ინტელექტბანკმა“, „აგრობანკმა“ და „საფოსტო ბანკმა“. საქართველოს სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ოფიციალური წერილის მიხედვით, ვინაიდან „საფოსტო“ ბანკმა კომისიას ეროვნული ბანკიდან არასაკმარისი დოკუმენტაცია წარუდგინა, სატენდერო კომისიის მიერ იგი არ იქნა ცნობილი პრეტენდენტად. როგორც ირკვევა, ფონდის უკმაყოფილებას ბანკის მიმართ ოფიციალურ მიზეზთან ერთად იწვევდა პენსიების მუდმივი დაგვიანება, რის გამოც იგი რამდენჯერმე დაჯარიმდა. ჯარიმამ პენსიების დაგვიანების გამო, ოზურგეთის, საჩხერის, ხარაგაულის, გორის, დმანისის ფილიალების მიმართ 40.000 ლარი შეადგინა, თუმცა ამ ინფორმაციას „საფოსტო ბანკი“ უარყოფს. მანვე სასამართლოში უჩივლა ფონდს და მიიღო კიდეც ტენდერის შეჩერების შესახებ მისთვის სასურველი სასამართლო განჩინება. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცნობით, ამის შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, სატენდერო კომისიამ მაინც გააგრძელა მუშაობა და გამოავლინა გამარჯვებული. ოღონდ არა ნავარაუდევი ერთი ბანკის სახით, არამედ სამი ბანკის — „ინტელექტბანკის“, „რესპუბლიკის“ და „აგრობანკის“ ალიანსის სახით. ოღონდ გამარჯვებულ ბანკებს პირობა წაუყენეს, რომ ალიანსმა 800.000 ლარის ინვესტირება უნდა ჩადოს საპენსიო სისტემის გასაუმჯობესებლად. პენსიების დაგვიანების შემთხვევაში საპენსიო თანხის 10% ალიანსმა საკუთარი სახსრებიდან უნდა გაიღოს.

თუმცა საქმე ამით არ დასრულებულა. „საფოსტო ბანკმა“ კვლავ უჩივლა სასამართლოში ფონდს და 24 სექტემბრის ბოლო განჩინების თანახმად, კვლავ შეჩერდა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების ამოქმედება. ამდენი საჩივრისა და სასამართლოების ფონზე შეიძლება ოდნავი იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ ბანკების ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იქნებ პენსიონერებისთვის მაქსიმალურად სასარგებლო პირობებით მოხდეს საბოლოოდ ხელშეკრულების გაფორმება. ისე კი ჩვენი გატანჯული პენსიონერებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ფოსტალიონი დარეკავს ზარს კარზე თუ ბანკის კურიერი, მთავარია პენსია მიიღონ.

*ზაზა გრიგალაშვილი*



# მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

## შეგიძლიათ გახსნათ მაღაზია

**— ვარ ინდივიდუალური მეწარმე. მაინტერესებს, რა არის საჭირო იმისათვის, რომ საკუთარ ნახევარსარდაფში გავხსნა სასურსათო მაღაზია?**

*მ. ქელიძე, თბილისი*

— თქვენ უნდა ახვიდეთ აღრიცხვაზე თქვენი რაიონის საგადასახადო ინსპექციაში, სადაც მოგენიჭებათ საიდენტიფიკაციო კოდი, გატარდებით სამეწარმეო რეესტრში და ამის შემდეგ მიიღებთ გარკვეული საქმიანობის უფლებას (კერძოდ, შეგიძლიათ მაღაზიის გახსნა).

*საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი*

## ბინას სახლმმართველობასთან შეუთანხმებლად ნუ დატოვებთ...

**— ვარ თბილისელი, მაქვს პრივატიზებული ბინა. საყოფაცხოვრებო პირობების გამო ოჯახთან ერთად დროებით საცხოვრებლად გადავედი რაიონში. სახლმმართველობა მთხოვს ბოლო ერთი წლის კომუნალური თანხების გადახდას. სწორია თუ არა სახლმმართველობის მოთხოვნა?**

*ნ. მეტრეველი, თბილისი*

— კომუნალური თანხის გადახდა გეკუთვნით იმ ადგილსამყოფელის მიხედვით, სადაც ფიზიკურად იმყოფებით დიდი ხნის განმავლობაში. ხოლო თუ მოქალაქე (ბინის მეპატრონე) დროებით ტოვებს საცხოვრებელ ბინას, მან ამის შესახებ წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სახლმმართველობას, რის შემდეგაც განთავისუფლდებით კომუნალური გადასახადებისაგან.

*მედეა დემეტრაშვილი, იურიდიული ფირმის დირექტორი*

## მიწის პრივატიზების საკითხი კვლავ პრობლემურია

**— რა წესით ხდება ობიექტის პრივატიზებისას მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართის შეფასება?**

— ობიექტის პრივატიზებისას მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართის განსაზღვრა ხდება ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროების ერთობლივი ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, რომლის საფუძველზე, რაიონების ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები ყოველი წლის თებერვალში ამტკიცებენ არასასოფლო-სამეურნეო მიწების საწყის ნორმატიულ ფასს, რომელიც წარმოადგენს საფუძველს მიწის კონკურსში ან აუქციონზე გაყიდვისათვის.

*ანზორ მესხიშვილი, მიწის რეფორმისა და საადგილმამულო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი*

## ომის მონაწილე ოფიცრები ომის პენსიასაც იღებენ და შრომისასაც

**— ვარ სამამულო ომის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი. ვღებულობ ომის პენსიას 45 ლარს. მეკუთვნის თუ არა შრომის პენსია 14 ლარიც.**

*გ. ხეცურიანი, ცაგერის რაიონი, სოფელი ლვირიში*

— ომის პენსიასთან ერთად, მეორე, მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ სამამულო ომის მონაწილე ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომელთაც შეუსრულდათ 75 წელი, ან არიან პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები. თუ თქვენ აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნებით, მაშინ, ორივე პენსიის მიღების უფლება გაქვთ.

*საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შრომის პენსიების განყოფილება*

## სახელის გამოცვლა არცთუ ისე ძნელი ყოფილა...

**— როგორ ხდება სახელის გამოცვლა?**

*ჯაბაშვილი, თბილისი*

— სახელის გამოცვლა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით, — თუ მაგალითად, სახელი არაკეთილხმოვანია, ძნელად წარმოსათქმელი ან კიდევ — დამაკნინებელი. მოქალაქემ, რომელსაც სურს სახელის გამოცვლა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა მიმართოს შესაბამის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებას.

*ისანი-სამგორის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილება*

## ბინის გაჩუქების რამდენიმე გზა არსებობს

**— მაქვს პრივატიზებული ერთოთახიანი ბინა. ეს ბინა მსურს მემკვიდრეობით გადავცე ჩემს უახლოეს ნათესავს (ძმისშვილს). გთხოვთ მიპასუხოთ, იურიდიული ფორმალობის შესრულების რომელი გზაა უფრო მისაღები და რა თანხა იქნება გადასახადი?**

*მკითხველი*

— თქვენ შეგიძლიათ შეადგინოთ ანდერძი. დასაშვებია ანდერძი იყოს დამოწმებული ნოტარიუსთან ან დამოწმების გარეშე. თქვენი გარდაცვალების შემდეგ, თუ თქვენ არა გყავთ პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე (შვილები, მეუღლე, მშობლები), ბინა მთლიანად გადაეცემა თქვენს ძმისშვილს. შეგიძლიათ ასევე სიცოცხლეშივე აჩუქოთ მას ეს ბინა. ამისათვის აუცილებელია ჩუქების გაფორმება სანოტარო წესით. თანხის დასადგენად მიმართეთ ნოტარიუსს.

*მედეა დემეტრაშვილი, იურიდიული ფირმის დირექტორი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 29 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 2,0610 |
| გერმანული მარკა | | 0,9626 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,0233 |
| ევრო | | 1,8827 |
| რუსული რუბლი | | 0,0700 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,0136 |

ბეჭდები, შტამპები, სავიზიტო ბარათები
კერამიკაზე, ოქროზე, ვერცხლზე გამოსახულების მისაღები ფორმა
გამსახურდიას 17ᵃ (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17; (99) 50 20 31; (99) 50 27 26

საქორწინო სალონი
TOPAZA PELLA ტოპაზა პელა
შეიძინეთ და დაიქირავეთ საქორწინო კაბები
ახალი, 2001 წლის ფრანგული ფირმის კოლექცია
მის: თბილისი, ბესიკის №2 (რუსთაველის 14)
☎ 98-24-50



საუკეთესო ასლგადამღები აპარატები გარანტიით, ფასდაკლებით
თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შერობიას ქუჩის მხრიდან
ტ: 96 32 89

ელექტროკვება პრობლემების გარეშე
PVR სერიის ძაბვის სტაბილიზატორები მთელი ოფისისათვის და ბინისათვის.
NSP1250 ელექტრომოწყობილობების საიმედო დაცვა გადაძაბვისაგან და სხვა სახიფათო ცვლილებებისაგან ქსელში.
ტიტანი— ათონელის 29, პუშკინის 10
საინფორმაციო სამსახური: 877 72-27-02; 95-90-20

სასწრაფოდ!
ვაკეში, ძველი სტუდქალაქის ტერიტორიაზე
დუპლექსი
5-სართულიანი კორპუსის პირველ სართულზე. 80მ² ფართი და სარდაფი 250მ². ფართი გასარემონტებელია. ძალიან იაფად — 19000$
☎ 22 56 96; 899 50 51 02

HP Laserjet 5L/6L, 5P/6P, 1100/1100A
კარტრიჯები, ტონერები, ფოტოლილვები
კარტრიჯების ტონერით დამუხტვა — 15 ლარიდან
რესურს დაცლილი კარტრიჯების აღდგენა — 50 ლარიდან
ორიგინალური ტონერები — 10 ლარიდან
☎ 95-90-20; 877 72-27-02

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩაკრულო“

**ცოტა უხერხულიც კია, რომ ჩვენი „ჩაკრულო“ კოსმოსში მოგზაურობდეს და ამის შესახებ იუნესკოში არ იცოდნენ-**

*„რუსთავის“ გამოსვლა გამაოგნებელია. ჯეროვანი სიტყვები ვერ გვიპოვია... ბედი ჰქონია მას, ვინც ქართველთა ცეკვა-სიმღერა ნახა და მოისმინა“, — წერდა გერმანიის პრესა 1988 წელს.*

2001 წლის მაისის მიწურულს ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა — ქართული ხალხური სიმღერა კაცობრიობის მუსიკალური საგანძურის შედევრად აღიარეს და მასზე განსაკუთრებული მზრუნველობა იკისრა იუნესკომ. მსოფლიო დიდი ხანია ცდილობს ქართული პოლიფონიური ჰანგებით ამღერებას, ამიტომ ეს მოვლენა თითქოს გასაკვირი აღარც უნდა ყოფილიყო.

ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელ **ანზორ ერქომაიშვილთან** ინტერვიუსთვის მისული, უცხოელების დიდი აღტაცების მოწმე გავხდი. იაპონელ და ამერიკელ სტუმრებს შთაბეჭდილებების გადმოცემა უჭირდათ.

ინტერვიუ დავიწყეთ იუნესკოს გადაწყვეტილების შესახებ საუბრით.

— ერთი წელიც არ არის, რაც იუნესკოს გენერალურ მდივნად დაინიშნა იაპონელი კაიშირო მაცურა, რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ იუნესკოს, გარდა მატერიალური ძეგლებისა, არამატერიალური ძეგლებიც დაეცვა. საქართველოს კულტურის სამინისტროს დავალებით შევადგინე ქართული ხალხური სიმღერის აღორძინებისა და გადარჩენის პროექტი „ჩაკრულო“ და იუნესკოში წარვადგინე.

**— „ჩაკრულო“ რატომ უწოდეთ პროექტს?**

— 1977 წელს ამერიკელებმა ვოიაჯერით მსოფლიო ცივილიზაციის მუსიკალური ხელოვნების სხვა ნიმუშებთან ერთად კოსმოსში გაუშვეს „ჩაკრულოც“, რომელიც კარგა ხანია გასცდა მზის სისტემას და უკიდეგანო კოსმოსში მოგზაურობს. ეს ამბავი მთელმა მსოფლიომ იცის, ამიტომაც ავირჩიე ეს სახელი.

**— თქვენ იმ კომისიის წევრი იყავით, რომელმაც ქართულ პოლიფონიურ მუსიკას საბოლოო „განაჩენი“ გამოუტანა.**

— საფრანგეთში ჩვენი ელჩის, გოჩა ჩოგოვაძის წარდგინებით, კომისიის 18 წევრს შორის მეც გახლდით. კომისიის პირველ სხდომაზე 36 საუკეთესო პროექტი შეირჩა. თითოეულს 15 წუთის განმავლობაში ვნახულობდით ვიდეოფირის საშუალებით და შემდგომ განვიხილავდით დაკარგვის პირას მისული ენების, ტრადიციების, სიმღერებისა და ცეკვების გადარჩენის საკითხებს. ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერის გადარჩენის პროექტი ჟიურიმ დადებითად შეაფასა და იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო მუსიკალური საგანძურის შედევრად გამოაცხადა.



ვოკალური ანსამბლი „რუსთავი“

**— როგორც გავიგე, ჟიურის მხრიდან გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.**

— ჟიურიში, ძირითადად, ლინგვისტები, ისტორიკოსები და არქეოლოგები იყვნენ. მათ მაინცდამაინც ვერ გაიგეს ქართული პოლიფონიური მუსიკის დონე. ამიტომაც გამოვედი და ვისაუბრე ლატვიურ და რუსულ პოლიფონიურ მუსიკაზე, ხოლო ქართული მრავალხმიანობის თაობაზე ჟიურის შევახსენე მე-20 საუკუნის უდიდესი კომპოზიტორის სტრავინსკის აზრი. 1967 წლის საახალწლო ინტერვიუში იგი ქართულ ფოლკლორულ, უმთავრესად კი კრიმანჭულიან სიმღერებთან დაკავშირებით ამბობდა, — ქართული პოლიფონიური მუსიკა კაცობრიობას გაცილებით მეტს აძლევს, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მიღწევა, ხოლო კრიმანჭული საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენიაო. ჟიურის ყველა წევრს მაგიდაზე ეწყო ფურცლები, სადაც ეს სიტყვები ეწერა. გამოსვლის დასასრულს ხუმრობით ვთქვი, ცოტა უხერხულიც კია, რომ ჩვენი „ჩაკრულო“ კოსმოსში მოგზაურობდეს და ამის შესახებ იუნესკოში არ იცოდნენ-მეთქი. ატყდა სიცილი. კენჭისყრაზე ყველამ უკლებლივ მოგვცა ხმა, ზოგი ორ ხელსაც კი სწევდა მაღლა. უამრავი უცხოელი ხელოვნებათმცოდნე აღტაცებული შეხვდა ქართული მრავალხმიანი მუსიკის დაჯილდოებას.

**— ალბათ დამეთანხმებით, რომ მუსიკა ერთა შორის ურთიერთობაში ერთადერთია, რასაც თარჯიმანი არ სჭირდება.**

— ხელოვნებას საერთოდ არ სჭირდება თარჯიმანი და ქართული სიმღერის ზარ-ზეიმით აღიარებამ ამაში დამარწმუნა. გამაოცა ამერიკელმა, სმიტსონის ინსტიტუტის დირექტორმა რიჩარდ კურინმა. იგი ბრწყინვალედ იცნობს ქართულ სიმღერას. თურმე ჩვენს კონცერტებსაც ესწრებოდა და ქართული ხალხური სიმღერების შესანიშნავი კოლექციაც აქვს.

**— ბატონო ანზორ, ქართული ხალხური სიმღერის სიყვარული წინაპრებიდან მოგდგამთ...**

— ჩვენი გვარი 300 წელია მუსიკალური გვარის სახელით არის ცნობილი გურიაში. მამა ადრე დამელუპა და გამზარდა ბაბუამ, რომელმაც 2000-ზე მეტი საგალობელი იცოდა. ბაბუა მასწავლიდა სიმღერებს, მასმენინებდა გრამოფონით უნიკალურ ჩანაწერებს და მიხსნიდა, ქართული სიმღერა განძია, რომელსაც მოფრთხილება და გადარჩენა სჭირდებაო. მოგეხსენებათ, იმ დროს ბოლშევიკების მიერ იკრძალებოდა ქართული საგალობლები. ძალიან მინდოდა ჟურნალისტი გავმხდარიყავი, მაგრამ ბაბუის სიყვარულითა და შეგონებით კონსერვატორიაში დავიწყე სწავლა. მერე, როცა ბაბუა აღარ იყო, მივხვდი, უძველესი უნიკალური ჩანაწერები იკარგებოდა და მათი სასწრაფოდ მოძიება და გადარჩენა იყო აუცილებელი.

**— ახე ჩაეყარა საფუძველი უმნიშვნელოვანესი კატალოგის შექმნას?**

— დიახ, სასწრაფოდ შევუდექი 1900-იანი წლების დასაწყისში გამოშვებული ქართული ფირფიტების მოძიებას. ამ საქმეში ბევრი ოჯახი დაგვეხმარა. შემდეგ მოსკოვში, არქივის ერთ სარდაფში ძველი საბუთების ყუთებიც გადავქექე და რას ვხედავ, ფირფიტა — წარწერით „ტრიო ბაბილოძე“ ე.ი. „ბაბილოძის ტრიო“, „დ. ლევანა“ ე.ი. „დედას ლევანა“ იგივე ლევან ასაბაშვილი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უზარმაზარი ფონდი აღმოვაჩინე.

**— როგორ გაჩნდა ეს უძველესი ჩანაწერები?**

— ჩაწერები საქართველოში 1901 წელს დაწყებულა ინგლისური ს/ს „გრამოფონის“ მიერ. მათ გრამოფონების გასასაღებლად ჩაუწერიათ ადგილობრივი მომღერლები, რომლებიც უთუოდ იყიდდნენ თავიანთ ფირფიტებს და ცხადია, გრამოფონსაც. ასე რომ, ინგლისელებმა ბიზნესიც გააკეთეს და შესანიშნავი ქართველი მომღერლებიც უკვდავყვეს. მაშინ ძალიან პოპულარული იყო ვანო სარაჯიშვილი. მოგვიანებით მისი ფირფიტა ლონდონის არქივში ვიპოვე. 30 წელი მოვუნდი ამ საქმეს და მაინც ბევრი დამრჩა მოსაძიებელი. უკვე შევადგინე კატალოგი, რომელშიც მომღერლების გვარების მიხედვით მითითებულია, რომელი სიმღერა, მსოფლიოს რომელი არქივის რომელ თაროზე ძევს, როგორც ფასდაუდებელი რელიკვია.

**— ფინანსურად ვინ გეხმარებოდათ?**

— ყველაფერს ჩემი ხარჯით ვაკეთებდი, ზოგჯერ მეგობრებიც მაშველებდნენ ხელს. არ შემიძლია უცრემლოდ გავიხსენო ჩემი მასწავლებელი, კონსერვატორიის პროფესორი გივი ლორთქიფანიძე. დამირეკავდა და მეტყოდა — წადი, ბიჭო, ფოსტაში, ფულია შენს სახელზეო. სულზე მომისწრებდა ხოლმე.

**— დღეს არავინ გთავაზობთ მატერიალურ თანადგომას? თქვენ ხომ კვლავ აგრძელებთ ძიებას არქივებში და ანსამბლსაც უჭირს, თანაც კატალოგი მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებობს...**

— კატალოგის გამოცემას თავად ვაყოვნებ, რადგან საფრანგეთში კიდევ ერთ უზარმაზარ ფონდს მივაკვლიე. ისე კი შემპირდნენ დახმარებას...

**— თქვენ და ქართული ფოლკლორის ყველა ქომაგს ძალიან გაწუხებთ ხალხური სიმღერის მიმართ მომავალი თაობების დამოკიდებულება.**

— დღეს, სამწუხაროდ, ძნელია, რომ მომავალ თაობას, ბავშვებს ისე შეაყვარო ხალხური სიმღერა, როგორც ჩვენს წინაპრებს ან ჩვენ გვიყვარდა მათ ასაკში. კარგა ხანია, ჩვენი ტელე და რადიოეთერი მდარე ხარისხის მუსიკამ დაანაგვიანა. მსოფლიოში აღიარებული ქართული პოლიფონია კი სამშობლოში მივიწყების პირსაა. მეშინია, ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა ცუდი სამსახური არ გაგვიწიონ მაშინ, როცა ასე საჭიროა ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია. ჩვენს სიმღერას ახლა სჭირდება მხარდაჭერა.

**— რასაც თურმე უცხოელები არ იშურებენ.**

— დიახ. ჩვენი ბიზნესმენები კი დუმან. ჯერჯერობით მხოლოდ ნიკო ლეკიშვილი დაგვეხმარა — შევქმენით ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. ნიკო ამ ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელია, ხოლო ფირმა „ომეგა“ ქართული პოლიფონიის საუკუნის ანთოლოგიის გამოცემას გვპირდება. 1901 წლიდან 2001 წლამდე არსებული საუკეთესო ჩანაწერები უნდა გადავიტანოთ კომპაქტდისკებზე, თორემ მაგნიტოფირზე ჩაწერილი სიმღერები სულ მალე განადგურდება. დაიკარგება ის, რამაც გაუთქვა სახელი საქართველოს. ბატონ ვახტანგ როდონაიასთან ერთად ვაპირებთ პატარა წიგნის გამოშვებას ქართული სიმღერის ფესვების კვლევის შესახებ, სადაც საერთოდ ქართული კულტურის ისტორიის შესახებ იქნება მოთხრობილი. მსოფლიომ ხომ უნდა იცოდეს, როგორ აღმოცენდა ქართული პოლიფონია, რომ ის ციდან არ ჩამოფრენილა. წიგნი გაიგზავნება ყველა დიდ ბიბლიოთეკაში, მუზეუმში, მუსიკალურ ცენტრებში. იგი მსოფლიო ფოლკლორისტიკის დიდი შენაძენი იქნება.

**— იქნებ სწორედ ციდან არის ჩამოფრენილი ქართული სიმღერა?**

— თუ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებს გადავხედავთ, ყველა მათგანის სიმღერა ერთხმიანია, საქართველოში ამ ფონზე მართლაც საკვირველია ასეთი მრავალხმიანობა. გერმანელი მუსიკათმცოდნის, ზიგფრიდ ნადელის აზრით, ევროპის პოლიფონია საქართველოდან მოდის. სხვათა შორის, სხვებსაც გაუჩნდათ ეს აზრი.

**— „რუსთავი“ არაქართული სიმღერების რეპერტუარითაც წარმდგარა უცხოელი მსმენელის წინაშე.**

— შვეიცარიელების შეკვეთით ვახტანგ კახიძემ დაწერა სამნაწილიანი საშობაო სიუიტა, რომელსაც ერთად ვასრულებდით ჩვენ, ბავშვთა გუნდი „მართვე“ და „მძლევარი“ და შვეიცარიის სასულე ორკესტრი, რომლის ლითონის ინსტრუმენტების მსგავსი დღემდე არაფერი გვინახავს. 1-2 ოქტომბერს, „შემოდგომის ფესტივალზე“ ეს ორკესტრი საქართველოში ჩამოვა და დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მსმენელი ფრიად კმაყოფილი დარჩება. 10 კონცერტი გავმართეთ შვეიცარიაში. გაუგონარი წარმატება მოვიპოვეთ. ფეხზე მდგარი მაყურებელი ჩვენთან ერთად მღეროდა. ეს წარმატება მამა-შვილი კახიძეების დამსახურებაა.



ანზორ ერქომაიშვილი

**— უამრავ უცხოურ ანსამბლს იცნობთ, რომლებიც ქართული პოლიფონიის საიდუმლოს ეწაფებიან. განსაკუთრებით რომელი მოგწონთ?**

— შესანიშნავია ამერიკელების ანსამბლი. საოცარი სოლისტი ჰყავთ. კარლ ლინიქი ჩემი მეგობარია, ქართველების სიძეა. ქართული სიმღერის სიყვარულით ისწავლა ქართული ენა, შეირთო ქართველი ქალი და პატარა ლუკას ქართულად ზრდიან. ის ჩვენთან ერთად იბრძვის ქართული სიმღერის აღორძინებისა და გადარჩენისათვის. გულსატკენია, რომ რეგიონებში კაცი აღარ დარჩა, თავისი კუთხის ყველა სიმღერა რომ იცოდეს. სამეგრელოში პოლიკარპე ხუბულავამ იცის რამდენიმე ასეული სიმღერა და კიდევ შეიძლება გამოჩნდეს ორი კაცი. კახეთში კი 80 წელს მიტანებული ანდრო სიხაშვილია კახური სიმღერის მცოდნე. მეტი არც მეგულება.

**— რისი ბრალია ეს?**

— იმისი, რომ ფოლკლორი ქალაქიდან შედის სოფელში და არა პირიქით. ქალაქური ანსამბლების შესრულებით თუ მოეწონათ ხალხური სიმღერა სოფელში, მერე შეიძლება ისწავლონ. გურიაში ორი კაცია, სიხარულიძეები, რომლებსაც სიმღერა ვერ ჩაუწერიათ იმის გამო, რომ ბახი ვერ ნახეს. მე ჩამომაკითხეს! ეს ხალხი მოსაფერებელი და მისახედია. პოლიკარპე ხუბულავას კაპიკიც არა აქვს, რამე რომ გააკეთოს. ამ საოცარ ხალხს პირობები უნდა შევუქმნათ, რომ ზეპირად, ნოტების გარეშე ათ-ათ ბავშვს მაინც ასწავლონ თავიანთი კუთხის ყველა სიმღერა, ყველა ხმა. უნდა მოვასწროთ, თორემ ეს უნიკალური ხალხი რომ წავა, მერე არაფერი გვეშველება.

**— თავის დროზე „მართვე“ შექმენით, ცოტათი მაინც არ დარეგულირდა ეს პრობლემა?**

— ეს მაინც არ არის საკმარისი. მადლობას ვუხდი დღეს იმ მშობლებს, რომლებსაც შვილები ქართული ხალხური სიმღერის შესასწავლად მიჰყავთ. ქართულ სიმღერას ჯადოსნური ძალა აქვს. მასში ყველა ჩვენი საუკეთესო მუხტია ჩადებული და ბავშვებიც ჭეშმარიტ ქართველებად იზრდებიან. ასეთი ახალგაზრდა კი უცხოურს არ დაემონება და მის სმენასაც ველარაფერი დააზიანებს. დღეს ბავშვებში ილექება მუსიკალური „ნაგავი“ და მერე გვიკვირს, თუ რატომ არიან ახალგაზრდები დაავადებული უამრავი გადახრით. „ჩაკრულოზე“, „მრავალჟამიერსა“ და „ხასანბეგურაზე“ გაზრდილი ქართველებიდან სულ სხვა თაობა წამოვა.

**— ბატონო ანზორ, უამრავი გასტროლი გქონდათ, რასაც ალბათ უეჭველად თან სდევდა უამრავი საინტერესო შემთხვევა.**

— 1970 წელს პირველად წავედით საფრანგეთში. როცა სცენაზე სიმღერა დავიწყეთ, უცებ სიტყვა გაგვიშრა — დარბაზში რამდენიმე ათეული კაცი ფეხზე იდგა და ქვითინებდა. ქართულ სიმღერას მონატრებული მოხუცი ემიგრანტები ტიროდნენ. რა დამავიწყებს ვიქტორ ხომერიკს, ილია ჯაბადარს და სხვებს. ეს საოცარი ადამიანები, სადაც არ უნდა წავსულიყავით გასტროლებზე, იმ ქვეყანაში ჩამოდიოდნენ. დიდებულ იმპრესარიოს, ილია ჯაბადარს, ძალიან უყვარდა თავისი სოფლის ღვინო „ქინძმარაული“. მისთვის საგანგებოდ ჩაგვქონდა ხოლმე. მან უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ანსამბლის პოპულარიზაციაში. ათი წელი გვერდიდან არ მოგვცილებია. 84 წლის კაცი ჩვენთან ერთად დადიოდა ყველგან. დალევდა ერთ ჭიქა ღვინოს და ვიქტორ ხომერიკთან ერთად იხსენებდა ძველ ამბებს. იყო კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება ბაგრატ წულაძე, რომელიც სიკვდილის წინ ოთარ იოსელიანს მოუნახულებია. მოხუცს უთქვამს: სულ ჩემი სოფელი მესიზმრება, ნეტავ არ გაგეღვიძებინე, ახლაც იქ ვიყავი, კაკანა ქათამი, ქედა ხარი და ძაღლი ბათურა, ჩემი ნენა... ყველას ცოცხლად ვხედავდი. ეტყობა, სიკვდილი მიახლოვდება. ძალიან მინდა არ გამეღვიძოს და მათთან გავიპარო ძილში.

**— ბატონო ანზორ, ალბათ ძნელია ჰამლეტ გონაშვილის ორი სიტყვით გახსენება, არა?**

— განუმეორებელი პიროვნება და საოცარი ფენომენი იყო. მისი ხმა ალბათ მეცნიერების შესწავლის საგანი გახდება. ჰამლეტის სიმღერაში ფერებს დაინახავდით, სხვა სამყაროში გადაგიყვანდათ. მის გვერდით, მისი ხმით დატყვევებულები, ზოგჯერ სცენაზე დავმუნჯებულვართ. ისეთნაირად მოქარგავდა ჰანგებს, რომ თავი სამოთხეში გეგონებოდა. რომ არა ჰამლეტი, ბევრი მსმენელი არ გვეყოლებოდა.

**— ბრძანეთ, განუმეორებელი პიროვნება იყოო. იქნებ პიროვნული შტრიხები გაიხსენოთ?**

— საოცარი ქართველი იყო, უყვარდა სამშობლო ისე, როგორც არავის. ბუნებაზე გიჟდებოდა. ბიჭებმა მინდია შეარქვეს. სადაც უცნაურ ხეს ნახავდა, ფოთლებს შეაცლიდა და საქართველოში მოჰქონდა. სირიაში სვიმეონ მესვეტის საფლავთან ლელვის ხე ნახა. ტოტი მოატეხა, საქართველოში გავახარებო. საბაჟოზე დიდი დავიდარაბით გადმოიტანა. აკრძალული იყო ნერგების გატანა ქვეყნიდან. ბიჭები ეხუმრებოდნენ მერე: ჰამლეტ, შენი ლელვი როგორააო. დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე კულისებში დამიძახა, ლელვი მომაწოდა — ბიჭები რომ დამცინოდნენ, ნახე, რა ლელვიაო. მართლაც ძალიან გემრიელი იყო. ყველაფერი კარგი თავისი ქვეყნისთვის უნდოდა. ესპანეთში ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლისას გზაზე უცნაური თხები დაინახა. მაშინ პირველად ვნახეთ ოთხცურიანი თხა, ტყავის ჩანთებით ჰქონდათ აწეული სავსე ჯიქნები, რომ მიწაზე არ დასისხლიანებოდათ. გაგიჟდა — საელჩო უნდა დავითანხმო, დედალ-მამალი თიკანი გამატანონო. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ შევძელით. ჰამლეტი ყველა უცხოელს თავს საქართველოდან ჩამოსულად აცნობდა და არა რუსად. ყველას უხსნიდა, რა იყო და სად იყო საქართველო...

*ეკა ლომიძე*




იჩქარეთ! იყიდება ძალიან იაფად.
საწყისი ფასი 700.000$

საკონტაქტო ტელეფონებია: 25 03 01; 25 03 02

მეპატრონე აწყობს აუქციონს. ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „საქართველოს“ უკან მოქმედი სასტუმროს სასწრაფოდ გაყიდვის თაობაზე.

შენობა შეესაბამება ევროსტანდარტებს. ოთხსართულიანია, თერთმეტი ნომრით. 810 კვ.მ. საერთო ფართით, 300 კვ.მ. ეზოთი (მანქანების გასაჩერებლად) უზარმაზარი გაფართოების პერსპექტივით.



## რატომ წააგო ნაპოლეონმა ვატერლოო?

ნაპოლეონ ბონაპარტემ თურმე იმიტომ წააგო ვატერლოოს ბრძოლა, რომ... ბუასილი გაუმწვავდა, რამაც საფრანგეთის იმპერატორს თავგზა აურია... ბუასილით დაავადებულმა უნდა მიიღოს წვნიანი კერძები,შავი პური, ხილი, უმი ბოსტნეული, შავი ქლიავის, შვრიის, ქერის, წიწიბურის ფაფეული, მსხვილად გატარებული ხორცი, მოერიდოს ტუალეტზე დიდხანს ჯდომას. მძღოლებმა, რომელთა პროფესიული დაავადებაცაა ბუასილი, სამ საათში ერთხელ უნდა გააჩერონ მანქანა და 5 წუთი ივარჯიშონ.

*მეგაპოლის-ექსპრესი* №4

## თუ რძე გიყვართ...



რძის სმის დროს უსათუოდ უნდა დაიცვათ საგანგებო წესები და ეს პროდუქტი უფრო სასარგებლო გახდება თქვენთვის.

გახსოვდეთ, რძე არის საკვები პროდუქტი და არა მისი დანამატი. მას ორგანიზმი უკეთ შეითვისებს, თუ მივიღებთ ტკბილ ხილთან, კენკრასთან და სახამებლით მდიდარ ბოსტნეულთან ერთად.

რძე სვით ყლუპ-ყლუპად, დიდხანს გააჩერეთ პირში და მერე ჩაყლაპეთ.

რძე მჟავე ხილს ნახევარი საათის შემდეგ მიაყოლეთ, არ დალიოთ, როგორც დესერტი, რადგანაც ის ხელს უშლის კუჭის წვენის გამოყოფას.

რძეს დააყოლეთ ტკბილი ხილი.

ცნობილია, რომ ეს პროდუქტი ბაქტერიების გავრცელების საუკეთესო ნიადაგია, ამიტომ მისი დალევის შემდეგ პირი გამოირეცხეთ.

*ხოზიაისტვო* №2

## მიატოვეთ სიგარეტის წევა!



ხშირად, თითქოსდა უმნიშვნელო სურდომ, შეიძლება გამოიწვიოს ჰაიმორიტი, მენინგიტი, მენინგოენცეფალიტი და ტვინის აბსცესიც კი.

ჰაიმორიტის დროს ადამიანს უჭირს სუნთქვა, მაღლა უწევს ტემპერატურა, ეწყება თავის ტკივილი, ეცრემლება თვალები.

ავადმყოფი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გამოჯანმრთელდეს: მტკივან ადგილზე იდებს გაცხელებულ მარილს და წიწიბურას, შუაზე გაჭრილ, მოხარშულ ცხელ კვერცხს, იღებს ანტიბიოტიკებს, ირეცხავს ჰაიმორიტის ღრუებს.

ახლახან ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ, თურმე ჰაიმორიტის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სიგარეტი ყოფილა. მეცნიერებმა გამოიკვლიეს 17 წლის ზევით 20 000-ზე მეტი ადამიანი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჰაიმორიტით დაავადების რისკი ბევრად დიდია მწეველთა შორის. ასე რომ, გირჩევთ, მიატოვეთ სიგარეტის წევა!

*ოტდოხნი!* №36

## ძილი — გახდომის საწინდარი

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სიმსუქნე უფრო უძილობის სინონიმია, ვიდრე ძილისგუდობისა. როცა ადამიანს ძილი აკლია, მისი ორგანიზმი დიდი რაოდენობით გამოიმუშავებს ინსულინს, რაც იწვევს მადის მომატებას.

ასე რომ, იძინეთ ბევრი და გახდებით.

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ენდოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.

მკურნალობა უახლესი აპარატურით
ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით.
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №18ა, რეაბილიტაციის ცენტრი, მე-6 სართ, ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი, ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი
☎ 39-01-12 (სამს.) 10-15სთ. 39-58-77 (ბინა)

ჰომეოპათია
სხვადასხვა დაავადებების მკურნალობა გარანტიით, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, იაფად. მათ შორის: ნევროზები, დეპრესიები, ფობიები (შიშები), იმპოტენცია და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებები.
მის: აკადემიის პოლიკლინიკა (სპორტის სასახლის უკან) კაბ. 16
☎ 36-32-55 (11-15სთ); 33-54-03 (17-20სთ.)

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

## როგორ ვებრძოლოთ ათეროსკლეროზს

*გთხოვთ გვირჩიოთ, როგორ ავიცილოთ თავიდან ათეროსკლეროზის განვითარება ორგანიზმში, არსებობს კი მისი პროფილაქტიკის საშუალებები?*

*რ. თეთრაძე*

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარებაში ათეროსკლეროზს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. იგი ძირითადად აზიანებს გულის არტერიებს, იწვევს სისხლმომარაგების დარღვევას, საბოლოოდ, გულის იშემიური დაავადების განვითარების მიზეზი ხდება.

შესაძლებელია კი ორგანიზმში ათეროსკლეროზული პროცესების განვითარების თავიდან აცილება? ეს არც ისე იოლი მისაღწევია. საქმე ის გახლავთ, რომ ათეროსკლეროზის განვითარება მრავალი ფაქტორის არსებობით და ურთიერთმოქმედებით განისაზღვრება. მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი — თანამედროვე ადამიანის შრომისა და ცხოვრების წესია, რასაც, თან ახლავს ფიზიკური აქტიურობის შეზღუდვა, ნერვულ-ემოციური დაძაბულობის ზრდა, შედეგად კი არტერიების (სისხლძარღვების) სპასტიკური შეკუმშვა და არტერიული წნევის მატება. არასაკმარისი ფიზიკური დატვირთვა გულის კუნთის არატრენირების (დეტრენირების) მიზეზი ხდება, იკლებს ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა, ნახშირწყლებისა და ცხიმების ათვისება, მატულობს სისხლის შემადედებელი სისტემის აქტიურობა, რაც თრომბების წარმოქმნის წინაპირობაა.

ათეროსკლეროზისაკენ მიდრეკილებას განსაზღვრავს თანამედროვე ადამიანის კვების რაციონიც. ჩვენთვის ხომ ჩვეულია ცხიმითა და ნახშირწყლებით მდიდარი საკვების მირთმევა, რასაც არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის ფონზე სიმსუქნე ახლავს თან. სისხლში განსაკუთრებული ცილა — ლიპიდური კომპონენტები გროვდება, რაც საბოლოოდ ათეროსკლეროზის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ათეროსკლეროზის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს თამბაქოც. დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩასუნთქული ნიკოტინი გულის, სისხლძარღვების, ტვინისა და ფეხის არტერიების ხშირ სპაზმს განაპირობებს. უკანასკნელ წლებში დადგინდა, რომ მრავალი ადამიანის სისხლში ასევე იზრდება კარბოქსილჰემოგლობინის რაოდენობაც. ეს დამღუპველად მოქმედებს გულსა და თავის ტვინზე. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ხელს უწყობს ათეროსკლეროზისა და გულის იშემიური დაავადების განვითარებას, მაგრამ შესაძლებელია მათი სამკურნალო პრეპარატებით გაუვნებელყოფა. ასევე ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ნორმალური სამუშაო რეჟიმის პირობებში ისინი ნორმალიზდება. აუცილებელია თითოეულმა ადამიანმა დღის რეჟიმში რაიმე ფიზიკური დატვირთვა ჩართოს, რაც მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისი უნდა იყოს. არ შეიძლება გადატვირთვა და გადაღლა. ვარჯიშის, სეირნობის, თამაშის შემდეგ არ უნდა განვითარდეს ქოშინი, ძლიერი დაღლილობის შეგრძნება, ასევე ტკივილი მკერდის მარცხენა არეში. ნებისმიერი



ფიზიკური სამუშაოს შესრულებისას პულსი ხშირდება, მაგრამ მატება არ უნდა აჭარბებდეს 15 ერთეულს წრედში, ხოლო 3-4 წუთი შესვენების შემდეგ პულსი საწყის მდგომარეობას ანუ სიხშირეს უნდა დაუბრუნდეს.

ძალზე სასარგებლოა ველოსიპედით სეირნობა და თხილამურებით სრიალი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი.

სისტემატური, ორგანიზმისთვის შესაფერისი ფიზიკური დატვირთვა ადამიანს ათეროსკლეროზის წინაამდეგ ბრძოლაში ეხმარება. ამიტომაც, უმჯობესია, თუ დატვირთვას ნელ-ნელა გაზრდით, ხოლო ფსიქოემოციურ ზემოქმედებას კი შეძლებისდაგვარად შეამცირებთ, რაც, დაგვეთანხმებით, რთული მისაღწევია. ფიცხ ადამიანებს ვურჩევდით აუტოტრენინგის სეანსების ჩატარებას, დამამშვიდებელი პრეპარატების მიღებას. სისტემატური სამკურნალო ფიზკულტურა და სპორტის ერთ-ერთი სახეობა მნიშვნელოვნად ამყარებს ნერვულ სისტემას ყოველგვარი სამკურნალო პრეპარატების გარეშეც.

მნიშვნელოვანია სწორი კვებითი რეჟიმისა და რაციონის შერჩევაც. პირველ რიგში ეცადეთ, რომ დღის რაციონის კალორიები თქვენ მიერ დღის განმავლობაში დახარჯული კალორიების ტოლი იყოს. საშუალო ასაკის, გონებრივად მომუშავე ადამიანებისათვის აუცილებელია 2 500 კალორია დღე-ღამეში. ასაკის მატებასთან ერთად საკვების კალორაჟი უნდა შემცირდეს. დღე-ღამის განმავლობაში მიღებული საკვების კალორია საკვები პროდუქტების კალორაჟის სპეციალური ცხრილებით უნდა გამოითვალოთ. შესაძლებელია პერიოდული აწონით ორიენტირებაც.

პროდუქტების შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ ყოველდღიურ რაციონში უნდა შედიოდეს ნახშირწყლები — 60%, ცილები — 25%, ცხიმები — 15%.

კარგია კვირაში ერთხელ ვეგეტარიანული ან რძე-ხაჭოს დღეების „მოწყობა“. ყველაფერი ეს სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირებას განაპირობებს.

სამკურნალო პრეპარატების მიღება სისხლში ქოლესტერინის დონის შესამცირებლად, ეფექტურია, მაგრამ მხოლოდ ხანმოკლე დროით. ამიტომაც ხანგრძლივი ეფექტისათვის სჯობს დიეტური რეჟიმის დაცვა.

ეცადეთ, ყოველდღიურ რაციონში ვიტამინიზებული, განსაკუთრებით კი B ჯგუფის ვიტამინების, მიკროელემენტების შემცველი საკვები მიიღოთ. მნიშვნელოვანია საკმარისი რაოდენობით კალიუმის მიღება (მდიდარია კარტოფილი, რძე, ხაჭო), რომელიც გულის კუნთის მუშაობას არეგულირებს, ასევე ანტიარითმიული მოქმედება ახასიათებს. ნატრიუმი შედარებით მცირე ოდენობით უნდა მიიღოთ, რადგან ის ორგანიზმში სითხეს აკავებს, რაც გულის მუშაობას აფერხებს და არტერიულ წნევას ზრდის. საკვები უკეთ შეითვისება, თუ მას დღეში 4-ჯერ მიიღებთ. ჭარბი წონისაკენ მიდრეკილება უფრო შესამჩნევია იმ ადამიანებში, ვინც მხოლოდ დილა-საღამოს მიირთმევს, განსაკუთრებით ძილის წინ. უკეთესია, თუ დაძინებამდე 3 საათით ადრე ვივახშმებთ. თამბაქოს მოწევისაგან თავი უნდა შეიკავოთ, ხოლო საერთოდ თავის დანებება — ამცირებს არტერიების სპაზმს, უზრუნველყოფს ფილტვისა და ქსოვილების ზრდა-განვითარებას.

სპეციალური დაკვირვებები აჩვენებს, რომ ეს ერთი შეხედვით მარტივი ზომები მნიშვნელოვნად ამცირებს გულის იშემიური დაავადებების განვითარების რისკს. მათი რეალიზებისათვის კი საჭიროა სურვილი და სისტემატური კონტროლი, უარის თქმა მავნე ჩვევებზე.

*მაია მუხიგული*

## სასწაულმოქმედი ვაშლის ძმარი



ვაშლის ძმარი უებარია ორგანიზმის გასაწმენდად, გასახდომად, წნევის მოსაწესრიგებლად. გთავაზობთ ვაშლის ძმრის შინ დამზადების რეცეპტს:

ვაშლის ნათალი, გულები (შეიძლება დაჭყლეტილი ვაშლიც, ოღონდ სალი) დააქუცმაცეთ. ჩაყარეთ მინის, ხის ან მომინანქრებულ ჭურჭელში. 250გ ვაშლს დაუმატეთ 200გ ანადუღარი თბილი წყალი, 100გ თაფლი და 20გ გამომშრალი შავი პური. დადგით სიბნელეში 20-30 გრადუსზე, თაველია. 10 დღე ურიეთ ხის კოვზით, დღეში 2-3-ჯერ, შემდეგ გაწურეთ, ჩაასხით ფართოპირიან ჭურჭელში. თითოეულ ლიტრ წვენს დაუმატეთ 50გ თაფლი. დააფარეთ მარლა და დადგით სითბოში.

40-60 დღის შემდეგ გაფილტრეთ და ჩაასხით ბოთლებში. მიიღეთ 1ჩ/ჭ წყალში გახსნილი თითო სუფრის კოვზი ძმარი დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.



უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება
ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია
კონტურული მაკიაჟი
თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე
ი. ჭავჭავაძის გამზ. №70 25-02-02 22-42-73

ნუგზარ კიკნაძე

# მოგზაურობა (გა)გრძელდება...

ვჩქარობ შევატყობინო ჩემს გულშემატკივრებს, რომ ახალი იახტის მშენებლობა დავიწყე. საბედნიეროდ, ბევრი მხარდამჭერი გამომიჩნდა. ძნელია ყველას ჩამოთვლა, თუმცა კი ძალიან მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს... მადლიერი ვარ იმ ადამიანებისაც, ვინც ინტერაქტიური ტელეფონით ეხმიანება ჩემს მომავალ მოგზაურობას...

იახტის ხელმეორედ აგება არცთუ ისე იოლი საქმე გამოდგა. ამ ერთი შეხედვით პატარა ნავს მასალაც ბევრი სჭირდება, დროც და ენერგიაც. ამიტომ, როცა მხარში ამდენი კეთილი ადამიანი მიდგას, ვფიქრობ, დიდი დრო აღარ დარჩა მოგზაურობის დაწყებამდე.

ასე რომ, საქმე დაიძრა. ამავე დროს მინდა შევახსენო „კვირის პალიტრის“ მკითხველებს ჩემი ინტერაქტიური ტელეფონის ნომერი 8.801.888.777. ამ ნომერზე დარეკვით დედამიწის გარშემო მსოფლიოში უმოკლესი იახტით, მარტოდმარტო რეისის ფონდში ერთი ლარი ჩაირიცხება. მსურველებს შეუძლიათ დარეკონ რამდენჯერმე. მობილურით არ ირეკება.

ავხსენი ბაგირი და გზა კუნძულ სარდინიისკენ ავიღე. ისევ პირქარია. ლავირება მიწევს. როგორც იქნა, მივაღწიე კუნძულ სანტიოკოს. მეორე დღეს ქარი გაძლიერდა, იახტის სიჩქარემ იმატა. ძლივს მოვახერხე კალიარის ყურეში შესვლა. პალერმოდან დარეკილია, მელიან და დამეხმარებიან. დილით მარინის ოფისში მივედი. ბ-მა ბიჯომ თბილად მიმიღო. იქ დამსწრეებს წარუდგინა ჩემი თავი. როდესაც ვუთხარი, ხვალ ვაპირებ გასვლას-მეთქი, შეიცხადა, — ერთ დღეში რა უნდა მოვასწროთ, ოფისში საბუთები გააფორმეთ, მე მოგვიანებით მოვალ, მერე გადავწყვიტოთ, რამდენ დღეს დარჩებითო.

საბუთების გაფორმებაში 40 ათასი ლირა მომთხოვეს. აბა, საიდან უნდა მქონოდა ამდენი ფული? არც ვაციე, არც ვაცხელე — ბატონი ბიჯო გადაიხდის-მეთქი და ოფისიდან გამოვედი.

საღამოს მარინაში დავბრუნდი. ვიკითხე ბატონი ბიჯო — დილით რომ გავიდა, არ მობრუნებულაო. ბიჯო არც მეორე დღეს გამოჩენილა. ძალიან კარგი, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ბიჯო.

გამოვედი მარინიდან. უეცრად შორს, ნაპირიდან ჩემკენ მომავალი კატერი დავინახე. სანაპირო დაცვა არ იყო. შევცვალე გეზი, კატერმაც შეცვალა. პალერმოელების გაფრთხილება გამახსენდა. არა, ბატონებო, ყურს ვერავის მოვაჭრევინებ. ნავზე მქონდა ხმოვანი შუშხუნები. გასროლის შემდეგ უკვალოდ იკარგება და რომ გაიფიქრებ, შუშხუნა უვარგისი გამოდგაო, გაისმის საშინელი აფეთქების ხმა, რომელიც სისხლს გაგიყინავს.

ვისროლე შუშხუნა და კატერის ეკიპაჟს გაუქრა ჩემი დევნის სურვილი.

ბალეარის კუნძულებს ჩავუარე. ჩავედი კაიუტაში, ახალდაჭერილი თევზის შეწვა დავაპირე, რომ უცებ ხმები მომესმა. დავხედე რადიოს — გამორთულია. ნუთუ ჰალუცინაციები დამეწყო? გავყავი თავი ლუკში. მოლანდებები არაფერ შუაშია. ჩემს ავტოპილოტით მიმავალ იახტას ესპანელი მეთევზეების ფლოტილია პირლია მიშტერებოდა. სულ რაღაც ორ მეტრში ჩავუარე შეჯგუფულ კატარღებს. ისე დავიბენი, რომ მისალმებაც დამავიწყდა.

გადავკვეთე გრინვიჩის მერიდიანი. ამ დროს რადიოსეანსი მქონდა თბილისთან. აპარატურა შიგნით, ნავში მაქვს, ლაპარაკის დროს წინ ვერ ვიყურები. ბიჭებს ბოდიში მოვუხადე, — პორტში მივდივარ, მოძრაობა დაძაბულია, დროებით დაგტოვებთ-მეთქი. თან მართე ნავი, თან გველაპარაკე, ენა დაკავებული ხომ არ გაქვსო. აღარ იყო ახსნა-განმარტების დრო, გავთიშე გადამცემი და მთელი ყურადღება მოძრაობას დავუთმე. ღამის 12 საათზე „ლინა“ ალიკანტეს იახტკლუბში იდგა. დილაადრიან თავს დამადგნენ იახტკლუბის თანამშრომლები — დგომის ფული გადაიხადეო. ვთხოვე, საღამომდე მაცალეთ-მეთქი. ალიკანტეში ვაპირებდი საქართველოს სანაოსნოს აგენტთან დაკავშირებას. ჩემი დგომის ფულის გადახდა მძიმე ტვირთად არ დააწვებოდა ბათუმს. მეტის თხოვნას არ ვაპირებდი.

გავედი ქალაქში. მადრიდში უნდა დამერეკა კომპანია „ინტრამარში“. ეს კომპანია ემსახურებოდა ჩვენს სანაოსნოს. ემილიას ნაჩუქარი 11 ათასი იტალიური ლირა დასარეკად მყოფნიდა. ფული გადავახურდავე. დავრეკე. ვიკითხე მარია კრუზი. სანამ ტელეფონთან მოვიდოდა, ჩემი პესეტები შეიჭამა. დავრჩი უფულოდ. სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ. რადგან ალიკანტეში მოვხვდი, ბარემ დავათვალიერებ. უკვე გუშინ, ყურეში რომ შემოვდიოდი, მივაქციე ყურადღება მის სილამაზეს.

მართლაც მშვენიერია ალიკანტე — ლამაზი ბაღები და ხეივნები, ლამაზი შენობები, ყვავილებში ჩაფლული ეზოები. გემოვნებით ჩაცმული ლამაზი ხალხი. მთელი დღე ვიხეტიალე ქუჩებში. აშკარად ჩანს, ამ ქალაქში ყველაფერი კეთდება ისე, რომ ადამიანისთვის მოსახერხებელი იყოს, განსაკუთრებით, ინვალიდებისთვის. საკმარისია ვთქვა, რომ ყველა სამგზავრო ავტობუსს ასაწევი ბაქნები აქვს ეტლიანი ინვალიდების ასაყვანად.

საღამოს იახტკლუბში მივედი და მოვახსენე, ფული ვერ ვიშოვე და თქვენი ნებართვით, ამაღამ აქ დავრჩები, დილით კი გზას გავუდგები-მეთქი. დღესვე დატოვეთ კლუბიო. ხმა არ ამომიღია. 15 წუთში ყურეში ვიყავი. სრული შტილია, ძრავით მივდივარ. შემდეგი გაჩერებაა გიბრალტარი.

ორი დღეა, ზღვაში ვარ. ნიავი არ იძვრის. ისევ ძრავით მივჩანჩალებ ესპანეთის ნაპირ-ნაპირ. ძრავა გამოვრთე და გასაგრილებლად წყალში ჩავხტი. მოულოდნელად დელფინებს მოვკარი თვალი. გამიხარდა. ვეცადე, ახლოს მიმეცურა რომელიმესთან, ხელს ნავავლებ და მასთან ერთად ვიცურავებ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ორ მეტრზე ახლოს არც ერთმა არ მიმიშვა. ეტყობა, განვრთნილი დელფინები ზღვაში არ დაცურავენ. ნიავმა დაუბერა. „ლინა“ გამოცოცხლდა და გაიქრა. რა კარგია, თოკით რომ ვარ მიბმული ნავზე, თორემ გამექცეოდა და სდიე მერე დელფინებს, რამდენიც გინდა. გავყევი თოკს და ნავს დავეწიე. ავძვერი ქიმზე და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, როგორ დამღალა დელფინების დევნამ. ჩავრთე რადიოგადამცემი. გოგი ბალარჯიშვილმა მალაგაში შესვლა მირჩია. გვანჯი მანიამ — გიორგი ბაგრატიონის ტელეფონის ნომერი შემატყობინა — ახლა მალაგაში ბ-ნი აკაკი ასათიანი იმყოფება და იქნებ მოახერხო შეხვედრაო.

შევედი პირველსავე საიალქნო კლუბში მალაგის გარეუბან კანდადოში. ნავის ნაპირთან მიბმა ძლივს მოვასწარი, რომ რადიოთი მიმიწვიეს ფულის გადასახდელად. თქვე დალოცვილებო, ჯერ გეთქვათ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და მერე გაგეფუჭებინათ ჩემთვის გუნება-მეთქი...

მივედი ადმინისტრაციაში, ვისაუბრეთ, შევთანხმდით, რომ დგომის ფულს მოგვიანებით გადავიხდი.

ახლა მთავარია, გიორგი ბაგრატიონთან დავრეკო. ოფისიდან არ დამარეკვინეს — კლუბის ტერიტორიაზე ტაქსოფონები არისო. კაპიკი არა მაქვს. ისევ ვინმე აფროსანი თუ დამეხმარება. იქვე აფრების სახელოსნოს [illegible] ამომიჩინე. სახელოსნოს პატრონი, ახალგაზრდა კაცი, სახელად ენდი, აფროსანი გამოდგა. მალაგაში მეგობართან ვერ ვრეკავ უფულობის გამო-მეთქი.

ენდიმ 100 პესეტა მომცა, დასარეკად გეყოფაო. გახარებული ტაქსოფონისკენ გავიქეცი, გიორგი ბაგრატიონის რამდენიმე ტელეფონის ნომერი მქონდა. მხოლოდ აგარაკზე აიღეს ყურმილი. მიპასუხეს, ხმაც გავაგონე, მაგრამ ტაქსოფონმა ფული ჩაყლაპა და გაითიშა. ასე რამდენიმეჯერ, სანამ ფული არ გამითავდა.

დავბრუნდი იახტაზე. მოვხარშე პალერმოში ნაჩუქარი მაკარონი, წიწაკა და ნიორი ბევრი მქონდა. შევკაზმე, გამომივიდა სპაგეტი ქართულად. ამ დროს მოვიდა ენდი მეგობრებთან ერთად. თითქოს გულმა მიგრძნო, მთელი ქვაბი მაკარონი მოვხარშე, ორი დღის სამყოფი. გავუმასპინძლდი სტუმრებს პალერმოში ნაჩუქარი იტალიური ღვინითაც. ყველა აფროსანი იყო და, ძირითადად, ზღვასა და მოგზაურობებზე ვსაუბრობდით. ენდიმ მკითხა, მეგობარს თუ დაუკავშირდიო. მოვუყევი



ასე შენდება ახალი „ლინა“

ტაქსოფონის ამბავი. არა უშავს, ამ პრობლემას ადვილად მოვაგვარებთო. მეორე დილით ენდიმ ახალი პროდუქტები მომიტანა, მაჩუქა სპორტული ქუდი. გავედით დასარეკად. გაგვიმართლა — მიპასუხა გიორგის მეუღლემ, ნურიამ. იქვე იმყოფებოდა გიორგის ბიძაშვილი მარიამი, რომელმაც ბრწყინვალედ იცის რუსული. ენდიმ ყურმილი გადმომცა. მარიამს ავუხსენი ვითარება. მითხრა, ყველაფერს გადავცემ გიორგის და მოვალთ სანახავად, ოღონდ კანდადო შორს არის მარბელიიდან, აჯობებს, მარბელიის მარინაში გადმოდიო. დღესვე გადმოვალ დი პორტივოში-მეთქი.

ენდის ვთხოვე, ეჩვენებინა რუკაზე სად იმყოფებოდა მარინა დი პორტივო მარბელიაში. მერე დავემშვიდობე და სიესტის დროს გამოვიპარე კანდადოდან. ენდის დავუბარე, ადმინისტრაციას გადაეცი, თუ ფული ვიშოვე, აუცილებლად გადავიხდი დგომის საფასურს-მეთქი.

ღამის ორ საათზე მივადექი მარინა დი პორტივოს. ყოველი მხრიდან მუსიკა ისმის, ქალაქი გაკაშკაშებულია. მთელ სანაპიროზე მხიარულებაა. ალბათ რაღაც დღესასწაულია-მეთქი. როგორც მერე გავიგე, ეს დღესასწაული მთელი ზაფხული გრძელდება თურმე.

ნავი პირდაპირ ოფისთან მივაბი. უცნობი ახალგაზრდები მომეხმარნენ. შხაპის მიღება თუ გნებავთ, საშხაპე აქვე არისო. მივიღე შხაპი, გამოვცვალე თეთრეული (ზეწრები, პირსახოცები და ბევრი სხვა რამ სასტუმრო „მეტეხმა“ მაჩუქა) და პალერმოდან გამოსვლის შემდეგ პირველად დავიძინე მშვიდად. ყველაფერი კარგად დაიწყო, ვნახოთ, იქნებ ბედი მომიბრუნდეს.

დილით ადმინისტრაციაში მივედი. თავიდანვე შევატყობინე, უფულოდ ვარ და შეიძლება საერთოდ ვერც გადავიხადო დგომის ფული-მეთქი. მარინის პატრონი დაინტერესდა ჩემი მარშრუტით, დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი: დინებები, ძირითადად, გაბატონებული ქარები, როგორ ვარ აღჭურვილი... ბოლოს მითხრა, — იდექი, რამდენ ხანსაც გინდა. მიხედე შენ საქმესო. გამომიყო საუკეთესო ადგილი იახტისთვის, გაოცებული დავრჩი.

ახლა ბაგრატიონებს უნდა ვაცნობო, რომ მარბელიაში ვარ. ყურმილი ქ-მა მარიამმა აიღო. იახტაზე დაგველოდე, მე და გიორგი მოვალთო.

ერთ საათში მოვიდნენ გიორგი, ნურია და მარიამი. გიორგიმ იხუმრა, — დღევანდელი დღე ისტორიულია ჩემთვის, პირველად დავდგი ფეხი საქართველოს ტერიტორიაზეო. ეს მოვლენა იტალიური ღვინით აღვნიშნეთ. გიორგი დახმარებას დამპირდა — ვეცდები, სპონსორი გიშოვნოო.

გიორგი მუხრანელ ბაგრატიონთა შთამომავლის — ირაკლის შვილია. ირაკლი ბაგრატიონი 1921 წლის შემდეგ გადახვეწილა იტალიაში. ახოვანი და მოხდენილი კაცი ყოფილა ქართველ მეფეთა შთამომავალი. ცოლად იტალიელი ქალი შეურთავს — ლამაზი, მაგრამ ტანმორჩილი. გიორგი მამასავით ახოვანი ვერ არის, თუმცა ბაგრატიონთა გენიც იგრძნობა მის გარეგნობასა და არისტოკრატულ მანერებში.

მეორე დღეს, შუადღისას, მოვიდა გიორგი. შინ, სადილზე დამპატიჟა. საკუთარი ორსართულიანი სახლი ჰქონია, კოხტა ეზოთი და აუზით. სახლი ამაღლებულ ადგილზე დგას და აქედან მოჩანს ზღვა თავის გემებით და იახტებით, მარბელია, ხოსე ბანუსის მწვანე ეზოები და წითელი სახურავები. თვალწარმტაცი სანახაობაა.

გიორგი ბაგრატიონს ოთხი შვილი ჰყავს. უმცროსი ვაჟები მასთან ცხოვრობენ. ნურია, გიორგის მეუღლე, ქართულ ენას გულმოდგინედ სწავლობს და ლაპარაკსაც ახერხებს. ჩემს „მასპინძელ“ ბაგრატიონებს მუხრანშიც ჰქონიათ საგვარეულო სახლი...

ბიჭებმა „ლინას“ ნახვა მოინდომეს. ჩავსხედით მანქანაში და „ლინას“ მივადექით. შევატყვე, იახტა შიგნით უფრო მოეწონათ, ვიდრე გარედან.

სპონსორები არ ჩანან. არადა, სამხრეთ ოკეანეში, ორმოციან განედებში მაშველი ტივის გარეშე როგორ წავიდე, ან აფრების სრული კომპლექტი არ მჭირდება, ან თბილი კომბინეზონი?

ბ-ნ გიორგის ვთხოვე, მადრიდში „ინტრამარში“ დაგვერეკა. ველაპარაკე ანატოლი რომანკოს, ვერაფრით დაგეხმარებით, ბათუმს ჩვენი დიდი ვალი აქვსო. გიორგიმ ხოსე ბანუსში წამიყვანა. ეს მარბელიის მეზობელი საკურორტო ადგილია. სილამაზით არ ჩამორჩება მარბელიას, მაგრამ უფრო ესპანური და მყუდროა. გრანდიოზული ქანდაკება დავინახე, ზურაბ წერეთლისას ჰგავდა. გიორგიმ დამიდასტურა — წერეთლის ქანდაკება არისო. ხოსე ბანუსში ბინაც აქვს და აქ ხშირად ჩამოდის ოჯახთან ერთადო...

გიორგიმ კანარის კუნძულებზე, ლას-ლამასში დარეკა მეგობართან, რომელმაც უთხრა, დარდი ნუ აქვს, აუცილებლად ჩამოვიდეს, ყველაფრით დავეხმარებითო. რამდენიმე დღე გიორგი წუხდა — ყველა კავშირი გამოვიყენე, მაგრამ სპონსორი ვერ ვიპოვეო. ნასადილევს გიორგიმ და ნურიამ სუპერმარკეტში წამიყვანეს. რაც გინდა, აირჩიეო. ნამუსიანად ავირჩიე: კარტოფილი, ხახვი, ბოლოკი, კვერცხი, ერთი ქილა მშრალი რძე, ჩაი, ერთჯერადი სამართებლები, საპნის ქაფი. გიორგიმ სათვალე შემომთავაზა, — ნისლში და ღამე მხედველობას აუმჯობესებსო. თხევადი გაზის ბალონიც გამოვცვალეთ.

მარბელიაში გავიცანი აფროსანი ქალბატონი ენკარნა გარსია, რომელიც აღტაცებული იყო იმით, რომ საკუთარი დაპროექტებული და აგებული იახტით თვითონვე ვმოგზაურობდი დედამიწის გარშემო. უკვირდა ჩემი გამბედაობა. ეტყობა, საქართველოს მართლა ძალიან უჭირს. თორემ, როგორ არ დააფინანსებდა ასეთ რეისსო?

საქართველოს მართლა უჭირს იმიტომ, რომ წეწეწ და გლეჯენ მისი გაუმაძღარი და ნამუსგარეცხილი ჩინოსნები. ერთხელ მარინის დარაჯმა მომიყვანა გერმანელი აფროსანი, რომელიც დაინტერესდა ჩემი იახტით. მან ყველაფერი იცოდა ჩემზე და შემომთავაზა, 20 ათას დოლარად მომყიდეო. იახტა არ იყიდება-მეთქი. მისი წასვლის შემდეგ ვიფიქრე, ამ ფულით საქართველოში ახალ იახტას ავაგებდი და რეისისთვის უკეთ მოვემზადებოდი-მეთქი. მეორე დღეს ყოველი შემთხვევისთვის გავიკითხე გერმანელის ასავალ-დასავალი, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა.

იმედი გადამეწურა. მარბელიაში ტყუილად დგომას გზის გაგრძელება ვარჩიე. მარინის პატრონს შევატყობინე, — დილით გასვლას ვაპირებ-მეთქი. კი, ბატონო, ოღონდ დგომის ფული გადაიხადეთ — 18 850 პესეტაო (დაახლოებით 150 ამერიკული დოლარი). ფული არ მაქვს, ვისი იმედიც მქონდა, ვერ მეხმარება, გთხოვთ ჩამთვალოთ სტუმრად. ფოთსა და ბათუმში უცხოელებს, როგორც სტუმრებს, ფულზე საერთოდ არ ელაპარაკებიან-მეთქი.

ჩვენ ფოთი და ბათუმი არ ვიცით, ფული თუ არ გაქვთ, იახტა გაყიდეთ, ჩვენ ჩვენი მოგვეცით და შინ დასაბრუნებელიც დაგრჩებათო.

გუნება წამიხდა. დავბრუნდი იახტაზე. ცოტა ხანში გიორგი ბაგრატიონი მობრძანდა. მოვუყევი ყველაფერი. ძალიან შეწუხდა...

საღამოს ქალაქში გავედი, მივყვებოდი სანაპიროს და ვფიქრობდი, რა ადვილია ქალაქის გალამაზება ნორმალურ ქვეყანაში. მთელი სანაპირო, დაახლოებით ხუთი კილომეტრი, ლამაზი ფერადი ფილებით იყო მოპირკეთებული, მაღალი პალმები ამკობდა სხვა ჯიშის ხეების პარკს. ხეივანი მთლიანად ბავშვებს ეკუთვნოდა. სკეიტბორდის პოლიგონზე ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ცალკე ველოსიპედისტები თავბრუდამხვევ ილეთებს უჩვენებდნენ სპეციალურად აშენებულ ტრეკებზე. სპეციალურ ბილიკებზე დაქროდნენ მოციგურავენი. შემშურდა აქაური ბავშვების. ოდესღაც ჩვენშიც იქნება ალბათ ასეთი სამოთხე ბავშვებისთვის. აქაურ პლაჟებს მივაქციე ყურადღება, რა თქმა უნდა, ყველანაირად მოწყობილი და აღჭურვილები არიან.

ეს არც არის გასაკვირი. მაკვირვებდა ის, რო ქვიშა მუდამ გაკრიალებული იყო. თითქოს წინა დღით აქ არავის უვლია და არავის დაუნაგვიანებია. ეს საიდუმლოებაც გავიგე. შუაღამისას, როცა ყველა ბარებში და საცეკვაო მოედნებზეა, სპეციალური მანქანები პლაჟის ქვიშას აბრუნებენ და ცრიან. დილით კი დამსვენებლებს გასუფთავებული და გასწორებული ქვიშა ხვდებათ.

დავბრუნდი იახტაზე. ამ დროს ქ-ნი ენკარნა მობრძანდა. ყავა შევთავაზე. გვიანობამდე ვიბაასეთ. წასვლის წინ ქ-ნმა ენკარნამ მითხრა:

— გავიგე, დილით გასვლას აპირებდით, მაგრამ არ გიშვებენ.

თავი დავუქნიე.

— შეგიძლიათ წახვიდეთ, როდესაც მოინდომებთ. ხვალ დილამდე თქვენი დგომის ფული გადახდილია. გნებავთ, დარჩით, რამდენი ხანიც გნებავთ, პრობლემა არ შეგექმნებათ.

რა თქმა უნდა, დიდი მადლობა გადავუხადე. მადლობის ნიშნად კაიუტის კედელზე სამშვენისად დამაგრებული ხის შტურვალი ვაჩუქე. შევატყვე, მოეწონა.

— რადგან ასე გამიმართლა, ხვალ დილით გავალ ზღვაში.

— რადგან არ იშლით და მაინც მიდიხართ, ეს მცირე თანხა გამომართვით, გზაში გამოგადგებათ — ენკარნამ ათი ათასი ესპანური პესეტა მომაწოდა. თავი მოვიკალი, არაფრის დიდებით არ გამოვართვი ფული.

— ერთი სამსახურიც გამიწიეთ, — ვთხოვე ენკარნას, — გიორგი ბაგრატიონს და მის ოჯახს მინდა დავემშვიდობო. მანქანით თუ მიმიყვანთ მათთან, დიდად დაგიმადლებთ.

15 წუთში გიორგის სახლთან ვიყავით. დიდხანს ვრეკე ზარი, მაგრამ ვერავის გავაგონე. ენკარნას ესპანურ ენაზე ბარათი დავაწერინე — მადლობას ვუხდიდი და ვემშვიდობებოდი ბაგრატიონების ოჯახს. ბარათი ჭიშკარზე დავამაგრე.

იმავე დღეს მარბელია დავტოვე...



# ყირიმში უძველესი პირამიდები აღმოაჩინეს

სამხრეთ ყირიმის ტერიტორიაზე გეოფიზიკოსების ჯგუფმა აღმოაჩინა შვიდი გიგანტური პირამიდა. ვარაუდობენ, რომ ისინი ეგვიპტურ პირამიდებზე გაცილებით ადრინდელია. თუ ამ ჰიპოთეზის დამტკიცება მოხერხდა, ეს იქნება XXI საუკუნის უდიდესი აღმოჩენა, რომელიც ტროას გათხრებსა და ეგვიპტური იეროგლიფების გაშიფვრაზე მეტ მნიშვნელობას შეიძენს.

...გეოფიზიკოსები სევასტოპოლის მიდამოებში არტეზიულ ჭებს დაეძებდნენ და შემთხვევით წააწყდნენ ზესიხშირის მქონე გამოსხივებას. რამდენიმე ჭაბურღილის გაკეთებას თან მოჰყვა პირამიდის აღმოჩენა, შემდეგ სევასტოპოლიდან სარიჩის კონცხამდე კიდევ შვიდი პირამიდა იპოვეს ყირიმის ყველაზე სამხრეთით.



პირამიდების ზომებია: ძირი — 72 მ, სიმაღლე — 45 მ; ეს შეფარდება — 1:1,6 ყველა პირამიდისათვის დამახასიათებელი სტანდარტია. პირამიდის წვერი მიწაში 5 მ სიღრმეზეა. შიგ ჩასული გეოფიზიკოსები საოცარ სიჩუმეში აღმოჩნდნენ. თითქოს შვების მომგვრელი იყო 18°-იანი სიგრილე და საოცრად სუფთა ჰაერი. 25 მ-ის სიღრმეზე აღმოაჩინეს რაღაც ოვალური საგანი. მისი ამოტანა უნდოდათ, ვერ მოახერხეს, გატეხეს და კინაღამ დაიღუპნენ. მასში აღმოჩნდა ნახშირორჟანგის მსგავსი გაზი. ეს საგანი ძალზე ჰგავს ნახევარგამტარ ხელსაწყოს. ვარაუდობენ, რომ ამ პირამიდების ამგები ხალხი ხუთი ათასი წლის წინ ცხოვრობდა.

— საგულისხმოა ერთი დეტალი, — თქვა ჯგუფის ხელმძღვანელმა, — ექსპედიციაში გვყავს გულით ავადმყოფი, რომელიც უწამლოდ ერთი დღეც ვერ ძლებდა. პირამიდაში ერთხელ ჩასვლის შემდეგ თავი უკეთ იგრძნო. სიღრმეში ორი კვირის მუშაობის შემდეგ კი საერთოდ აღარ ეკარება წამლებს. ჯგუფის მეორე წევრს ფეხის ტერფზე ჰქონდა მეჭეჭი, რომელიც ძალზე აწუხებდა — იგი უკვალოდ გაუქრა.

პირამიდიდან გამოსხივება ისე ძლიერი იყო, რომ აპარატურა წყობიდან გამოიყვანა, ფირები დაასხივა. ადამიანებს დაეწყოთ გულისრევა, კუჭის აშლილობა, თავის ტკივილი, ბარბაცებდნენ, მთვარეულებივით დადიოდნენ, ხელიდან უცვიოდათ ყველაფერი. იძულებული გავხდით, შეგვეწყვიტა სამუშაოები. ორი კვირის შემდეგ პირამიდამ კვლავ დაიწყო მკურნალობა.

მეცნიერთა დასკვნით, ასეთი ადგილები არის ინგლისში, მავრიტანიაში, ავსტრალიაში.

წარმოგიდგენიათ, თუ ეს დამტკიცდა, მსოფლმხედველობის როგორ გადატრიალებასთან გვექნება საქმე. სამყაროში არსებობდა პლანეტარული ცივილიზაცია, მის წარმომადგენლებს შეეძლოთ წარმოუდგენელი ძალების მართვა. არის მოსაზრება, რომ წმინდა ვაკუუმი ენერგიის ფორმაა, შეიძლება ამ პირამიდებით ებრძოდნენ მიწისძვრებსა და ვულკანურ ამოფრქვევებს, აკონტროლებდნენ ეკოლოგიას, მართავდნენ ამინდს... ეგებ, ეს ადამიანები უთუოდ იმ ოქროს ხანიდან არიან, რომელზეც ყველა ხალხს შეუქმნია ლეგენდები.

*მირ ნოვოსტეი №37*

# ვასილისკოს თვალები



XIX საუკუნეში ერთი ინგლისელი ჩინოვნიკი ნაეჩხუბა ერთ-ერთი ინდური ტომის ბელადს და სილაც გააწნა. ბელადს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ დაჟინებით შეხედა მოძალადეს. მეორე დილით ინგლისელი საწოლიდან ვერ წამოდგა... ექიმებმა ვერანაირი ავადმყოფობა ვერ აღმოუჩინეს, მაგრამ მისი ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა, ხელ-ფეხი წაერთვა და ორი კვირის შემდეგ საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

დაახლოებით იმ ხანებში სიცილიაში, ქალაქ მესინაში ცხოვრობდა ერთი კეთილი, უბოროტო კაცი, რომელსაც ასევე შეეძლო ერთი შეხედვით მოეკლა ადამიანი და ამის გამო ძალიან წუხდა. მუდამ თავჩაღუნული დადიოდა, ცდილობდა, არავისთვის შეეხედა და შავი სათვალის ტარებაც კი დაიწყო. მისი ყველას ეშინოდა, ერიდებოდნენ. ერთ დღეს შევიდა მაღაზიაში, მივიდა დიდ სარკესთან, მოიხსნა სათვალე და თავის ანარეკლს დიდხანს დაჟინებით უყურა. მეორე დღეს გარდაიცვალა.

...არიან ადამიანები, რომლებიც მზერით კლავენ. ოდესღაც ასეთებს ჯადოქრებად მიიჩნევდნენ და კოცონზე წვავდნენ.

ძველთაგანვე ავთვალიანებს ყველა ერიდებოდა. ასეთ ადამიანთა ორი სახეობა არსებობს. ზოგს ეს თვისება თანდაყოლილი აქვს, ზოგმა კი ამას სხვადასხვა ჯადობაზობით მიაღწია.

ბერძნული მითით, მედუზა გორგონა ერთი თვალის შევლებით ყოველივე სულიერს აქვავებდა. მისი მზერა მაგიურ მოქმედებას არც მისი სიკვდილის შემდეგ კარგავდა. არის ისტორიული ფაქტებიც: ჩვ.წ.აღ.-მდე I საუკუნეში, რომაელმა ისტორიკოსმა პლინიუს უფროსმა თავის ტრაქტატში, „ბუნებისმეტყველების ისტორია", აღწერა გველთა მეფე ვასილისკოსი, რომელიც ადამიანებს თვალის შევლებით ხოცავდა. აღწერის მიხედვით, ვასილისკოსი ხვლიკი-გიგანტი იყო.

ავიცენა მიიჩნევდა, რომ ავთვალიან ადამიანს შეეძლო ნებისმიერ სულიერ არსებაზე ზემოქმედება.

ცნობილი ალქიმიკოსი კორნელიუს აგრიპა თავის ნაშრომში, „ოკულტური ფილოსოფია", წერდა: „ტარტარიაში, ილირიაში და ტარიბალებთან არიან ქალები, რომლებიც ხოცავენ ყველას, ვისაც კი განრისხების ჟამს შეხედავენ".

ინგლისელებიც წააწყდნენ ინდოეთში ამგვარ ჯადობაზებს. როცა ნასვამი ჯარისკაცები მოინდომებდნენ ადგილობრივ გოგონებთან გართობას, საპასუხოდ „ვასილისკოს მზერას" იმსახურებდნენ და გონებას კარგავდნენ. მოსულიერებულნი საშინელ სისუსტეს გრძნობდნენ, ზოგი მათგანი კი სიცოცხლის ბოლომდე დაძაბუნებული რჩებოდა.

*ვოტ ტაკ! №36*

P.S. ბოროტი ადამიანები ავი ზრახვებისთვის იყენებენ ამგვარ „ნიჭს", რომელიც უფრო სატანის მძლავრობაა. ზემო იმერეთის ერთ სოფელში ცხოვრობდა მოხუცი ქალი, რომელზეც ამბობდნენ, მჭრელი თვალი აქვსო. მის დანახვაზე პირს იბრუნებდნენ ხოლმე და სამჯერ ეშმაკს მიაფურთხებდნენ. ერთხელ, მეზობელს მოულოდნელად დაადგა თავს. ქვევრიდან ღვინოს ილებდნენ. ოჯახის უფროსი თავს იწონებდა — ქარვასავით ცოლიკაური დავაყენეო. დედაბერმა შეხედა ჭიქაში მოკამკამე ღვინოს და სითხე წამში აიჭრა...

ამ ქალისა მთელ სოფელს ეშინოდა. უმცროსმა შვილმა მის დაუკითხავად შეირთო ცოლი. საწყალი, რამდენჯერაც დაფეხმძიმდა, იმდენჯერ მოეშალა მუცელი. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ცოლ-ქმარმა არ მიატოვა დედ-მამისეული სახლი...

# რა დაემართათ კატებს?

სამიოდ კვირის წინ, დილაადრიან, ბელორუსიის სოფელი ოსტროვო კატების განწირულმა კნავილმა შეძრა. ცხოველები ფხაჭნიდნენ კარებს და გარეთ გასვლას ითხოვდნენ, ღია ფანჯრებიდან ქუჩაში ხტებოდნენ პირში კნუტებით, მოლაპარაკებულებივით ტყისკენ გარბოდნენ. საღამოპირს სოფელი დატოვა უკანასკნელმა ცალთვალა ბებერმა კატამაც. შეშფოთებულმა ხალხმა ცხოველების ძებნა დაიწყო, მაგრამ კატებს თითქოს მიწამ უყო პირიო...



საღამოს მეტყევემ ამბავი მოიტანა — შუაგულ ტყეში რამდენიმე მუცელგამოფატრულ კატას გადავეყარე, ზოგი ცხოველი დამფრთხალი დარბოდა, ზოგიც ხის ტოტებზე შემომჯდარიყო და დაზაფრული კნაოდაო. ასეთი უცნაური სანახაობით შეშინებული მეტყევე უკან მოუხედავად გამოქცეულა შინისკენ.

მეორე დღეს სოფლელები რამდენიმე საბარგო მანქანით წავიდნენ ტყეში. გზაზე სამოცდაათამდე მკვდარ კატას გადააწყდნენ. ცოცხლად გადარჩენილები ისე დარბოდნენ, თითქოს ერთმანეთზე ნადირობენო. ადამიანებს არ ეკარებოდნენ, საჭმელს ზედაც არ უყურებდნენ... ამ შემთხვევით ზოოლოგებიც დაინტერესდნენ, მაგრამ კატების უცნაური საქციელი ვერაფრით ახსნეს. ცნობილია, რომ კატები მასობრივად გაიქცნენ იერიქონიდან ჩვ.წ.აღ-მდე ორი საუკუნით ადრე. ამას მოჰყვა საშინელი მიწისძვრა, რომელმაც პირისაგან მიწისა აღგავა ერთ დროს აყვავებული ქალაქი. ისიც ცნობილია, რომ სოფლიდან კატების ასე დედაბუდიანად აყრას ყოველთვის უბედურება არ მოჰყოლია. მეცნიერები ვარაუდობენ — ალბათ დროდადრო ნადირის ჯიში იყივლებს მოშინაურებული ცხოველის სისხლშიო.

ახლახან გავიგეთ, — გაქსუებული კატები სოფელში შუაღამისას შეიპარებიან, საჭმელს იტაცებენ და კვლავ ტყეს უბრუნდებიანო.

*ექსპრეს-გაზეტა №26*

# განსაცდელი 65 წლის წინ უწინასწარმეტყველეს

ნიუ-იორკის თავზე დატეხილი უბედურება ცნობილმა ამერიკელმა ნათელმხილველმა ჯერ კიდევ 1936 წელს იწინასწარმეტყველა. მაშინ დაუჯერებელი „მომავლის ხილვის" თაობაზე 90-იან წლებში გამოცემულ ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალშიც დაიბეჭდა სტატია. ეს ამბავი მომხდარი ტრაგედიის შემდეგ გაახსენდათ ჟურნალისტებს და ძალიან შეშინდნენ.

გთავაზობთ ნაწყვეტს ამ სტატიიდან:

ედგარ კეისი მე-20 საუკუნის გამოჩენილი მკურნალი და ნათელმხილველი იყო. მას შეეძლო ასობით მილით დაშორებული ავადმყოფების განკურნება, მომავლის თითქმის უშეცდომოდ წინასწარმეტყველება.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კეისმა იწინასწარმეტყველა ლაზერის გამოგონება, ასევე ივარაუდა ქარიშხლები და მიწისძვრები კალიფორნიაში, იაპონიასა და ფილიპინის კუნძულებზე.

ედგარ კეისს ამგვარი ხილვა ჰქონდა:

2000 წელი იდგა (კეისი ერთ წელიწადში შეცდა, — ავტ.). იგი რამდენიმე ადამიანთან ერთად, ელვის სისწრაფით მიმავალი უცნაური თვითმფრინავით ჩრდილოეთ ამერიკის თავზე მიფრინავდა. უცბად უზარმაზარი ქალაქის ნანგრევებზე დაეშვნენ. როდესაც ედგარმა ქალაქის სახელი იკითხა, უთხრეს,



— ნიუ-იორკიაო.

კეისმა აგრეთვე დაინახა შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში დღეს მიმდინარე ძირეული ცვლილებებიც.

*ნანა ნასარიძე*

„საზალლო-სალალო"
გვერდის პასუხები

I. ზამთარი;
II. **რებუსი**
მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენ.







# თალიბთა ლიდერი მრავალწლიან დუმილს არღვევს



*თალიბთა სულიერმა ლიდერმა მოლა მოჰამედ ომარმა მრავალი წლის შემდეგ ალბათ პირველად დაარღვია დუმილი. გთავაზობთ ამონარიდს მისი ინტერვიუდან, რომელიც დაბეჭდა იტალიურმა გაზეთმა „რეპუბლიკამ“.*

**— რატომ არ გააძევებთ ავღანეთიდან უსამა ბინ ლადენს?**

— ეს ბინ ლადენის პრობლემა არ არის, ეს ისლამის პრობლემაა. სასწორზე დევს ისლამის პრესტიჟი. ამერიკა ძალიან ძლიერია, მაგრამ ორჯერ უფრო ძლიერიც რომ იყოს, ძალა არ ეყოფა ჩვენს გასანადგურებლად. ამერიკის ყველას ეშინია და ცდილობს, მისი გულის მოგებას, მაგრამ მან ხომ ვერ შეძლო თავს დამტყდარი უბედურების აცილება, ამერიკამ ისლამი მძევლად აიყვანა, ამიტომაც მოხდა ის საშინელება.

**— რას გულისხმობთ მძევლობაში?**

— ამერიკა აკონტროლებს ისლამურ ქვეყნებს, ხალხი ევედრება ისლამური ქვეყნების მთავრობებს — ისლამს ნუ ღალატობთო, მაგრამ ამერიკის შიშით ისინი მუდარას ყურად არ იღებენ. თუ ვინმე ხმას აიმაღლებს ისლამის დასაცავად, აპატიმრებენ, კლავენ. ამერიკასაც ეს უნდა. ამერიკამ შვა ბოროტება, რომელიც მასვე დაატყდა თავს. ამიტომ უკან უნდა დაიხიოს და დაფიქრდეს იმაზე, თუ რა დღეში ჩააგდო ხალხები, თავისი იმპერიული ნება თავს არავის არ უნდა მოახვიოს.

**— უსამა ბინ ლადენის გადაცემას ამერიკისთვის, ცხადია, არ აპირებთ.**

— რა თქმა უნდა, არა. ვინც ამას ჩაიდენს, ის მუსლიმანი არ იქნება.

**— არ გეშინიათ, რომ ამერიკა თავს დაგესხმებათ და თქვენს ხალხს კიდევ უფრო მეტი ტანჯვა მოელის?**

— ერთი თვალის შევლებით ეს ასე ჩანს, მაგრამ ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია იმის გარდა, რომ ღმერთს მივენდოთ. ის დაგვეხმარება და გაგვამარჯვებინებს.

*რეპუბლიკა*

# რა თქვა პუტინმა ბუნდესტაგში

„დღეს პლანეტაზე ჩნდება ახალი საფრთხე. დსთ-ის ზოგიერთ სახელმწიფოსთან ერთად რუსეთი საიმედო ბარიერს აგებს ნარკოტიკების კონტრაბანდის, ორგანიზებული დანაშაულის, ავღანეთიდან, კავკასიიდან, ცენტრალური აზიიდან ევროპისაკენ დაძრული ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ. ტერორიზმს, ეროვნებათა შორის სიძულვილს, სეპარატიზმს, რელიგიურ ექსტრემიზმს ყველგან ერთი და იგივე საფუძველი აქვს, ამიტომაც არის საჭირო მის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა. ბუნებრივია, ბოროტება უნდა დაისაჯოს, მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ვერანაირი საპასუხო დარტყმა ვერ შეცვლის სრულფასოვან, მიზანდასახულ და კოორდინირებულ ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ვერ გამოვიმუშავეთ რეალური პარტნიორობის მექანიზმი, ზოგჯერ გადაწყვეტილებებს ურუსეთოდ იღებენ და მერე გვთხოვენ მხარდაჭერას. უნდა შეგვეძლოს ეროვნულ ეგოიზმზე ამაღლება“.

*კომსომოლსკაია პრავდა №77*

ჟურნალ „თაიმის“ ცნობით, ვიდრე მხარს დაუჭერდა აშშ-ს, პუტინმა ამერიკის პრეზიდენტს რამდენიმე პირობა წაუყენა — „თალიბანის“ განადგურება, რუსეთის როლის გაძლიერება მსოფლიო პოლიტიკაში, ვალების რესტრუქტურიზაცია და ჩამოწერაც კი, ჩეჩნეთში რუსეთის მოქმედების კრიტიკის შეწყვეტა.

# ინდონეზიაში ქრისტიანებს ბრძოლა გამოუცხადეს

მას შემდეგ, რაც ინდონეზიის პრეზიდენტმა მეგავატიმ განაცხადა, — ჩვენი ქვეყანა ტერორიზმთან ბრძოლაში შეერთებული შტატების მხარეს დაიჭერსო, ქვეყანაში მუსლიმანურმა გამოსვლებმა იმატა. ინდონეზიაში 180 მლნ მუსლიმანი ცხოვრობს, რომელთა დიდ ნაწილზე, საკმაო ზეგავლენა აქვთ ექსტრემისტულ დაჯგუფებებს. ეს ადრინდელი სუსტი და არაორგანიზებული ბანდები დღეს ძლევამოსილი, კარგად ორგანიზებული და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული არმიაა და ასე მხოლოდ ინდონეზიაში არ ხდება. სამხრეთ აზიაში, ფილიპინებსა და მალაიზიაში ათობით მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს. მათ შორის ბევრი ფანატიკოსია.

დასავლელი ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ მუსლიმანური ტერორიზმისა და ექსტრემიზმის აღზევება ამ რეგიონში — ბინ ლადენსა და მის „ალ ქაიდს“ უკავშირდება. ლადენს ამ ქვეყნებში მოსამზადებელი ბანაკები აქვს გახსნილი, სადაც ასობით „მუსლიმანი-მოხალისე“ ტერორისტული აქციებისთვის ემზადება. სწორედ ამ რეგიონში ხდება „ალ ქაიდის“ ფულის „გათეთრებაც“. ამ მიზნით, მარტო 1998 წელს გამოყენებული იქნა კუალალუმპურის ბანკი, სადაც 3,2 მილიონი დოლარი „გაირეცხა,“ რაც აფრიკაში ამერიკის საელჩოების აფეთქებებს მოხმარდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბინ ლადენთან დაკავშირებულ მუსლიმანურ დაჯგუფებებს რამდენიმე წელიწადია, რაც „საღვთო ომი“ აქვთ გამოცხადებული ქრისტიანთა მიმართ.

*ნიუზუიქ*



# ავღანეთის მომავალი მეფე?



თალიბთა ბედი, ასე თუ ისე, გადაწყვეტილია. თუ ამერიკის შეერთებული შტატები ოპერაციის დროს სამხედრო თვალსაზრისით ვერ გაანადგურებენ თალიბებს, მათ ბატონობას ეკონომიკური ბლოკადა, საერთაშორისო იზოლაცია და ერთადერთი ერთგული მოკავშირის, პაკისტანის დაკარგვა დაამხობს. ვინ შეცვლის თალიბებს ავღანეთში? ჩრდილოეთის ალიანსი? — ალბათ, არა. მის ლიდერებს შორის ერთობა არ არის, ვერც პრეზიდენტმა ბურჰანუდინ რაბანიმ გაუმართლა დასავლეთს იმედები, ქვეყანა ვერ გააერთიანა, თალიბებს ავღანეთის ტერიტორიის 90% დაუთმო. მაშ, ვინ იქნება ქვეყნის მეთაური? კანდიდატთა შორის არის ავღანეთის ყოფილი მონარქი, 87 წლის ზაჰირ შაჰი. იგი მეტად კომპრომისული ფიგურაა, მონაწილეობა არ მიუღია შინაომებში, არ ეკუთვნის არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას, ამავდროულად ყველაფერი იცის, რაც ხდება ავღანეთში. მის აზრს ანგარიშს უწევენ რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში. თავად ავღანეთში ბევრი ნოსტალგიით იხსენებს მისი მეფობის ხანას. ზაჰირ შაჰი 1933 წელს ავიდა ტახტზე. მას ბრწყინვალე განათლება აქვს მიღებული, 40 წელი მართავდა ქვეყანას. მან ავღანელ ქალებს უჩადროდ სიარულისა და განათლების მიღების უფლება მისცა. შაჰის თითქმის იდილიური მმართველობა 1973 წლის გადატრიალებამ შეწყვიტა, შეთქმულებას მეფის ბიძაშვილი მუჰამედ დაუდი ხელმძღვანელობდა. მან ისარგებლა იმით, რომ მეფე სამკურნალოდ საფრანგეთში იმყოფებოდა. ქაბულში თავისი ერთგული ჯარის ნაწილები შეიყვანა და ავღანეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. მეფის ოჯახის წევრების უვნებლად გაშვების სანაცვლოდ მონარქს ტახტზე უარის თქმა მოეთხოვა. ამბობენ, როცა ბრეჟნევს მოახსენეს „მოძმე ავღანეთში“ მომხდარ მოვლენებზე, თურმე ლეონიდ ილიჩმა იკითხა, — ნეტა, ნადირობა ხომ ისევ შესაძლებელი იქნებაო. დაუდმა უარი თქვა ზაჰირ შაჰის მოქნილ პოლიტიკაზე, მოსკოვს განუდგა და უფრო დასავლეთისკენ დაიწყო ყურება. მასაც იგივე ტრაგიკული ბედი ელოდა, როგორიც ირანის შაჰს. თუმცა მისგან განსხვავებით, დაუდი და მისი ოჯახი 1978 წელს ავღანელმა კომუნისტებმა დახვრიტეს. მას შემდეგ მშვიდ ავღანეთში ცხოვრება აირია: ქვეყნის სათავეში ადგილობრივი პროსაბჭოთა კომუნისტები მოვიდნენ, მათ მოჰყვნენ მოჯაჰედები რაბანის თავკაცობით, შემდეგ თალიბები.

... ზაჰირ შაჰი მრავალი წელია, რომის გარეუბანში ცხოვრობს და ეძებს გზებს, რომელიც ავღანეთს მშვიდობას მოუტანს. ყოფილი მეფის გეგმა მარტივია — თალიბებმა და ჩრდილოეთის ალიანსმა ერთდროულად უნდა შეწყვიტონ სამხედრო მოქმედებები, მეფე ქვეყანაში დაბრუნდება, საპრეზიდენტო არჩევნებამდე დანიშნავს ახალ მთავრობას. მის წინადადებას ინტერესით შეხვდნენ ავღანეთის ე.წ. მეგობრები რუსეთი, აშშ, პაკისტანი, თურქმენეთი, ირანი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი... მაგრამ 11 სექტემბერი ახალ განსაცდელად იქცა ავღანეთისათვის.

*იტოგი №38*

# სმიტი ბრიტანეთს ევროკავშირის დატოვებისკენ მოუწოდებს



იან დუნკან სმიტი

დიდი ბრიტანეთის კონსერვატორული პარტია მსოფლიოში უხუცესი პოლიტიკური გაერთიანებაა. დიდ ბრიტანეთს ტორების პარტია 68 წელი მართავდა. კატასტროფა 1997 წელს მოხდა, რაც საპარლამენტო არჩევნებზე ტორები, პრემიერ-მინისტრ ჯონ მეიჯორის მეთაურობით, დამარცხდნენ და გამარჯვება ლეიბორისტთა ენერგიულ, ახალგაზრდა ლიდერს ტონი ბლერს დარჩა. ტორთა პარტია ოპოზიციური გახდა. დღემდე ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტიის, კონსერვატორების პოზიციები თანდათან სუსტდება. მათი უმრავლესობა ერთიანი ევროპული ვალუტის და საერთოდ ევროკავშირის წინააღმდეგია. ტორების ლიდერების ექსტრემისტულმა რიტორიკამ შეაშინა ამომრჩევლები, რომლებიც წინათ კონსერვატორულ პარტიას უჭერდნენ მხარს. 12 სექტემბერს გამართულ პარტიის ლიდერის არჩევნებში გაიმარჯვა იან დუნკან სმიტმა. ახალი ლიდერი სულ ახლახან ამხილეს ნეონაცისტურ ორგანიზაციებთან კავშირში, თავადაც ხშირად უწევს პროპაგანდას იდეებს, რომლებსაც ევროპაში ფაშისტურად მიიჩნევენ. იგი მოუწოდებს ბრიტანეთს, დატოვოს ევროკავშირი. მომხრეა სკოლებში განკეპვლის შემოღებისა. მიუღებლად მიაჩნია ყველაფერი უცხოური. დამკვირვებლის აზრით, შესაძლოა მან კონსერვატორული პარტია საფრანგეთში ჟან მარი ლე პენისა და ავსტრიაში იორგ ჰაიდერის მსგავსად ნახევრად ფაშისტურ დაჯგუფებად აქციოს. ანალიტიკოსების აზრით, კონსერვატორული პარტია არანაირ პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენს.

*ვლასტ №38*

# შვეიცარიამ გადაწყვეტილება მიიღო

შვეიცარიის პარლამენტის ქვედა პალატამ ორდღიანი კამათის შემდეგ გადაწყვიტა, ხმა მიეცა გაეროში ქვეყნის შესვლისთვის. ამ აზრს მხარს უჭერს ზედა პალატაც — კანტონების საბჭო. ახალი წლის დამდეგს შვეიცარიაში გაიმართება რეფერენდუმი, ეს უკვე მესამე ცდაა. ხუთი წლის წინ გაეროში შესვლის წინააღმდეგი იყო შვეიცარიელთა სამი მეოთხედი.

შვეიცარია ევროპაში პირველი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომელმაც ჯერ კიდევ XIII საუკუნეში გამოიხსნა თავი გერმანიის იმპერიისა და საფრანგეთის სამეფოს მბრძანებლობისაგან. ამიტომაც ნებისმიერი მძლავრი გაერთიანება შვეიცარიელებს იმპერიას ახსენებს. ქვეყანა შედგება თავისუფალი კანტონებისგან და გაეროში შესვლა (მოგვიანებით შესაძლოა ევროკავშირშიც) მის მოქალაქეებს თვალში არ მოსდით. მართალია, შვეიცარია ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად არც ერთ გაერთიანებაში არასოდეს შესულა, მაგრამ გაეროს ევროპული შტაბბინა ჟენევაშია, ისევე, როგორც ბევრი სხვა მსხვილი ორგანიზაციისა და მუდმივი ფორუმის ცენტრები.

თუ შვეიცარია გახდება გაეროს და შემდეგ ევროკავშირის წევრი, იგი იძულებული იქნება, დაემორჩილოს ევროპის კანონებს, მათ შორის საიმიგრაციოსაც. იმიგრანტთა მოძალება უცილობლად შეცვლის ქვეყანას, ეს იქნება უკვე სხვა შვეიცარია.

*ობშჩაია გაზეტა №38*

## სხვადასხვა

# ნაურუ ავსტრალიას ფულს სთხოვს

კუნძულ ნაურუზე, რომელიც ავსტრალიასა და ჰავაის კუნძულებს შორის მდებარეობს, მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. აქ მცხოვრებ 11 ათას ადამიანს შეემატნენ ავღანელი, პაკისტანელი და შრილანკელი დევნილები, რომელთა მიღება არ სურდა ავსტრალიის ხელისუფლებას. ოკეანეში ემიგრანტებმა თვეზე მეტხანს დაჰყვეს. ორი გემი გამოიცვალეს, უბედურებაში ჩავარდნილი ლტოლვილები ჯერ ნორვეგიის სატვირთო გემმა „ტამპამ“ აიყვანა თავის ბორტზე, მერე კი ავსტრალიის საზღვაო-სამხედრო ძალთა ხომალდ „მანერაზე“ გადასხეს. ფიქრობდნენ, რომ მათ პაპუა-ახალი გვინეის სანაპიროზე მიიყვანდნენ. იქიდან კი ნაურუსა და ახალ ზელანდიაში თვითმფრინავებით ჩაიყვანდნენ. გზად გემმა ავსტრალიის წყლებში კიდევ ერაყელი და პალესტინელი 237 უკანონო ემიგრანტი აიყვანა.

კუნძულ ნაურუს პორტ აიუოში პირველი დესანტი — 100 ავღანელი გადასვეს. ადგილობრივები გულთბილად შეხვდნენ დევნილებს. მათ საგანგებო ბანაკებში ჩაასახლებენ და შემდეგ მომდევნო პარტიას გადმოიყვანენ გემიდან. ემიგრანტებისათვის თავშესაფრის მიცემის სანაცვლოდ ნაურუმ ავსტრალიის მთავრობას 20 მლნ ავსტრალიური დოლარი მოსთხოვა. ნაურუზე დევნილები 2 თვეზე მეტხანს დაყოფენ — ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლება განიხილავს მათ თხოვნას ოფიციალური სტატუსის მიღების თაობაზე.



*ნოვაია გაზეტა №69*

# შესაწირავი ზღვად დადგა

ნიუ-იორკის მერმა ჯულიანიმ მთავრობას 80 მლრდ დოლარი სთხოვა. პრეზიდენტმა ბუშმა უპასუხა, — თქვენ მიიღებთ ცარიელ ჩეკს, თანხას კი თავად ჩაწერთ. ბუშის ხელგაშლილობამ მეცენატებიც უფრო გულუხვი გახადა. პლანეტის ყველაზე მდიდარმა კაცმა ბილ გეიტსმა 5 მლნ დოლარი ფულად გაიღო, ამდენივე „ნატურით“, კომპიუტერული სამუშაოს სახით დაუმატა, რომელსაც თვითონვე გადაიხდის. ჰოლივუდმაც ხელი გამოიღო — ჯულია რობერთსმა ორი მლნ შესწირა, ჯიმ ქერიმ და ო'დონელმა — თითო მილიონი.

ტელევიზიისა და რადიოს ოთხი არხით ამერიკელებს მიმართეს მსახიობებმა: ნიკოლსონმა, რობერთსმა, კრუზმა, ფორდმა, დე ნირომ, სტალონემ, კროუფორდმა, ალ პაჩინომ. მათ მოუწოდეს თანამემამულეებს, გაიღონ თანხები ნიუ-იორკის აღსადგენად, დაობლებული ბავშვების, დაჭრილი მეხანძრეებისა და პოლიციელების დასახმარებლად, მემორიალის ასაგებად.

მომღერალი ბრითნი სპირსი ჩრდილოეთ ამერიკაში გამართული კონცერტების ყოველი ბილეთიდან თითო დოლარს შესწირავს დაღუპული მეხანძრეებისა და პოლიციელების ოჯახებს. მისი აზრით, 2 მლნ დოლარზე მეტი უნდა შეგროვდეს, მაიკლ ჯექსონს სურს კონცერტებიდან შემოსული 30 მლნ დოლარი მთლიანად გაიღოს.

სპორტსმენებმაც დიდძალი ფული გაიღეს. თავიანთ ყულაბებს ხსნიან ამერიკის პატარა მოქალაქეებიც. ინტერნეტის საიტები ვირტუალურ ბანკებადაა ქცეული და მათ მიმართ ნდობის ფაქტორის განსაცვიფრებელ რეკორდებს ამყარებენ.

ამჟამად პატიმარმა, ყოფილმა ბიზნესმენმა მაფიოზიმ კარმინე ანელომ, რომელიც ბრუკლინის ციხიდან უყურებდა, როგორ ინვოდა ტყუპი (იგი ამერიკის ყველაზე დიდი მაფიოზური კლანის თავკაცის გოტის ქალიშვილის ქმარია), ტერაქტების მეორე დღეს დაურეკა ნიუ-იორკის მერს და სთხოვა, — უფასოდ ისარგებლეთ ჩემი უნიკალური, ლითონმჭრელი აღჭურვილობითო. ეს აღჭურვილობა 8 მლნ დოლარი ღირს. ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ციხის, ლუიზიანის შტატის პატიმრებმა წითელ ჯვარს 11 ათასი დოლარი შეუგროვეს, სოლიდური თანხაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ სამუშაო საათში 4-დან 20 ცენტამდე აძლევენ. მანჰეტენის ნანგრევებიდან ახალი ამერიკა იყურება.

*ნოვაია გაზეტა №38*

# გლობალ ვოი

საერთაშორისო სატელეფონო კავშირი ინდექსით




| | | | |
|---|---|---|---|
| ზონა | I | რუსეთი | 0.20 |
| ზონა | II | დ.ს.თ | 0.30 |
| ზონა | III | ევროპა, თურქეთი | 0.34 |
| ზონა | IV | ისრაელი, ავსტრალია და სხვა | 0.39 |
| ზონა | V | ა.შ.შ. და კანადა | 0.49 |
| ზონა | VI | ეგვიპტე, ირანი და სხვა | 0.57 |
| ზონა | VII | კუბა, ერაყი და სხვა | 0.77 |
| ზონა | VIII | ირიდიუმი, ინმარსატი და სხვა | 4.00 |

GlobalOne SM
A Member of the France Telecom Group

**8-18 01** www.gec.ge ელექტრონული კომერციის საინფორმაციო ბაზა

**8-18 0** ინტერნეტი ხელშეკრულების პაროლის და დეპოზიტის გარეშე ინდექსით
09:00-21:00 0.72
21:00-09:00 0.36
www.8180.ge

**ა/წ 8 აგვისტოდან ძველი ქსელების აბონენტებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ 8-18 ინდექსით**

შენიშვნა: ფასები მოცემულია დოლარებში დღგ–ს ჩათვლით ანგარიშსწორება შესაბამისი კურსით ლარებში

თბილისი, რუსთაველის 31. ტელ: 339133, 339135. ელ-კომერციასთან დაკავშირებით დარეკეთ 339107. ფაქსი: 923285

# ჩემპიონთა ლიგა. 25-26 სექტემბერი

## „დეპორტივომ“ რეალი შეარცხვინა

### A ჯგუფი

**რომა — ლოკომოტივი 2:1**

**რეალი — ანდერლეხტი 4:1**

ჯგუფის ორივე ფავორიტმა მოიგო, მაგრამ მოგებაც არის და მოგებაც. მიუხედავად იმისა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პირველი გოლი სტუმრებმა გაიტანეს, „რეალის“ საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი ალბათ თავად ბელგიელებშიც არ შეპარვიათ. „რეალმა“ ერთი ამოსუნთქვით „გადაურბინა“ „ანდერლეხტს“ და [illegible] გოლი გაუტანა. [illegible] „ლოკომოტივის“ დამარცხება, თანაც საკუთარ „სტადიო ოლიმპიკოზე“. რომაელები 70-ე წუთამდე აგებდნენ და [illegible] ვერაფერს ახერხებდნენ. გადამწყვეტი გოლი ფრანჩესკო ტოტიმ მაშინ გაიტანა, როცა თამაშის დასრულებას ათი წუთი აკლდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

### B ჯგუფი

**ბოავიშტა — დორტმუნდი 2:1**

**ლივერპული — დინამო 1:0**

„ბოავიშტა“ აღარ ხუმრობს, პორტუგალიელებმა მათ მიერ წინა ტურში დამარცხებულ კიევის „დინამოს“ მათიას ზამერის



ლიტმანენის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ლივერპული-დინამოს შეხვედრაში

„დორტმუნდიც“ ზედ მიაყოლეს. „ლივერპულმა“ საკუთარ „მეინ როუდზე“ ფინელი იარი ლიტმანენის გოლის წყალობით იმარჯვა დაუძლურებულ კიევის „დინამოსთან“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ლივერპული | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| დორტმუნდი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| დინამო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი — არსენალი 1:0**

**შალკე — მალიორკა 0:1**

ალბათ გახსოვთ ტურნირის დაწყებამდე ბერძნულ „პანათინაიკოსს“ ჯგუფის [illegible] თვლიდნენ. „აუტსაიდერიც“ ასეთი უნდა! — ბერძნებმა სამ შეხვედრაში ქულა არ დაუკარგავთ — ამჯერად მათი „ბულკი“ არსენ ვენგერის „არსენალი“ გახდა. [illegible] ბოლოს 25-ე წუთზე გატანილი გოლი ამ მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა.

გერმანიის ვიცე-ჩემპიონი „შალკე“ ხან შინ აგებს, ხანაც სტუმრად — თანაც ყველა მატჩში ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობს. ასე იყო ამჯერადაც, „შალკე“ მთელი 90 წუთი უტევდა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა, სამაგიეროდ, „მალიორკელმა“ სამუელ ეტოომ დალაშქრა მასპინძელთა კარი და „მალიორკა“ გერმანიიდან სამი ქულით „ხელდამშვენებული“ დაბრუნდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| მალიორკა | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| შალკე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### D ჯგუფი

**პ.ს.ვ. — ლაციო 1:0**

**ნანტი — გალათასარაი 0:1**

ამ ბოლო დროს რომის „ლაციოს“ ყველა უგებს და „ეინდჰოვენმა“ რაღა დააშავა. რომაელები კიდევ ერთხელ შერცხვნენ, ამჯერად ჰოლანდიაში. თამაშის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე გერეტსმა გოგა გახოკიძე შეუშვა მინდორზე. ჩვენებური კარგად ჩაერთო თამაშში და „ლაციოს“ ძლევაში მცირეოდენი წვლილიც შეიტანა. საკმაოდ მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად „გალათასარაიმ“. სერგენის გოლმა თურქებს სამი ქულა მოუტანა, მასპინძლებს კი, რომელთაც ამ მატჩამდე ლიგაში ქულა არ ჰქონდათ დაკარგული, ჯგუფიდან გასვლის შანსები ერთობ შეუმცირა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ეინდჰოვენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| გალათასარაი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ლაციო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

### E ჯგუფი

**სელტიკი — პორტუ 1:0**

**რუსენბორგი — იუვენტუსი 1:1**

„სელტიკს“ კვლავ შეეძლო ჰენრიკ ლარსონი [illegible] მხსნელად. მის მიერ პირველ ტაიმში გატანილ გოლს პორტუგალიელებმა [illegible] „რუსენბორგმა“ [illegible] „იუვენტუსმა“ ტურინში [illegible] 85-ე წუთზე ალესანდრო დელ პიეროს ულამაზეს გოლს „ვიკინგებმა“ თამაშის მიწურულს ზუსტად შესრულებული პენალტით უპასუხეს და მრისხანე მეტოქესთან ქულები გაიყვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### F ჯგუფი

**ლევერკუზენი — ბარსელონა 2:1**

**ფენერბახჩე — ლიონი 0:1**

„ლევერკუზენმა“ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და ჯგუფს ქულის დაუკარგავად ლიდერობს. გერმანელები 0:1-ს აგებდნენ ლუის ენრიკეს ულამაზესი გოლის შემდეგ, მაგრამ მეორე 45 წუთში თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლეს. ჯერ ბასტურკმა გამოიჩინა თავი, შემდეგ ნოივილმა. ზედიზედ მეორედ დამარცხდა „ფენერბახჩე“, თანაც ორივე შეხვედრა შინ წააგო და თეორიული შანსიღა შერჩა მეორე ეტაპზე გასვლისა. გადამწყვეტი გოლი ფრანგებმა 88-ე წუთზე გაიტანეს, თავი დელმოტმა გამოიჩინა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ფენერბახჩე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### G ჯგუფი

**დეპორტივო — მანჩესტერი 2:1**

**ლილი — ოლიმპიაკოსი 3:1**



დეპორტივო-მანჩესტერი 2:1

ლა კორუნიაში გამართული მატჩი უდავოდ საუკეთესო გახლდათ გასულ კვირაში გამართულ შეხვედრათაგან. ალბათ ბევრს გაახსენდა 1999 წლის დიდებული ფინალი, განსხვავება ის იყო, რომ სამშაბათს გამართულ შეხვედრაში „მანჩესტერი“ დამარცხდა. პოლ სქოულზის პირველ ტაიმში გატანილ გოლს, თამაშის უკანასკნელ წუთებზე პანდიანიმ და ნაიბეტმა უპასუხეს და „დეპორს“ უმნიშვნელოვანესი ქულები მოუტანეს. უპრობლემოდ მოიგო ფრანგულმა „ლილმა“. ფრანგები 3:0-ს უგებდნენ „ოლიმპიაკოსს“ და ის ერთადერთი გოლიც ბოლო წუთზე გაუშვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

### H ჯგუფი

**სპარტაკი — ბაიერნი 1:3**

**სპარტა — ფეიენოორდი 4:0**

„ფეიენოორდთან“ გამართული პირველი მატჩისგან განსხვავებით „სპარტაკმა“ მიუნხენის „ბაიერნთან“ ორბურთიანი სხვაობის გაბათილება ველარ მოახერხა. ოტმარ ჰიტცფელდის გუნდმა აშკარად დაჩაგრა რუსეთის ჩემპიონი, ისევე როგორც ჩეხურმა „სპარტამ“ „ფეიენოორდი“. „ბაიერნი“ და „სპარტა“ ჯგუფის ლიდერებიც არიან და ფავორიტებადაც ითვლებიან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ფეიენოორდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |

# ჩივაძეს ნაკრებში დარჩენა სურს

ეროვნული ნაკრები მალე ოფიციალურ სეზონს დაასრულებს. „შინდისფერებს“ ბოლო შეხვედრა რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთან 5 ოქტომბერს ელის. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდრე ჩივაძემაც დაიწყო მზადება ოქტომბრის მატჩისთვის, რომელიც საერთო ჯამში, ერთი შეხედვით, უკვე ორივე გუნდისთვის აღარაფერს წყვეტს.

თუმცა, მეორე მხრივ, ამ თამაშს მრავალი ფაქტორი სძენს ინტერესს. უპირველესად გასათვალისწინებელია ის, რომ ფიფა შემდეგი ციკლისთვის გაარკვევს, თუ რომელ კალათში აღმოჩნდება საქართველო ევროპის ჩემპიონატის წილისყრაზე. რაც უფრო მაღალ პოზიციას დაიკავებენ „შინდისფერები“, შესაბამისად, მით უფრო სუსტი მეტოქეები შეგვეცილებიან პორტუგალიის საგზურს (2006 წლის პირველობა იქ უნდა ჩატარდეს).

ჩივაძემ უკვე დაასახელა ეროვნული ნაკრების სარუმინეთო შემადგენლობა. ყველას გაოცებას იწვევს, რომ უნგრეთ-ლიტვასთან თამაშებში თავგამოჩენილი გიორგი დემეტრაძე არ არის შემადგენლობაში შეყვანილი. საქმე ის გახლავთ, რომ გიორგი ნელ-ნელა „რეალ-სოსიედადის“ ძირითად შემადგენლობაშიც ახერხებს მოხვედრას. „სელტასთან“ მწვრთნელმა ტოშაკმა იგი გუნდის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელა. 4 და 7 ოქტომბერს კი „სოსიედადს“ ესპანეთის ჩემპიონატის პრინციპული შეხვედრები ელის და ჩივაძემაც ამ შემთხვევაში არა კლუბის, არამედ თავად გიორგი დემეტრაძის ინტერესი გაითვალისწინა და კლუბში პრობლემები რომ არ შექმნოდა, იგი არ გამოიძახა. სხვათა შორის, 1996 წელს ასევე მოიქცა ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი, დავით ყიფიანი და ამით შოთა არველაძეს „აიაქსში“ დამკვიდრების შანსი მისცა.

სამწუხაროდ, ასეთი არჩევნის წინაშე ჩვენი ნაკრების მწვრთნელები არაერთხელ დადგებიან და ეს სულაც არ არის გასაკვირი. ქართველი თავდამსხმელის ესპანეთში დამკვიდრება ისევ საქართველოს ნაკრების მომავალს წაადგება. არადა, ჩვენი ინფორმაციით, თავად დემეტრაძე მზად იყო, ჩამოსასვლელად.

უკვე თვალშისაცემად „დაივიწყა“ ჩივაძემ ბელგიის „ლიერსში“ მოთამაშე გელა შეყილაძე. ჩივაძის გემოვნებას, თურმე, ვერ პასუხობს მხოლოდ დაცვას მიჯაჭვული მცველი. ძნელი სათქმელია, რეალურად რითია განპირობებული შეყილაძის მივიწყება. აბსურდულია იმის მტკიცება, თითქოს ჩივაძეც ტრანსფერებზე ფიქრობს. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებში დაუმსახურებლად, ვფიქრობ, ჯერ მოთამაშე არ მოუწვევიათ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაშ რატომ ივიწყებს ბელგიის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს? ჩივაძეს არ უყვარს მასმედიასთან ურთიერთობა და ამიტომ გვიხდება ვივარაუდოთ, რომ მიზეზი ნაკრების გაახალგაზრდავების მცდელობაა. კარგა ხანია გამოჩნდნენ პერსპექტიული მცველები: 19 წლის ზურაბ ხიზანიშვილი, რომელმაც უკვე „დანდის“ შემადგენლობის უცვლელ წევრობას მიაღწია და 20 წლის ედიკ საჯაია, რომელიც მოსკოვის „ტორპედოს“ მწვრთნელს, ვიტალი შევჩენკოს ძლიერ მოსწონს და უპერსპექტიულეს ფეხბურთელად მიაჩნია.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს არც ერთ ნაკრებს არ ჰყავს ჩვენნაირი ახალგაზრდული დაცვა. ბოლო ორ მატჩში ჩვენს უკანახაზელებში ყველაზე გამოცდილი 23 წლის (?!) მილანელი კახა კალაძე იყო.

თუმცა, ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია თავად მთავარი მწვრთნელის საკითხი — სურს თუ არა ალექსანდრე ჩივაძეს ეროვნულ ნაკრებთან მუშაობის გაგრძელება?

ამ, ჯერაც ბნელით მოცულ საკითხში, სინათლე სრულიად შემთხვევითმა ფაქტმა შეიტანა. ერთ-ერთმა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა, ჩივაძის განთავისუფლება მოითხოვა. მეტიც, მოტანილი იყო ბატონი ირაკლის სიტყვებიც, რომ საქართველოს ნაკრებს აუცილებლად უცხოელი მწვრთნელი ესაჭიროებაო. მისი სიტყვებით, „იოჰან ბოსკამპმა ნაკრებთან ნამუშევარ მწვრთნელთა შორის ყველაზე მეტად მოახერხა ტალანტების აღმოჩენა. შესაძლოა, შედეგებით თავი არ გამოუჩენია, მაგრამ საქართველოს ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი აღმოუჩინა“.

ამას დაერთო რუსული ტელეკომპანია ნტვ-ს მიერ გავრცელებული სენსაციური ინფორმაციაც, თითქოს იუგოსლაველმა სპეციალისტმა, პეტროვიჩმა მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჟორდანიას მიწვევა და იგი „შინდისფერებთან“ იმუშავებსო.

თავად ლუბკო პეტროვიჩმა, რომელიც ამჟამად ბულგარეთის „ლევსკის“ მთავარი მწვრთნელია, განაცხადა, რომ თუკი მიიწვევენ, მზადაა იმუშაოს საქართველოს ნაკრებთან. ეს ის პეტროვიჩია, რომლის ხელმძღვანელობითაც 1991 წელს „ცრვენა ზვეზდამ“ ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

თუმცა, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია უარყოფს ჩივაძის განთავისუფლების სურვილს:

— ახალ მწვრთნელს მხოლოდ მაშინ მოვძებნით, თუკი ჩივაძეს დარჩენის სურვილი არ ექნება — ამბობს ის.

ინფორმაცია დავით ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ გავრცელდა და ამიტომ ჩრდილში მოექცა. თუმცა, ბატონი საშა ამ ინფორმაციამ მეტად აღაშფოთა. მას ისიც კი უთხრეს, თითქოს მეძმარიაშვილმა იგივე გაიმეორა კიდევ ერთ ქართულ გაზეთში. სინამდვილეში მეძმარიაშვილი გაოცებული იყო, რომ მიაწერეს ის სიტყვები, რაც (მისი თქმით) არასდროს უთქვამს. მეტიც: „მე საშას დარჩენის მომხრე ვარ. თუმცა, არ დამიმალავს, რომ საქართველოს ნაკრებთან მუშაობის სურვილი ორმა იტალიელმა და ერთმა არგენტინელმა გამოთქვა. თითოეულ მათგანს იტალიაში, სერია A-სა და B-ში უმუშავია, მაგრამ რადგანაც სახელის მოპოვებით დიდად არიან დაინტერესებულნი, ამიტომ განუვითარებელ ქვეყანაში მუშაობაზეც ყაბულს არიან. თუმცა, ვიმეორებ, მე საშას დარჩენის მომხრე ვარ და არც მის წასვლაზე დამიძრავს სიტყვა. კაცმა შედეგს მიაღწია და რატომ უნდა გავუშვათ? ან ვინ იტყვის, ჩამოსული მწვრთნელები ბოსკამპის არ იყოს, გაიგებენ თუ არა ქართველთა მენტალიტეტს?“



სამწუხაროდ, გაუგებრობა მაინც მოხდა და ყიფიანის პანაშვიდზე ჩივაძემ მეძმარიაშვილს ჰკითხა, თქვა თუ არა ასეთი რამ? უსიამოვნება წარსულს ჩაბარდა და ყველაფერი გაირკვა.

გაირკვა ყველაზე მთავარი — რომ ჩივაძეს ნაკრებში მუშაობა სურს.

თუმცა, ისტორია ამით არ სრულდება: ჩივაძე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიასაც ესაუბრა. „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, ჩივაძემ ჟორდანიას პირდაპირ განუცხადა, რომ მზად არის გადადგეს, თუკი ფედერაციის პრეზიდენტის გეგმებში უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანაა გათვალისწინებული. ჟორდანია გაოცებული დარჩა შეკითხვით, რადგან ამგვარი რამ მას არ უფიქრია და მშვენივრად აცნობიერებს, რომ აღარ უნდა განმეორდეს 1997 წელს ჩადენილი უდიდესი შეცდომა. მაშინ ყიფიანმა ჩივაძისგან ნაკრები ჩაიბარა და ჩინებულ შედეგსაც მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ყიფიანმა გუნდი ფეხზე დააყენა, შეადგინა ოპტიმალური შემადგენლობა და მშვენიერ სათამაშო ხარისხსაც მიაღწია. არადა, მოულოდნელად ფეხბურთის ფედერაციამ უცნაური მიზეზით გაათავისუფლა და აღმავლობის გზაზე მდგომი ყიფიანის ნაკრები სატრანსფერო ციებ-ცხელება შეყრილ გუცაევს ჩააბარეს. მის ხელში დაიწყო სწორედ პერსპექტიული ნაკრების რეგრესი, შინაამლილობა და ა.შ.

იმედია, ჟორდანია არ აპირებს ჩივაძესთან დაშორებას. მართალია, მილუტინოვიჩისნაირი სპეციალისტი ბევრად სასურველია, მაგრამ მისი ჩამოყვანის იმედად ყოფნა არ ღირს. სერბმა სპეციალისტმა გარკვევით თქვა, რომ ჩინეთში მშვენიერ პირობებში ვმუშაობო და ამით ირიბად მიგვანიშნა, თქვენზე არც მიფიქრიაო.

დაბოლოს, რუმინეთთან შეხვედრას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი უჩვენებს. აღსანიშნავია, რომ ჯერ ქართველი ბიზნესმენები ვერ აცნობიერებენ ასეთი შეხვედრისას საკუთარი პროდუქციის რეკლამის სტადიონის სარეკლამო ფარებზე განთავსების აუცილებლობას. არადა, არის, ალბათ, საქართველოში ისეთი პროდუქცია, რომლის რეკლამირებაც მის მწარმოებელს დიდ ხეირს მოუტანს. რუმინეთი-საქართველოს მატჩზე კი, ამის საშუალება არის და მას ქართველ ბიზნესმენთა უმრავლესობა ვერ იყენებს. ეს მაშინ, როცა ყველა უცხოურ ბაზარზე გასვლას ცდილობს. ესეც უცნაურია!

**ლაშა დუმბაძე**

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ). წინა ამოცანის ამოხსნა: 1. **a7-a8ე!**

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **ორ** სვლაში.



# რაც კი წინასწარ ხმამაღლა ვთქვი, ჩემდა სასიკეთოდ აღარაფერი მოხდა

ცნობილი ლოტბარის, მარო თარხნიშვილის შვილიშვილი და კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილის ძმისწული ეკა კვალიაშვილი [illegible]

[illegible]

— ხომ არ თვლით, რომ [illegible]?

— [illegible]

— არსებობს მოსაზრება, რომ ყოველივე ეს თინეიჯერების გემოვნებაზეა გათვლილი.

— [illegible]

— მიკვირს, რომ დღემდე ერთი კლიპიც არ გადაგიღიათ. [illegible]?

— ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენთან კულტურა [illegible]

— ამ ბოლო დროს, ზოგიერთი ჩინოვნიკისგან ისიც მოგვისმენია, რომ კულტურით საერთოდ არ უნდა დაინტერესდნენ. ახლახან საჯაროდ ისიც ითქვა, რომ კულტურა, საქართველოში თურმე არარენტაბელური დარგია.

— თუ მართლა ასე თვლიან, ეს ჩვენი საყოველთაო უბედურებაა, რადგან სწორედ კულტურა წარმოაჩენს ქვეყნის სახეს. სახე თუ დავკარგეთ, დავლუპულვართ და ეგაა. ხშირად მეუბნებიან, რომ ესტრადის დედოფალი ვარ, მეცინება ამ სიტყვებზე. თუ ასეა, მაშ რატომ ვარ საქართველოში ერთადერთი მომღერალი, ვისაც კლიპი საერთოდ არა აქვს?

— **თქვენ-ე ამბობენ, რომ არა ხართ პრეტენზიული საკონცერტო კონტრაქტის დადებისას თუ ამჟღავნებთ ამ თვისებას? როგორც მსმენია, ბევრი მომღერალი ვაჭრობს ჰონორარზე, თქვენ?**

— ჩვეულებრივ მეკითხებიან ხოლმე, რა სიდიდის ჰონორარი მსურს. მეც ვპასუხობ, ჩემთვის ადამიანებთან ურთიერთობა უფრო მეტია, ვიდრე ფული-მეთქი. რაზე უნდა ვივაჭრო, 50$-ზე? მე შენ გეტყვი, იმდენს გვიხდიან, რომ აშენდები.

— **უცხოეთში გასტროლების საქმე როგორ არის?**

— რამდენიმე დღეში მოსკოვში ვარ მიწვეული, იქიდან კი პარიზში მივფრინავ.

— **უფრო კონკრეტულად ვერ გვეტყვით, რა ხდება?**

— არ ვიტყვი. რაც კი წინასწარ ხმამაღლა ვთქვი, ჩემდა სასიკეთოდ აღარაფერი მოხდა.

— **ცრუმორწმუნე ხართ?**

— არა. აქ ცრურწმენა არაფერ შუაშია. მე მყავს სულიერი მოძღვარი ამაღლების ეკლესიაში — მამა ნიკოლოზი, მანამდე შავნაბადაზე მამა შიოს სულიერი შვილი ვიყავი. მისი გაფრთხილება არასოდეს დამავიწყდება. მითხრა, თუ რაიმეს გაკეთებას ჩაიფიქრებ, ამის შესახებ წინასწარ არ ილაპარაკო, რადგან შენი ნათქვამი ესმის როგორც ღმერთს, ისე მის მოწინააღმდეგე ძალას, რომელიც ჩაგიშლის საქმესო. აქედან გამომდინარე, ჩემი



ამგვარი დამოკიდებულება ცრურწმენა არ არის, თანაც, ბევრჯერ ყოფილა ისე, რომ ხმამაღლა ნათქვამი სამომავლო გეგმების შემდეგ, ჩემს გზაზე მიმავალი სხვა მინახავს.

— **ეს, ალბათ, იმის ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შოუბიზნესის სამყაროში ბატონობს შური და ურთიერთდაუნდობლობა.**

— ჯერ ერთი, ჩვენთან შოუბიზნესი არ არსებობს. მეორეც, პირადად არასოდეს შემშურებია ვინმეს წარმატება, რადგან ჩემი გზა, საქმე და ადგილი მაქვს ე.წ. ქართველ შოუმენთა თანავარსკვლავედში და წლების მანძილზე მყარად ვდგავარ, სოკოსავით უცებ არ ამოვსულვარ წვიმაში.

— **თქვენი საუბარიც და სხვებისგან მიღებული ინფორმაციაც მოწმობს, რომ ადამიანურ ურთიერთობებში ხშირად გულნატკენი დარჩენილხართ.**

— ადვილად აღარ ვენდობი ადამიანს. ყველა ღიმილი წრფელი მეგონა. ვფიქრობდი, რასაც მე არ ვიკადრებ, არც სხვა იკადრებდა-მეთქი. ასაკმა და გამოცდილებამ უნდობლობის ფაქტორი გამიჩინა და ურთიერთობებში დისტანციის დაჭერას მივეჩვიე.

— **მეტ დროს სად ატარებთ?**

— გააჩნია, რას ვაკეთებ. როცა შემოქმედებით ვარ დაკავებული, სტუდიაში ვმუშაობ. საერთოდ, უფრო მეტად თემურ ნიკოლაიშვილთან ვარ, რუსთაველის თეატრში. ბევრი სიმღერა ჩავწერე მარიკა ქაცარავას სტუდიაში, რომელსაც „ჩემი სტუდია“ ჰქვია. ერთხელ, ეს რომ ვთქვი, ჟურნალისტებმა დამიწერეს — ეკა თავის სტუდიაში მუშაობსო. ამჟერად წინასაგასტროლო მზადებაში ვარ. პარიზში ელიტარული მიღებები და კონცერტები მექნება.

— **ეკა კვალიაშვილს მონატრება თუ ტანჯავს ხოლმე?**

— ძალიან. ძველი, თბილისური თბილისი მენატრება, ღიმილიანი, ბედნიერი სახეები. შეიძლება ბევრს გაეღიმოს ჩემს ტრივიალურ მონატრებაზე, რადგან სამშობლოს, შენი ქალაქის სიყვარული თურმე უკვე მოდაში აღარ არის. რა ვქნა, ვიყო ძველმოდური, მე სიყვარულით სავსე თბილისი, ბედნიერი საქართველო მენატრება და კიდევ მენატრება ერთი კაცი, რომელზეც არაფერს გეტყვით *(იცინის)*.

— **გასაგებია, რომ ხმამაღლა არ ამბობთ, მაგრამ ეგ კაციც წარსულშია?**

— რატომ წარსულში და არა ახლა?

— **ეი. მარტო არა ხართ?**

— თუ ჩემს პირად ცხოვრებაში არავინაა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მარტო ვარ. მყავს ძმა, შესანიშნავი ოჯახი, მეგობრები და შვილი, რომელიც ჩემი უდიდესი სიხარულია.

— **რა გაღიზიანებთ ხოლმე?**

— ამპარტავნება და ღალატი. მიყვარს უბრალოება. სიამოვნებით ჩამოვჯდები, სადმე, სოფელში, გლეხის ბუხართან და ავმღერდები იქ, სადაც ღვინის, რძის და პურის სუნი ტრიალებს. იქ, სადაც ღმერთის სიახლოვე იგრძნობა.

— **თქვენი „დაბადებაც“ მაგ პირობებში ხომ არ დაიბადა?**

— არა. ჩემი „დაბადება“ დიდი ბებიის, მარო თარხნიშვილის სიმღერების პოპურისა და მამიდაჩემის სიმღერებისგან შეიქმნა. სანამ საქვეყნოდ გამოვიტანდი ამ სიმღერას, ხშირად წავიმღერებდი ხოლმე ჩემთვის. არაერთხელ მოუსმენია და ძალიან მოსწონდა თემურ თათარაშვილს, ჩემს უახლოეს მეგობარს, რომელსაც როცა ვუყურებ, მგონია, რომ ისევ ბავშვები ვართ. მოკლედ, „დაბადება“ ჩემი ექსპერიმენტების შედეგია და მის გაგრძელებასაც მალე მოისმენთ.

*ეკა ლომიძე*

# დოლთან ერთად ბიჭებსაც ვუბაგუნებდი ხოლმე

## რატომ გამოაგდო როინ მეტრეველმა ლია ხორბალაძე პირველივე ლექციიდან...



არიან მომღერლები, ჯგუფები, ანსამბლები, რომლებიც გარკვეული დროით ცოცხლობენ, მერე კი ისე ქრებიან, რომ აღარავის ახსენდება.

ბავშვთა პირველი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი კი ვერ დაივიწყა საზოგადოებამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგა ხნის დაშლილია და მისი წევრები უკვე დიდი ხანია დედები არიან.

„მზიურის“ კოლორიტს, დასარტყმელ ინსტრუმენტებზე დამკვრელს, მოუსვენარს, „შფოთისთავს“ და მუდამ მოღიმარ **ლია ხორბალაძეს** საბავშვო სტუდია „ბომბორაში“ ვესტუმრე და ვკითხე:

— **თქვენნაირი „მზიური“ რატომ აღარ განმეორდა?**

— შემდგომ თაობებს ნიჭი არ აკლდათ, მაგრამ ალბათ ჩვენ აღმოვჩნდით იმ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულები, რომელსაც პირველის განუმეორებელი ხიბლი ახლავს. ჩემი ბავშვობა ანუ „მზიურელობა“ დღემდე ულამაზეს ზღაპრად რჩება ჩემს ცხოვრებაში.

— **როგორ დაიწყო ეს ლამაზი ზღაპარი?**

— ოჯახში ნანატრი გოგო ვიყავი, თუმცა ახლობლები ორი ძმის პატრონს, „შუათანა ბიჭს“ მეძახდნენ. პატარაობიდანვე ცეკვაზე ვგიჟდებოდი და პიონერთა სასახლეში, ქორეოგრაფიულ სტუდიაში მიმიყვანეს ქართული ცეკვის შესასწავლად. ზაფხულის არდადეგებზე სასახლემ დუშეთში, ბაზალეთის ტბაზე, პიონერთა ბანაკ „მზიანეთში“ წაგვიყვანა ბავშვები. როდესაც მშობლებმა ჩამომაკითხეს, აღფრთოვანებულმა ვუამბე — თითქმის ყველა წრეში ჩავეწერე-მეთქი. გარდა ამისა, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი უნდა შექმნილიყო და იქაც ვაპირებდი მისვლას...

— **როგორც ვიცი, მამაშენიც დოლზე უკრავდა. საერთოდ, მშობლებზე რას მეტყვი?**

— როცა დედ-მამაზე მეკითხებიან, სიამაყით აღვნიშნავ, რომ მათ სკოლის მერხიდან უყვარდათ ერთმანეთი. თანაც სახელებიც უწყობდათ ხელს — იზოლდა ქერაული და ტრისტან ხორბალაძე. ხომ კარგად ჟღერს? ისინი ერთ უბანში — ნაძალადევში იზრდებოდნენ და მთელმა უბანმა იცოდა მათი რომანის ამბავი. მამას ჩემთვის არ უსწავლებია დოლზე დაკვრა... ჰოდა, იმას გიყვებოდი, მშობლებმა ჩამომაკითხეს ბანაკში-მეთქი... ჩემი ენთუზიაზმით გახარებულმა მამამ მკითხა — რაზე უნდა დაუკრაო. დოლზე! — მივუგე სხარტად. სახტად დარჩა — მაშინ დასარტყმელ ინსტრუმენტებზე ხომ ქალი არ უკრავდა!

„მზიურის“ შექმნის იდეა რაფაელ კაზარიანს ეკუთვნის. როცა მან „მზიანეთში“ ყოფნის დროს ინსტრუმენტებით სავსე დარბაზში შემიყვანა და მკითხა, რომელს აირჩევო, მაშინვე დასარტყმელ ინსტრუმენტებს მივაშურე, რადგან ის ჩემთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, საინტერესო და მიმზიდველი, რომ მასზე ბუბა კიკაბიძე უკრავდა. რაფაელმაც იუცხოვა ჩემი სურვილი, მაგრამ ისე ავიჩემე, რომ ბოლოს დამთანხმდა (როცა იგივე ჰკითხეს ხათუნა დონდუას, მან გიტარა აირჩია. მოგვიანებით გვითხრა, — ისე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა, რომ გულმა მისკენ გამიწიაო). მეცადინეობა დავიწყეთ. ხელში ავიღე ჯადოსნური ჯოხები, რომლებმაც მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება.





თავდაპირველად „მზიურში“ ვიყავით: ნინო კობიაშვილი, ნანა სანებლიძე, მანანა წულაია, თამრიკო ხორავა, ხათუნა დონდუა, ხათუნა საბაშვილი და მე. მერე შემოგვემატნენ მაიკო ჯაბუა, მარინა მასხულია, ნინო დუმბაძე, თამრიკო გვერდწითელი, ეკა კახიანი, თამრიკო ჭოხონელიძე და სხვა პატარები.

— **ამბობდნენ, ეს ერთი ციდა გოგონები „პიონერხელმძღვანელ“ (გემ „შოთა რუსთაველზე“ გადაღებული ფილმიდან) გოგა ფიფიას ეპრანჭებოდნენო.**

— არა, რას ამბობ! გოგა ჩვენზე ლამის 14 წლით უფროსი იყო... ერთ სცენას გადავიღებდით თუ არა, გოგა გაუჩინარდებოდა, ჩვენ კი მაშინვე საცურაო აუზში ჩავცვივდებოდით ხოლმე.

— **ყველაზე ახტაჯანა და შფოთისთავი ლია იყო „მზიურელებს“ შორისო.**

— სცენისა და ეკრანს მიღმაც ისეთივე ენერგიული რომ დავრჩენილიყავი, ახლა გაცილებით მეტს მივაღწევდი. გული მწყდება, რომ ბოლომდე ვერ დავიხარჯე... ისე, ახტაჯანა მართლაც ვიყავი... თუ რომელიმე ბიჭს მოვეწონებოდი, კი არ მსიამოვნებდა, ვუბაგუნებდი.

— **იმ თქვენს ერთადერთ ნიკასაც ჩაგრავდით გოგონები?**

— (იცინის) არა, პირიქით, ვუფრთხილდებოდით... თუმცა, ერთი-ორჯერ მასაც მოხვდა ჩემი მუშტი.

— **ეკა კახიანს რატომ ეძახდით „Гадкий утенок“-ს?**

— ჩვენ არა, ამას ბატონი გურამ ჯაიანი (კაზარიანის მერე ის იყო ჩვენი ხელმძღვანელი) ეძახდა, რადგან ეკა მუდამ მის საწინააღმდეგოდ იქცეოდა. გურამი გვეტყოდა: ჩაიცვით თეთრი წინდები, ეკა ყვითლით გამოვიდოდა სცენაზე. გურამი გამოგვიცხადებდა: კარგად დაივარცხნეთ თმა და გაიკეთეთ „კუდები“, ეკა მის ჯიბრზე გაიწეწავდა ხოლმე.

— **ფილმი „მზიური“ იწყებოდა ბრეჟნევის სიტყვებით: „აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება“. თქვენ მართლაც მოიარეთ მსოფლიო. რომელ გასტროლს გამოარჩევდი?**

— გამორჩეული „ბურატინოს“ მოსკოვური გადაღებები გახლდათ. ფილმმა მართლაც ფურორი მოახდინა. მანამდე მსგავსი რამ არ მომხდარა მსოფლიო კინოხელოვნებაში — ბავშვები თავად თამაშობდნენ, უკრავდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ. მოსკოვში სამსახიობო ნიჭს მიქებდნენ, მაგრამ „ბურატინოს“ ყველა როლი განაწილდა (ბურატინო — ქეთი დეკანოზიშვილი, მალვინა — მაია ჯაბუა, პიერო — თამრიკო გვერდწითელი და ა.შ.) და მე უროლოდ დავრჩი... მოსკოველმა რეჟისორმა ჟირომსკიმ მოულოდნელად განაცხადა — ყარაბას-ბარაბასის როლს ითამაშებს ლია ხორბალაძეო. კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი. იმ წუთებში ჩემზე უბედური არავინ მეგულებოდა. ეხუმრები? უნდა მეთამაშა ბავშვების ყველაზე საძულველი გმირი. ფილმი უმოკლეს დროში — ერთ კვირაში გადავიღეთ. ის ერთი კვირა ტანჯვა იყო ჩემთვის. დილიდანვე დამაწებებდნენ უზარმაზარ წვერს, რომელსაც გვიანობამდე არ მხსნიდნენ. როცა ყველა ისვენებდა, ჭამდა ან ერთობოდა, მე „წვერულვაშიანი“ დაბოღმილი ვიჯექი ჩაბნელებულ გადასაღებ მოედანზე და ცრემლებს ჩუმად, წვერით ვიმშრალებდი.

— **„მზიურამდე“ ხომ „ჩარი-რამაში“ ითამაშე.**

— კი, მართალია! უფრო ადრე კი „დაისი“ და „დიდედები და შვილიშვილები“ იყო. ფილმ „დაისში“ ქორეოგრაფიულ სცენებს ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი დგამდნენ. მეც უნდა მეცეკვა. ერთხელ ქალბატონმა ნინომ მითხრა: წამოდი ჩემთან, მეშვილე. გაგზრდი, ცეკვასაც გასწავლი და არაფერს მოგაკლებო. აბა, უარს როგორ ვიტყოდი, როცა ქალბატონ ნინოს ვაღმერთებდი. უმალ სიხარულით დავთანხმდი. ეს რომ ჩემმა მშობლებმა გაიგეს, კარგა ხანს სერიოზულად იყვნენ ჩემზე ნაწყენი: ასე წამში როგორ გაგვცვალეო! მერე, ფილმში „დიდედები და შვილიშვილები“ დამალობანას სცენაში მათამაშეს და 17 მანეთიც მომცეს. რაც შეეხება „ჩარი-რამას“, ეს მართლაც თავბრუდამხვევი დღეები იყო. ნიკოლოზ სანიშვილმა მეც და ჩემი ძმებიც ბადრი ბეგალიშვილისა და ელენე ყიფშიძის „შვილებად“ ჩაგვწერა და გვათამაშა. ქობულეთში ვცხოვრობდით, გადაღებები კი ოზურგეთში იყო. დღე არ გავიდოდა, გურულებს სუფრა არ გაეშალათ ჩვენთვის. პირდაღებული ვუყურებდი ელენე ყიფშიძეს, დუდუხანა წეროძეს, კოტე დაუშვილს და სხვა ვარსკვლავებს. სწორედ მაშინ დავიწყე მსახიობობაზე ოცნება, მაგრამ სკოლის დამთავრებისთანავე უკუვაგდე ნაოცნებარი, რადგან მამამ და ძმებმა არ მომიწონეს არჩევანი. ჩავაბარე უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

— **ლია, ახლა ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას ემსახურები. როგორ უხამებ ერთმანეთს საოჯახო და საზოგადოებრივ საქმიანობას?**

— რთულად, მყავს სამი შვილი, უფროსი ქეთი — 15 წლისაა, ტყუპი ბიჭები, ალეკო და ილიკო კი — 13-ის. სამივეს მუსიკალური სმენა გამოჰყვა. ბიჭები ძალიან ცელქები არიან, ოთახებში „გორგოლაჭებით“ დაქრიან, ველოსიპედზეც არ ამბობენ უარს, თუმცა იმაზეც მადლობელი ვარ, რომ სახლს მთლად „გადაბრუნებულს“ არ მახვედრებენ.

— **მეუღლე „მეორე ხმას“ კარგად გიწყობს?**

— მეუღლე, ნუკრი ჭკუასელი, სამთო ინჟინერია. სპეციალობით არ მუშაობს. მისი დამსახურებაა, რომ დღეს ბავშვთა სტუდია „ბომბორას“ კლუბი არსებობს. ფარდები ჩემმა გოგონამ მოქარგა, მისივეა ნახატებიც.

— **შენი სუსტი წერტილი?**

— როცა ჩემი შვილები მღერიან, ცრემლს ძლივს ვიკავებ.

— **დედის პოზიციიდან ახალ თაობაში ბევრ ნაკლს ამჩნევ?**

— საერთოდ, თვითკრიტიკული ვარ და რაღაცრაღაცები ჩემი შვილებისაც არ მომწონს. ახალმა თაობამ ცუდად გაიგო ცნება „თავისუფლება“. დაიკარგა ის თავაზიანობა, რაც ჩვენს თაობას ჰქონდა უფროსი ადამიანის მიმართ. ცელქი მეც ვიყავი, მაგრამ თავხედობაში არასოდეს გადამსვლია სიცელქე.

— **მაინც რას გაიხსენებ შენი ცელქობიდან?**

— როინ მეტრეველმა პირველი კურსის პირველივე ლექციიდან გამომაგდო, რადგან ვერაფრით გამაჩუმა — თავდავიწყებით ვიცინოდი. საბჭოთა კავშირის ისტორიას გვიკითხავდა ბატონი გრიგოლ გამსახურდია... ერთ-ერთ ლექციაზე ყველა ბიჭი გარეთ გააგდო და ბოლოს მიხვდა, რომ მამაკაცის ხმით მე „ვმეტყველებდი“. გააგდებდა ერთ ბიჭს, მე კვლავ ვიწყებდი ბოხი ხმით:

„ადიდებულა ყვირილა
მოაქვს ხრეში და ქვიშა,
გამარჯობა, გრიშა!“

ლამის გაგიჟდა კაცი, ენა ჩაუვარდა და ხელითლა მანიშნა, დამეტოვებინა აუდიტორია.

— **მალე „მზიურს“ 30 წელი უსრულდება. აპირებთ აღნიშვნას?**

— ჩვენ კი გვინდა, მაგრამ თუ კულტურის სამინისტრომ ან მერიამ ხელი არ შეგვიწყო, როგორღა აღვნიშნავთ? ორივე ხათუნას (დონდუას და საბაშვილს) გულისტკივილი გაჰყვათ იმქვეყნად, რომ ვერა და ვერ მოვაბით თავი ვერც ერთი მრგვალი თარიღის აღნიშვნას... კულტურის სამინისტროში იდეა დაიბადა ფილარმონიასთან „მზიურის“ ვარსკვლავიც „აეკაშკაშონ“.

*მარინა ბაბუნაშვილი*

# არჩევნები ორი ათასი წლის წინათაც „ჩვენებური“ ყოფილა

ორი ათას წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ვეზუვის ამოფრქვევამ თხუთმეტმეტრიანი ვულკანური ფერფლისა და ლავის სუდარის ქვეშ დამარხა ქალაქი პომპეი... ეს გახლდათ საწუთროს ამაოებისა და წამიერების იშვიათი ნიმუში. პომპეი მაშინ თითქმის ათასი წლისა იყო. ეს პატარა ქალაქი, სადაც ოცი ათასი კაცი ცხოვრობდა, მთელ ნეაპოლის ყურეში გამოირჩეოდა სიმდიდრით, ტრადიციების ერთგულებით და სილამაზით.

...იმ საბედისწერო დღეს ქალაქი ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების ციებ-ცხელებით იყო გათანგული. მეცნიერებმა გათხრების დროს მის კედლებზე ორი ათასზე მეტი წარწერა ნახეს და გაშიფრეს. თითქმის ყველა მათგანი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ეხება. ისტორიის ირონიის გამო ამ წარწერებმა განსაკუთრებული ფასი და მნიშვნელობა მოიპოვა. წარწერებიდან ჩანს, რომ არჩევნები ქალაქში მიმდინარეობდა დიდი ხმაურით. მასში მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა. თავის რჩეულებს მარტო ცალკეული პირები კი არ უწევდნენ აგიტაციას, არამედ, მთელი ამქარი.



საარჩევნო კამპანიაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალები, მქსოველები, მღებავები, მევენახეები, კონდიტერები, აბანოს ცეცხლფარეშნი, ოქრომჭედლები, ქალღმერთ იზიდას თაყვანისმცემლები, მობურთალნი. აფიშად თვალსაჩინო კედლები იყო გამოყენებული. რას არ ამოიკითხავდა თანამედროვე პომპეიელი ფერად-ფერადი წარწერებით აჭრელებულ კედლებზე: „პაკვიუსი გთხოვთ, ედილად აირჩიოთ ლუციუს პომეი“... „ო, ტრებუს, შეეცადე, ედილად გაიხადო პატიოსანი ახალგაზრდა ლოლიუს ფუსკა“.

იქაურები არც კანდიდატების კომპრომეტაციას ერიდებოდნენ. ბევრი მათგანი გესლიანია: „ვატიუსს ედილად რეკომენდაციას უწევენ ბრიყვები“. მლიქვნელური ლოზუნგების ქვეშ კი მიწერილია: „ყველა ძილისგუდაა“, „გამოუფხიზლებელი ლოთები“. გვხვდება მუქარაც. საარჩევნო ციებცხელებისას პომპეიელები არ კარგავდნენ იუმორის გრძნობას: „ის, ვინც ხმას არ მისცემს კუინტუსს, ვირზე უკუღმა უნდა შესვა და ქალაქი შემოატარო ხუმარასავით“.

ეს იმ დროს, როცა ქალაქის სათავეში მხოლოდ ორი მმართველი იდგა. ისინი ამასთანავე, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარენიც იყვნენ. მმართველობაში შედიოდა აგრეთვე ორი კვესტორი, რომლებიც ფინანსებს განაგებდა და ორი ედილი — ისინი მეურვეობდნენ სამშენებლო საქმეს. მათვე ევალებოდათ უშიშროებასა და წესრიგზე თვალყურის დევნება. ამ პირებს თავისუფალი მოქალაქეები ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. თანამდებობა დიდად საპატიო იყო, მაგრამ არავითარ მატერიალურ საზღაურს არ იძლეოდა. პირიქით, ხალხის რჩეულს დიდი სახსრები უნდა შეეწირა საოჯახო მშენებლობისა და გრანდიოზული სანახაობების მოსაწყობად. პომპეიელთა განთქმული ათას ხუთას და ხუთი ათას ადგილიანი თეატრები სწორედ ქალაქის მმართველების სახსრებით აიგო. მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ქალაქის ამფითეატრის უზარმაზარი შენობა აგებულია კაიუს კვინტუს ბალბასა და მავრუს პორციას სახსრებით, რომლებმაც ამით გამოხატეს თავიანთი მადლობა ქალაქისადმი საპატიო თანამდებობაზე არჩევის გამო.

მიუხედავად ამისა, ქალაქში მაინც მოიძებნებოდა ხალხი, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ კანდიდატთა მლიქვნელურ ხოტბა-დიდებას. ყველაზე გამორჩეულ კედელზე, ერთ-ერთი ასეთი ლოზუნგის ქვეშ მკვეთრი, მახვილგონივრული წარწერაა: „ძალიან მიკვირს, რატომ აქამდე არ დაინგრევი, ნუთუ შენი ხვედრია ამდენ სისულელეს გაუძლო?!“

...აკი, დაინგრა კიდეც.

*ეთერ თარიმანი*

# ფული სამშვენისად



ევროპის ერთიან ვალუტაზე გადასვლა აწუხებს და აფორიაქებს არა მარტო პოლიტიკოსებსა და ეკონომისტებს, არამედ მოდის სამყაროსაც.

„სელინის“ სახლის დიზაინერმა მაიკლ კორხმა შექმნა ტყავისა და ქსოვილისაგან დამზადებული ხელჩანთების, ქამრებისა და საფულეების მთელი კოლექცია, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ევროდისეა“ და დეკემბრიდან გაიყიდება.

მილანის მოდის კვირეულზე ფრანგული მოდების სახლის, „სელინის“ მანეკენებმა მაყურებელს აჩვენეს ხელჩანთები, ისინი იმ თორმეტი ქვეყნის ფულით იყო დამშვენებული, რომლებიც მალე ევროზე გადავლენ. სამშვენისად გამოყენებული იყო ფრანგული ფრანკი, გერმანული მარკა, ავსტრიული შილინგი, ბელგიური ფრანკი, ესპანური პესო, ბერძნული დრაჰმა, იტალიური ლირა...

*პარი მატჩი*

# ლეგენდა და სინამდვილე

მეცნიერთა და ცირკის მსახიობთა რამდენიმე თაობა დიდი მონდომებით ცდილობდა, გამოეცნო განთქმული ინდური ფოკუსის საიდუმლო. დღეს იგი ახსნილია. ფოკუსი კი ასეთია: საცირკო არენაზე ან მოედანზე გამოდის ილუზიონისტი, რომელსაც ხელში კალათა უჭირავს, გვერდზე კი პატარა ბიჭი უდგას. იგი კალათიდან დახვეულ თოკს იღებს და ერთ ბოლოს მაღლა აგდებს, თოკი ვერტიკალურად ჩერდება. ილუზიონისტი დაბლა ეწევა, მაგრამ თოკი თითქოს ცაში რაღაცას მოედოო, დაბლა აღარ ჩამოდის. ილუზიონისტი ბიჭს უბრძანებს, თოკზე აცოცდეს და გაათავისუფლოს. ბიჭი მარდად აცოცდება თოკზე და ცაში გაუჩინარდება. პატრონი ქვევიდან უყვირის, — მალე მოხსენი თოკი და ჩამოდიო. როცა ვერ გააგებინებს, ხმალს პირით დაიჭერს, თვითონაც აძვრება ზევით და ისიც უჩინარდება. ცოტა ხნის შემდეგ ციდან კაცის ლანძღვა-გინება და ბავშვის განწირული ყვირილი ისმის. დატოვებულ კალათაში ზევიდან ჯერ ბიჭის თავი ჩავარდება, შემდეგ ხელ-ფეხი და ტანი. ცოტა ხანში



თოკზე მკვლელი ჩამოცოცდება და როცა აღშფოთებული ხალხი დაჭერას მოუნდომებს, იგი კალათას შეულოცავს და იქიდან საღ-სალამათი ბიჭი ამოხტება.

ხუთი წლის გულდასმით კვლევის შემდეგ ამ ფოკუსის საიდუმლოება ამოხსნა ედინბურგის „ჯადოქართა წრის“ ყოფილმა პრეზიდენტმა, შოტლანდიელმა აკადემიკოსმა პიტერ ლამონტმა. მან დაამტკიცა, რომ ასეთი ნომერი არასოდეს შესრულებულა, რომ იგი „გამოიგონა“ 111 წლის წინ ამერიკელმა რეპორტიორმა, როცა „ჩიკაგო ტრიბუნის“ ტირაჟი კატასტროფულად დაეცა და საჭირო გახდა გაზეთის გადარჩენა ნებისმიერი საშუალებით. ამ მიზნით გაზეთში დაიბეჭდა სტატია „რეპორტაჟი ინდოეთიდან“. მას შემდეგ ცდილობდნენ, აეხსნათ ეს ნომერი და არავის მიუქცევია ყურადღება ოთხი თვის შემდეგ იმავე გაზეთში გამოქვეყნებული წერილისთვის, სადაც ნათქვამი იყო, რომ სტატიაში აღწერილი ამბავი შეთხზული იყო. იქვე იყო აღნიშნული, თუ რატომ იკადრა გაზეთმა სიცრუის თქმა.

*მირ ნოვოსტეი №35*

# თმაც ანგელოზის უნდა...



გერმანელ ნის მელიკ პედმეც-ენსალას ბავშვობიდან თმა არ შეუჭრია და ახლა თავისი მშობლიური ქალაქის ნორდჰაიმის ნამდვილი ღირსშესანიშნაობა გახლავთ.

ნისი თურქეთში დაიბადა. თმის გაზრდა ოჯახური ტრადიციაა: ბებიასაც და დედასაც არასოდეს შეუჭრიათ თმა.

ნისმა სანათესავოში ყველას აჯობა, ამსიგრძე თმის გაზრდა ვერც დედამ და ვერც ბებიამ ვერ მოახერხეს. ნისი თვლის, რომ ბიჭური ვარცხნილობა ნამდვილ ქალს არ უხდება, თუმცა კი აღიარებს, რომ მოკლე თმა უფრო ადვილი მოსავლელია.

*იტოგი*

# მეფეებს ყველაფერი შეუძლიათ

ის, რომ პინგვინი ამაყი ცხოველია, დიდი ხანია შემჩნეულია. ტყუილად კი არ შეარქვეს ერთ-ერთ სახეობას — სამეფო. ნორვეგიაში ოსტატურად გამოიყენეს ეს ფაქტი. ამ ქვეყანაში დიდი ხანია ტრადიციად ითვლება რომელიმე ცხოველის ან ფრინველის გამოსახულების სამხედრო ქვეგანაყოფის სიმბოლოდ აღიარება. სამეფო პინგვინს, სახელად ნილს ოლაფს, რომელიც ედინბურგის ზოოპარკში ცხოვრობს, ნორვეგიის არმიის უფროსი სერჟანტის წოდება მიენიჭა. პინგვინისათვის საპატიო წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონია ჩატარდა ნორვეგიის მმართველი დინასტიის ახირებით. მეფეებს ხომ ყველაფერი შეუძლიათ.



*იტოგი №37*






# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში ნაცრისფერ უჯრებში ლევ ტოლსტოის ფრაზას ამოიკითხავთ.




**გ.** თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელი; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **მ.** ესპანეთის დედაქალაქი; **ო.** თვალთმაქცი, ცელქი, ცუღლუტი; **ი.** ბრაზილიელი „მონა“, რომლის ბედსაც მთელი სსრკ დასტიროდა; **წ.** ვისამე მიერ გამოცემული ძალზე წვრილი ხმა. **ე.** მეგრული კერძი; **რ.** რუსი ფერმწერი; **ე.** პროკრუსტეს სარეცელი, იობის მოთმინება, ავგიას თავლა, მურმანის — ?; **თ.** მოტყუებითა და ხრიკებით რაიმე საქმის გამკეთებელი, ყალთაბანდი; **კ.** რისამე განხილვა ღირსებისა და ნაკლის გამოსარკვევად, შეფასების მიზნით; **ვ.** ქალის პირბადე; **ი.** მგალობელი ფრინველი; **რ.** ქვეყანა აფრიკაში; **ი.** იმამის ხელისუფლება; **ს.** ავთვისებიანი სიმსივნე; **პ.** ნახატი, რომელსაც ახლავს სააგიტაციო ან სარეკლამო მოკლე ტექსტი; **ა.** დიეგო მარადონას მეორე სახელი; **ლ.** შორეული ნაოსნობის დიდი საოკეანო გემი; **ი.** კოლხეთის მეფე აიეტის ძალად სიძე; **ტ.** ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **ა.** საჰაერო ფლოტი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**ი.** იკებანა; **კ.** კასკადი; **ი.** იარლიყი; **თ.** თრაკია; **ხ.** ხუმარა; **ე.** ექსცესი; **თ.** თიაქარი; **კ.** კახეთი; **ვ.** ვაიმარი; **ი.** იპონი; **რ.** რაბინი; **ი.** იდიოტი; **ს.** სევანი; **პ.** პაიჭაძე; **ა.** არღუნი; **ლ.** ლიუბეკი; **ი.** იაპონია; **ტ.** ტრენერი; **რ.** რობერტი; **ა.** ალიანსი.
გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ეს რა მსახიობი ვილუპები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## №39 (260) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 794 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 269 ქალმა და 515-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია დღეს საქართველოში უპირველესი პრობლემა?"**

შეგახსენებთ, რომ წინა ნომრის რეიტინგში იგივე კითხვა იყო დასმული, ოღონდ — მსოფლიოსათვის. იქ №1 პრობლემად ტერორიზმი დასახელდა. საქართველოში კი პრობლემათა ნუსხას „კორუფცია" უდგას სათავეში. 54%-მა დაუწერა კორუფციას მაქსიმალური — 9 ქულა. მინიმალურით კი მხოლოდ 1%-მა შეაფასა. „კორუფციის" საშუალო ქულაა **8,03**.

შემდეგ ადგილზე „ეთნოკონფლიქტებია" (ისევე, როგორც მსოფლიოში), საშუალო ქულაა 7,50. რესპონდენტთა 30% მიიჩნევს ეთნოკონფლიქტებს საქართველოსთვის უპირველეს პრობლემად.

„ადამიანთა უფლებების დარღვევა" მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 6,35. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა წინა რეიტინგში მეექვსე ადგილზე იყო. საქართველოში კი, როგორც ვხედავთ, ერთ-ერთ პირველ პრობლემად დასახელდა.

ჩვენი მკითხველების აზრით, შიდსი (ეს პრობლემა მსოფლიოს პრობლემათა შორის მესამე ადგილზეა), პროსტიტუცია და ჰომოსექსუალიზმი, აქ ჩამოთვლილ პრობლემათა შორის შედარებით ნაკლებპრობლემურია საქართველოში.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულით (41%) „პროსტიტუცია" შეფასდა.

აღსანიშნავია, რომ „ნარკომანიას" არც ერთმა მკითხველმა არ მიაკუთვნა მინიმალური — 1 ქულა.




საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 39 წლის მცხეთელი **ანზორ იაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს, 17 საათზე.

## №40 (261) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლეიცინგში.*

№40 (261) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 3 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 4 ოქტომბრის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №40 (261) — კეთილგანწყობილი ქვეყანა

**თქვენი აზრით, რომელი ქვეყანა (ხალხია) ყველაზე მეტად კეთილგანწყობილი საქართველოსადმი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№40(261) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ქვეყანა (ხალხი) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | რუსეთი | |
| 2 | აზერბაიჯანი | |
| 3 | სომხეთი | |
| 4 | ჩეჩნეთი | |
| 5 | თურქეთი | |
| 6 | ამერიკა | |
| 7 | უკრაინა | |
| 8 | გერმანია | |

*მკითხველის ლეიცინგი*

„კვირის პალიტრის" გარდა, კიდევ რომელ გაზეთს (ჟურნალს) კითხულობთ?
*(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)*

________________
________________
________________

თქვენი სახელი, გვარი
ქალაქი (რაიონი)
ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის" ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### *მკითხველის ლეიცინგის შედეგები*

**ვინ გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში ვაკის რაიონში?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხეილ სააკაშვილი | 77,4% |
| 2. | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 14,7% |
| 3. | გია ჟორჟოლიანი | 0,6% |
| 4-6 | გურამ აბსანძე | 0,4% |
| 4-6. | გოჩა ფიფია | 0,4% |
| 4-6. | ჯაბა იოსელიანი | 0,4% |
| 7-8. | ასმათ ტყაბლაძე | 0,3% |
| 7-8. | გია გაჩეჩილაძე | 0,3% |

მკითხველის რეიტინგში 687-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. ერთი მკითხველის აზრით, გაიმართება II ტური; 0,7%-მა ვერ დააკონკრეტა — სააკაშვილი გაიმარჯვებს თუ ÷ ირინა სარიშვილი-ჭანტურია;

მკითხველთა 4,5%-ს კითხვაზე განსაზღვრული პასუხის გაცემა გაუჭირდა.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

________________
________________
________________
________________
________________

თქვენი სახელი, გვარი ________
ქალაქი (რაიონი) ________



ედუარდ შევარდნაძე, ვლადისლავ არძინბა



ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას" 153 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**მ.ს.** — ზურაჯან! შენ კიდევ ამბროსიჩს ეძებ, კაცო?!
**ზ.ჟ.** — ეხ, მიშაჯან! მგონი ნაღდად მიგვატოვა, აი!

*„დელფინი", თბილისი*

**ზ.ჟ.** — ხო, ხო, რა ლამაზი ფიგურა აქვს!
**მ.ს.** — ფოტომოდელია?
**ზ.ჟ.** — მოდელი კი არა, პრეზიდენტის სავარძელია!

*გ. გელაძე, თბილისი*

**მ.ს.** — საით იყურები?
**ზ.ჟ.** — იქით, სადაც კარგია!
**მ.ს.** — მაგრამ ჩვენ რომ იქ არ ვართ?!
**უკან მდგომი:** — თქვენ რომ არ ხართ, მიტომაა კარგი იქ.

*ვატულაი ტატულაი, თბილისი*

**ზ.ჟ.** — სააკაშვილო, მოამზადეთ პრიბორი!!!
**მ.ს.** — პრიბორ დვაცატპიატ!
**ზ.ჟ.** — რაის დვაცატპიატ!
**მ.ს.** — აბა, რაის პრიბორი!
**(ანეკდოტის მიხედვით)**

*თ. ხუციშვილი, თბილისი*

**ზ.ჟ.** — იქით ზღვაა?
**მ.ს.** — იქით მტერია, ბატონო!
**ზ.ჟ.** — იქით?
**მ.ს.** — იქითაც... და საერთოდ, ალყაში ვართ მოქცეულნი!
**ზ.ჟ.** — აბა, მე საიდან გავჩნდი აქ?
(კ/ფ „ყვარყვარე")

*მამუკა სანიკიძე, ოზურგეთი*

**მ.ს.** — რას ხითხითებ, ზურიკო?
**ზ.ჟ.** — რავა, რას ვხითხითებ, კაცო, ბატონი ედუარდი სადა ხედავს სინათლეს, ამ სიბნელეში ვირთხების, წურბლების და ღორების მეტი არაფერი ჩანს.

*თენგიზ ტაბატაძე, რუსთავი*

**ზ.ჟ.** — შეხედე, მიშა! საირმის კოშკების გარშემო ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს თხრიან!
**მ.ს.** — მერე, პრეზიდენტი სად არის?
**ზ.ჟ.** — პრეზიდენტმა შაბათობა გამოაცხადა და ყველაზე დიდი ბარი უჭირავს ხელში...

*თამაზ დუნდუა, თბილისი*

**მ.ს.** — რა მოჩანს?
**ზ.ჟ.** — ციხის კარები...
**მ.ს.** — ნუ გეშინია, ყველა ხვრელის შესასვლელ-გამოსასვლელი ზეპირად ვიცი. ორს ახლაც თხრიან ბიჭები...

*კოკა ღვიარელი, ქუთაისი*

**მ.ს.** — ზურა, რას უყურებ?
**ზ.ჟ.** — მომავალში ვიყურები!
**მ.ს.** — მერე, რას ხედავ?
**ზ.ჟ.** — კაციჭამიების სუფრაზე ვიჩითები, მაგრამ ბოლოკი რატომ მაქვს პირში, ვერ გავიგე.

*„სონი", ჭიათურა*

**მ.ს.** — ხედავ, ზურა! გატაცებული ქართველები პანკისის ხეობაში რა ცუდ პირობებში ჰყავთ? მე რომ დეპუტატი გავხდები, მათი პირობების გაუმჯობესებაზე ვიზრუნებ!

*მარი, თბილისი*

**მ.ს.** — მომავალს უყურებ, ზურიკო, ასე გაფაციცებით? გეხვეწები, მეც დამანახე რა?!
**ზ.ჟ.** — ეჰ, მიშიკო, მიშიკო, რაც გვინახავს, ველარ ვნახავთ!!!

*ლიკა ბერიძე, თბილისი*

**ზ.ჟ.** — მიშა, ე, რამოდენა სახლები აიყვანე „მუშკაზე"!
**მ.ს.** — სახლები კი ავიყვანე, მაგრამ ჩვენ თვითონ რომ აგვიყვანეს „მუშკაზე"?!

*ვალერი გ., თბილისი*

**გონიოს პოლიგონზე.**
**ზ.ჟ.** — მიშა, ძალიან, ძალიან შორს ასლანსა და ედუარდს ვხედავ, მაგათი დედა...
**მ.ს.** — აუ, ახლა კი მართლა დაგერხა, ზურა, უკუღმად გიჭირავს დურბინდი, აგერ დგანან შენს წინ...

*უსახელო, ბათუმი*

## ფოტო განწყობისთვის



— შემოდგომაა...
ქორწილის დროა...
(ღიღინით)




## წინა სკანვორდის პასუხები







## ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). „კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიტაძის (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ-თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე — არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტაში ყუთები დაიცლება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან. დედოფლისწყაროში თვის II კვირის ხუთშაბათს. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში კი თვის IV კვირის ხუთშაბათს.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### (40) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№40 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 4 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.


**„ალიგატორ სერვის"**

ყველა ტიპის სიგნალიზაციის დამონტაჟება, შეკეთება, მინის ელექტროამწევებისა და აუდიოსისტემების მონტაჟი.



**გარანტიით**

**20% ფასდაკლება**

მის: ვაჟა-ფშაველას №37

☎899 50-31-52

**ფირმა „ბერმუხა"**



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, სარდაფების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50




— მიხა, ვინ იყო ჩაპაევი? — ეკითხება მიხას ისტორიის მასწავლებელი.
— ვინ და ზანგი!
— როგორ თუ ზანგი?
— აბა, თეთრებს რომ ებრძოდა?..

* * *

რაჭველ კაცს საცოლეს ურჩევენ.
შეხედა ქალს და ჩაფიქრდა. მაჭანკალი ეკითხება:
— ჰა, როგორია?
— ჯერ ვერაფერს გეტყვი, ქვე შენი ჭირიმე, უნდა გაიხადოს...
ქალი ძლივს დაითანხმეს გახდაზე.
— ჰა, ახლა რას იტყვი?
— არ მინდა, — პასუხობს რაჭველი.
— ვითომ რატომაო, რას უწუნებ?
— თვალის ფერი არ მომწონს!..




გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოტანილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".